ფონოსტილისტიკური მოვლენები ხასიათდებიან დინამიურობით; ამის მაგალითია ბოლოკიდური ჩურჩულა [d̥] –ს წარმოთქმა. პ. ლეონმა გამოავლინა ეს მოვლენა აღტაცების ფონოსტილისტიკური ნიშნის სახით შ. დე გოლის საჯარო გამოსვლებში (პ. ლეონი, *Nouveau regard sur la phonostylistique*, გვ. 161). 10 წლის შემდეგ, ეს მოვლენა მოდურ ტენდენციად იქცა ახალგაზრდულ მეტყველებაში; მოგვიანებით კი უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა. მთლიანობაში, ფონოსტილისტიკის საგანი შეიძლება განისაზღვროს როგორც ენის იმ ექსპრესიულ ფუნქციათა შესწავლა კომუნიკაციის პროცესში, რომლებიც განპირობებულნი არიან სოციოლინგვისტური, სიტუაციური და პრაგმატიკული ფაქტორებით. ფრანგ ფონოსტილისტთა შრომებში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინტონაციის ფონოსტილისტიკურ როლს ფონოსტილისტური ვარიანტების შექმნაში. პ. ლეონის ძირითადი ნაშრომი «ფონოსტილისტიკის კურსი» (1993 წ.) შეიცავს შემდეგ თემებს: ფონოსტილისტიკური მდებარეობები, წერითი ტექსტის ზეპირი რეპროდუქცია, ბგერითი სემიოტიკა, ემოციათა ვერბალიზაცია, კომუნიკაციური სიტუაციურობა, სოციალური და რეგიონალური ვარიაციულობა, პოეტიკური ენა. ამჟამად, ფონოსტილისტიკის ამოცანაა ფონოსტილისტიკურ სტრუქტურულ ერთეულთა გამოყოფა, მათი სისტემური და ვარიაციული თვისებების დადგენა, დაგროვილ ემპირიულ მონაცემთა კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია.

ლიტერატურა:

- Bally Ch. Traité de stylistique française. Heidelberg, 1909.
 Bally Ch. Le langage et la vie. Paris, 1926.
 Bally Ch. Linguistique générale et linguistique française. Berne, 1944.
 Fonagy I. Le statut de la phonostylistique. Linguistics, 1964, N4.
 Fonagy I. Le statut de la phonostylistique. Linguistics, 1977, N34.
 Fonagy I. La méthaphore en phonétique. Paris, 1979.
 Grammont M. Traité de phonétique. Paris, 1933.
 Léon P. Essais de phonostylistique. Paris, 1971.
 Léon P. Précis de phonostylistique. Paris, 1993.
 Léon P. Nouveau regard sur la phonostylistique. La linguistique. 2009, ¹ 1.
 Martinet A., Walter H. Dictionnaire de la prononciation française dans son usage réel. Paris, 1973.
 Riffaterre M. Vers la définition linguistique du style. Word. 1961. ¹ 3.
 Трубецкой Н.С. Основы фонологии. Москва, 1960.
 Якобсон Р. Избранные работы. Москва, 1985.

ციური ახვლედიანი, კეთევან გაბუნია

Истоки формирования фоностилистики во Франции

Резюме

В статье рассматриваются истоки формирования фоностилистики как нового направления лингвистических исследований во Франции. Стимулом для появления новой дисциплины явилось выделение в языке, наряду с коммуникативной, аффективной функции. Анализируется стимулирующая роль работ К. Бюлера, Ш. Балли и Н. Трубецкого в развитии французской фоностилистики, чему также во многом способствовало изучение звукового символизма. Установление истоков фоностилистики во Франции даёт представление о формировании её проблематики. В целом предмет фоностилистики можно определить как изучение экспрессивных произносительных функций языка в процессе коммуникации, обусловленных социологическими, ситуативными и прагматическими факторами.

Tsiuri akhvlediani, Ketevan Gabunia

The origin of Phonostylistics in France

Abstarct

The article deals with the bases of formation of phonostylistics in France, as the new way of linguistic research. The incentive of establishing this new function, was the existence of the language communicative function with the new one, particularly - affective function.

K. Boiler, Sh. Bali and N. Trubetskoy's works, that played stimulating role in the French phonetics, are discussed in the work. Establishing the sources of the French phonostylistics gives the overall view of the problems. Pronunciation and expressive functions of the language during the communication is the object of phonostylistic research. It is mainly conditioned by sociologic, situational and pragmatic factors.

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

რუსუდან გერსამია

თბილისი, საქართველო

პრეფიქსული ნაწილაკების მორფოლოგიზებისათვის
მეგროლსა და ლაზურში

1. თეორიული საფუძვლები: მორფოლოგიზაცია განიხილება უფრო ფართო ცნების, გრამატიკალიზაციის, ნაწილად და უკავშირდება ენობრივი ფორმის ისტორიულად ჩამოყალიბების საკითხებს, ცვლილებებს სიტყვის ლექსიკური სტატუსიდან გრამატიკულ ფუნქციამდე; ენის განვითარების პროცესში მორფოლოგიზებული ელემენტები იძენენ ახალ სტატუსს, იმგვარ ფუნქციებს, რომლებიც თავიდანვე არ ჰქონიათ, ან სხვაგვარად იყო მათში კოდირებული [ლემანი 1982, ტრაუგოტი, კონიგი 1991]; აქედან გამომდინარე, რომელიმე ენობრივი ერთეულის მორფოლოგიზაცია მოიცავს გზას ამ ერთეულის დესემანტიზაციიდან მის გრამატიკულ კატეგორიზაციამდე; უფრო კონკრეტულად შემდეგ თანმიმდევრულ საფეხურებს:

I. დესემანტიზაცია (ანუ სემანტიკური გაბუნდოვანება, გაფერმკრთალება (bleaching), სემანტიკური რედუქცია);

II. ექსტენსია (ანუ კონტექსტის განზოგადება, გაფართოება): სხვა კონტექსტში გამოყენება;

III. დეკატეგორიზაცია – ამოსავალი ფორმის მორფოსინტაქსური ხასიათის ცვლა, დამოუკიდებელი სიტყვის სტატუსის შეცვლით.

IV. ეროზია („ფონეტიკური რედუქცია“/ ცვეთა) - თავდაპირველი ფონეტიკური შედგენილობის დაკარგვა [ჰაინე, 2008 : 578-579].

მორფოლოგიზებული ელემენტი ენის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ფუნქციონირებს და ამდენად, მდგრად ენობრივ (= მორფოლოგიურ) მონაცემს წარმოადგენს.

2. მეთოდოლოგიური ასპექტები: ქართველურ ენათა ჯგუფში მეგრული და ლაზური უმწერლობა, შესაბამისად, სტანდარტიზირებისგან თავისუფალი ენებია, რაც ამ ენათა სისტემების სინქრონიულ ვითარებას წარმოაჩენს როგორც ისტორიულად ბუნებრივი განვითარების შედეგს; თუმცა, მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ამ ენებზე ჩაწერილი ტექსტები მხოლოდ საუკუნე-ნახევარს ითვლის, მასალა ნაკლებად იძლევა გრამატიკალიზაციის პროცესებზე დაკვირვების საშუალებას; ამიტომ საკითხის კვლევა მეთოდოლოგიურად გამართლებული ჩანს მეგრულისა და ლაზურის სინქრონიული ვითარების გათვალისწინებით, დესკრიფციულ მონაცემთა ანალიზით;

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მსჯელობა შეეხება ზმნურ პრეფიქსთა სისტემაში შემავალ დადასტურების (=მტკიცებით) და უარყოფის ნაწილაკთა ადგილს მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში, მათ ფუნქციებს და ამ ფუნქციების შესაბამისი კვალიფიკაციის საკითხებს; პრობლემა გაანალიზებულია მეგრული და ლაზური ენების განვითარების როგორც სინქრონიულ ჭრილში, ისე ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პერსპექტივიდან.

3. მოდალური ნაწილაკები ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი. მეგრული და ლაზური ზმნის პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში ელემენტთა რაოდენობა განსხვავებულია; მორფემათა მიმდევრობაში უარყოფის ვა- (< ვარ) (მნიშვნელობით - არ, არა, ვერ) და დადასტურების/ მტკიცების - ქო (მნიშვნელობით – კი, დიახ) ნაწილაკებს ზმნის ანლაუტში პირველი პოზიცია აქვთ, ანუ ყველაზე მეტად არიან დაშორებული ზმნის ძირისგან და ბოლო სლოტში იკავებენ ადგილს:

მეგრული: PTC/PRF=4-3-2-1-R
ლაზური: PTC/ PRF=3-2-1-R; PTC:AFF/NEG

უარყოფითი და მტკიცებითი ნაწილაკები დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ სრული ასპექტის/ პერფექტის მაწარმოებელ¹ მორფემებთან (მეგრ. გე-, დო-, ო-, მიდა-, ლაზ. მენდა-), რაც იმას ნიშნავს, რომ ზმნურ ფორმაში რომელიმე ორიც კი ერთდროულად არ რეალიზდება.

ნაწილაკები მეგრულში ფონეტიკური ვარიანტების სახით არის წარმოდგენილი: ვა/ ვე, ქო ნაწილაკი კი ყველა ხმოვნით, მათ შორის ნეიტრალურხმოვნიანი, და უხმოვნო, ოდენკონსონანტური ქ- ვარიანტით [ხუბუა 1942, 56]. ისინი ზეგავლენას ახდენენ მომდევნო ელემენტის, ზმნისწინების, ხმოვნებზე, მაგრამ თავადაც იცვლებიან მათი ზეგავლენით [გუდავა, გამყრელიძე 2000 : 194].

ლაზურში კი დადასტურების ქო- ნაწილაკი ფონეტიკურად გაცვეთილი არ არის, უარყოფის ვა- ნაწილაკი კი წარმოდგენილია როგორც არარედუცირებული ვარ ფონეტიკური მიმდევრობით, ისე გაცვეთილად, ვა-ს სახით; შდრ.

ა. თოკი ვარ მეგჩარე დო ეშუმენი გიწუმერს (ჩიქ. 9) "თოკი არ უნდა მოგცე და იმიტომ გეუბნები"

ბ. ბოხო ვა გოკუნცხინუ [...] დაჰა მით ვა ენ [...] ბოხო ვა უჩქინ [...] ხვალა ვა გამამაონენტა [...] მუთუ ბოხო ჩქიმის ნა ვა ოლდუ-თა (ჩიქ. 275) "გოგო არ გააღვიძა[...] კიდევ არავინაა[...] გოგომ არ იცის [...] მარტო რომ ვერ გამოვიყვანო[...] თუ ჩემს გოგოს არ დაუშავაო"

ვა-/ვარ- ნაწილაკები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს ზმნების წინ ყველა პოზიციაში [ქირია 2015 : 744]

მეგრულში აღნიშნული ნაწილაკები სრული ფონეტიკური მიმდევრობით მხოლოდ მაშინ არის წარმოდგენილი, თუ მიგებითი ნაწილაკების ფუნქციით გამოიყენება დიალოგურ ტექსტში.

ვა- და ქო- ნაწილაკები ოპოზიციური მნიშვნელობის მქონეა, მათი საშუალებით გამოსატყული მოდალობა ერთმანეთის საპირისპიროა. ისინი არც ფუნქციურად ჩანს ერთგვარი. ტრადიციული ლინგვისტური ლიტერატურა „ნაწილაკის ფუნქციად მეგრულისათვის ასპექტის ან აწმყოსაგან მყოფადის წარმოებას განიხილავს [მარგველაშვილი 1980: 166, ჭუმბურიძე, 1986 : 142-143, კარტოხია და სხვ. 2010, ქირია და სხვ. 2015 : 361]; ვა- ნაწილაკი კი შეიძლება აწმყოშივე დაჩნდეს, გამოსატყოს ზმნური ფუძით გადმოცემული მოქმედების/ მდგომარეობის უარყოფა და წარმოადგენდეს ქო-ნაწილაკიანი ფორმის ოპოზიციას; ამასთან ვა- ნაწილაკიანი ფორმები აწმყოსა და აორისტში ომონიმურია; ომონიმური შეიძლება აღმოჩნდეს ქო- ნაწილაკიანი აწმყო-მყოფადის ფორმებიც². შდრ:

¹ საკითხის შესახებ მეგრულისათვის იხ. ყიფშიძე 1914: 0107-0109; ქობალავა 2010; კარტოხია 2010: 193; ოხოტურქი 2011
² დეტალურად იხ. გერსამია და სხვ. 2016 : 313-321

| აწმყო (PRS) | მყოფადი (FUT) | ორისტი (AOR) |
|-------------------------|---------------------|----------------------|
| (1) მოურს "მოდის" | ქო-მოურს "მოვა" | ქო-მორთუ "მოვიდა" |
| (2) ქო-მოურს "მოდის" | ქო-მოურს "მოვა" | ქო-მორთუ "მოვიდა" |
| (3) ვა-მოურს "არ მოდის" | ვა-მოურს "არ მოვა" | ვა-მორთუ "არ მოვიდა" |
| (4) ლალუნს "ყეფს" | ქო-ლალუნს "ყეფს" | ლალუ "იყეფა" |
| (5) ქო-ლალუნს "ყეფს" | ქო-ლალუნს "იყეფებს" | ქო-ლალუ "იყეფა" |

ზოგჯერ ფორმები აწმყოშივე ნაწილაკებით არიან წარმოდგენილი, მაგ. (2), (3), (5), ნაწილაკის ჩამოშორება მოდალობის შეცვლას იწვევს (შდრ. (1) და (3) მაგალითი) და ზმნური ფორმის სემანტიკას დადებითი მნიშვნელობით წარმოგვიდგენს.

ცხრილში მოცემული პარადიგმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქო- ნაწილაკი ყველა შემთხვევაში არ არის მასპექტირებელი, იხ. მაგალითი (2), (4), (5), არც აწმყო-მყოფადის მაპირისპირებელი, იხ. მაგალითი (2), (5); ამიტომაც ამ მაგალითებში ქო- ნაწილაკის კვალიფიკაცია განსხვავებულად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- მოდალური ელემენტი (MOD:AFF),
- მასპექტირებელი (PRF),
- მყოფადის მაწარმოებელი (FUT).

ქო- ნაწილაკი სემანტიკურად უფრო მრავალფეროვანი ჩანს; მან შეიძლება შეასრულოს აფირმატიულობის ფუნქცია (affirmativity), იყოს ფოკუსის ნაწილაკი, გამოხატოს ინტენსიურობა (intentionality), ნებისმიერობა/ თვითნებურობა (volitionality), საგანთან კონტაქტურობა (contact) (გამკოსხაპუ – ქიმკასხაპუ), მოქმედების დამსრულების მტკიცებულება (completivity), პერფექტულობა, იმპერფექტულობა, ევიდენციალობა (დადასტურება, ფაქტის ნამდვილობა), დათმობის პირობითობა (concessive conditionals), გარდამავლობა, ბრძანებითი კილო და ა. შ. [როსტოვცევი-პოპიელი, 2009: 1-10];³ მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ კატეგორიის გამოსახატავად მეგრულსა და ლაზურში სპეციალური მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური საშუალებები მთიპოვება, სამეტყველო დისკურსში ქო-ს გამოყენების სიხშირე მისი სხვა ფუნქციების ზოგადი სპექტრის განსაზღვრის და ამ ფუნქციური სახესხვაობების დადგენის აუცილებლობის საკითხს სვამს.

ვა- ნაწილაკი ასეთი ფუნქციურ-სემანტიკური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მისი ძირითადი ფუნქცია სწორედ უარყოფის გამოხატვაა და ამდენად ის თავსდება მოდალობის ჩარჩოში; თუმცა ის ფაქტი, რომ ის უკვე ფონეტიკურად რედუცირებულია, ანუ ფონეტიკურად გაცვეთილია (ვარ >ვა-) და ზმნური პროკლიტიკაა (ზმნური ფუძის ანლაუტური ელემენტი, ქო- ნაწილაკთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია) უკვე მიანიშნებს, რომ პროცესი "დესემანტიზაციიდან გრამატიკალიზაციამდე" დაწყებულია; თუმცა დასრულებული არ არის.⁴ შესაბამისად, ვა-ს ფლექსიურ აფიქსად გაგება, პრობლემური ჩანს მისი ოპოზიციური მეწველისაგან, ქო- ნაწილაკისაგან განსხვავებით, რომელიც:

1) აწარმოებს მყოფადს მხოლოდ მეგრულში და ამ ფუნქციით ზოგჯერ ზმნისწინების ფარდია.

2) აწარმოებს ასპექტს (მეგრულსა და ლაზურში) და დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია ამ რანგის სხვა მორფემებთან: მეგრ. გე-, დო-, ო-, მიდა- [ქობალავა 2010, როსტოვცევი-პოპიელი 2009] ლაზ. ო-, დო-, მენდა-, [ოხოტურქი, 2011 : 95], რომლებიც ასევე

³ ყველა ზემოხაზოვლილი სემანტიკური ფუნქციიდან აფირმატიულობის, პერფექტულობისა და ფოკუსირების გარდა, ყველა დანარჩენი ფუნქცია სუსტად ჩანს მეგრულში გამოხატული.

⁴ ი. ყიფშიძე ცალკე წერდა ვა- ნაწილაკს [ყიფშიძე, 1914 : 2013], შედგენილიდან ტექსტების ის ზმნისთან ერთად იწერება, რასაც აპირობებს ხმოვით დაწყებულ ზმნებთან ნაწილაკების ხმოვითი ელემენტის ფონეტიკური ცვლილება, რის გამოც ბუნებრივია მისი შერწყმა ზმნურ ფორმასთან [კარტოზია და სხვ. 2010 : 307]; მ. ხუბუას მეგრულ ტექსტებშიც მას დამოუკიდებლად დაწერილად ვხვდებით [იხ. ხუბუა 1937]; შემდგომი პერიოდის ტექსტებისაგან განსხვავებით.

აფირმატივებია – მოქმედების დასრულებულობის დამადასტურებელი რეპრეზენტაციები.

შდრ. აწმყოს (PRS) მყოფადისა (FUT) და აორისტის (AOR) ფორმები მეგრულში:

რკიანს – ქო-რკიანს – რკიუ / ქო-რკიუ (რკიაფი "კივილი)

ჭკომუნს - ო-ჭკომუნს – ჭკომუ / ო-ჭკომუ (ჭკომუა "ჭამა")

ჭარუნს – დო-ჭარუნს – ჭარუ / დო-ჭარუ (ჭარუა "წერა")

მიურს – მიდ-ურს - იდუ / მიდა-რთუ (ულა "წასვლა")

ლაზურს: ბძირი – ქო-ბძირი, პტახი – დო-პტახი,

იდუ – მენდა-ხოუ, პჭკომი – ო-პჭკომი [ოზთურქი 2011 : 95]

"მეგრულსა და ლაზურში ერთდროული პროცესი ჩანს ქო- ნაწილაკის გამოყენება სრულასპექტიანი ფორმების გამოსახატავად. ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ მეგრულსა და განსაკუთრებით ლაზურში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ასპექტის გამოხატვის ძველი სისტემა, როცა ზმნისწინის დართვა არ განარჩევს მოქმედების სრულობა-უსრულობას, ხოლო ახალი სისტემის აგებისას ფუნქციური დატვირთვა მიენიჭა ქო- ნაწილაკს: მტკიცებითი სემანტიკის გაფართოებით მოქმედების სასრულობამდე" [ქირია და სხვ. 2015 : 367].

4. NEG-AFF- მორფოტაქტიკური მოდელი მეგრულში ანუ "შეუთავსებელთა შეთავსება".⁵ "ნეგატიური დადასტურების" (ა. როსტოვცევ-პოპიელი) ტიპი მეგრულში ჯერ კიდევ ი. ყიფშიძემ აღწერა [ყიფშიძე, 1914 : 0106]; ეს ის შემთხვევაა, როცა უარყოფის ვა- და აფირმატიული ქო-, გე-, ო-, დო- ნაწილაკების ჯგუფიდან ერთ-ერთი ერთმანეთის მიმდევრობით ერთდროულად რეალიზდება, მაშინ, როცა მორფმათა რანგობრივ სტრუქტურაში ისინი მხოლოდ დამატებითი დიტრიბუციის მიმართებაში არიან, ანუ ორიდან ერთ-ერთი უნდა შეირჩეს – ვა- ან ქო- ⁶:

- (1) ვა=ქო=მო-რო-უ=ო⁷ „კი არ მოვიდა?!"
- (2) ვა=გე=გმა-რო-უ=ო < ვა=გე=გმა-რო-უ=ო "კი არ ჩამოვიდა?!"
- (3) ვა=ო=ჭკომ-უ=ო "კი არ შეჭამა?!"
- (4) ვა=დო-ჭარ-უ=ო "კი არ დაწერა?!"

ყველა მაგალითის გლოსირებული ჩანაწერია: NEG=AFF=PRV-R-AOR=PTC; ორჯერ, ერთმანეთის მიმდევრულად ვა- ნაწილაკი არ რეალიზდება, არამედ ვა- ენაცვლება აფირმატივის ჯგუფიდან ნებისმიერს და უცვლის მოდალობას – ზმნური ფორმა ხდება უარყოფის მნიშვნელობის მქონე: ქუ-მართუო / ვა-მართუო, გე-გმართუო / ვა-გმართუო, ო-ჭკომუო / ვა-ჭკომუო, დო-ჭარუო / ვა-ჭარუო... ამ მონაცვლეობით ჩანს, რომ ვა- ნაწილაკს აფირმატივის ფუნქცია აქვს, მხოლოდ მოდალობის შეცვლით – დადასტურების უარყოფაში ტრანსფორმირებით.

მეორე მხრივ, ანლაუტური ვა-ს შეთავსება აფირმატივებთან (ვა-ს გარდა, ყველა დანარჩენთან), ცხადია, უნდა აიხსნას სემანტიკის "კარნახით", რომელიც უშვებს "ნეგატიურ დადასტურებას", თუმცა, ვფიქრობთ, ამისათვის იღებს მთლიან მოდელს: შდრ.

- (1) ქო=მო-რო-უ "მოვიდა", დადასტურებითი, მტკიცებითი;
- (2) ქო=მო-რო-უ=ო? "მოვიდა?" – კითხვითობის ო-ს შემცველი კითხვითი ფორმა;
- (3) ვა=მო-რო-უ=ო "არ მოვიდა?" – კითხვითი სიტყვისა და კითხვითობის -ო სუფიქსის შემცველი კითხვითი ფორმა.

(4) ვა=[ქო-მო-რო-უ]=ო – უარყოფის ნაწილაკით ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მტკიცება, დადასტურება. საგულისხმოა, რომ ვა=[ქო...]=ო დაუშლელი მიმდევრობაა ამ სემანტიკის გამოსახატავად; ენკლიტიკური ნაწილაკი ო- პროკლიტიკურ ნაწილაკებთან ერთად "ნეგატიური დადასტურების" სემანტიკის გამომხატველი მორფომოდელის აუცილებელი წევრია.

⁵ ამგვარი კვალიფიკაციისათვის იხ. პოპიელი 2011.
⁶ მტკიცებითი ნაწილაკის წინა პოზიციაში მდგარი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი ფუნქციურ ელემენტად არ განიხილება [გუდავა, გამყრელიძე, 2000 : 190; ლომია, გერსამია, 2012 : 22-23]
⁷ ტოლობით შეერთებულია კლიტიკები

თვალსაზრისის დამატებით არგუმენტად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ერთი საყურადღებო თვალსაზრისი: "ვა- უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, უარყოფის ნაწილაკი, რომელიც არ წარმოადგენს პრეფიქსულ მორფემას და არ შედის პრეფიქსთა ჯაჭვში, ასეთი ვა- არ ექვემდებარება რედუქციის წესებს და არც ასიმილაციას განიცდის" [გუდავა, გამყრელიძე, 2000 : 194].

მაშასადამე, ვა- აფირმატივია, როცა ამ ჯგუფიდან სხვა პრეფიქსებს ენაცვლება, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ის მხოლოდ უარყოფის გამომხატველი მოდალური ნაწილაკია.

5. დასკვნა. მეგრულსა და ლაზურში ქო- ნაწილაკის დესემანტიზაციის პროცესი ჯერ ისევ მიმდინარე პროცესია; იგი უკვე ზმნის პროკლიტიკა ანუ ჩართულია ფორმაწარმოების პროცესში, ამიტომ თავისუფლად შეიძლება შეფასდეს როგორც ფლექსიური, მორფოლოგიზებული ელემენტი. ვა- ნაწილაკიც პროკლიტიკაა, გაცვეთილია ფონეტიკურად და მიერთებულია ფუძეს, თუმცა რაიმე მორფოლოგიური ღირებულება გამოკვეთილი არ არის;

ლაზურში ქო- ნაწილაკი ფონეტიკურად რედუცირებული არ არის; ვარ ნაწილაკი კი ორი პარალელური, სრული და რედუცირებული ფორმით ერთვის ზმნას; ვარ "არა" დამოუკიდებელი ნაწილაკია და ის ფარდია ქართული არ/არა ნაწილაკისა (შდრ. ვარ ვორე - არ ვარ), გაცვეთილი ვა- ნაწილაკი კი დღემდე გამოქვეყნებულ ლაზურის ტექსტებში ცალკე დგას. ვა- ნაწილაკი მეგრულშიც და ლაზურშიც ოდენ მოდალობის, კერძოდ - უარყოფის, გამომხატველია.

ვა- და ქო- ნაწილაკების სემანტიკა, გამოსატოს უარყოფა და მტკიცება/ დადასტურება, ზანური ჯგუფის ენებში დახრდილული არ არის, ამიტომ პრეფიქსებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ დერივაციული ფუნქცია – ოპოზიციური სემანტიკის გამოსატვის უნარი. აღნიშნული მოვლენა მეგრულსა და ლაზურში შეიძლება შეფასდეს, როგორც გარდამავალი საფეხური, გზა მოდალურ ნაწილაკთა დესემანტიზაციიდან მათ მორფოლოგიზებამდე.

ლიტერატურა:

გუდავა, გამყრელიძე, 2000: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმომვანთკომპლექსები მეგრულში: თსუს კრებული "აკაკი შანიძეს" 1981, მეორე გამოცემა კრებულში: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თსუ, თბილისი.

გერსამია და სხვ. 2016: რ. გერსამია, ზ. კიკვიძე, მ. ლომია, ნ. მამისეიშვილი, მ. სადლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, ინოვაცია, თბილისი.

ლემანი 1982: Ch. Lehmann, *Thoughts on grammaticalization*, A programmatic sketch. Vol. 1, Vol. 48, Arbeiten des Kölner Universalien-Project. Köln: Universität Köln [Revised edition *Thoughts on grammaticalization*. 1995. München: LINCOM].

კარტოზია და სხვ. 2010 გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, მერიდიანი, თბილისი.

ლომია, გერსამია, 2012: მ. ლომია, რ. გერსამია, ხაზთაშორისი მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემა, თბილისი.

მარგველაშვილი 1980: მ. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოებისათვის მეგრულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23.

ოზთურქი & პოხტრაგერი 2011: Ozturk B., Pochtrager M. (Eds.) *Pazar Laz*, Linkom Europa.

როსტოვცევა-პოპიელ 2009: Rostovtsev-Popiel A., Grammaticalization paths of ko ‘yes’ in Megrelian:

Morphology of the World's Languages - კონფერენციის ჰენდაუტი. Goethe Universität Frankfurt, June 11-13, 2009, Leipzig; ასევე: Alexander Rostovtsev-Popiel. 2012. Grammaticalized Affirmativity in Kartvelian. Frankfurt PhD. Ms.

როსტოვცევ-პოპიელი 2011: ა. როსტოვცევ-პოპიელი, შეუთავსებელთა შეთავსება მეგრულში: III საერთაშორისო სიმპოზიუმი: იბერიულ-კავკასიური ენები: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება; მასალები.

ტრაუგოტი, კონიგი 1991: E. Traugott and E. König. The semantics-pragmatics of grammaticalization revisited: *Approaches to Grammaticalization*. Amsterdam: Benjamins, Vol. I.

ქირია და სხვ. 2015: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მერიდიან, თბილისი.

ქობაღავა 2010: ი. ქობაღავა, გე-ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში, ენათმეცნოელების საკითხები, 4, თბილისი 2002.

ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, Грамматика мигрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.

ჩიქობავა 1929: ა. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი, ტფილისი.

ჭუმბურიძე 1986: ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ხუბუა 1942: მ. ხუბუა, მტკიცებითი ქო ნაწილაკის ხმარებისათვის მეგრულში: სმამ, III, №6.

ხუბუა 1937: მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი.

ჰაინე 2008: B. Heine, *Grammaticalization. The Handbook of Historical Linguistics*. Ed. Brian D. Joseph & Richard D. Janda. Blackwell publishing.

Русудан Герсамия

Для морфологизации огии частиц в Менгрелском и Лаз

Резюме

Количество элементов в прецеденте предвзятых морфем мегрельских и лазском глаголов различно. Отрицание в последовательности морфем -ვა / va (что означает нет), а проверка частиц ქო- / qo (значение - да, да) имеют первую позицию в анлауте е глагола; Отрицательные и доказательные частицы связаны с дополнительными распределениями не только друг с другом, но и с полным аспектом морфем. Частицы -ვა / va и ქო- / qo имеют обратное значение. Они не функционально идентифицируются. Модальные частицы ведут себя как функции, как отвлекающие, так и гибкие аспекты. Гибкость - это больше о коэффициенте, который дает полный аспект Мегреляна и Лазаб будущее время в Мегреле.

Процесс декодирования не завершен на языках группы Zan, но поскольку глагол пролактичен, ქო- / qo участвует в процессе формирования, его можно легко оценить как элемент морфолога. -ვა / va Particle является пролактическим, он звучит фонетически и привязан к основанию, но нет морфологической величины, за исключением того, что выражает модификацию этой частицы.

Семантическая устойчивость -ვა / va частицы указывает, что в Лазаресе она все еще находится в непризнанной фонетической форме и сохраняет статус независимой лексической единицы; В Мегреле создается так называемая Структура «Отрицательное подтверждение» и не подпадает под действие правил выкупа и ассимиляции.

Rusudan Gersamia**Prefixes particle morphology in Megrelian and Laz**

Resume

The number of elements in the precedent of prejudicial morphemes of Megrelian and Lazy verbs is different. The denial in the sequence of morphemes -ვა /va (meaning no,not), and the verification of the ქო-/ qo (meaning - yes) particles have the first position in the anlaut of the verb; Negative and proof particles are in relation to additional distributions not only with each other but with the full aspect of morphemes. -ვა /va and ქო-/ qo particles are of the opposite importance. They are not functionally identify. Modal particles behave as functions, both diversion and flexible aspects. Flexibility is more about the coefficient that produces a full aspect of Megrelian and Laz, future in Megrelian.

The process of decoding is not completed in the Zan group languages, but since the ქო-/ qo particle is prolactic of verb , it is involved in the process of formation, can be easily evaluated as a morphological element. -ვა /va particle is a prolactic, is rendered phonetically and is attached to the base, but there is no morphological value except that expressing modification to this particle.

The semantic sustainability of the -ვა /va Particle indicates that in Laz it is still found in an unrecognized phonetic form and maintains the status of an independent lexical unit; In Megrelian creates so called "Negative Confirmation" structure and is not subject to redemption and assimilation rules.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ფალავა

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

რუსუდან გვილავა

ქუთაისი, საქართველო

ზეპირ დისკურსში თანხმოვანთა მოდიფიკაციის ლინგვისტური ანალიზი (ინგლისური ენის მაგალითზე)

სტატია ეძღვნება თანამედროვე ინგლისური ენის გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკურ ასპექტებს, კერძოდ თანხმოვანთა რედუქციას და ვოკალიზაციას.

ნაშრომში გაანალიზებულია ინგლისური ენის თანხმოვან ფონემათა განლაგების წესები და პირველად, კლებადი სონორობის პრინციპზე დაყრდნობით, ახსნილია მარცვალში და სიტყვათგასაყარზე თანხმოვანთა რედუქციისა და ვოკალიზაციის მიზეზები.

მეტყველების ნებისმიერი აქტი, ანუ ნებისმიერი დისკურსი გულისხმობს დიალოგს კომუნიკანტთა შორის, ანუ მთქმელსა და ადრესატს შორის. ბოლო ათწლეულში ზეპირი დისკურსი აქტიური კვლევის ობიექტი გახდა. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ზეპირი დისკურსის კვლევა ინგლისურ ენაში.

ჩვენ კვლევის ობიექტად ავირჩიეთ სწრაფი გაბმული მეტყველება ინგლისურ ენაში და მისთვის დამახასიათებელი ბგერათცვლილებები, კერძოდ, თანხმოვანთა დაკარგვისა და ვოკალიზაციის შემთხვევები და შევეცადეთ დაგვედინა მათი გამომწვევი მიზეზები, რაც, ჩვენი აზრით, აქამდე აუხსნელი იყო.

გაბმულ მეტყველებაში მინიმალური არტიკულაციის გამო ბგერები მოდიფიცირებას განიცდის სხვა ბგერათა ურთიერთმეზობლობაში, განსაკუთრებით სიტყვათგასაყარზე, რაც გარკვეულ ფონეტიკურ მოვლენებს უკავშირდება. ეს შეიძლება ხდებოდეს სიტყვის შიგნითაც, განსაკუთრებით უმახვილო პოზიციაში.

კვლევის ეფექტურად წარმართვის მიზნით შევისწავლეთ ინგლისური ენის თანხმოვანთა მიმდევრობები. კვლევამ ასეთი შედეგები მოგვცა:

ა. როგორც ყველა ენაში, ინგლისურშიც თანხმოვანთა კომბინირების შესაძლებლობათა მხოლოდ მცირე ნაწილი რეალიზდება.

1. არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვისა და კუთვნილებითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას; 2. აწმყო დროის ფორმაში ზმნის ფუძეზე მხოლობითი რიცხვის III პირის სუფიქსის დართვისას; 3. t, d -ზე დაბოლოებული წესიერი ზმნებისათვის ნამყო დროში - სუფიქსის დართვისას.

როგორც ცნობილია, არსებით სახელთა უმრავლესობა ინგლისურ ენაში მრავლობით რიცხვს აწარმოებს -s სუფიქსის დართვით, რომელიც ყრუ თანხმოვნის შემდეგ გამოითქმის როგორც [s] : pots [pɒts], cats [kæts], books [bʊks], ხოლო მკვდრი თანხმოვნებისა და ხმოვნების შემდეგ - როგორც [z]: dogs [dɒgz], balls [bɔːlz], trees [triːz], ხოლო სისინა და შიშინა თანხმოვნებზე (სიბილანტებზე) დაბოლოებული არსებითი სახელები დაირთავენ არა -s, არამედ -es სუფიქსს:

[bʌs] - [bʌsɪz], [saɪz] - [saɪzɪz], [bʊf] - [bʊfɪz], [bentʃ] - [bentʃɪz],

[bɒks] - [bɒksɪz], [keɪdʒ] - [keɪdʒɪz], [gəˈrɑːz] - [gəˈrɑːzɪz]

მსგავსი ვითარება გვაქვს კუთვნილებითი ბრუნვის წარმოებისას და აწმყო დროის ზმნის ფორმაში მხოლობითი რიცხვის მე-3 პირის ნიშნის დართვისას.

Hans ' [ˈhænsɪz]; George 's [ˈdʒɑːdʒɪz]; fish's [ˈfɪʃɪz];

'paːs] - [ˈpaːsɪz] passes; [ˈtiːtʃ] - [ˈtiːtʃɪz] teaches; [ˈpuʃ] - [ˈpuʃɪz] pushes; [ɪn ˈkʌrɪdʒ] - [ɪn ˈkʌrɪdʒɪz] encourages; [rɪˈlæks] - [rɪˈlæksɪz] relaxes; [kɑːz] - [kɑːzɪz] causes.

s, z, ჯ, ჟ, ძ სიბილანტებია, s და z პრეაღვეოლარულია, ჯ და ჯ ალვეოლარულია,

ჟ და ძ პოსტალვეოლარული. როცა ამ თანხმოვნებზე დაბოლოებულ სიტყვებს დაერთვის სუფიქსი, ხდება ჰომორგანული თანხმოვნების თავმოყრა ერთად: sz, zz, ჯz, ჯz, ჟz, ძz ასეთი თანმიმდევრობები კი არაა დამახასიათებელი ინგლისურის არც საწყისი, არც შუალედური და არც ფინალური პოზიციისათვის, ამიტომაც ახალი მარცვალი წარმოიქმნება [ɪ] ხმოვნის ჩასმით ანუ ხდება ვოკალიზაცია.

წესიერი ზმნების ფუძეზე -ed სუფიქსის დართვისას შემდეგი წესები გვაქვს:

1. თუ ყრუ თანხმოვანზე ბოლოვდება ზმნის ფუძე, მაშინ -ed სუფიქსი წარმოითქმის როგორც [t]: asked [ɑːskt], helped [helpt], 2. თუ ხმოვანზე ან მკვდრ თანხმოვანზე ბოლოვდება, მაშინ -ed სუფიქსი წარმოითქმის როგორც, [d]: opened [əʊpənd], begged [begd], lived [lɪvd], 3. t, d -ზე დაბოლოებული ზმნების ფუძეზე დართული -ed სუფიქსი წარმოითქმის როგორც [ɪd]: wanted [wɒntɪd], waited [weɪtɪd], mended [mendɪd], added [ædɪd].

აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე: თუ t, d თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებს ნამყო დროის ფორმაში მხოლოდ t ან d მიემატებოდა, მაშინ გვექნებოდა ჰომორგანული წყვილები td და dd, სადაც ორი ალვეოლარული ფონემა იქნებოდა თავმოყრილი. ამიტომ მათ შორის ჩნდება ხმოვანი და წარმოიშობა ახალი მარცვალი. [tɪd] ან [dɪd] სილაბური ვარიანტი რომ არ წარმოქმნილიყო, მაშინ მივიღებდით თანხმოვანთა დაუშვებელ კომპლექსებს.

გაბმულ მეტყველებაში ხშირია თანხმოვანთა მიმდევრობების გამარტივება იმ თანხმოვნის რედუქციით, რომელიც სონორობის წესს არღვევდა: prints > prins, hændz > hænz, graundz > graunz - grounds; θauzəndθ > θauzənθ - thousandth; kʌlts > kʌls - cults;

ɪg' zæktli > ɪg'zækli - exactly; pəʊstka:d > pəʊska:d - postcard; hændful > hænfʊl - handful; blaindz > blainz - blinds, hot dog - hɒdɔg და ა.შ.

სშირია t-ს რედუქცია ზედსართავების აღმატებითი ხარისხის ფორმებში. მაგ.:

smallest cat- /smɑ:ləs kæt/

tallest castle - / tɑ:ləs kɑ:sl/

longest river -/ lɒŋgəs rɪvə/

biggest village -/ bɪgəs vɪlɪdʒ/

თუ დავაკვირდებით ზემოდსახელებულ მაგალითებს, შევამჩნევთ, რომ t და d ფონემები არღვევდა სონორობის პრინციპს. მათი ამოვარდნის შემდეგ მარცვლებში ფონემები კვლავ დალაგებულია სონორობის პრინციპის დაცვით.

მსგავსი მოვლენები ხდება სიტყვათგასაყარზე შემდეგ ფრაზებში:

What do you say [ˈwɒ də ju ˈseɪ]; What do you want [ˈwɒ də ju ˈwɒnt];

Sit down [ˈsi ˈdaʊn]; a great deal [əˈɡreɪˈdi:l]; must be [mʌs bi] და ა.შ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაბმულ მეტყველებაში თანხმოვანთა დაკარგვა და ვოკალიზაცია ეფუძნება კლებადი სონორობის პრინციპს.

ლიტერატურა:

1. ნებიერიძე გ. (2003): ენათმეცნიერების შესავალი. გამომცემლობა ნეკერი. თბილისი.
2. Hill A. (1958): Introduction to Linguistic Structures. New York. Harcourt, Brace and Co.
3. Jones L.G. (1956): English Consonant Distribution. In: For Roman Jakobson. Hague.
4. Kruisinga E. (1925): Handbook of Present Day English. pt. 1. Kemink en Zoon Utrecht.

Gvilava Rusudan

Linguistic Analyses of Consonant Modification in Oral Discourse (Based on English examples)

Abstract

The article deals with phonetic aspects of connected speech in modern English, namely consonant reduction and vocalization.

During the last few decades connected speech has become a subject matter of special study. As a result a new approach is applied towards a number of linguistic phenomena. In connected speech the area of investigation is not a word or utterance in isolation which was studied by the traditional phonetics but it is a text and the phonetic changes that take place within the text in connected speech.

The work gives analyses of the rules of combining consonant phonemes within the syllable and based on the principle of decreasing sonority gives explanation of the phonetic phenomena underlying consonant reduction and vocalization with in the syllable and in the juncture of words.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მეგრელიშვილი

მაია გუგუნავა

თბილისი, საქართველო

ინტერტექსტუალობის საკითხისათვის ლ. ვისკონტის ფილმში "მინა ცახცახებს" (1948)

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვაწარმოებთ ლუკინო ვისკონტის ფილმის („მინა ცახცახებს“ (1948) ორი ეპიზოდის ინტერტექსტუალურ ანალიზს. პირველ ეპიზოდში ვიკვლევთ, თუ რა როლს ასრულებს ჟან ფრანსუა მილეს ცნობილი ფერწერული ტილო „ანჟელუსი“, მეორეში კი განვიხილავთ იმ ინტერტექსტუალურ მიმართებებს, რომლებიც „მამის სიკვდილის“ მოტივის საფუძველზე არაცნობიერად ილექებიან კინოტექსტში და არსებით როლს თამაშობენ ვისკონტის კინოდისკურსის ფორმირებაში.

„კინოფილმის ყურებისა თუ წიგნის კითხვისას, ჩვენ ვოვლით, რომ ავტორის ჩანაფიქრის გაშიფრვას ვახდენთ, სინამდვილეში კი ვაწარმოებთ ტექსტზე მუშაობას საკუთარი ცხოვრებისეული და კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით. ტექსტთან ურთიერთობის სხვა ფორმა ფაქტიურად არ არსებობს“

მიხაილ იამპოლსკი

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებული კვლევების არეალი იმდენად გაფართოვდა, რომ მოიცვა სხვადასხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემები, რომლის შედეგად შესაძლებელია მოცემული სამეცნიერო დარგის ფარგლებში ისეთი კომპლექსური, ლინგვისტო-სემიოტიკური ფენომენის შესწავლა, როგორც არის კინოდისკურსი. თუმცა ის, რომ აღნიშნული ფენომენი ლინგვისტური ანალიზის ობიექტი გახდა ასევე განაპირობა იმან, რომ კინოფილმი განისაზღვრა, როგორც ტექსტი. ამერიკელი კინოთეორეტიკოსის, მ. იამპოლსკის სიტყვებით, „მრავალფეროვან აზრისმწარმოებელი პროცესების, ფუნქციურად განსხვავებული ენობრივი სტრატეგიების გადაკვეთის წერტილი“ [იამპოლსკი, 2004 : 252]. შესაბამისად, ის განსაკუთრებული პეტეროგენულური და ინტერტექსტუალური ბუნებით გამორჩეულია, რომელშიც სხვადასხვა დისკურსების გადაკვეთა ხდება.

სწორედ ამით არის განპირობებული ჩვენი ინტერესიც წინამდებარე სტატიაში განვიხილოთ კინოდისკურსის ფენომენი და წარმოვაჩინოთ ინტერტექსტის როლი მის ჩამოყალიბებაში. ძირითადად შემოვიფარგლებით ლ. ვისკონტის ფილმით „მინა ცახცახებს“ (1948) და მასში

არსებული ორი ინტერტექსტუალური მიმართების ანალიზით, რომელიც სტრუქტურული და შინაარსობრივი რემინისცენციების სახითაა წარმოდგენილი.

თუმცა იმისთვის, რომ სიღრმისეულად მოხდეს ინტერტექსტის როლის განსაზღვრა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რომელ მხატვრულ-კულტურულ პარადიგმას მიეკუთვნება ფილმი. ამისათვის ჩავატარეთ კინოტექსტის ანალიზი, შევისწავლეთ მისი თხრობითი სტრუქტურა და ვისკონტის ფილმი მანიერისტული თხრობის კატეგორიას მივაკუთვნეთ. კატეგორიას, რომელიც ესპანელი ლინგვისტისა და კინოთეორეტიკოსის, ხ. გონსალეს რეკენას თანახმად შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება: „მასში კლასიკური რეპრეზენტაციის ნორმები მკაცრად არის დაცული, მაგრამ ტექსტის შიგნით, რომელიც გმირის ფუნქციური მახასიათებლებისა და ნარატიული აქტის სიმბოლური ამბის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს, ვლინდება ამ მექანიზმების ხელშეწყობა, გამოიხატება რა უნდობლობა იმ სიმბოლური სამყაროს მიმართ, რასაც მისი წინამორბედი შეადგენდა" [გონსალეს რეკენა, 2007 : 110].

ფილმი მოგვითხრობს სიცილიის ერთერთ სოფელში მცხოვრები მეთევზეთა ოჯახის ტრაგიკულ ისტორიას, რომლის მთავარი გმირი, ანტონიო ვალასტრო ამოდ ცდილობს თავად გაიკვალოს გზა და არ იყოს დამოკიდებული ხარბ და ხელმოჭერილ მოვაჭრეებზე, რომელთა წყალობის იმედზე ცხოვრობს მთელი სოფელი.

ჩვენი განხილვის საგანს უშუალოდ ორი კინოეპიზოდი წარმოადგენს. ერთერთი მათგანი უკავშირდება ანტონიო ვალასტროს დის, მარას და მისი თაყვანისმცემლის შეხვედრას, რომელნიც თავიანთ ურთიერთობას განიხილავენ და პესიმისტურ ნოტაზე შორდებიან ერთმანეთს. სწორედ აღნიშნულ ეპიზოდში, ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ინტერტექსტუალური კავშირი ჟ. ფ. მილეს ფერწერულ ტილოსთან „ანჟელუსი“, რომელიც სტრუქტურულ-შინაარსობრივი რემინისცენციის სახითაა წარმოდგენილი და კონცენტრირებულია კონკრეტულ ტექსტურ ფრაგმენტში (ლოკალური რემინისცენცია).

ფერწერული ინტერტექსტი ძირითადად აზრის გამომუშავების აქტში (enunciación) ვლინდება, თუმცა ჟ.ფ. მილეს ნახატის ინტერტექსტუალური მიმართება არა მხოლოდ მოცემული ეპიზოდის ფიგურათა განლაგებისა და სცენის კომპოზიციურ გადაწყვეტაშია ასახული (მეორდება ფიგურათა შორის არსებული დისტანცია, ფონი), არამედ შინაარსობრივ დონეზეც, ვინაიდან მასში გაუღერებულია საეკლესიო ხარების ხმაც, რაც ლოცვის ჟამს მოასწავებს და რომელსაც იმპლიციტურად ფ. მილეს „ანჟელუსიც“ შეიცავს.

ცნობადობის დონით აღნიშნული რემინისცენცია დაბალი სახითაა მარკირებული და მიუხედავად იმისა, რომ იგი ორი სემიოტიკური კოდის (ვიზუალური და ხმოვანი) გამოყენებითაა მოცემული, მისი კინოტექსტში ჩართვა თხრობის სწორხაზოვნებას არ არღვევს და იმპლიციტურ ხასიათს ატარებს. თუ გავითვალისწინებთ ესპანელი თეორეტიკოსის, ხ.ე. მარტინეს ფერნანდესის შეხედულებას, რომ „ნებისმიერი ინტერტექსტი, განურჩევლად იმისა, ციტატის, ალუზიის თუ რემინისცენციის სახითაა წარმოდგენილი, პირდაპირ არის დაკავშირებული მკითხველის [ჩვენს შემთხვევაში მაყურებლის] თანამონაწილეობაზე, რომელსაც შესწევს ან არ შესწევს უნარი აწარმოოს მეორადი წაკითხვა, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ინტერტექსტუალური



მიმართება შეიძლება არააქტივირებული დარჩეს და „დაიკარგოს“ თხრობის სწორხაზოვნებაში“ [მარტინეს ფერნანდესი, 2001 : 198].

მართალია, კინოტექსტი იმეორებს ფ. მილეს ნახატის აზრობრივ - კომპოზიციურ ფორმებს, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ფილმი ნარატიული სტრუქტურის თვალსაზრისით მანიერისტულ თხრობით პარადიგმას მიეკუთვნება, კინოტექსტში როგორც ღვთისადმი, ისე მამაკაცის მიმართ მორჩილების გამოხატვის ეს ვიზუალური ქესტი გარკვეულწილად თავის მნიშვნელობას კარგავს (რასაც ცხადყოფს მათი საუბრის თემატიკაც), ვინაიდან მხატვრული გმირის ფუნქციური მახასიათებლები და სიმბოლური ღირებულება შესუსტებულია, საგმირო აქტი კი განდევნილი. შესაბამისად, ეს მიზანსცენა, რომელიც ემოციონალური დისტანციითაა ნაჩვენები, არა მხოლოდ შეყვარებული წყვილის სენტიმენტალურ თუ სულიერ უძღურებას უკავშირდება, არამედ პირდაპირ მიუთითებს აზრის გამომუშავების აქტის ინსტანციის უუნარობასაც მოახდინოს ემოციური ფონის რეპრეზენტაცია, რაც უბრალოდ დისტანცირებითაა შენიღბული. შესაბამისად, კინოტექსტში ვერც ის სუბიექტი იარსებებს, ვინც სურვილის ობიექტისთვის, ამ შემთხვევაში მარასთვის საყრდენის ფუნქციას შეასრულებდა. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ქრისტიანული მორჩილების გამოხატვის ეს ვიზუალური ქესტი, რომელიც მილეს „ანჟელუსის“ ფერწერულ ტილოზეა ასახული, ვისკონტის კინოდისკურსში ყოველგვარი საკრალური სიმბოლიკისგან არის დაცლილი და კინოტექსტში ინვერტირებული სახითაა წარმოდგენილი. დარღვეულია რა ფერწერული ინტერტექსტის კულტურულ-რელიგიური კონტექსტი, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აღნიშნული რემინისცენცია ანტირელიგიური იდეოლოგიის და პატრიარქალური დისკურსის რღვევას უკავშირდება.

რაც შეეხება იმ საკითხს, აღნიშნული ინტერტექსტუალური კავშირი ცნობიერი თუ არაცნობიერი მოტივაციებითაა გამოწვეული, ჩვენი აზრით, შესაძლოა ის რეჟისორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრიდან გამომდინარეობდეს და ხაზს უსვამდეს კინოტექსტის ვიზუალური რიგის ესთეტიკურ და სახვით გადაწყვეტას, თუმცა თუ გამომდინარეობს იმ პოსტულატიდან, რომ ინტერტექსტუალურ კავშირს მხატვრული ტექსტის სუბიექტური ბუნება განაპირობებს, რომელიც, უკანასკნელი კვლევების თანახმად, არაცნობიერ ხასიათს ატარებს¹, ვინაიდან აზრის გამომუშავების პროცესში ყველაზე მკაფიოდ სუბიექტის არაცნობიერი მხარე იკვეთება, არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ აღნიშნული რემინისცენცია არაცნობიერად იყოს დაღეჭილი კინოდისკურსის ქსოვილში და განპირობებული იყოს იმით, რომ ვისკონტი ქვეცნობიერად იმ ეპოქისა და მიმდინარეობის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელშიც შექმნილია მოცემული მხატვრული ტექსტი და რომელიც დარღვეული, გახლეჩილი სუბიექტური ცნობიერების რეპრეზენტაციით განისაზღვრება.

ფილმი ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში ადგილი აქვს კიდევ ერთ მნიშვნელოვან რემინისცენციას, რომელიც ამჯერად „მამის სიკვდილის მოტივს“ უკავშირდება. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ მოტივს განიხილავს როგორც ინტერტექსტუალურ აქტუალიზატორს, რომელიც იწვევს ვისკონტის ძირითადი ფილმების შინაარსობრივ რემინისცენციებს და ავტონტერტექსტუალურ ხასიათს ატარებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვუარყოფთ იმას, რომ მამის სიკვდილის მოტივი სხვადასხვა შინაარსობრივი მნიშვნელობით მუდმივად ფიგურირებს ვისკონტის მხატვრულ შემოქმედებაში, რომელიც ხშირად მისი

¹ როგორც ფრანგი კინოთეორეტიკოსების, ჟ. ომონისა და მ. მარის ნაშრომში ვკითხულობთ, „მას შემდეგ რაც ლინგვისტიკა დაუახლოვდა ისეთ დისციპლინას, როგორც არის ფსიქოანალიზი, ამ სიახლოვემ ხელი შეუწყო მხატვრული ტექსტისა და მასში არსებული სუბიექტის სპეციფიკის სიღრმისეულ შესწავლას. ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგადაც გამონათქვამის სუბიექტი (Sujeto de enunciado) და აზრის გამომუშავების აქტის სუბიექტი (sujeto de enunciación) ერთმანეთისგან გაიმიჯვნა, რაც მანამდე არ ყოფილა განცალკევებული, იქიდან გამომდინარე, რომ მხატვრული ტექსტს უშუალოდ ავტორის ინტენციას უკავშირებდნენ და მასში არსებული არაცნობიერი პროცესები ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი. (ომონი/მარი, 2009:226).

ფილმების შემდგომ სიუჟეტურ განვითარებას განაპირობებს (მაგ. ფილმში „ღმერთების სიკვდილი“ იოაჰიმის გარდაცვალებას პოლიტიკური დატვირთვა აქვს და როგორც ოჯახში ისე ქვეყანაში ფაშიზმის დამკვიდრებას სიმბოლიზირებს; ფილმში „როკო და მისი ძმები“ მამის სიკვდილი ემიგრაციას და სოციალურ ცვლილებებს განაპირობებს; ფილმში „დიდი დათვის ნისლიანი თანავარსკვლავედი“ მამის სიკვდილი სიმბოლურად აგამემონის სიკვდილს აღნიშნავს), მაგრამ ფილმში „მიწა ცახცახებს“ მამის სიკვდილის მოტივის მნიშვნელობა იმდენად დიდია რომ, ჩვენი აზრით, ეს საკითხი განვრცობას საჭიროებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინტერტექსტუალური მიმართების საფუძველზე, ერთი მხვრივ, ხდება ამბის/ ფაბულის ნარატიული მექანიზმის, ე.წ. გამგზავნის ფუნქციის რღვევის სიმბოლური გამოხატვა, რომელზეც კლასიკური (კინო)თხრობა იყო აგებული, მეორე მხვრივ კი პატრიარქალური და ქრისტიანული კულტურის დაცემის თემატიზაცია. აღნიშნული რემინისცენციის როლის დადგენისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია კინოტექსტის კიდევ რამდენიმე შინაარსობრივ ფაქტორს გაეხვას ხაზი. მაგალითად, ფილმში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მამის სიკვდილის მოტივი, არამედ მისი ხანდაზმულობაც და პროფესიაც (ის მეთევზეა), რომელიც ალუზიურად ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. იგივე ალუზიური დატვირთვა აქვს კინოტექსტის ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს, სადაც ფილმის პერსონაჟი, რომელიც ჩამორთმეული ბინის სანახავად გამოგზავნა ბანკმა, ქოლგით მიუთითებს კედელს, რომელზეც მაცხოვრის ხატი ჰკიდია და წარმოთქვამს სიტყვებს „ეს სუსტი კედელია“, სხვა ეპიზოდში კი, როცა მაცხოვრებლებს სახლის დაცლა უწევთ, ხატი, როგორც პატრიარქალური და ქრისტიანული კულტურის სიმბოლო, საერთოდ ჩამოიხსნება კედლიდან.



კინოტექსტის კულმინაციურ მომენტში კი მამის მოტივის მნიშვნელობას უკვე ვიზუალურ-კომპოზიციური გადაწყვეტით ესმევა ხაზი და წარმოდგენილია კედელზე გაკრული პლაკატის სახით, წარწერით „ჩვენი საყვარელი მამისთვის“, რომლის ჩვენება სხვადასხვა რაკურსით, თითქმის ერთი წუთის მანძილზე ხდება.

მაგრამ ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მამის სიკვდილის მოტივით წარმოდგენილი ინტერტექსტუალური რემინისცენცია არა მხოლოდ ვისკონტის ფილმებს უკავშირდება, არამედ სცილდება ავტორისეულ ინტენციას და ერთმანეთთან აერთიანებს XX და XXI საუკუნის კინოდისკურსის განმსახვრეველ საერთო პარამეტრებსაც, რომლის საფუძველზე ერთ ინტერტექსტუალურ სივრცეში ხდება კინოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი ისეთი კინოტექსტების მოქცევა, რომელნიც სტილისტური, შინაარსობრივი თუ ჟანრული თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან (ფრიც ლანგის „მეტროპოლისის“ ეიზენშტეინის „ოქტომბერი“, ო. უელსის „მოქალაქე კეინის“, ვისკონტის „მიწა ცახცახებს“ და „დმერთების სიკვდილი“, პაზოლინის „თეორემა“, ანტონიონის „მზის დაბნელება“, ტარკოვსკის "ივანეს ბავშვობა", რ. სკოტის „სამართველზე მორბენალი“, ლარს ფოტრიერის „მელანქოლია“, პ. აღმოდოვარის „ხულიეტა“, ნ. პიცოლატოს „ახალი დეთექტივი“), მაგრამ შეიცავენ მანიერისტული და პოსტკლასიკური კინოდისკურსისთვის დამახასიათებელ



იმ საერთო ელემენტს, რომელიც ტოვებს ტექსტის დიეგეზისის ფარგლებს და განისაზღვრება პატრიარქალური და ქრისტიანული დისკურსის დაცემის ტექსტუალიზაციით, რაც ხშირ შემთხვევაში მამის ფიგურის დაავადების, სიკვდილის ან მისი ნარატიული ფუნქციის შესუსტების სახით გამოიხატება.

ამიტომ ვანიჭებთ მნიშვნელობას ინტერტექსტუალური რეფერენციების ანალიზთან ერთად იმის კვლევას, თუ როგორ არის სუბიექტი წარმოდგენილი ინტერტექსტში და ინტერტექსტი სუბიექტში. ხ. გონსაღეს რეკენას სიტყვებით თუ ვიტყვი, „რა სუბიექტური გამოცდილების კრისტალიზება ხდება ტექსტში“ [გობანტეს ბილბაო, 2014 : 209].

ამრიგად, ვფიქრობთ რომ, მხატვრული ტექსტი ყოველთვის სუბიექტური სიმართლის მატარებელია, აიგება რა იმ კულტურული, სოციალური თუ ტექსტობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე, რომელიც ამა თუ იმ ეპოქისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც არაცნობიერად ილექება მხატვრულ დისკურსში. ალბათ ამას გულისხმობდა ჟ. დელიოზი, როდესაც ამბობდა, რომ კინოს შექმნით „გამოსახულება კი არ ხდება სამყარო, არამედ სამყარო იძენს საკუთარ გამოსახულებას“ [დელიოზი, 2013:76] და ალბათ ამიტომ აღნიშნა ხ. გონსაღეს რეკენამაც, რომ "ის რაც დიდ ხელოვანებს ახასიათებთ, მათ ორიგინალურობაში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, რომ ისინი ყველაზე ზუსტი ფორმულირებით გადმოსცემენ იმას, რაც მოცემულ მომენტში იმ კულტურულ არეალს ახასიათებს, რომელსაც თავად მიეკუთვნებიან" [გობანტეს ბილბაო, 2013:23].

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, „მამის სიკვდილის“ მოტივს ფილმში „მიწა ცახცახებს“

ჩვენ განვიხილავთ, არა როგორც უბრალოდ ავტონტერტექსტუალურ ელემენტს, რომელიც ვისკონტის მხატვრული შემოქმედების რემინისცენციებს იწვევს, არამედ როგორც ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინტერტექსტუალურ აქტუალიზატორს, რომელიც, ჩვენი აზრით, არაცნობიერად ილექება კინოტექსტში და კონცეპტუალურად აერთიანებს XX და XXI საუკუნის კინოფილმების უდიდეს ნაწილს, როგორც ერთ დიდ რემინისცენციას.

ამრიგად, მამის სიკვდილის მოტივით წარმოდგენილი ინტერტექსტუალური მიმართებები სცილდებიან კინოტექსტის ნარატიულ საზღვრებს, თავად ვისკონტის შემოქმედებასაც და პოლიგენეტიკურ ხასიათს იძენენ, ვლინდება რა მათი ძირითადი როლი ზოგადად მანიერისტული კინოდისკურსის ფორმირებაში, სადაც გარკვეული იდეოლოგიური თუ მხატვრული მსოფლხედვის საერთო ელემენტები და სპეციფიკა იკვეთება.

გამომდინარე იქიდან, რომ დისკურსული ინსტანცია გარკვეულწილად დამოკიდებული ხდება იმ პარადიგმაზე, რომელიც განსაზღვრავს კინოტექსტის თხრობით ელემენტებს, ვფიქრობთ, რომ საკამათო ხდება არა მხოლოდ ავტორის ინტენციის გათვალისწინების აუცილებლობა ინტერტექსტის როლის განსაზღვრისას, არამედ კიდევ ერთხელ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება დისკურსის „მწარმოებელი სუბიექტის“ არსებობის საკითხი.

ლიტერატურა:

1. გობანტეს ბილბაო, მ. 2014: გობანტეს ბილბაო, მაიტე. „ტექსტი და უფსკრული. საუბრები ხ. გონსალეს რეკენასთან“. გამომც. „შანს შოლელი“ ბარსელონა 2014
2. Gobantes Bilbao, Maite. El texto y el abismo. Diálogos con González Requena. Sans Soleil Ediciones. Barcelona 2014
3. გონსალეს რეკენა, ხ. 2007. გონსალეს რეკენა, ხესუს. „კლასიკური, მანიერისტული და პოსტკლასიკური თხრობის ფორმები ჰოლივუდის კინემატოგრაფში“ გამომც. კასტილია ვალიადოლიდი 2007
4. González Requena, Jesús. Clásico, manierista, postclásico. Los modos del relato en el cine de Hollywood. Castilla Ediciones. Valladolid 2007
5. დელიოზი, ჟ. 2013 [1983] კინო. გამოსახულება-მოძრაობა, გამოსახულება-დრო. გამომც. m. ООО “Ad Marginem Press” 2013.
6. Жиль Делёз. Кино. Образ-движение, Образ-время. Изд.: М: ООО “Ad Marginem Press” 2013
7. იამპოლსკი, მ. 2004: მ. იამპოლსკი. „ენა-სხეული-შემთხვევა. კინემატოგრაფი და საზრისის ძიება“. გამომც. „Новое литературное обозрение“ 2004
8. Михаил Ямпольский. Язык-тело-случай. кинематограф и поиски смысла М.: Новое литературное обозрение, 2004
9. მარტინეს ფერნანდესი, ხ.ე. 2001: მარტინეს ფერნანდესი, ხოსე ენრიკე. ლიტერატურული ინტერტექსტუალობა. ლიტერატურული კვლევები და კრიტიკული მიმოხილვა. გამომც. კათედრა, 2001 მადრიდი
10. Martínez Fernández, José Enrique. Intertextualidad literaria. Critica y Estudios Literarios. Ed. Catedra. S.A. 2001 Madrid
11. ომონი, ჟ. მარი, მ. (2009): ჟაკ ომონი/ მიშელ მარი. კინოფილმის ანალიზი. გამომც. Ediciones Paidós Iberica, ბარსელონა 2009
12. Jacques Aumont/Michel Вопрос интертекстуальности в фильме Л Висконти «Земля дрожит» (1948)

Гугунава Маиа**Вопрос об интертекстуальности в фильме Л. Висконти «Ла дрожит землю» (1948)****Резюме**

В данной статье мы проводим интертекстуальный анализ двух эпизодов кинофильма Л. Висконти «Земля дрожит» (1948). В одном из них мы исследуем роль знаменитой картины художника Жан-Франсуа Милле «Ангелус». В другом эпизоде, связанном со смертью отца, мы анализируем широкий диапазон интертекстов, которые бессознательно вводятся этим мотивом в текстовое пространство фильма и играют существенную роль в формировании кинодискурса Л. Висконти.

Gugunava Maia**The question of intertextuality in the film of L. Visconti "La trembles earth" (1948)****Abstract**

In this article we proceed to the intertextual analysis of two episodes of the filmic text of L. Visconti "La trembles earth" (1948). In one of them we investigate the role of "Angelus", painting by Jean-François Millet. In the other episode, related to the death of the father, we analyze the wide range of intertexts that are introduced by this motive into the textual space of the film, that stands out for their unconscious nature and plays the substantial role in the formation of filmic discourse of L. Visconti.

რეცენზენტი: პროფესორი რ. ბალანჩივაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

Nino Demetradze, Ekaterine Kurdadze

ქუთაისი, საქართველო

COMMUNICATIVE APPROACH – THE METHOD AND THE GOAL OF TEACHING

Under the influence of rapid globalization the tendency towards learning English is increasing among the students across the world. In present day world where communication and information technology have broken new considerable ground, communicative approach of teaching can play an important role in education.

All educational institutions adopted communicative language teaching (CLT) approach which is very effective to teach communicative and functional English because it gives importance to four skills (reading, writing, listening and speaking). It has been noticed that the learner’s proficiency in English is not up to the mark as was expected. Some of our students cannot interact properly in different circumstances. Our research conducted in Akaki Tsereteli State University attempts to focus on the result of practicing English language, teaching-learning through CLT approach by interviewing students and observing classes at the university. Research objective is the feasibility of applying the CLT approach. This objective aims at investigating the appropriateness of applying the communicative approach in teaching English at higher education level, more exactly:

1. to find out the perception of the students towards communication approach in teaching English as a foreign language;
2. to explore effectiveness of communicative approach in EFL class.

The communicative approach is based on the idea that learning language successfully comes through having to communicate real meaning. When learners are involved in real communication, their natural strategies for language acquisition will be used, and this will allow them **to learn to use the language. Thus, the mentioned approach leads to meaningful communication.** Language is meaningful only in context. This is one of the emphases of the communicative approach.

So in the communicative approach, a lot of talking is done by the students as they start practicing words roll off of their tongues. They don’t just sit in class and listen as a teacher lists every exception to a grammar rule. Students interact with each other guided by their teacher, they engage in all real-world situations where there’s a need to communicate meaning. With the communicative approach, interaction becomes both **the method** and **the goal** of teaching.

Grammar-translation method, which concentrated on teaching sentence structure and vocabulary, was considered to be an unsuccessful method in teaching English language. To make our students literate in national and international communication the demand for communicative competence in English is increasing at a

fast pace. Many countries have adopted communicative language teaching approach to make students more competent in English and Georgia is not an exception. We think that this method makes language learning more relevant, enjoyable and effective.

This research is carried out to solve the question how the communicative language teaching approach can be best applied to get the maximum result. The given research is descriptive and qualitative in nature. The objective of the study is to analyze the effectiveness of CLT and to find out ways to get maximum result from CLT. Our empirical research was conducted according to students liking and disliking, their experiences, learning environment, teaching techniques and other factors related to CLT.

After collecting data from interviews and questioners we tabulated them graphically. On the bases of students' interviews and questionnaire it is found that most of the students intention of learning English is to pass the exams. Current textbooks require more and more varied classroom activities. If these activities include gap-filling, matching, ticking and so on the learners will not be able to acquire communicative competence. So that teachers should select textbooks which are based on culturally appropriate local and authentic materials and items of target culture. Moreover, objectives of each lesson should be clearly mentioned and the topic of the lesson should be familiar to students. So, the activities should be student centered with the emphases on fluency, rather than accuracy. There is an unlimited source of communicative activities, but it is up to a teacher to select them in accordance with the class level, aim, etc. Doing surveys can be a useful way of getting your students to interact, produce question forms and collect and analyze real information. It's a good idea to get the class thinking about school subjects and comparing themselves to others in the class. This activity gives them the chance to practice target language in context and it also prepares them for the survey with students they may not know.

მართულმსახდვრელიანი კომპოზიციები როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში ერთობ ბევრია [იმნაიშვილი, 1957, 151]. ამ ტიპის კომპოზიციებში მსახდვრელ-სახდვრულის წყობა ყოველთვის პრეპოზიციულია; ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც. ნათესაობითში დასმული მსახდვრელი ყოველთვის წინაა მოქცეული. ის მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე (მომდევნო) სახელთან. მაგრამ თუ მან დატოვა ეს მისი პირველი ადგილი და ბოლოს მოექცა, იგი კარგავს ამ კავშირს, განზე დგება, დამოუკიდებელ სიტყვად იქცევა... ერთი სიტყვით მაშინ ის აღარ არის კომპოზიტი...“ [იქვე, 150].

მართულმსახდვრელიანი კომპოზიციები ერთი სიტყვით, პრეპოზიციული წყობისაა. ასეთი კომპოზიტის პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, ხოლო მეორე კომპოზიტი შეიძლება იყოს არსებითი სახელი (ხშირად) და საწყისი, იშვიათად კი მიმდებარე.

1. კომპოზიტის მეორე კომპონენტი არსებითი სახელია

ისეთი მართულმსახდვრელიანი კომპოზიციები, რომლის მეორე წევრიც არსებითი სახელია, ოტია იოსელიანის ენაში უამრავია. მსახდვრელი კომპონენტის ბრუნვის ნიშანი ან არასრულადაა

წარმოდგენილი, ან ნაწილობრივ იკარგება, ანდა მოლიანადაა მოკეცილი.

ა) მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა სრულადაა წარმოდგენილი:

ნათლისღებას ნათლულებს (რაც მას გააჩნდა) კანფეტსა და შაქრის კენიტს უნაწილებდა (ღმერთი, ხატი და დედული ბები, 416, 29)

და შავგრემანი იყო, **გიშრისთმიანი** თუ თეთრფერვანი და **ოქროსთმიანი**, ამის წილადობილა დამეწყო?! (ჩაჩნის გოგო, 230, 3)

მოდ, გადაგვხვიე ხელი, აგვიწყვე ფეხი, ხმა, **მაჯისცემა** და ერთხმად შემოვძახოთ „წუთისოფლის სტუმრები ვართ“ (მათე და ერმილე, 219,26)

მგონი, იორამი იყო, რომ რომელიღაც ჩვენზე უმცროს ბიჭს, სახედარზე რომ შეესვით და სახედარს **ჩაღისღერად** მოეჩვენა... (სახედარი - ჩემი სიხარული, 167, 18)

მეორე — ჟულიეტე, შავგრემანი, შავ, **გიშრისფერნაწნავეებიანი**, ყორნის ფრთასავით სილურჯე რომ გადაჰკრავს (ფაცუნე და ჟულიეტე, 139, 27)

არა, მაინც რა კარგი ქნა, რომ წამოვიდა, რომ არ დაელოდა იმ **ჯორისგულა** გიგის (ღრუბლიან ღამეს, 228, 2)

ამ ჩემს უფლისწულის უფლებებს ისიც ემატება, საკუთარი, **ძელისტარიანი** და ნიკელის პირიანი ჯაყვა მაქვს (ნესვი და საზამთრო, 97, 6)

არასოდეს ტყუოდა და არავისთვის არ შეეძლო ეპატიებინა **ცილისწამება** (ნაცრისფერი დღე, 200, 33)

გზისპირა სოფლები ვიცოდით, მაგრამ გზის მიღმა, მით უმეტეს, თვალთაც რომ არ ჩანდა (მამაჩემი, ანუ ვისი გორისხანი ვართ, 40, 15)

კომპოზიციის მეორე წევრად მწერალი იყენებს ხოლმე „ფერ“ სიტყვასაც:

ოქროსფერ და **გიშრისფერთმიან** თავებს კინაღამ ერთმანეთს ახლიან (ფაცუნე და ჟულიეტე, 143, 6)

ზღვისფერი, წაბლისფერი თმა და თხელი, **ვარდისფერი** ტუჩები (მოთხრობები ოჯახზე, 28,20)

ჩვენებური იყო, **ნაცრისფერი**, მოკლე კისერი ჰქონდა და შავი დრუნჩი (ბასარა, 38,20)

და აყურადებდა შემპალი **ნეშოსფერი** საბარგო ვაგონების ხრიგინს, შავი ორთქმავლის ქშენას, ქოთქოთს და ამოიფრუტუნებდა (შავი და თეთრი ძროხა, 65,6)

ჭიშკრის ლატანებში გამძვრალ ბალახს ეპოტინებოდა რქაგაშლილი, **ნისლისფერი** ხარი (ღევანა 53,28)

ოქროსფერი ლაქით შედებეს ამოჭრილი ანბანი (ეპიტაფია, 46, 28)

მაგრამ იქაური ტყეც, ხეც, და ძროხაც **რძისფერი** იყო (შავი და თეთრი ძროხა, 67,28)

და, ამ დროს, მაგიდაზე გვიდევს ახალთახალი, **სპილოსძეღისფერ** ყდაში გამოცემული, ვერცხლის ასოებით მოსურათხატებული, საიუბილეო „ვეფხისტყაოსანი“ (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 74, 9)

გალიცლიცებულია თვალსაწიერი მღვრიე, ლაგაზი **ტალახისფერად** ალიცლიცებული მდინარით (მამაჩემი, ანუ ვისი გორისხანი ვართ, 44, 6)

ბარგის მზიდავი შემოვიდა თეთრი ხალათით, შავი, **ყორნისფერი** წვერ-ულვაშით (დაგვიანება, 81,6)

მიწამდე ჩაფორიალებული, ნაოჭაყრილი, **შვიდფერა** კაბებით, გაუფერავი **სპილენძისფერი** მოღვლილი მკერდითა და ამ მკერდზე ვერცხლის ფულის ყელსაბამებით (ბოშას კოცნა, 456, 1)

და ისევ ფერდობი, **ჩაღისფერი** სიმინდები, გამჭკნარი ყვავილები, ბარდშემხმარი ვენახები, ოთახი, ღია ფანჯარა, გოგონა **ცისფერი** ჟაკეტით, წიგნით, ხელსახოცით, ან თავსაფრით (ჩქარი მატარებლიდან, 22, 21)

ცეცხლისფერი ძროხა გამოვარდა შუკიდან და ჩვენკენ წამოვიდა (წვიმა ორღობეში, 275, 34)

კომპოზიციის პირველი წევრი თ-ანიან მრავლობითშია:

ჩვენც „ვასაბუთებთ“, რომ ჩვენისთანა მოყვასი, სტუმართმოყვარე და **კაცთმოყვარე** ერი მეორე არაა-თქო, მაგრამ ძმას არ ვინდობთ (სოკოს კრეფა, 428, 25)

ვაზი **ხურთმოდგარია**: ჭიშკრის მშვენება, აივნის სვეტების ხვეული ჩუქურთმა, ეზოს სატალავრე თვალმახარა სავანე, საჩრდილობელი (გრიგოლ ბაბუა, 360, 9)

ბ) კომპოზიციები, რომლის მართულ წევრსაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული თანხმევანი ბგერა ისტორიულად მოკვეცილი აქვს, უცხო არაა სალიტერატურო ქართულისათვის: მამი/ს/-და, შვილი/ს/შვილი... მსგავსი წარმოების კომპოზიციებში ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ შეკვეცას თანამედროვე სალიტერატურო ქართული ერიდება.

და როცა ქალიშვილები **თავისახლს** და ვაჟები ოჯახში ბრუნდებოდნენ (აბესალომი, 370, 2)

და ხან რომელ მოსახვევში დავაფრთხობთ **რკინიგზის** პირზე მობალახე **თეთრხალებიან** ძროხას (ჩქარი მატარებლიდან, 18,16)

2. კომპოზიციის მეორე კომპონენტი საწყისია.

ა) კომპოზიციის მსაზღვრელი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმაა

მაგრამ ყვანცალივით შავი, ოქროს მტვერში გახვეული შოლიო თმა ასე რამ **გაუმაყვლისბუჩქა?!(ჩაჩნის გოგო, 230, 7)**

ჩემი ხსოვნიდან არ ამოვა მათესა და ალათის **ურთიერთყურისგდება** და უწყინარობა... (მათე და ერმილე, 215, 7)

თბილი რძის სუნს **თავისგუნებისად** მოეფერა (თბილი რძე, 466, 6)

3. კომპოზიციის მეორე კომპონენტი მიმდებარა

მოფლატუნობს ერთი, გახუნებულ პალტოში შეხვეული, ქუდჩამოფხატული, **თავჩაქინდრული** კაცი (გურამი, ტიტე და პოლიკარპე კაკაბაძე, 409, 12)

ღრიჭოდ შედებულ კარში **თავშემოყოფილს** რომ დამინახავდა... მაინც გამიღიმიებდა (გურამი, ტიტე და პოლიკარპე კაკაბაძე, 408, 8)

ჯიბებში **ხელებჩაწყობილი** სწრაფი სიარული ძნელია (შეხვედრა სტალინთან, 342, 6)

ამრიგად, ოტია იოსელიანის ნოველათა ენაში მრავალი მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი აღმოჩნდა. ასეთი კომპოზიციის მეორე კომპონენტად უმთავრესად გამოყენებულია არსებითი სახელი და საწყისი; უფრო ნაკლებად — მიმდებარა. მართული მსაზღვრელი კი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ან სრული ფორმით ანდა უბრუნვისნიშნოდ; ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი თანხმევანმოკვეცილია. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიციების წევრები, როგორც წესი, პრეპოზიციული წყობისაა. ამ საშუალებებით მწერალმა ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულები შექმნა.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიციები

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიციებში მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი

1. **ზედსართავი სახელი მსაზღვრელად**

წითელმიწა ეწერი ნიადაგები ატალახებით ატალახდება... (ღმერთის გამოცხადება, 336, 1)

ამ ბოლო დროს აყვავდა, **ყვითელგულა** თეთრი გვირილებით დაიფარა გარემო (ჩემი მიწა, 172, 21)

სიტყვას მოჰყვა, თორემ, ტურა და მელა კი არა, ჩვენს **შავგულას** მგელიც ვაგვლახად ვერ შებედავს, თავს არ დაუდებს (ძალისხმევა, 113, 11)

და წვიმის ბურუსში **წითელკრამიტანი** ოდა-სახლი დამანახვა(წვიმა ორდობეში, 275, 24)

ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ჭიქა არაყი, მუჭა თხილი, სანცობელა უნაბის ჩირი, ჯანჯუხი და **ტკბილიკვერი** უნდა გვქონოდა კედელ-ყურეში (მეექვშე რუსი, 255, 27)

მივალწიეთ, როგორც იქნა, იმ **ლურჯშუშაბანდიან** ხუხულა ფარდულს (ჩაჩნის გოგო, 231, 28) მუქი მონაცრისფრო იყო, თუ მოღურჯოც, მაგრამ მიმდგარი ერთი ფერისა კი არა, არც **გამორჩეულ-ზოლებიანი** (ჩემი ცხენი, 120, 22

ასი ყური იმისთვისაც მინდა, **თოთოხბოიანი** ძროხა აქ არ დაწვეება და არ გაიღურსება (ძალისხმევა, 115, 6)

ისევე გავრბივართ. ისევე, მაგრამ აგერ **წითელჯვრიანი** მანქანა გამოიჭრა (თამაში, 64, 15)

2. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად

რიცხვით სახელიანი კომპოზიტი მხოლოდ პირდაპირი წყობისაა:

და ცხვირიდან შავ კვამლს უშვებს, მაგრამ მე არ მეშინია **ცხრათავიანი** დევის (თამაში, 65, 34) რამდენი ჩავივაკე, დაბლა მდინარისპირა მინდორზე **ცხრაფენა** კიბოსავით გვერდზე-გვერდზე წავედი(ნესვი და საზამთრო, 103, 5)

მშვილდი **სამ-ოთხმეტკაველიანი**, ცერის სიმსხო (ჩვენი მაშინდელი ცერის...) თხილის წნელისა იყო (ივანეს მარიე - მზეთუნახავი, 152, 16)

უცხოა, ვიდაცაა და მამაკაცს **სამნაკეცი** თუ **ექვსნაკეცი** დაბაბი გექნება, მაინც კაცი ხარ (აკაციის ყვავილობა, 122, 10)

სირბილისა და **ოთხამოღებული** ჭენებისათვის, მართლაც, არ იყო გაჩენილი (სახედარი - ჩემი სიხარული, 166, 31)

მაგრამ ვერ ეგუებოდა **პირველშემხვედრ** მამაკაცთან ასე უცაბედად დაახლოებას (ქალი აგარაკზე, 329, 21)

ხუთკილომეტრიან გზას რომ დაადგები (ღმერთის გამოცხადება, 326, 5)

3. არსებითი სახელი მსაზღვრელად

ამ შემთხვევაშიც კომპოზიტი პირდაპირი წყობისაა:

არიქა, ნუ გაგვიმეტებ მაცხოვარო, ცასაც ნუ ჩამოგვანგრევ თავზე, ისედაც **ქვეყანადაქცეულებს!** (ნალია წაგვექცა და ძროხა დაიტანა, 323, 34)

(მოგეხსენებათ, ჭლექი მაშინ რა **თავზარდამცემი** ავადმყოფობა იყო) (ჩემი თეატრი, 377, 14)

კერიასთან, დაბალ ჯორკოზე **ფენმორთხმული** ბებია უმწეოდ ხან დედაჩემს ახედავს, ხან დედაჩემის ზევით ბურულს (ჩემი მიწა, 173, 6)

მაგრამ აქ, ფანჯარაზე **ცხვირმიჭყლეტილ** საკუთარ თავს მინდვრიდან ვერ ვარჩევ (მატარებელი და შავი მდინარე, 81, 29)

ჩამოდგა **ჩონალპობიე** ივანობისთვე (ჩემი მიწა, 172, 27)

...**ქარბორბალას** გასაძღისი ძარღვით და ნერვით მაკერებდა აღმომცენებელს...(ჩემი მიწა, 190, 3)

თავსა და ბოლოში ჩახიტკნილი და ყაჭის ან შინაური ბამბის დართულ-დაძახული, გასანთლულ **ლარჩაბმული** ისარიც წვერწამახული, ძირში ირიბად ჩაჭრილი (ივანეს მარიე - მზეთუნახავი, 152, 19)

რაკი **ქედგამართული** ხარების უღლიდან ამოდენა კავის ციმციმ ჩამოღება კი არა, ერქვანამდეც ვერ მივწვდები (ჩემი მიწა, 173, 29)

ხარებს წინსვლა აღარ შეუძლიათ, **ქედმოდრეკილები** დადგნენ (ჩემი მიწა, 176, 7)

მერე დედა გათხოვდა და რა **მეცხენ-მეჯორებოდა**, ბებიას და მამიდას არ ვშორდებოდი...(ჩემი ცხენი, 122, 8)

ხვალ ორივე **ფრთახატულას** ვი პოვით და ამ არემარეზე სულ არ გამოვჩნდები (კვიცი და მგელი, 489, 8)

მაშასადამე, ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში ატრიბუტულ მსახდვრელიან კომპოზიტებში მსახდვრელად უმეტესად გამოყენებულია ზედსართავი და არსებითი სახელები. არაიშვიათად მიმართავს მწერალი ისეთი კომპოზიტების წარმოებასაც, სადაც საზღვრული კომპონენტი მიმდებარა, ხოლო მსახდვრელი – ზედსართავი სახელი.

II. კუთვნილებითი კომპოზიტი

ფუძის გამეორება, ანუ გაორკეცება, ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტის შესადგენად, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ოტია იოსელიანის ნოველების ენაში. ასეთი კომპოზიტები სხვადასხვანაირია: მარტივი, თანხმოვნის დისიმილაციით მიღებული, თანხმოვნის ჩავარდნით მიღებული, ხმოვნის შენაცვლებით მიღებული და ა.შ.

ა) მარტივი: ახლა ექიმმა მითხრა - უკეთესადააო, მაგრამ **ღამღამობით** ჩუმაღ ტირის (თეთრი ქალიშვილი, 112, 10)

გზა-გზა დაისვენე, სულ ცოტა იმუშავე, თუ გინდა, სულ ნუ იმუშავე, ისე გაიარე (თეთრი ქალიშვილი, 118, 1)

ზოგს **ახალახალს** ვურჩევთ (მოთხრობები ოჯახზე, 27, 18)

ქუნა-ქუნა საძებარი და ყოველ წუთს საპატრონო იყო (დედა, 50,2)

თუ არა და ბიძაჩემი მოკლესე აუყვებოდა **გორა-გორა, დელე-დელე** და **ტყე-ტყე** ბილიკებს... (ლახტი, 241, 14)

ბ) ხმოვნის შენაცვლებით მიღებული

მერე არახუნდა, ახმაურდა, და მალე ჩვეული **ბაქაბუქით** გაუდგა გზას (ჩქარი მატარებლიდან, 21,23)

ტყაპატყუბით ცვივიან ბაყაყები წყალში, ლაშეში კუც იცის (თამაში, 65, 28)

იდგა იქვე ამორჩეულ კედელთან, დაეხარა თავი და ფერმკრთალ სახეზე **დაპაღუბით** ჩამოსდიოდა ცრემლები (თეთრი ქალიშვილი, 109, 31)

დასაფლეთის ნაწვიმარ, შემწვალ კედელზე ჭყეტელა არა, მაგრამ მაინც **ჭრელაჭრულა** ფარდაგიც გვქონდა გაკრული (ჩემი წმიდა გიორგის ხატი, 106, 29)

ოტია იოსელიანის ნოველებში ხშირია ისეთი კომპოზიტების გამოყენება, რომლებიც მიღებულია:

ა) „და“ კავშირის შეერთებით

ყველანი რაიონის **სხვადასხვა** სოფლებიდან ვიყავით (ავტ.ნოველა)

თორემ რაც **დღედაღამ** თვალწინ გიდგას, მომაბეზრებელია (შავი და თეთრი ძროხა, 64,29)

ბ) ნაწილები ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსახდვრელ-სახდვრულია; თანაც მსახდვრელი შეიძლება იყოს ატრიბუტული და მართული.

ზედსართავიანი კუთვნილებითი კომპოზიტები პირდაპირი წყობით იშვიათად გვხვდება როგორც, საერთოდ, სალიტერატურო ქართულში, ისე იოსელიანის ენაში:

საძირკველგავარდნილი სახლი სანამდე გაძლებს? (აღათი, 354, 21)

საძირკველნაღალატევე, ასევე წამპალ ბოყვს, ძირი გაქცევია (აღათი, 354, 8)

შენი გამოჩენით რომ **ლიბრწაკრული** თვალეები აეხილებოდა(აღათი, 353, 21)

წვერწატეხილი ნამგალი გრიგოლ ბაბუამ გვათხოვა (დმერთის გამოცხადება, 328, 11)

დამცქერის **მზენანთებული** შავი თვალეებით და იღიმება (ჩაჩნის გოგო, 229, 31)

...ვიყავი ჩამომჯდარი და **საკერებელდაღებულ** მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი (ომი და სიხარული, 223, 12)

2. საკმაოდ იშვიათია **რიცხვითსახელიანი** კუთვნილებითი კომპოზიტები:

ახლა როგორ გინდა ეს **ხუთკილომეტრიანი** გზა გაიარო?.. (ნაძარცვი პალტო, 205, 26)

ორპირა ფილთა გქონდა (მეწისქვილის ქალიშვილი, 171, 8)

გადაუარე მინდვრებს, ჯაგნარებიან გორებს, **ასწლოვან** ტყიან მთებს (მეწისქვილის ქალიშვილი, 171, 23)

3. ოტია იოსელიანი ხშირად მიმართავს ისეთი კომპოზიციების შედგენას, რომელთა ორივე კომპონენტი **არსებითი სახელია**. ასეთი კომპოზიციები ხშირი არ არის:

მათი **წივილ-კივილი** კი გაგვიგონია და ბავშვებს კარგი შიშიც გვიჭამია (ძუ მგელი, 300, 31)

ფირფიცარი შეღებილი ხომ არაა და არაა, კვამლით გაღანჯული და გამურული მაინც იყოს (ჩემი თეატრი, 380, 34)

ცისკიდვუ რომ ქათქათა, უშველებელი ზვინები დაიდგმებოდა, დევეები დამინახავს, მაგრამ **ნაცარქექია** - არასოდეს, (შავი და თეთრი ძროხა, 67, 6)

ისვამდა უღვაშზე ხელს და წელში სწორდებოდა კარგი ზვართა და **ჭურ-მარნით**, სანაქებო ღვინით (გრიგოლ ბაბუა, 358,19)

გადაიტანა სამფეხა სკამი გადაღმა, ნავენახარში, იქვე წამოსაწოლი **ძელლოგინიც** მოიწყო (გრიგოლ ბაბუა, 365, 7)

4. იოსელიანის თხზულებათა ენაში მრავალია ისეთი კომპოზიციები, რომლებშიც მეორე კომპონენტი ქონების გამომხატველი სუფიქსებით ნაწარმოები სახელი; ამ შემთხვევაში მწერალს გამოყენებული აქვს **-იან** და **-ა** სუფიქსები. ასეთი კომპოზიციები შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტულმსახვრელიანი, ისე მართულმსახვრელიანი პირდაპირი ან შებრუნებული წყობით. -იან სუფიქსიანი კუთვნილებითი კომპოზიციები **ატრიბუტულმსახვრელიანი**:

ამას ყველაფერს ჩემი ნახევარი ბილეთის ფული კი არა, **სულიან-ხორციანად** რომ გავიყიდე, ვერ ავუვალ (ფეხბურთი, 238, 15)

ასე ულაგამოდ, უავშაროდ და უუნაგიროდ **სეგებენიერად** დაგვასეირნებდა (სახედარი - ჩემი სიხარული, 166,)

ბაცია ბებია, ლადიკო ბაბუა, .. იყო და არის ჩემთვის ის უგულითადესი, მადლიანი, მირონცხებული, ამო, ნეტარი, **ჩუმაღერსიანი** მომპყრობი... (ნესვი და საზამთრო, 91, 18)

პელოს სახლის წინ **კონდრიან-ხეხილიანი** ეზო აქვს და ვერცხლისფრად შეღებილი რკინის ჭიშკარიც, რომელიც ასფალტიან შარავზას გადაჰყურებს (თბილი რძე, 464, 14)

კარგად ნაშენი, **მრავალსართულიანი** სახლის წინ მანქანა რომ გაჩერდა, ფარნა მართლა გიჟივით გადახტა (დიდი ფარნა, 481, 10)

რა ექნა იმ **შავდლიანსაც**, თავისი უბედურება არ აყენებდა (ავტ.ნოველა)

ხელში **ცისფერყდიანი** წიგნი უჭირავს (ჩქარი მატარებლიდან, 19,25)

და ჩემოდნებს, ბადეს, ხელჩანთებს და **პურისფქვილიან** ტომსიკას უმწეოდ გადახედა (დაგვიანება, 80, 5)

და არც ერთ პურისჭამას ისე არ გაუშვებდა, ჩვეულებრივად **სქელლანჩიანი** უხეში ჩექმებით არ ჩაებუქნა (ხელმოცარული, 72, 10)

გრძელტარიანი ნაჯახი კუთხეში მიაყუდა (ბასარა, 35,16)

წითელხილაბანდიან გლეხს სვრელი გაეტანა და ახლა ფერდობს შესდგომოდა (თეთრი ქალიშვილი, 113,)

ქვილიშორი მთაგორიანი, **ქვადორდიანი** სოფელია, კლდოვანი, დახვრელილ ნიადაგიანია, ჭას ვერ ამოთხრიდი (დედულეთი 56,10)

ახლა უფრო დიდ ბომბებს აკეთებენ და არ რცხვენიათ **შავთავსაფრიანი** ქალების (ჯარისკაცი დაბრუნდა, 356, 10)

ბედაური რომ ბედაურია, ახლა ისიც უშნო მოგვეჩვენებოდა, **ბლაგვფლოქვებიანი**, ყურმოკლე (სახედარი - ჩემი სიხარული, 163, 35)

საობიექტო მიმდევობიანი კუთვნილებითი კომპოზიტები

ცნობილია, რომ „ქართულ ენაში ნამყო დროის მიმდევობა ვნებითი გვარისაა, მოქმედებითი გვარი მას არ გააჩნია. ამიტომ მოქმედებითი გვარის მიმდევობის გადმოსაცემად ენა სხვა საშუალებას მიმართავს — მოქმედებითი გვარისათვის ფორმებს ვნებითისაგან სესხულობს, სახელდობრ, ვნებითი გვარის სუბიექტური მიმდევობის წინ პირდაპირი ობიექტი დაისმის და, ამგვარად, ვლენულობთ მოქმედებითი გვარის ნამყო დროის მიმდევობას, რომელიც ფორმით ვნებითია და მიმდევობის მაწარმოებელი პრეფიქსის ნაცვლად პირდაპირი ობიექტი აქვს დასმული; უკეთ რომ ვთქვათ, მივიღეთ კომპოზიტი, რომელიც მთლიანად მსაზღვრელის როლში გამოდის და მოქმედების სუბიექტს გამოსატყვევს. მაგ.: „ამოწვილი ხმალი“, მაგრამ „ხმალამოწვილი (ვიდაც)“ [მრეველი შვილი, 1957, 1710].

ასეთი ტიპის კომპოზიტები ბევრზე ბევრია ოტია იოსელიანის ნოველების ენაში. ამიტომაც ნიმუშების დასახელებისას გარდა ანბანური თანამიმდევრობის დაცვისა, მაგალითები დავაჯგუფეთ აგრეთვე მიმდევობის მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით.

-ულ სუფიქსიანი:

ჩვენ **ბავშვობაწართმეული** თაობა ვართ ... (გურამი, ტიტე და პოლიკარპე კაკაბაძე, 405, 23)

და **ბაყაყჩაბბული** ჭილაფის დერს რომ დრმად ჩაუშვებდი, აღარაფერი ჩანდა (სახედარი - ჩემი სიხარული, 157, 11)

ათიოდე ნაბიჯი არ გეკონდა გადადგმული, რომ რქებზე **ბაწარდახვეული** ცეცხლისფერი ძროხა გამოვარდა შუკიდან და ჩვენკენ წამოვიდა (წვიმა ორლობეში, 275, 33)

სანამ მწყემსავდი ან **ბაწარჩაბბული** ხელში გკავდა, იცოდი, როდის ატყდებოდა (ძალისხმევა, 110, 23)

— დედამისი... ბედდამწვარი და **ბედდათუთქული**... (დედა გათხოვდა, 199, 13)

აგერ, **ბოქლომდადებული** სამჭედლოს აივანზე... (მეუეშტე რუსი, 259, 28)

გაუმჭირვალე სათვალესავით თვალეებზე **ბუნდლაფარებული** კრუხი დაბარბაცდა (მატარებელი და შავი მდინარე, 83, 2)

არასოდეს არ ყოფილა სამსახურში ასე დაბნეული და **გონებადაფანტული**, მაგრამ ახლა საქმისათვის აღარ ეცალა (ქალი აგარაკზე, 318, 11)

თუნდაც ბებერი, **გულგამოდრუებული** ჭყუტა მსხალი რად ღირდა (სახედარი - ჩემი სიხარული, 157, 1)

რა მექნა, სიტყვა ვერ მეპონა და ბოლმით **გულგასიებული** ვღუმდი თუ არა ღმერთს გავაგონებდი მის ლანძღვა-გინებას (სიცილი წისქვილის გზაზე, 235, 28)

ამირანზე ისედაც **გულმოსული**, აქ კიდევ ამ კვალის გამრუდებამ გააბრაზა ლევანა (ლევანა 56, 11)

და გაოფლილი, დაღლილობისაგან **ენაგადმოვლებული** შევედით წყალზე გადებულ ძელის ქოხში (სიცილი წისქვილის გზაზე, 234, 36)

ხან ისე რევენი იყო, დღეს დამისგან ვერ არჩევდა, ხან **ენაგატყაული** და ურცხვი (სახალწლო ნოველა, 311, 27)

— რა-რა უნ-უნ-და ვთქვა... დამება ენა, ისედაც **ენადაბმულ** (აბესალომი, 374, 2)

უნდოდა რომ ჯაბას ასე, **თავაწეულს** ევლო, ძირს არ დაეხედა (ნაცრისფერი დღე, 202, 22)

თავგადაკლული მორწმუნე აღამიანის შთამომავლებია?! (ღმერთი, ხატი და დედული ბებია, 415, 34) მაგრამ ის ისეთი ფიცხი და **თავგამეტებული** იყო (ხარჯიხვი, 503, 13)

სოფლის ამდენი **თავგასიებული** და თვალეებდაპრაწული ბავშვი ერთმანეთს დედმამიშვილივით დავემგვანეთ (ნაძარცვი პალტო, 202, 5)

ბაბე უხმოდ, **თავდაღუნული** მიაბიჯებდა (ქალი აგარაკზე, 342, 29)

თანაც ისე **თავდაჯერებული** ვიყავი, ფარსავი რადაც ეგონათ... (ხაფანგი, 296, 23)

შევევარდი უკან **თავზარდაცემული** (ჩემი წმიდა გიორგის ხატი,108, 15)
 როგორი რიდი მქონდა, ჯერ მასწავლებლის და მერე ისეთი **თავარიდებული** მეხოხლის (გერმანელი, 280, 28)
 -იმე, აპა, **თავმიკრული** საქონელი ივარგებს? (ძალისხმევა, 111,26)
 თუ დედას მოშორებული იყო და დაუძახებდი, დაუტანებდი ან დაუსტვენდი, ასე **თავშემართული** და ყურებმოპყრობილი მოგაციცინდებოდა (ჩემი ცხენი, 121, 15)
 ლაზარე ნაფოტებს ბუხარში ყრის, ცეცხლსა და ბუჯერში **თავშერგულ** ცოლს მოლად ზურგს აქცევს (ხარები ანუ ერთი დღის სიბრძნე, 277, 8)
 ან ბოგირის ქვეშ, ბნელში **თავშეფარებული** ეშმაკები და ჭინკები სანამ აიშლებიან (ნესვი და საზამთრო, 103, 9)
თავჩაკიდებული, ღია, ბუხებშესეული თვალებით არაფერს ხედავდა(ჩემი ცხენი, 124, 7)
 და არავის გაუკვირდებოდა, თუ ახლაც ბოლო მერხზე მჯდომი მკლავებში **თავჩარგული** დაველოდებოდი აღსასრულს (შეხვედრა სტალინთან, 346,15)
 რომ **თავჩადუნულმა** თავმჯდომარემ შარი მოსდოს (ძუ მგელი, 305, 3)
 მერე ერთმანეთზე მიბმულ, თავზე **თეთრყაბაღასწაკრულ** კოპწია, მწვანე ოდასახლებს... (მოდის მატარებელი, 71, 15)
 და **თვალდახუჭული** ფრინველების გალობას ვერ მოისმენდი (შავი და თეთრი ძროხა, 65, 18)
 კვამლითა და ნაცრით **თვალეზამოღუმპული** რომ უპეებს მუშტით ვიჭიჭყინდი (გერმანელი, 282, 4)
თვალეზგაბრწყინებული რომ მივაჩერდი, ეუხერხულა და უკან გაბრუნება დააპირა (ღმერთის გამოცხადება, 340, 17)
 სოფლის ამდენი თავგასიებული და **თვალეზდაპრაწული** ბავში ერთმანეთს დედმამიშვილივით დავემგვანეთ (ნადარცვი პალტო, 202, 5)
 ბაბე მიმალული იყო და **თვალეზდახუჭული** ფიქრობდა (ქალი აგარაკზე, 320, 21)
 არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე **თვალმიცივებული** (ჩაჩნის გოგო, 230, 10)
 მაგრამ, ეს **თვალნაკლული** მოხუცი, საბაზროდ ან თავისთვის კი არ ახმობდა (აღათი, 353, 3)
ლიბრგადაკრული თვალები ახლა უფრო უამური, უნდელი შესახედავი გაეხადა, ვინემ მოწიფულობამდე (ლახტი, 248, 15)
 შენი გამოჩენით რომ **ლიბრწაკრული** თვალები აეხილებოდა(აღათი, 353, 21)
 ორ ბარისპირზე გადაბრუნებულ მიწაზე, **ნაკელშერეულ** ბუდნებში მაინც ვთესავდით (ნესვი და საზამთრო, 90, 19)
 ახლაც ასე ვქენი, **პირმიბრუნებულს** მოვუარე, წინ დავუდექი (ოქროს ღილი, 270, 5)
 და **პირმორღვეული**, აღუფხული, აღუღებული ბნელი ჯოჯოხეთი მთქავს... (მატარებელი და შავი მდინარე, 89, 6)
 კედლისაკენ **პირმოქცეულმა** ზედიზედ დაახამხამა ქუთუთოები (პირველი ცდუნება, 212, 31)
პირშებუმბლული ბიჭები გულში მჯიდს იცემდნენ (ორი ქორა, 284, 4)
 თვალი იქით ეჭირა, სადაც კედლისაკენ **პირშექცეული** საჩინო ემხო (ჯარისკაცი დაბრუნდა, 378, 33)
 ბუჭულიე მაკვიტი, იმ შუა ზაფხულში გრძელი, მუხლებზე **საკერებელდადებული** შარვლით დადიოდა (ლახტი, 246, 15)
 მწითური კი არ იყო, რაღაცა, ჩალისფერი, **სინათლემოჭარბებული** (ოქროს ღილი, 273, 31)
ტვირთაკიდებულმა, როგორც იქნა, წამოვიჩოქე (ნესვი და საზამთრო, 100, 33)
 ცოლი და ქმარი **ფეხადგმული** სიკეთე, სათნოება, თანაღმობა და მადლმოსილება იყვნენ (ნესვი და საზამთრო, 91, 9)

იასონი მაგიდასთან დაჯდა ჯვარედინად **ფეხებგადაჭედებულ** ტაბურეტზე (ჯარისკაცი დაბრუნდა, 393, 17)

მერეც ვიყენებდით ხილის დასაყრელად ან ნაჩვრეტზე ქალაღდს, ან **ფოთოლდაფარებულს**, ფქვილის სასესხებლად (მეფეშტე რუსი, 256, 22)

ოდა მოშორებით იყო, **ფოთოლშეყვითლებულ** ხეხილიან ეზოში არც კი ჩანდა (წყლის ქალი, 187, 19)

-ჰო, ჰო! - გამამხნევა, - ჰო, შე **დმერთგაყიდულო!**(დიდი ფარნა,479, 6)

ააპა! **ცხვირჩამოშვებული** მობაჩუნობს (გურამი, ტიტე და პოლიკარპე კაკაბაძე, 409, 13)

ერიაში **ცხვირწარგული** ვუბერავთ: მე, ჩემი ძმა, ბებიაც გვეშველება (გერმანელი, 279, 12)

-ილ სუფიქსიანები:

ჩემოდანში ჩავუშვი ყველაფერი: კბილის ჯაგრისი, გაღეული მარწყვის საპონი, სამართებელი, სამელნე და ელამი ჯიბის სარკე, **ბოლომოდრღნილი** კალმისტრები (თეთრი ქალიშვილი, 107,4)

ვიდაცას, **მარჯვენადალოცვილს**, იქვე, ორ პალაოზე მოგრძო ფიცარი გადაეჭედებინა, გაექელსკამებინა და ზედ დაგშავადით (ჩაჩნის გოგო, 231, 29)

და, ამ უკანასკნელად, დისერტაციის საქმეც **მოვასხელკეთილე** (დიდი ფარნა,478, 11)

ჭიშკრის ლატანებში გამძვრალ ბალახს ეპოტინებოდა **რქაგაშლილი**, ნისლისფერი ხარი (ლევანა 53,28)

მაგრამ კაცი არ ჩანს ამ **სადებაგაქერცილი**, გახუნებული ლურჯი ფარდულის მომკითხავი (ჩაჩნის გოგო, 232, 11)

ფერდებჩავარდნილმა, ჩალისფერმა ფაშატმა ყურები ცქვიტა (კვიცი და მგელი, 485,1)

მერე კი ის **ფერმკრთალი** გოგონა მომიხლოვდა და მითხრა:(ცეცხლთან თამაში,160, 11)

ფრთამოწყვეტილ ფუტკარს რომ აჯენდა კისერზე (ლახტი, 250, 14)

ღიადღარჩენილ თვალეზე ქუთუთოები ჩამოუწია(ეპიტაფია, 44,11)

ძალაგამოცლილი, **ყურებჩამოყრილი** და კუდდაშვებული ნაგაზი ფრთხილად ჩამოითვლიდა ხავსმოდებულ კიბეებს (ლევანა,51, 10)

ოტია იოსელიანის ნოველებში ხშირია ისეთი კომპოზიტები, რომელთა ერთი ნაწილი ადამიანის სხეულის ნაწილებზე სხვადასხვა სიტყვების დართვითაა მიღებული:

ბეჭი: ჯანდაბას, ტანზე კიდევ სამოსი ფარავს ადამიანს, გულ-მკერდს, **ბეჭისთავებს**, მკლავებს, ყველაფერს ეშველება, მაგრამ სახე?(ქვრივის ცრემლები, 102, 24)

გული: აღარ შემიძლია ასე **გულადმა** წოლა (სიცოცხლის შემოქმედი, 33,27)

გამოცვივდა **გულგადაღეული** დიდი და პატარა აივანზე (მამახეში, ანუ ვისი გორისანი ვართ, 46, 27)

ხარებმაც ლუკაიას **გულგასახარად** კიდევ უფრო უკლეს ნაბიჯს (ქვრივის ცრემლები, 101,17)

რა მექნა, სიტყვა ვერ მეპოვნა და ბოღმით **გულგასიებული** ვღუმდი თუ არა დმერთს გაგაგონებდი მის ლანძღვა-გინებას (სიცილი წისქვილის გზაზე, 235, 28)

ქამრის ცემას უფრო იტანდა, ვინემ **გულგრილი** მაყურებლის როლს (ლახტი, 246, 13)

ჯანდაბას, ტანზე კიდევ სამოსი ფარავს ადამიანს, **გულ-მკერდს**, **ბეჭისთავებს**, მკლავებს, ყველაფერს ეშველება, მაგრამ სახე?(ქვრივის ცრემლები, 102, 24)

ისეთი საიმედო ჯიბე ვინ მომცა, ამისთანა განძი ჩავიღო და **გულმშვიდად** ვიყო, არაფერი მოეწევა (ნესვი და საზამთრო, 93, 17)

და მაინც, ღრმა მოხუცებულობამდე **გულსავსედ** გაუძღეს ამდენ რბევას, წამებას, ჯოჯოხეთს (ნესვი და საზამთრო, 92, 33)

და არ ვიცი, მათ შორის იყო ვინმე **გულსაწყალი** და ხელი მკრა.. (ნესვი და საზამთრო, 104,8)

და უვნებელ წვივებს **გულსახეთქად** გაჭიმავდა (ლახტი, 246, 28)

ჯანდაბას, ტანზე კიდევ სამოსი ფარავს ადამიანს, **გულ-მკერდს**, ბეჭისთავეებს, მკლავებს, ყველაფერს ეშველება, მაგრამ სახე?(ქვრივის ცრემლები, 102, 24)

ბარძიმი **გულღჯუ** კაცია (ღრუბლიან ღამეს, 225, 11)

გულ-ხელი დაუკრიფა, ფეხები დაუჭიმა, (ეპიტაფია, 44,11)

თავი: მაგრამ იმ ერთი რამის მისი უნაზესი სითბო, **თავგანწირვა** და ერთგულება არ კმარა (დედა, 55,9)

ღირსებით, ვინმესთან და რაიმესთან **თავგაუყადრებლად** (დედუღეთი 57,)

ჯერ კიდევ მაშინაც ყველაფერი ამაო გამოდგა, როცა რაჭის გზაზე გადავარდნილი მანქანით **თავგანხილი** ორი მოსწრება ჩამოუტანეს ეზოში (ღვეანა 52,6)

ამიტეხია **თავგახეთქილს** ერთი ვაი-უშველებელი (თავის მირტემა და ჭკუის გადაბრუნება, 47,19 ახლა **თავდადმართში** დაეშვა (აკაციის ყვავილობა, 137, 28)

თავდადმართში ხან რას წამოედებოდი, ხან რას (მეწისქვილის ქალიშვილი, 172, 8)

ამ... ამდენი ხნის უბედურობისგან **თავდახსნისა...** თავისუფლების...(სოკოს კრეფა, 426, 3)

როგორღაც **თავთხელში** გაუთრევიათ (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 45, 11)

აი, თითქოს ზალიკოსაც გაახსენდა ერთი ფილმი და ის იყო, უნდა დაეყვირა, მაგრამ დაასწრო იმ **თავგოჯორა** ღელმ (კინოში, 221, 24)

დასისხლიანებულ **თავ-პირზე** მისეულ ბუზებსაც არ ერჩოდა (ბასარა, 42,17)

თორემ მეწისქვილეს ... **თავსაკრავი** თასმით და თვით ამ თასმის გამონასკვნით, არასოდეს შეშლია, ვინ რა მიაბარა (დიდი ფარნა,475, 5)

ლოგინი ჰქონდა, **თავსასთუმალი** და ლუკმას არავინ ამადლიდა (ღმერთი, ხატი და დედული ბები, 416, 13)

ხელში თეთრი ხელსახოცი თუ **თავსაფარი** უჭირავს (ჩქარი მატარებლიდან, 22,2)

არადა ეს ორი ჭირვეულობდა, თორემ ყველას **თავსაყრელად** ჰქონდა ქონება (ჩემი თეატრი, 383, 6) მოდის ამ **თავსმაში**, ამ წყალ-ტალახში (მეწისქვილის ქალიშვილი, 183, 3)

ისედაც **თავქეფა** საქონელი იყო (შავი და თეთრი ძროხა, 63,12)

არც ხარ-კამეჩი ება, არც ჯორ-ცხენი და მაინც **თავქუდმოგლეჯილი** მიაჯირითებდა და მიაგრივლებდა (მოდის მატარებელი, 71, 8)

ჭიშკართან დადგა, **თავ-ყბიდან** სისხლი ჟონავდა (ბასარა, 42,2)

მიგვაყენა და **თავშესაფრები** გვათხრევიანა (ავტ.ნოველა)

ამ დროს (სააკადემიოდ რომ ემზადებოდი) **თავშეფარებული** (გურამი, ტიტე და პოლიკარპე კაკაბაძე, 408, 5)

მიდის ისე, ხელგაუნძრევლად, ფეხდაუდგმელად, **თავშეწუხებულად** (მენავე, 89, 26)

უკანა აივნის **თავწამპალ** ყურეში, ზედ ქილუქის ძირას მოკალათებული, სიბერით დაუძღურებული უკბილო ნაგაზი- ბათურა, სიკვდილივით უხმოდ ამთქნარებდა (ღვეანა,47,)

თავწანაკვერჩხლებული მუგუხალი დაადო ჩიბუხს (მეწისქვილის ქალიშვილი, 176, 25)

თვალი: მთელი სოფელი **თვალატირებული** და წვერმოშვებული დადიოდა (ავტ.ნოველა)

სოფლიდან სოფლამდე გზა ისე გავიარე, **თვალგასახარი** არაფერი დამინახავს(ჩემი ცხენი, 122, 26) ომამდე მუშახელიც არ აკლდა და მუქი მწვანე, **თვალგაუტანებელი** ყანები ბიბინებდა (შავი და თეთრი ძროხა, 66,8)

აბა, მე ხასა ვყოფილვარ მაგ **თვალდამდგარის** (ხელმოცარული, 76,21)

და **თვალდახუჭული** ფრინველების გალობას ვერ მოისმენდი (შავი და თეთრი ძროხა, 65, 18)

ჩემს წინ ფეხმორთხმულ, **თვალებადქცეულ** ქუჩუკისკენ შევებრუნე გაშლილი წიგნი (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 76, 11)

მე ახლაც ყველა ჟუჟუნა გარუჯული, **შავთვალეობრიალა** გოგონა მგონია, რომელსაც ძალზე უყვარს მაყვალი (თამაში, 60,24)

თუ გაგანია მზით **თვალეობამოწვარს** მეჩვენებოდა, ასე კი იყო და... (შავი და თეთრი ძროხა, 66, 11) და **თვალეობამოციფებული** ველოდი დაღამებას (შავი და თეთრი ძროხა, 64,25)

ცისმარე დღე, თვალგასახარი თუ არა, **თვალმისადვენებელი** მაინც, მაგრამ არაფერი ჩნდება (მოდის მატარებელი, 71, 12)

იქნებ სინათლე დაგენახა შორს, **თვალმიუწევზე**, მბჟუტავი ჭრაქი, მბჟუტავი ნაპერწკალი ან ერთი მკრთალი, მიღეული ვარსკვლავი მაინც (მეწისქვილის ქალიშვილი, 173,12)

თვალმოუცილებლად მივმტერებოდი გამგელელებს (ცეცხლთან თამაში,160, 3)

გალიცლიცებულია **თვალსაწიერი** მღვრიე, ლაგაზი ტალახისფრად აღიცლიცებული მდინარით (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 44, 6)

როდის ჩაივლის ასე შორს სახელგანთქმული, **თვალტანადი**, კაი ცხენ-უნაგირითა და ჩაცმულ-დახურული ძმა (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 43, 31)

ზეცა, კაბადონი - გამჭირვალე, კამკამა, შეუმკრთალი ცისფერი, **თვალშეუდგამი** ფირუზი, უსახდვრო, უკიდევანო, **თვალუწიერი**, შორებელი და ახლობელი (შავი და თეთრი ძროხა, 66,23)

დიდი ეზო, ორდობე, **თვალუწვდენელი** მინდორი, პანტის ხე და ჟუჟუ...(თამაში, 67, 14)

თითი: და თითი მუხლგამოგდებული შარვლისა და **თითებგამოყრილი** ჯღანის მეტი არაფერი გვებადა (სიცილი წისქვილის გზაზე, 232, 11)

თმა: და ტყის პირას, რომელიმე ბუჩქის ძირიდან გამოსძვრებოდა ქვიჯანა, **თმაგაბურბენული**, პირდაუბანელი გოგო (ლახტი, 242, 18)

მოჰკრავდა თვალს მაღალს, კოხტად **თმაგადავარცხნილს...**(დაგვიანება, 80,

თოვლივით **თმათეთრი** ღრმად მოხუცი კაცი რომ დავინახე (დიდი ფარნა,481, 24)

ყორნის ფრთის წარბ-წამწამიანი, **თმანაწნაიანი** ჩაჩნის ქალები, ყველა მოსახლის4 ჭიშკართან ასწრებდნენ მისვლას (ბოშას კოცნა, 456, 3)

კბილი: თან დაჰქონდა სარკის ორი ნატეხი, **კბილებჩამტვრეული** სავარცხელი, ხუთი მრგვალი კენჭი, ასანთის ცარიელ კოლოფში მძივის მარცვლები, ფერადი შუშის ნატეხები და ერთადერთი ყვითელი ქარვა (თამაში, 61, 11)

კისერი: ერთს თითქმის უღვაშიც ისეთივე ჰქონდა - თხელი, ახლადაშლილი, მაგრამ ნიკაპმოკლე და **კისერდაბალი** აღმოჩნდა (დაგვიანება, 81,)

-კარქი, მარა...-მეფეს ასე **კისერ-სატეხად** და წყალგასატანებლად ვერ იმეტებს(ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 76, 1)

კრიჭა: დავჯექი **კრიჭაშეკრული** და მოთხრობების წერა დავიწყე (ავტ.ნოველა)

მკლავი: - ჰო, აი ასე, - ქალმა კაცის ხელი **მკლავქვეშ** დაიჭირა(დავა ავტობუსში, 260, 23)

მუცელი: მაგრამ ამ მოკლე შარვლიანი, გატრუსული, თვალატირებული, თითის სიგრძე ჭინკა ბიჭის გადამკიდე, მთელი დღე **მუცელცარიელს** როგორ ერბინა?! (შავი და თეთრი ძროხა, 65, 30)

მუხლი: და თითი **მუხლგამოგდებული** შარვლისა და თითებგამოყრილი ჯღანის მეტი არაფერი გვებადა (სიცილი წისქვილის გზაზე, 232, 11)

ნისლა იქვე, ლევანას ფეხთან გლეჯდა **მუხლისთავზე** აცილებულ გლერტას (ლევანა 53, 35)

ნიკაპი: ერთს თითქმის უღვაშიც ისეთივე ჰქონდა - თხელი, ახლადაშლილი, მაგრამ **ნიკაპმოკლე** და კისერდაბალი აღმოჩნდა (დაგვიანება, 81,)

პირი: და ტყის პირას, რომელიმე ბუჩქის ძირიდან გამოსძვრებოდა ქვიჯანა, **თმაგაბურბენული**, **პირდაუბანელი** გოგო (ლახტი, 242, 18)

და მე რომ ჩემი ძმის **პირდაღებულ** წულას ვაკერებდი (ავტ.ნოველა)

—ჰაერი იქნება მაშინ სხვანაირი! — ჩაიქირქილებდა ვინმე **პირზეხელაფარებული** (ძუ მგელი, 298, 29)

თავსა და ბეჭებზე **პირსახოცი** წაიფარა და გაშრობას დაელოდა (ქალი აგარაკზე, 327, 26)
 მოჰკრავდა თვალს მაღალს - სქელი უღვაში აღმოაჩნდებოდა უცნობს ან მთლად **პირტიტველი**
 გამოდგებოდა (დაგვიანება, 80,
 ასე შერცხვენელმა, შეუსმენელმა და **პირშავმა** რა პასუხი გაგცეთ... (მათე და ერმილე, 220, 2)
 - გაგიმარჯოს! - უკვე **პირშებრუნებულმა** ჩაიბუზღუნა (მეწისქვილის ქალიშვილი, 176, 12)
 ბალახს **პირწმინდად** გადაძოვდა (შავი და თეთრი ძროხა, 63,8)
სახე: ამ ფერდობზე იდგა მოხუცი, **სახედანაოჭებული** დაღეული ქალი და ქვევით გადაჰყურებდა
 (დიდი ფარნა, 481, 21)
 და შავულვაშაშლილი ორი ვაჟისა და **სახენამომგენარი** ცოლის სურათებს ქვეშ მუშტად
 შეკრული წაიქცა (ლევანა, 47,)
სისხლი: მაგრამ ალბათ არც თვითონ იყო **სისხლჭარბად** (დიდი ფარნა, 473, 24)
ფეხი: **ფეხაკრეფით** გამოვდივარ გარეთ, აივანზე (სიცოცხლის შემოქმედი, 34,3)
 მენავე **ფეხებგადგმული** დგას და უშვებს და უშვებს ბადეს, სულ არ ეშინია ზღვის?! (მენავე, 88, 35)
 და ახლოს მოსვლას ვერ ბედავდა, მაგრამ უკან **ფეხდაფეხ** გვედევდა სოფლის ბოლომდე (ლახტი,
 247, 31)
 სახელური ერთი იმდენზე მაღლაა **ფეხებგაბაჯავინებული**, რამდენზეც ვწვდები (ჩემი მიწა,
 174, 34)
 ვის ჰქონდა დრო - **ფეხისგულზე** ხელი მოგესვა (თამაში, 61, 19)
 ჩემს წინ **ფეხმორთხმულ**, თვალებადქცეულ ქუჩუკისკენ შევებრუნე გაშლილი წიგნი (ჩემი
 „ვეფხისტყაოსანი“, 76, 11)
 ასე უპასუხოდ გაბრუნება სიკვდილი იყო და ადგილიდან **ფეხმოუცვლელად** ვკითხე: (აკაციის
 ყვავილობა, 122, 32)
 გაკვეთილების შემდეგ, შეშა და წყალი, ყანა და ბოსტანი, დასაკერებელი **ფეხსაცმელი** და
 მუხლზე გადაღლეტილი შარვალი, ფსკერგავარდნილი სათლი და სახლის ჩამომპალი ყავარი
 (ავტ. ნოველა)
ფეხშიშველა გავლა ყოველთვის საშიში იყო (ჯარისკაცი დაბრუნდა, 350, 3)
ფეხნაუცმელი მივიდა ღუმელთან, მსხვილი, დახერხილი შეშა შეუკეთა და უკან გამობრუნდა
 (ჯარისკაცი დაბრუნდა, 376, 28)
ქუთუთო: ძიღმორეული, **ქუთუთოებდამძიმებული** ადამიანის გამოსხედვას ჰგავდა მისი მხერა
 (ქალი აგარაკზე, 323, 28)
ყელი: მიდის თავისთვის, იშორებს სიმინდის ფოთლებს, სახე და **ყელ-კისერი** რომ არ დაუსეროს,
 და მიდის... (ბოშას კოცნა, 461, 32)
 დავუნახე კისერზე **ყელსაბამი**, რომელზეც სამი ვერცხლის ფული ეკიდა (ბოშას კოცნა, 458, 1)
ყვრიმალები: **ყვრიმალებწამოწეულ** გაცრეცილ სახეზე მოყვითალო, ავადმყოფური ფერი ედო
 (ია, 251, 9)
ყური: არა, წითელ ნაჭერს, პატარა **ყურბალიშს**, ხელსახოცს, რაც მოხვდება, რასაც წაასწრებს
 (ჩქარი მატარებლიდან, 23, 2)
 ისიც ისე თავგაუნძრევლად, **ყურგაუპანტურებლად**, პრიალა ხოჭონამწყვდეული თვალით
 მოჩერებული, დედისკენ დაიწევა (ჩემი ცხენი, 121, 17)
 მე ვფიქრობ - რაღა ეშველება **ყურდამწვარ** ბავშვს, უარესიც, 2ცხვირ...(მთხრობები ოჯახზე,
 28, 2)
 თუ დედას მოშორებული იყო და დაუძახებდი, დაუტაცანებდი ან დაუსტვენდი, ასე თავშემართული
 და **ყურებმოპყრობილი** მოგაციცინდებოდა (ჩემი ცხენი, 121, 15)
 და დოლიც ბრავუნობდა, ბრახუნებდა **ყურისწამლებად** (ცხოვრების სიბრძნე, 30,23)

ბედაური რომ ბედაურია, ახლა ისიც უშნო მოგვეჩვენებოდა, ბლაგვფლოქეებიანი, **ყურმოკლე** (სახედარი - ჩემი სიხარული, 163, 35)

ცხვირი: ცხვირ-პირში მტენის (დედა, 53,19)

ასეთ **ცხვირპირჩამოტირებულ** დღეებში მაინც სულ სხვაა ცეცხლი (ზამთარი, 264, 6)

ცხვირსახოცი ამოიღო (დაგვიანება, 81,17)

-ეს **ცხვირწამწვარი?**- წარმოთქვა მან (ბასარა, 36,10)

-ვეფხვის მეტი რა მომიკლავს, ის კი არადა, აგერ ბლუზათ, ქუდათ და **ცხვირწვეტიან** ჩექმათაც
მაცვია (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 78, 23)

ცხვირწინ მთა აიტუზა (ჩქარი მატარებლიდან, 20,34)

ძვალი: პირდაპირ **ძვალ-რბილში** გაგიჯდებოდა სითბო (დედა, 52, 20)

წარბი: მომიბრუნდა ახლა უკვე **წარბშეკრული** მამიდა (ავტ.ნოველა)

წელი: მაგრამ სიარულის დროს თუ კაცი მარტო **წელზევით** დააკვირდებოდა, უსათუოდ იტყოდა,
რომ ასე მხოლოდ ჯორის ფეხებს შეეძლო ევლო (ეპიტაფია, 43, 4)

- გამოადგი, კაცო, ფეხი, რავა **წელმოწვეტილივით** მოხანდალობ! (თეთრი ქალიშვილი, 108, 5)

წვერი: მთელი სოფელი თვალატირებული და **წვერმოშვებული** დადიოდა (ავტ.ნოველა)

სახეზე მოდებულ გაბურღულ **წვერ-ულვაშში** გაიფანტა, (ლევანა 57,30)

წვივი: ერთი დაჭრილი, **წვივაფატრული** და ბარძაყის ძვალდამსხვრეული, მეორე — საღ-
საღამათი (ღმერთი,

ხატი და დედული ბებია, 423,10)

-ბუხართან მიმჯდარ, ცეცხლით **წვივებაფუთქულ**, კაბიან ბიჭს მიაშვერდა 18ხელებს(დედა, 51, 19)

ხელი: ბუხრის საკვამურში, მთლად ნამუსზე **ხელადებული** ქარი18 ვარდება (დედა, 53, 18)

მიდის ისე, **ხელგაუნძრევლად**, ფეხდაუდგმელად, თავშეწუხებულად (მენავე, 89, 26)

გამოედე და დაღმა **ხელეგაშლილი** დაეშვი (მეწისქვილის ქალიშვილი, 173,15)

და საღამოს დაქანცული და **ხელეგაშლილი** დაბრუნდა ჯერ გაუშლელი, რამდენიმე ცალი
ლურჯი იით, 36 (ია, 253, 35)

ჯიბებში **ხელეგაშლილი**, ბოლთის ცემას მოყვები (თეთრი ქალიშვილი, 116,)

მეუფეო, გადმოყარე **ხელ-ბორკილი** რკინისა (ძუ მგელი, 309, 33)

მე უბრალო ბავშვის **ხელთოფის** დანახვაც კი არ მინდა (სიცოცხლის შემოქმედი, 34,23)

სახლის წინ, კონინდარში თამაშის ნება მქონდა, რაკი თვითონ აივანზე იჯდა და რაც
ხელისგულივით არ ჩანდა, იმას იქით, ნურას უკაცრავად, არც კი გაგახედებდა (დედულეთი 60, 11)

ტროტუარზე მანქანები არასოდეს დადიან, მაგრამ მე და ჟუჟუ მაინც **ხელისხელჩაკიდებულნი**
მივდივართ(თამაში, 64, 21)

ხელში თეთრი **ხელსახოცი** თუ თავსაფარი უჭირავს (ჩქარი მატარებლიდან, 22,2)

და **ხელსახოცგადაფარებული** რაღაც დასაყოლებელი (პირველი ცდუნება, 216, 23)

და არც საღამო იყო შორს, მაგრამ ახალბედა მონადირეს **ხელცარიელი** დაბრუნებაც არ გინდოდა
(მეწისქვილის ქალიშვილი, 171, 25)

გამოედე და დაღმა **ხელეგაშლილი** დაეშვი (მეწისქვილის ქალიშვილი, 173,15)

ესებას ფეხები სტკივა, ძლივს დადის, ბიკენტი ნოქარია, ბიქტორ ლექვთაძე **ცალხელაა...**(ჩემი
მიწა, 172, 9

და ჩემოდნებს, ბადეს, **ხელჩანთებს** და პურისფქვილიან ტომსიკას უმწეოდ გადახედა (დაგვიანება,
80, 5)

არ მიყვარს ცხოვრებაზე **ხელჩაქნეული** ადამიანი(დავა ავტობუსში, 257, 1)

III. ზმნისართიანი კომპოზიტები

იოსელიანი ხშირად ქმნის კომპოზიტებს გარე, თანა, მარტო, შინ, ქვეშ, წინა და სხვა ზმნისართიებისაგან:

რაც ჩემს ბავშვობაში **ახლომახლო** ოჯახს პირველი ვაჟი შესძენია (ჩემი ძუძუმტეები, 137,)

იქვე, **ახლო-მახლო**, როცა ძროხა თავისთვის ბალახობს (ფაცუნე და შულიეტე, 140, 9)

ტყავი არ დაეზოგე და ჭიშკრის **ბოგიტქვეშ** შევძვეერი (ხაფანგი, 293, 12)

ნამეტანი მიჭირდა **ბოგიტქვეშ** ტლაპოსა და ნესტში, პირდაპირ დავიტანჯე (ხაფანგი, 293, 13)

...ყოველთვის ბაჯადლო ოქრო ვიყავი, მათი უანგარო სითბოთი და უწყინარი აღერსით ყელამდე **გარემოსილი** (ნესვი და საზამთრო, 91, 24)

მოგეხსენებათ, დღე და ღამე წელიწადში ორჯერაა **თანაბარი** (მოდის მატარებელი, 71, 24)

კარგად იცოდა ჩვენი გაჭირვება, **თანაგვიგრძნობდა**, უნდოდა გამასპინძლება (მოდის მატარებელი, 69, 28)

- ფოსინე, დაჯექი, აყურებინე შენთვის ამ შენი სისხლისა და ხორცის **თანაზიართო** (ხელმოცარული, 76, 15)

სადაც ცაგო, მისი **თანაკლასელი** გოგო, - თვალეები რომ ჭინკებით აქვს სავსე, - სხვა კლასელ ბიჭთან ერთად ველოსიპედით ისეირნებდა (ავტომანქანის გატაცება, 305, 18)

ცოლი და ქმარი ფეხადგმული სიკეთე, სათნოება, **თანაღმობა** და მადლმოსილება იყვნენ (ნესვი და საზამთრო, 91, 10)

თანამეზავრმა წაიფორხილა, მაგრამ არ წაქცეულა, თავი შეიმაგრა (დრუბლიან ღამეს, 230, 13)

მათ თავისი ცხოვრება ჰქონდათ - ყანა და ვენახი, ტყე და მინდორი, მიწა, წყალი, მთა და ბარი, მტერ-მოყვარე, ჭირში ჭირისუფალი და ღხინში **-თანამეინახე** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 40, 19)

ერთმანეთის ჭირსა და ღხინში **თანამდგომი, თანამოაზრე, თანამეინახე, თანამზრახველი**, გამტანი, განუყრელი, განუშორებელი... (გრიგოლ ბაბუა, 358, 14)

ხმა როგორ უნდა ამოიღოს, როცა ამოდენა გზა, ტყე და ხიდი **მარტოდმარტომ** იარეთ ამ შუაღამისას? (ქვრივის ცრემლები, 105, 25)

და ცალ-ცალკე მარტონი ვიყავით, ჩვენი ორივეს ეს **მარტოსულობა** საჭიროებდა და ეძახდა ერთმანეთს (ჩემი ცხენი, 131, 14)

ეს ჩვეულებრივ ამბადაც მიაჩნდათ, მაგრამ საკვირველი იყო, ეს **მარტოხელა** კაცი როგორ ასწრებდა ამდენს (ეპიტაფია, 43, 13)

ზალიკომ **სკამებქვეშ** დააპირა შეძრომა, მაგრამ სცენაზე მოკარნახის ჯიხური გაახსენდა (კინოში, 223, 1)

და გასწია, გასწია **უკანმოუხედავად**, ჭიშკრის მოუხურავად, სიტყვის უთქმელად (ღევანა 55, 26)

საათმა მოხუცის **შინმოუსვლელი** ვაჟიშვილის ამბავი იცის და ჰყვება (ჯარისკაცი დაბრუნდა, 364, 2)

თორემ, მუხლებზე დაკერებული, ბუბიის **შინნაქსოვი**, ხამ-შალეს ბლუზა-შარვლის მეტი არაფერი მეცვა (თმი და სიხარული, 222, 24)

კარგი, გამოცდილი მეხრე თუ არ გვეყოლებოდა, ხარების **წინამძღვრობა** კი მმართველად, (ჩემი მიწა, 173, 12)

იმავე ზამთარს, დიდთოვლობისას, **წინამძღოლი**, რამდენიმე სხვა ხარჯიხვთან ერთად, ზვავმა დაიტანა (ხარჯიხვი, 497, 6)

აქ უმრავლესობამ **წინასწარ** იცის თავისი საფლავი (ღმერთი, ხატი და დედული ბებია, 412, 23)

და ჰიტლერის ადრე და მალე გადაბარსალებას **წინასწარმეტყველებდნენ** (ჩაჩნის კვესი, 208,32) ხეალ ეტყოდა სათქმელს, **ხეალდამ** გაუმხელდა საიდუმლოს (დაგვიანება, 84, 15)

IV. ზმნები

მოვიდოდა, ერთს **ახედ-დაგხედავდა**, გაგზომავდა თვალით (ბასარა, 38,36) თვალის ნათიამაც **ამაყოლ-ჩამომყოლა**, - როგორც ხედავთ, არა ვართ ნაკლები (თეთრი ქალიშვილი, 116,)

ჩვენს ნანადირევს **ახედ-დახედა** (ბასარა, 37,18)

მე **გადავწევ-გადმოვწევ**... (დედუღეთი 61, 30)

ექიმმა **გადამაბრუნ-გადმომაბრუნა**, მასუნთქა ბლომად ჰაერი, მიბრავუნა გვერდებზე და რეცეპტი დატოვა (ხუმრობა, 186, 34)

- რას ეძებ, კიმოთე? - ჩაიხვიხვინა შემოსულმა და ტომრიანად **მიბრუნ-მობრუნდა** (ქერივის ცრემლები, 99, 5)

დარომ შეშინებულვით **მიიხედ-მოიხედა** (ქერივის ცრემლები, 96, 25)

უეცრად აიღო თავი და **მიიხედ-მოიხედა** (სიცილი წისქვილის გზაზე, 237, 14)

მისვლა-მოსვლაში დავიღალე, დავიქანცე და იქვე გრძელ სკამზე 1 დავეშვი (ცეცხლთან თამაში,160,)

ფეხით **მიყარ-მოყარა** ძაღლები (ბასარა, 35,17)

უკვირდა, ეს რა **მიწერ-მოწერობანა** გაემართეთო (ცეცხლთან თამაში,152,)

იქ ერთხელ კიდევ **შემაბრუნ-შემომაბრუნებდა** (ლახტი, 241, 7)

მწერლისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი სიტყვის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის კომპოზიციების შექმნა-გამოყენება, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვა **წყალი**:

„იქნება უვახშმოა, ეს ჩემი ცოდვით სავსე, ასე **უწყალწმინდოთ** რავა გაეშვა!“ (თბილი რძე, 471, 31)

გზა სადაა, ტრიალ თოვლ და **წყალგათქვეფილ** ნაყანებზე (სიცილი წისქვილის გზაზე, 236, 19)

კოხტა, **წყალდაკრული** წითელი ღვინის ფერი ფეხი უჩანს თეთრ ხეწარში (პირველი ცდუნება, 213, 1)

გაზაფხულზე, **წყალდიდობის** დროს იშლამებოდა (შავი და თეთრი ძროხა, 66, 6)

ჩვენმა წინაპრებმა ალბათ უკეთესი ადგილი ვერ შეარჩიეს **წყალვარდნილისათვის** (სიცილი წისქვილის გზაზე, 232,)

თორემ, ჩვენ **წყალმარჩხ** მდინარეებში მხარულის გასაკრავი მანძილიც არაა ნაპირიდან ნაპირამდე (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 44, 26)

წყალ-ტალახს იმდენზე ვარ ამორებული (დედა, 54,30)

ამ ადღღამუხებულ, გავეშვებულ **წყალუტევარს** გაგუდული ცხენი და კაცი მიაქვს! (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 45, 8)

ჩვენს **წყალწადებულ** ბავშვობას კიდევ ომი უნდოდა?! (ავტ.ნოველა)

ოტია იოსელიანის ენისათვის არც თუ იშვიათია სამ და მეტფუძიანი კომპოზიციები:

არც ხარ-კამეჩი ება, არც ჯორ-ცხენი და მაინც **თავქუდმოგლეჯილი** მიაჯირითებდა და მიაგრიდებდა (მოდის მატარებელი, 71, 8)

მერე ერთმანეთზე მიბმულ, თავზე **თეთრყაბალახწაკრულ** კოპწია, მწვანე ოდასახლებს... (მოდის მატარებელი, 71, 15)

გრძელ დერეფანში, კიბის თავთან, რბილი, **თეთრშალითაგადაკრული** სავარძლები და მრგვალი მაგიდა იდგა (ქალი აგარაკზე, 323, 15)

და ერთ დღეს ვხედავ: ვიღაც ფარაჯიანი, ზურგზე **რუხნანთამოგდებული** წვერმოშვებული კაცი შემოვიდა ეზოში (ცეცხლთან თამაში,152,1)

დავსხდებოდით ჩრდილში, მაგრამ ბუჭულია, **ქრისტესფენისმჭამელი** არ მოისვენებდა (ლახტი, 242, 3)

თავზე წავადექი **წითელხილაბანდწაკრულ** მუშას, ძლივს შეენიშნე (თეთრი ქალიშვილი, 112, 23)
აგერ, ტყუპი რცხილის ძირში ხბო - მოქანქალე, თეთრი, **ხელისგულისტოლა** ტალეები (ძალისხმევა, 116, 12)

ზოგჯერ კომპოზიტი ოთხი ფუძის შეერთებითაა მიღებული:

თუმცა ეს თვალეებიც ხომ კარგად ახსოვს ანდროს, ეს ციმციმა თვალეები, ეს მაცდური, **ცალწარბმაღლაშემართული** თვალეები (დაგვიანება, 81, 29)

ამდენად, ოტია იოსელიანის ნოველებში კომპოზიტების ქმნალობა და გამოყენება საინტერესო და სალიტერატურო ენის გამდიდრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მწერალმა ქართული ენის სიტყვაწარმოების უსაზღვრო შესაძლებლობა სათანადოდ გამოიყენა მშობლიური ენის გასამრავალფეროვნებლად.

ლიტერატურა:

- ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, სახელი, წიგნი 1, თბ., 2016
ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957
მ. მრევლიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში, თსუ შრომები, 67, 1957
ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953
რ. ჭიკაძე, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, თბ., 2014
ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი, 1997

ი.ოსელიანის თხზულებები:

- ი.ოსელიანი, ნოველები, თბ., გამ-ა მერანი, 1974
ი. იოსელიანი, ნოველები, თხზულებანი ათ ტომად, ტომი II, გამ-ა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2006
ი. იოსელიანი, ჩემი ასაგალ-დასაგალი, სასკოლო ბიბლიოთეკა, ბაკმი, 2009

Манана Микадзе

Композиты в языке новелл Отии Иоселиани

Резюме

Среди средств обогащения лексики одним из основных является способ композиции, наиболее полно изученный в грузинском языкознании.

«В древне- и среднегрузинском область применения композитов была весьма широкой, в новогрузинском большинство используемых композитов по своему происхождению относится к раннему, древнейшему периоду развития грузинского языка» [Мревлишвили, 1957, 165].
Композиция в грузинском языке по сей день остается одним из продуктивных средств образования имен.

Manana Mikadze**Composites in Otia Ioseliani's novels****Abstract**

Composites are one of the main means to enrich the language that is properly studied in the Georgian language. Composite is still one of the productive means to form the word.

In Georgian language composite formation is met in different forms: by doubling the root, by compounding two different roots and by compounding two different words or roots.

Otia Ioseliani perfectly uses composites to form the new lexical units. Mainly he joins the roots. Among the diverse composites in Otia Ioseliani's language the following determiners - attributive composites, possessive composites and adverbial composites are used most frequently.

რეცენზენტი: პროფესორი ა. არაბული

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ПАРАНДЗЕМ МЕЙТИХАНЫ

Ереванский государственный университет

АРМЯНСКИЙ ПЕРЕВОД СВЯЩЕННОГО ПИСАНИЯ И РОЛЬ МЕСРОПА МАШТОЦА

Одновременно с созданием армянской письменности, еще в Самосате, Месроп Маштоц и два его ученика заложили начало письменного перевода Священного Писания, начиная с Книги Притч, а затем включая 22 книги Ветхого Завета, частично и некоторые книги Нового Завета. Маштоц, возвратившись на родину, Сааку и своим первым ученикам представил армянский алфавит и доверил им дальнейшее дополнение, безусловно, еще не целостного перевода Библии. Эта работа была осуществлена в 409-410 гг., и с этого времени в армянской филологии возникло определение Быстрый перевод, под которым известен первый перевод Священного Писания, однако, по нашему мнению, это был уже второй вариант перевода. После 433 г. полностью завершается перевод Священного Писания, именуясь во всей своей целостности Золотым Саак-Месроповским оригиналом.

Первый армянский перевод Священного Писания открыл новую веху в истории армянской письменной культуры, которая называется *Золотым веком*. В армянской действительности армянский язык в своем классическом статусе, переводческим и летописным богатством был представлен в V веке [9: 8]. В арменоведении отмечается, что после создания армянского алфавита первым делом Месропа Маштоца и Саака Партева стал перевод Библии на армянский язык. По свидетельству же наших летописцев, устный перевод Священного Писания был начат еще до создания алфавита. Отметим, что в 301 г. Армения приняла христианство как государственную религию, и Григор Лусаворич (Просветитель) стал первым, так называемым, устным переводчиком Священного Писания, ознаменовав начало периода устных переводов библейских текстов. После Аштишатского Собора (353-356 гг.) в Армении открылись школы для обучения греческого и сирийского языков, и основной целью было, конечно, проповедование в народе Священного Писания на армянском языке. Мовсес Хоренаци пишет, что Маштоц в храмах читал книги сначала на сирийском языке, потом переводил их на армянский, поэтому его везде понимали и почитали, а при его отсутствии то, что читалось, не переводилось, и никто ничего не понимал [6: 285]. В провинции Гохтн Маштоц при обращении язычников в христианство убеждается, что насильно нельзя народ обратить в христианство: люди должны сначала понять Божье Слово, потом принять его. Людей надо обучать, а для этого надо иметь собственную письменность. И долгожданный армянский

алфавит был создан. По свидетельству Корюна, Саак Партев и Месроп Маштоц вместе с учениками начинают переводить Священное Писание: «В то время, безусловно, прекрасной стала наша обетованная и желанная страна Армения, где руками двух сверстников сразу армяноязычными, армяноговорящими стали Законодатель Моисей со всеми пророками и прогрессивный Павел вместе с армией апостолов с созидающим Евангелием» [5: 106]. Однако еще до этого Корюн пишет, что Маштоц сразу после создания алфавита и каллиграфии у Рофания в Самосате «... начал работу над переводом вместе с двумя своими учениками, имя первого Иоан, из провинции Екегяц, а второго – Иосиф, из рода Паганакан. **И начал переводить (Священное) Писание – Притчи Соломона...** (выделено нами – П.М.)» [5: 102].

Что оба ученика Маштоца были опытными переводчиками высокого класса, отмечают и принимают все. Тогда почему исключить, что трое известных переводчиков, находясь в Самосате, могли перевести не только Притчи Соломона, но и весь Ветхий Завет (напомним, что Маштоц еще до создания письменности занимался устным переводом Священного Писания).

Продолжим и процитируем Мовсеса Хоренаци о деятельности Маштоца за пределами Армении: «И сразу начали переводить, намеренно начав с Притч (Соломона), **все двадцать две известные книги и Новый Завет перевели на армянский язык** (выделено нами – П.М.), также и его ученики, Иоан Екегяц и Иосиф Пагнакан...» [6: 292].

Эти теории отрицают С. Малхасянц и Г. Ачарян. Первый отмечает, что невозможно было сразу в Сирии перевести обе Книги – Ветхий Завет и Новый Завет, приведенные выше строки считает приписками на полях, которые позже были включены в текст. Отвергнув правдивость вышеуказанных слов, Малхасянц опирается на другие слова Хоренаци (Г, 54), где отмечается, что Саак перевел Священное Писание с сирийского по причине отсутствия греческого текста, и после (Г, 61) Саак и Месроп с греческого перевели уже переведенный текст.

Однако тот же С. Малхасянц, сомневающийся в правдивости слов Хоренаци, в предисловии к «Истории» Бюзанда пишет о Хоренаци следующее: «Хоренаци – истинный думающий автор, каждое его слово взвешено, отмерено, ни одного лишнего слова, ни одного преувеличения. Он помнит, что говорил об одной личности и событии и никогда не впадает в противоречия» [8: 54]. И насколько приемлемо это противоречивое утверждение С. Малхасянца [3: 35]? А Г. Ачарян отмечает, что если правдивыми считать слова Хоренаци и Корюна “Краткого”, то должны принять, что Священное Писание было переведено три раза: в первый раз – рукой Маштоца в Самосате, во второй – Сааком в то время, когда Месроп отправился проповедовать в Албанию, и третий – после возвращения переводчиков во главе с Езником [2: 311].

К переводу Священного Писания обращается и Казар Парпеци, согласно которому перевод был сделан с греческого текста и существовал лишь один перевод, автор перевода только Саак Партев. Нами эта точка зрения не будет обсуждаться, так как лучше всего на это ответил сам Г. Ачарян: «Парпеци создание месроповских букв хочет даже приписать Сааку <...>, истинная цель этого – несравненно возвысить достоинства Саака во вред Месропу» [2: 244].

Полностью разделяя мнение Ачаряна, хотим процитировать написанное в главе 10-й «Истории» Казара Парпеци: «Из-за непонимания сирийского языка труд церковнослужителей и старания народа оставались бесплодными. И благословенный муж Маштоц об этом долго рассуждал и в душе плакал: ведь были армянские письмена, **с помощью которых было возможно собственным голосом, а не взятым в милостыню языком, покорять сердца мужчин и женщин и вообще всех людей** (выделено нами – П.М.)» [4: 31]. Неужели эти слова прямо не указывают на то, что в переводе Священного Писания был заинтересован в первую очередь Месроп Маштоц?

Э. Пивазян в предисловии к труду Корюна пишет: «До этого на армянском языке даже одного слова не было написано в книгах, даже буквами других языков, сейчас же Маштоц привносит удачно созданные

армянские письма и переведенный, записанный на армянском языке книгу – **Библию (может, и несколько книг)** (выделено нами – П.М.)» [5: 37].

Отмеченные факты нас убеждают, что Маштоц вместе с учениками именно в то время, когда находился в Самосате (это длилось почти год), сделал довольно много переводов как из Ветхого, так из Нового Заветов, и только после этого вернулся в Армению. Условно это можем назвать *Самосатским переводом*. По возвращении Маштоц должен был Сааку и другим сначала представить новосозданные письма, а для этого требовалось время. В противном случае мы должны предположить, что Католикос Саак Партев, независимо от Маштоца, уже настолько свободно умел писать армянскими письмами, что смог одновременно перевести Библию. Для кого это было бы легко? Для Маштоца, который наизусть знал все Священное Писание и больше десяти лет проповедовал его, даниэловскими письмами два года (или два месяца) работал над армянским переводом и в конце концов создал письма, наиболее точно отражающие армянскую фонетическую систему, или для Саака, который должен был отложить ответственный и сложный труд католикоса, обязанности духовного пастыря, начав учиться писать по-армянски и одновременно переводить Библию? Конечно, мы склонны думать следующим образом: Маштоц вернулся на родину с армянскими письмами и некоторыми переводами (в основном из Ветхого Завета, частично из Нового). Эти переводы называем *Самосатскими*. И уже на родине создается группа переводчиков, безусловно, с участием Иоана и Иосифа, которые под покровительством Саака Партева быстро начинают дополнять и редактировать отданные им Маштоцом переводы, создавая текст, который вошел в историю под названием *Быстрый перевод* – «изначальный, внезапно найденный, быстрый перевод» [5:100]. Условно это будем считать вторым, Саак-Месроповским переводом.

На этом, однако, перевод Библии не завершается: перевод постепенно дополняется, сравнивается с греческим и сирийским текстами. Этот процесс приобретает новое качество после Эфесского Собора, когда в Армению доставили канонический, общепринятый перевод Священного Писания, который, по всей вероятности, был один из экземпляров Библии Оригена или Цезаря [7: 18-19]. Это уже третий перевод Священного Писания.

Перевод Священного Писания неверно связывать с конкретным годом. Перевод Библии непременно надо воспринимать как некий процесс, который начался еще до создания армянской письменности. Уместно процитировать следующее наблюдение В. Аракеляна: «Перевод Библии в V веке сразу не мог быть завершен, понадобилось лет от 10 до 15, чтобы **еще не имеющие опыта переводчики** (выделено нами – П.М.) в тех тяжелых условиях смогли бы завершить армянский перевод этой огромной книги» [1: 6].

Таким образом, перевод Священного Писания включает в себя три ипостаси: а) *Самосатский*, или *Месроповский*, б) *Быстрый*, или *Саак-Месроповский* и в) *Саак-Месроповский*. К сожалению, *Месроповский перевод*, который был сделан на чужбине, в Самосате, не сохранился, он ответил бы на многие вопросы. Этот вариант стал основой для дальнейших переводов, и сегодня уже невозможно в тех рукописях, которые считались лучшими, отделить начальное от последующих изменений. Конечно, в *Месроповском* начальном переводе могло бы быть много разночтений и противоречий, которые скорее всего вытекали бы из еврейских, сирийских и греческих подлинников, а не являлись результатом труда наших переводчиков и писцов. Эти три варианта в широком смысле представляют долгий путь армянского перевода Священного Писания, а в узком смысле все три вместе из глубины веков представляют нам целостный *Саак-Месроповский перевод* армянской Библии, которая стала эталоном для подражания нашим писцам.

Литература

1. Аракелян В., Язык и стиль переводческой армянской литературы, Ереван, 1954 (на арм. языке).
2. Ачарян Г., Армянские письма, Ереван, 1984 (на арм. языке).
3. Ачмян Шаге, Библия на армянском языке, Ереван, 2006 (на арм. языке).
4. Казар Парпеци, История Армении, Ереван, 1982 (на арм. языке).
5. Корюн, Житие Маштоца, Ереван, 1994 (на арм. языке).
6. Мовсес Хоренаци, История Армении, Ереван, 1980 (на арм. языке).
7. Нерсесян Нерсес, Библия и армянская культура, 2001 (на арм. языке).
8. Павстос Бюзанд, История Армении, Ереван, 1968 (на арм. языке).
9. Хюбшман Г., Грамматика армянского языка, Ереван, 2003 (на арм. языке).

Parandzem Meytikhanyan

Armenian Translation of Holy Bible and the Role of Mesrop Mashtots

Abstract

Alongside with the creation of Armenian script, still being in Samosat, Mesrop Mashtots and two of his descendents initiated the written translation of the Holy Bible: it started with the Book of Gospels, then included 22 books of the Old Testament, as well as partially touched upon some parts of the New Testament. On returning to his motherland Mashtots presented the Armenian alphabet to Sahak and to his first descendents and trusted them the continuation of, by no means, yet, unfinished translation of the Bible. This work was carried out in 409-410, and since then in Armenian philology came forth the definition of *Rapid translation*, which describes the first translation of the Holy Script. But, however, to our mind, it was the second variant of the translation. After 433 the translation of the Holy Script was accomplished and is ultimately called *Golden Sahak-Mestropian original*.

პარანძემ (ან პარანჯემ) მეიტიკანიანი
მესროპ მაშტოცის ნაწერების შესახებ

რეზიუმე

სომხური დამწერლობის შექმნასთან ერთად, ჯერ კიდევ სამოსატში, მესროპ მაშტოცმა და მისმა ორმა მოწაფემ საფუძველი ჩაუყარეს საღმრთო წერილის წერილობით თარგმანს, დაწყებული იგავების წიგნიდან, შემდეგ კი ძველი აღთქმის 22 წიგნისა და ნაწილობრივ ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნის ჩათვლით. სამშობლოში დაბრუნებულმა მაშტოცმა წარუდგინა სააკს და თავის პირველ მოწაფეებს სომხური ანბანი და ანდო მათ ბიბლიის თარგმანის (რომელიც, უდავოდ, ჯერ არ იყო სრულყოფილი) შემდგომი შევსება. ეს სამუშაო შესრულდა 409-410 წლებში, და ამ დროიდან სომხურ ფილოლოგიაში წარმოიშვა გამოთქმა სწრაფი თარგმანი, ამ სახელწოდებით ცნობილია საღმრთო წერილის პირველი თარგმანი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს იყო თარგმანის უკვე მეორე ვარიანტი. 433 წლის შემდეგ მთლიანად დასრულდა საღმრთო წერილის თარგმანი, რომელსაც ახლა ეწოდება ოქროს სააკ-მესროპის ორიგინალი.

რეცენზენტი: პროფესორი ნ. კვირიკაძე

ეროვნულობისა და უნივერსალობის პრობლემა ფრაზეოლოგიაში

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია უნივერსალობის გამოყენების საშუალებები, უნივერსალობის არსებობამ ფრაზეოლოგიაში არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას მისი ეროვნული ხასიათი, რომელიც ვლინდება ენის ყველა ასპექტში, როგორცაა: ფონეტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), ლექსიკური და სემანტიკური ენის ფრაზეოლოგიური სისტემა სავსეა რეალიებით, განპირობებული ამა თუ იმ ერის კულტურითა და ისტორიით, მასში გამოიხატება ენის ეროვნული ხასიათი. ფრაზეოლოგიური ერთეულების სპეციფიკის შესასწავლად აუცილებელია გამოვეყნოთ ყველა სახის ეროვნულობა.

ენისა და საზოგადოების კავშირი განპირობებულია მისი ორგანულობით, მუდმივობით და განსაზღვრულია ენობრივი თავისებურებებით, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული ელემენტების წარმოშობას ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვევლინება ეროვნულობისა და უნივერსალობის დადგენა არა მარტო შეპირისპირებით ტიპოლოგიურ გამოკვლევაში, არამედ ფრაზეოლოგიაშიც. უნივერსალობის გამოყოფა საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ფსიქოლოგიური კანონზომიერებები და დავადგინოთ ენის ქცევა.

უნივერსალობის შესწავლა სათავეს იღებს უძველესი დროიდან და დაკავშირებულია უნივერსალური გრამატიკის სწავლებასთან. მე-18 საუკუნეში ამ შესწავლამ ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვა, მაგრამ უმთავრესი ყურადღება მოცემული მიმართულების მიმდევრებისა მიქცეულ იქნა უნივერსალურზე და არა სპეციფიკურზე. მე-20 საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ენობრივი უნივერსალობისადმი, რომელიც იდგა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ზოგად ენათმეცნიერებაში.

უნივერსალობის პრობლემა ფონოლოგიასა და სინტაქსში საკმაოდ ფართოდ აქვთ შესწავლილი მეცნიერებს, ხოლო ლექსიკა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ცნობიერებასთან და გამოხატავს ხალხის ყოფას, სადაც ვლინდება თვით ენა, დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ყურადღების მიღმა მკვლევრებისათვის, მაგრამ ამ პრობლემას მიექცა უდიდესი ყურადღება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სემანტიკური უნივერსალობის ცნება. და გამოიყო ლექსიკური კონსტანტები.

უნივერსალურობისა და ეროვნულობის პრობლემამ ფრაზეოლოგიაში აქამდე ვერ ჰპოვა სათანადო გამოხატულება ლინგვისტურ კვლევებში. თავად ფაქტია ის, რომ ფრაზეოლოგიზაცია, როგორც მოვლენა, მატარებელი ყველა ენისათვის, მიუთითებს ფრაზეოლოგიის უნივერსალურობაზე, ხოლო თავის მხრივ, სომატური ფრაზეოლოგია, რა თქმა უნდა, გვეკვლინება უნივერსალურ კატეგორიად. მრავალი მკვლევარის აზრით, სომატური ფრაზეოლოგია არა მარტო ყველა ენაში არსებობს, არამედ მნიშვნელოვნად დიდი როლი უჭირავს ფრაზეოლოგიურ ფონდში.¹ (acof A. 2003).

ენის ფრაზეოლოგიური სისტემა სავსეა რეალიებით, განპირობებული ამა თუ იმ ერის კულტურითა და ისტორიით, რის საშუალებით გამოიხატება ენის ეროვნული ხასიათი. ფრაზეოლოგიური ერთეულების სპეციფიკის შესასწავლად აუცილებელია გამოვეყოთ ყველა სახის ეროვნულობა ფრაზეოლოგიაში (გ. ლებანიძე, 2004).

ფრაზეოლოგიის სპეციფიკურობა უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ფონეტიკურ დონეზე, რამდენადაც ფრაზეოლოგიური ერთეული შედგება მთელი რიგი ბგერებისაგან, რაც დამახასიათებელია მოცემული ენის ფონეტიკური სისტემისთვის.

ფრაზეოლოგიზმის სპეციფიკურობა გრამატიკულ დონეზე გამოიხატება იმაში, რომ სიტყვები, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტები, შეიცავენ მახასიათებლებს მოცემული ენის მორფოლოგიური კატეგორიის მეტყველების ნაწილებისთვის და აგრეთვე, ექვემდებარებიან სინტაქსის კანონებს.

სპეციფიკურობა ლექსიკურ დონეზე, გამოიხატება იმაში, რომ ეროვნული რეალიები ხშირად აისახება მოცემული ენის სიტყვებში.

თითოეული ენის ფრაზეოლოგიას არაენობრივი მახასიათებლების გამოხატვის თავისი საკუთარი საშუალებები გააჩნია ენობრივ ფორმაში. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები, სრულიად მსგავსებს შინაგანი ფორმით, გააჩნიათ სხვადასხვა მნიშვნელობა.

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ზემოთ ხსენებული დონეები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

სხვადასხვა ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მსგავსება და განსხვავება განპირობებულია ენების განვითარების საერთო და სპეციფიკური პირობით, რომელიც თავის მხრივ, ენის ფრაზეოლოგიურ ფონდზეც აისახება.

ფრაზეოლოგიზმების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური და აგრეთვე ეთნოლინგვისტური ფაქტორები, რომლებიც თავისებურად განსაზღვრავენ ეროვნულ ხასიათს. ა. მეიე აღნიშნავს, რომ ენის სრულყოფილად გაგება შესაძლებელია მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით.

იმისათვის რომ, თვალსაჩინო გახდეს ეროვნულობა ენის სხვადასხვა დონეზე, განსაკუთრებით ლექსიკაში და ფრაზეოლოგიაში, აუცილებელია, რაც შეიძლება ღრმად ჩავიხედოთ ხალხის ეროვნულ კულტურაში. ენაში სრულყოფილად და ადეკვატურად აისახება ერის კულტურის განვითარება. ორი სხვადასხვა ხალხის კულტურისა და ენის ურთიერთშეპირისპირებისას ვერასოდეს აღმოვაჩინოთ სრულიად ერთი და იგივე შემთხვევებს, თუმცა შესაძლოა წავაწყდეთ ნაწილობრივ დამთხვევებს, ხოლო განსხვავება ეროვნული ელემენტებისა თითოეული ენისათვის ძალიან თავისებურია.

ენისა და საზოგადოების კავშირი განპირობებულია მისი ორგანულობით, მუდმივობით და განსაზღვრული ენობრივი თავისებურებებით. მიზნად ვისახავთ აღმოვაჩინოთ ამ ორი ენის

¹ ეროვნულობის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ენობრივი ერთეულების ელემენტებს, რომლებიც გამოხატავენ არაენობრივ ფაქტებს, დამახასიათებელს ხალხის კულტურისათვის, რომელიც მოცემული ენის მატარებელია

მასხასიათებელი. კულტურაში მსავსებით და განსხვავებით ფრაზეოლოგიური ელემენტების შექმნაში.

უდავოა, რომ ენა წარმოადგენს საზოგადოების განვითარების პროდუქტს და გვიჩვენებს ხალხის კულტურის ხარისხს. ზუსტად იგივეთი განისაზღვრება ადამიანის ენის სოციალური ბუნება.

ამგვარად, ფრაზეოლოგიის უმთავრეს წყაროდ გვევლინება თავისუფალი სიტყვათშეთანხმება რომლებიც თავისთავად საზოგადოებრივი მოვლენების, ჩვევების და ა.შ. მატარებლები არიან და ხელს უწყობს ეროვნული ელემენტების წარმოჩინებას ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში.

ლიტერატურა:

1. ლებანიძე გ. კულტუროლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2004.
2. Белл Г.П. Социоллингвистика (Целы, Методы и Проблемы) Москва, 1980.
3. Arnold I.V. The English Word. High School, 1986.
4. Lacof A. Cognitive Grammar, 2003.
5. Lavinson S.C. Linguistics, 1979.

Ирма Русадзе

Проблема национального и универсального во фразеологии

Резюме

В представленной статье рассматриваются способы употребления универсалов, которые позволяют выявить психологические закономерности и установить языковое поведение.

Существование универсалий во фразеологии не может поставить под сомнение ее национальный характер, который проявляется на всех уровнях языка - фонетическом, грамматическом (морфологическом и синтаксическом), лексическом и семантическом. фразеологическая система языка насыщена реалиями, присущими тому или иному народу и передает его национальный характер. Для того, чтобы уловить отражение национального в разных уровнях языка, особенно в лексике и фразеологии, необходимо как можно глубже проникнуть в национальную культуру народа, почителя анного языка.

Связь языка и общества представляется органической, постоянной и пределенной языковыми особенностями, что со своей стороны обуславливает проникновение национального элемента во фразеологическую систему языка.

Irma Rusadze

Problems of National language elements and universals in Phrazeology

Abstract

This paper deals with the discussion of the usage of universals which help us to reveal pshycological features and language behaviour.

The existance of universals in phrazeology show us its national character, which is revealed in any aspect of the language, such as: Phonetic, grammar (morphological and syntax), lexical and sematic. The phrazeological system of the language is full of different features conditioned by the culture and history of any nation, by which

the national character of the language is expressed. To study the specification of the phraseological elements it is necessary to distinguish all types of nationality in phraseology.

In order to show the nationality on different levels of the language, especially in lexic and phraseology, it is necessary to look deeply in the national culture of people where the given language is used.

Thus, the connection between the language and public is conditioned by its constancy and it is defined by the language features which help to form the national elements in the phraseological system of the language.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე

ბივერბალური (ორშემასმენლიანი) უონსტრუქციები თანამედროვე პრესის ენაში

ბივერბალური კონსტრუქციები ხშირია პრესის ენაში. ამ ორი კომპონენტის მძიმით გათიშვა გაუმართლებელია, რადგან იგი წარმოადგენს ერთ შემასმენელს. ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქციის შემცველი წინადადების სინტაგმატური ანალიზი უნდა მოხდეს მარტივი წინადადების მსგავსად, ამგვარი შემასმენელი უნდა ისწავლებოდეს მარტივი და შედგენილი შემასმენლის პარალელურად სინტაქსის კურსში.

კილო ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა და ქართული ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის უძველესი. კილოს სამი სახეობიდან კავშირებითი გამოარჩეულია როგორც ფორმის, ისე ფუნქციის მხრივ. ძველ ქართულში იგი ასრულებდა სამივე კილოს კავშირებითის, თხრობითის, ბრძანებითის ფუნქციებს, ასევე გადმოსცემდა ახლანდელ, წარსულსა და მომავალ დროს. კილოს ფორმათა და ფუნქციათა განხილვის საფუძველზე ქართველ ენათმეცნიერთა მოსახრებებით დროისა და კილოს კატეგორიათა გაფორმება დაახლოებით ერთი პერიოდის შედეგია. კავშირებითი კილა გამოყენებული მრავლობითი რიცხვის I პირის ბრძანებითის გადმოსაცემად ქართული ენის ყველა საფეხურზე, ყველა დიალექტსა და სხვა ქართველურ ენებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება კავშირებითის ფორმები თხრობითი კილოს მყოფადის მნიშვნელობით, ასევე აღარ გამოიყენება I კავშირებითი I პირის ბრძანებითისათვის; შემორჩენილია I და III პირის ბრძანებითის ფორმებისა და სავარაუდებელი მომენტების გადმოსცემა. დასახელებული ფუნქციების გარდა, კავშირებითი კილოს მქონე ზმნის ფორმას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც თანამედროვე ქართულში საკმაოდ ფართოდ იკვლევს გზას. ეს არის კავშირებითი კილოს ზმნის ფორმისა და მოდალური ზმნების ურთიერთობის საკითხი, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ორშემასმენლიანი სინტაქსური კონსტრუქცია და ამის პარალელურად ხდება რთული ქვეწყობილი წინადადების გადაქცევა ორშემასმენლიან მარტივ წინადადებად. ეს ეხება „მინდა შევასრულო“, „ვცდილობ გავაკეთო“ ტიპის კონსტრუქციას. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მინდა შევასრულო“ ტიპის ფორმები ზმნის განსაკუთრებული სახეა, რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან,

კერძოდ, მოდალური ზმნისა და კავშირებითი კილოს ზმნური ფორმისაგან: **მინდა** ზმნა კილოს მიხედვით მართავეს ძირითადი მოქმედების გამომხატველ ფორმას, მოდალური ზმნა, თავის მხრივ, იმართვის ქვემდებარისაგან პირში და ეთანხმება რიცხვში, ხოლო ძირითადი მოქმედების გამომხატველი ზმნური ფორმა ექვემდებარება მოდალურ ზმნას, ე. ი. მოდალურ ზმნასა და კავშირებითი კილოს ზმნურ ფორმას შორის იქმნება მყარი გაუთიშავი სემანტიკური და გრამატიკული ერთობა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში სახელდებულია ბივერბალური, ანუ ორშემასმენლიანი სინტაქსური კონსტრუქციით. ამგვარი წყობის ტრანსფორმირების პროცესი ძველ ქართულში იღებს სათავეს. როგორ ჩამოყალიბდა ორზმნიანი კონსტრუქცია? წინადადებაში ჩავარდნილია კავშირი და ხდება ქვეწყობილი წინადადების გამარტივება. ამის დამადასტურებელია ცვლილებები თვით მოდალურ ზმნათა სტრუქტურაში და ცვლილებები რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქციაში. **უნდა**, **ჰლამის** ზმნები ძველ ქართულში უდლებადი ფორმებია, საშუალ ქართულში კი ისინი იძენენ მოდალური ნიუნანის გამოხატვის უნარს და კარგავენ პირიანობას, იქცევიან ნაწილაკებად. ქვეწყობილ წინადადებაში კავშირის ჩავარდნის შემდეგ იგი კიდევ უფრო დაუახლოვდა დამოკიდებული წინადადების კავშირებითი კილოს ზმნას და მასთან ხშირი ხმარებისა და შინაარსობრივი სიახლოვის გამო, კავშირებითი კილოს ზმნის უბრალო დანამატად იქცა, პირის გამოხატვა მას დააკისრა. მოდალური ზმნის ასეთი ცვლილების გარდა, გარდატეხა ხდება თვით ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურაში: მარტივი და დამოკიდებული წინადადების წევრთა გადაადგილება რთული წინადადების მარტივად გადაქცევის მაჩვენებელია. ამდენად, ორშემასმენლიანი სინტაქსური კონსტრუქციის საყრდენი ძველ ქართულში ერთქვემდებარეობის რთული ქვეწყობილი წინადადებაა, სადაც მოდალური ზმნა მთავარი წინადადების შემასმენელია, ხოლო კავშირებითი კილოს ზმნური ფორმა - დამოკიდებული წინადადებისა.

მოდალური ზმნები – **მსურს**, **მინდა**, **შემიძლია**, **ვცდილობ**, **ვლამობ**, **მნებავს**, **მწადია** გამოხატავენ სურვილს, შესაძლებლობას, ისინი კავშირებითი კილოს ფორმასთან ერთად აქტიურად გამოიყენებიან თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით პროდუქტულია პრესის ენაში.

ნიმუშები:

– **შემიძლია გითხრათ** რამდენიმე სცენარი, რომლითაც საპარლამენტო არჩევნები შეიძლება გათამაშდეს.

– **შესაძლებელია** შემდგომში პრეზიდენტად **მოველინოს** ქვეყანას.

– ძალიან **მინდა მქონდეს** დიდი კერძო სახლი.

– **გინდათ დამაჯეროთ**, რომ ეჭვიანობის სცენები არ მოგიწევიათ?

– **მსურს** მეგობრებთანაც **ვიყო**.

– **შემიძლია** იაფფასიანი ქსოვილისაგან ძვირფასი კაბა **შევიქმნა**.

– **შემიძლია** თანამშრომლები **გავათავისუფლო**, თუ სამუშაო ვერ გააკეთეს.

– ახლა ექვსი შვილი **მინდა მყავდეს**.

– **ვცდილობ** ნაკლებად **გამოვიყენო** სცენაზე მაკიაჟი.

– მე და ლუბა **ვცდილობთ** სადამომდე **მოვრჩეთ** საქმეებს და ცოტა თავისუფლები **ვიყოთ**.

საანალიზო მასალა ადასტურებს იმას, რომ მოდალურ ზმნიანი კონსტრუქცია თანამედროვე პრესის ენაში ძალზე მყარი და პერსპექტიულია, რაც მიანიშნებს ქვეწყობის მოშლაზე. სწავლების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ბივერბალური კონსტრუქციის მქონე წინადადების პუნქტუაციურ გაფორმებას. მოდალური ზმნისა და კავშირებითი კილოიანი ფორმის მიმართ გათიშვა წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით გაუმართლებელია. არასწორი გაფორმება იწვევს ამგვარი კონსტრუქციის შემცველი მარტივი წინადადების გააზრებას უკავშირო

ქვეყნობილ წინადადებად. საანალიზო მასალაში ასეთი დარღვევები ხშირია, რაც მიუთითებს ისევ და ისევ კონსტრუქციის ჩამოყალიბების პროცესზე.

ნიმუშები არასწორი გაფორმებით:

აბაშიძის ცენტრი **ცდილობს, გადაფარონ** რეალური ალტერნატივა.

ამით **ცდილობს, დაგვაზარალოს** რეალური მოწინააღმდეგეები.

ისინი **ეცდებიან, მოძებნონ** ადგილი რომელიმე ბლოკში.

– **ვისიურვები**, ასეთი მომეტებული ემოციურობა აღარ **მქონდეს**.

– **მირჩენია**, მამაკაცი ამინდზე **მესაუბროს**, ვიდრე პოლიტიკაზე.

– **მინდა**, რაღაც **შევცვალო** ჩემს ცხოვრებაში.

– **ვცდილობ**, მეგობრებთან **ვიყო**.

– **მსურს**, სიბერის ხიბლით მთლიანად **დავტკბე**.

– **მინდა**, დახლვეული **ვიყო**.

– **შემიძლია**, სკამზე **ვიუჭვიანო**.

–**ვცდილობ**, გარეგნულად **ვიყო** ისეთი, რომ მაყურებელს მუდამ გაუხარდეს ჩემი დანახვა.

– **მსურს და ვცდილობ**, ჩემი ტანსაცმელი ლამაზი **იყოს**.

– ქორწილის დღეს განაცხადეთ, რომ **გსურთ, გყავდეთ** ხუთი შვილი.

– **ვცდილობ**, ჩემი ასაკის ადამიანებთან ნაკლები ურთიერთობა **მქონდეს**.

ორგანიზატორები **ცდილობენ**, კორპუსებთან სპეციალური ურნები **დადგან**.

ბავშვი ნათლებს ჰგავს, რასაც იტყვის, **ცდილობს, გაიტანოს**.

აფხაზები **ცდილობენ, დააფიქსირონ** ის აფხაზეთი, რომელიც იქ არის.

– **ვცდილობ**, ტელეეთერში ისე **დავჯდე**, რომ ძალიან მელოტი არ გამოვჩნდე.

– თუკი **შევძლებ**, **გავაკეთო** საქმე და საზოგადოებას ანგარიში ჩავაბარო, მუშაობის გაგრძელების სურვილი მექნება.

– მარგალიტის მძივს თუ არ გავიკეთებ, **ვცდილობ**, ტანსაცმელზე მაინც **ამოვქარგო**.

– ყოველთვის **ვცდილობ, ვიყო** სექსუალური.

ამდენად, მცირე საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ ბივერბალური კონსტრუქცია მახასიათებელია და ხშირია პრესის ენაში.

თუმცა, მიგვაჩნია, სათანადო ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

1. ორშემადგენლიანი ერთქვემდებარებიანი რთული ქვეყნობილი წინადადებისაგან ჩამოყალიბდა წინადადების ახალი სახე, პირველ ნაწილს შეადგენს მოდალური ზმნა, მეორეს – კავშირებითკილოიანი ზმნური ფორმა;

2. ამგვარი კონსტრუქციის შემცველი წინადადება აგებულების მიხედვით მარტივია, ამიტომ ორი კომპონენტის მძიმით გათიშვა გაუმართლებელია;

3. ამგვარი კონსტრუქცია წარმოადგენს მარტივი წინადადების ერთ მთლიანობას, იგი შემასმენელია;

4. ბივერბალური შემასმენელი უნდა ვასწავლოთ მარტივი და შედგენილი შემასმენლის პარალელურად სინტაქსის კურსში.

ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი გ., დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თსუს-ს გამომც., თბ., 1984;
2. კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია ქართულში, 1986;
3. ნათაძე ნ., დრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში, 1985;
4. როგავა გ., აორისტიკა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, I, თბილისი, 1945;
5. შანიძე აკ., სამი მწკრივის თავისებურებები ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1945, ტ. 6, №10;
6. შანიძე აკ., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

საანალიზო მასალა

ქართული ჟურნალი „სარკე“ 2016 და 2017 წლის ყველა ნომერი.

Дафине Сванидзе

Бивариантные конструкции в современном языке прусы

Резюме

Бивариантные конструкции часто находятся в языке прессы. Прекращение этих двух компонентов неоправданно, поскольку оно представляет собой одного из сказуемого. Синтаксический анализ предложения, содержащего Бивариантную синтаксическую конструкцию, должен быть похож на простое предложение. Такое сказуемого должен преподавать в курсе синтакса.

Daphine Svanidze

Biverbal constructions in the language of Georgian press

Abstract

While learning biverbal constructions the following moments are significant. The new type of sentence with doubl-predicate construction was formed from modal verbal subjective complex sentence, the first part consists of modal verb (want, try, can, wish) and another part consists of subjunctive verbal form. There is a close connection between these two parts: subordination according to mood, person, number categories. The sentence with such kind of construction is simple according to its structure it is simple, so it is not justified to separate these two components by a comma. Such kind of a construction represents the wholeness of simple sentence, one prediacate. The syntagmatic analysis of biverbal syntactic construction should be done like a simple sentence. Biverbal prediacate must be taught together with the simple and complex prediacate in the syntax course.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მარინა ჯაცარავა, ლეილა აბზიანიძე

ქუთაისი, საქართველო

ნაშრომი განძალ დარჩების

რაფიელ შამელაშვილი იყო საკმაოდ ცნობილი მეცნიერი. იგი მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო და თავისი მეცნიერული სიტყვა თქვა. იგი გამოირჩეოდა სტუდენტებისადმი კეთილგანწყობით, ბატონ რაფიელთან ურთიერთობის დროს მახსენდება, როგორ ცდილობდა ჩემთვის მოეწოდებინა საჭირო ლიტერატურა მომავალი სადოქტორო დისერტაციის თემასთან დაკავშირებით. მისგან მოძღვნილი ნაშრომები ჩვენი სამაგიდო წიგნებია.

რაფიელ შამელაშვილის გზას ღირსეულად აგრძელებს მისი ქალიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ზეკელაშვილი, რომლის წარმატებები სიამაყის გრძნობით გვაგვსებს მის ქუთაისელ კოლეგებს.

პროფესორ რაფიელ შამელაშვილს პირველად 1963 წელს შევხვდით ჩვენი ინსტიტუტის ქართული ენის კაბინეტში. იგი ჩვენს დიდებულ ლექტორს, ქეთევან ძოწენიძეს, სტუმრობდა. ქნმა ქეთევანმა ღიმილით გვითხრა, ეს ჩვენი რაფიელ შამელაშვილია, იგი სტალინის (ახლანდელი ცხინვალის) პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობს. იმ დღიდან დაინტერესდით მისი ნაშრომებით, გავცანით მის ნამუშევრებს. იგი ხომ სტუდენტობიდანვე იყო ჩაბმული სამეცნიერო მუშაობაში. მისი ინტერესების სფერო მრავალმხრივი იყო. მან გულდასმით იკვლია ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის საკითხები.

1968 წლიდან ბ-ნი რაფიელი ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პროფესორი იყო. იგი წარმატებით კითხულობდა ლექციებს ენათმეცნიერებაში. მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდები, ყოველთვის დაინტერესებული იყო მათი წარმოჩინებით. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა აოცებს ყველას, რამდენი რამ იტვირთა თავის თავზე, რამდენ რამეს შეეჭიდა.

ქართული ენის ლექსიკოლოგია ქართველოლოგიის იმ სფეროთაგანია, რომელშიც თავისი ნიჭისა და უდიდესი შრომის კვალი დატოვა პროფ. რ. შამელაშვილმა. ლექსიკოლოგია იყო მისი მეცნიერული მოღვაწეობის არეალი. ამის დამადასტურებელია მისი ნაშრომი «თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა» (4 წიგნად).

«თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა» ნაკვეთი I ეძღვნება ქართული ენის ლექსიკის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ქართული ლექსიკის გამდიდრების საშუალებანი,

სამწერლობო ენის ლექსიკის სარეზერვო ფონდი, თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა, საბჭოური ტოპონიმები ქართულ ლექსიკაში.

I ნაკვეთში ნაჩვენებია, თუ რა ცვლილებები მოხდა ქართულში, კერძოდ, როგორ განვითარდა და გამდიდრდა ქართული ენის ლექსიკა, როგორ დამკვიდრდა ახალი ყოფის გამომხატველი სიტყვები.

ამ ნაშრომის უპირველესი ღირებულება ისაა, რომ რ. შამელაშვილი საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს ქართული ლექსიკის გამდიდრების საშუალებებზე. მეტად საინტერესოა მეცნიერის დაკვირვება აფიქსაციაზე, კომპოზიციაზე, სიტყვის მნიშვნელობის ცვლაზე. „თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა“ (I ნაკვეთი) განსაკუთრებით საყურადღებოა იმითაც, რომ წარმოდგენილია ლექსიკოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (1927-1970 წწ.).

„თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის“ II ნაკვეთში განხილულია თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის აქტუალური საკითხები, გაანალიზებულია კაპიტალური ლექსიკოლოგიური შრომები: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ინვერსიული ლექსიკონი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი.

გამოჩენილი ქართველი მწერლების - მ. ჯავახიშვილის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, დეო ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის - როლი ქართული ლექსიკის განვითარებაში.

რაფიელ შამელაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ განმარტებით ლექსიკონში უკუფენილია ქართული ენის სიმდიდრე და მისი მეშვეობით ნაჩვენები მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონე. იგი მართებულად მიუთითებს, რომ ამ ლექსიკონის შედგენის პრინციპები და მნიშვნელობა სცილდება ქართული ენის ფარგლებს და გარკვეულ ადგილს იჭერს ზოგადი ფილოლოგიის საგანძურში. ამასთან, გამოთქმული აქვს სასარგებლო შენიშვნებიც.

შესანიშნავია ამავე ნაკვეთში რ. შამელაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები „ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონის“ და „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შესახებ.

დიდად საგულისხმოა ამ ნაკვეთში წარმოდგენილი რ. შამელაშვილის რეცენზია ალ. დლონტის წიგნზე „ქართული ლექსიკოლოგია“, რომელსაც ავტორმა უწოდა „განმაზოგადებელი მონოგრაფია ლექსიკოლოგიაში“. რ. შამელაშვილი დაწვრილებით იხილავს ალ. დლონტის სოლიდური ნაშრომის თითოეულ თავში წარმოდგენილ საკითხებს: ლექსიკის რაობას, სიტყვის რაობას, ტერმინს, ადამიანთა გვარებსა და ადგილის სახელწოდებებს. რ. შამელაშვილი განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას ნაშრომის მესამე თავზე, რომელშიც წარმოდგენილ საკითხებს მასალის ყოველმხრივი ანალიზითა და დასმული პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის, ხალხის, ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის.

ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის III ნაკვეთი ეძღვნება ქართული ლექსიკის განუყოფელ ნაწილს – ანტონიმებს. ანტონიმების შესწავლას პროფ. რ. შამელაშვილმა დიდი დრო დაუთმო, შეისწავლა ამ საკითხზე არსებული სპეციალური საენათმეცნიერო და ფილოსოფიური ლიტერატურა როგორც ქართულ და რუსულ, ისე უცხოურ ენებზე; ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებიდან და სხვა ხასიათის ნაწარმოებებიდან ამოიწერა სათანადო საილუსტრაციო მასალა. ნაშრომში გარკვეულია ანტონიმთა რაობა, მსჯელობა მისი როლის შესახებ ენის ლექსიკურ სისტემაში. დაპარაკია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ანტონიმებისა და ანტითეზის ურთიერთმიმართება.

დიდად საგულისხმოა რ. შამელაშვილის დასკვნები ანტონიმების შესახებ ძველ ქართულში. ავტორი ასკვნის, რომ ანტონიმები ძველი ქართული ენის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენს, არ არის ისეთი ძველი ძველ ქართულ ენაში, ანტონიმთა მაგალითები რომ არ იყოს.

რ. შამელაშვილი, როგორც დაკვირვებული მეცნიერი, მიიჩნევს, რომ ყოველი ანტითეზა როდი წარმოადგენს ანტონიმს, ანტითეზისათვის ნომინატიური მნიშვნელობით ორი სიტყვის დაპირისპირება თითქმის არაა აუცილებელი. დაპირისპირება აქ ხშირად ენობრივი კი არაა, არამედ უაღრესად ინდივიდუალური, რაც დამოკიდებულია მოქმელსა თუ მწერალზე, რომელიც

ცდილობს ყველაზე ნათლად და გასაგებად გამოხატოს მთავარი – ანტონიმების ანტიოეზასთან ურთიერთობის შესახებ. ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული ანტონიმებისა და ანტიოეზის ურთიერთმიმართების საკითხი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მას მიაჩნდა, რომ ენაში ანტონიმების არსებითი როლის მიუხედავად, ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროფ. რ. შამელაშვილი ამ ნაშრომით შეეცადა ეს ნაკლი გამოესწორებინა. მან გამომწვლილვით განიხილა ანტონიმების სტრუქტურული კლასიფიკაცია, წარმოების ზოგი თავისებურება, მისი დანიშნულება მხატვრულ ნაწარმოებში, კერძოდ, მან გულდასმით შეისწავლა ანტონიმები შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ქართული ლიტერატურის გვირგვინი «ვეფხისტყაოსანი» მუდამ ექცეოდა ფილოლოგიური მეცნიერების ყურადღების ცენტრში. რ. შამელაშვილმა მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, როცა რუსთაველოლოგიურ ნაშრომებს შემატა ეს კვლევა, რომლითაც წარმოაჩინა, რომ ანტონიმები „ვეფხისტყაოსანში“ ძლიერი სტილისტიკური საშუალებაა, გამოიყენება კონტრასტების გადმოსაცემად და მეტი სინათლე შეაქვს მხატვრული ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში.

„თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის“ IV ნაკვეთი უაღრესად საინტერესოა. ეს ნაწილი ვრცელი და მეცნიერული ღირებულების შემცველია. აქ მოცემულია სინონიმთა რაობა, მათი წარმოშობა-წარმოქმნის ისტორია, მნიშვნელობა ზეპირი და წერიტი მეტყველებისათვის, დახასიათებელია სინონიმთა შინაარსობრივი ჯგუფები, აბსოლუტური და რელატიური სინონიმები. მსჯელობა იმის შესახებაც, თუ როგორაა წარმოდგენილი ლექსიკის ეს ფენა ძველ ქართულში.

სინონიმთა პრობლემა ერთ-ერთი რთული და საინტერესო საკითხია ენათმეცნიერებასა და სტილისტიკაში. ლექსიკაში სინონიმთა სიმდიდრე ენის სიმდიდრისა და მოქნილობის პირდაპირპროპორციულია.

ნაშრომში წარმოდგენილია სინონიმების შესწავლის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც კარგად ჩანს რ. შამელაშვილის ნაშრომში. აქ გათვალისწინებულია სპეციალური ლიტერატურის მონაცემებიც და ავტორის პირადი დაკვირვებებიც. ნაშრომის მნიშვნელობა უდავოა. მას დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

„თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა“ (I ნაკვეთი) ფუნდამენტურ საკითხთა დაყენების მნიშვნელობით, კვლევის პოზიტიური შედეგებით თანამედროვე ქართული ფილოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

რაფიელ შამელაშვილი იყო საკმაოდ ცნობილი მეცნიერი. იგი მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო და თავისი მეცნიერული სიტყვა თქვა.

იგი გამოირჩეოდა სტუდენტებისადმი კეთილგანწყობით, ბატონ რაფიელთან ურთიერთობის დროს გვახსენდება, როგორ ცდილობდა ჩვენთვის მოეწოდებინა საჭირო ლიტერატურა მომავალი სადოქტორო დისერტაციის თემასთან დაკავშირებით. მისგან მოძღვნილი ნაშრომები ჩვენი სამაგიდო წიგნებია.

რაფიელ შამელაშვილის გზას ღირსეულად აგრძელებს მისი ქალიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსუდან ზეკალაშვილი, რომლის წარმატებები სიამაყის გრძნობით გვაავსებს მის ქუთაისელ კოლეგებს.

Марина Кацарова, Лейла Абзианидзе
Вклад Рафаэля Шамелашвили в грузинскую науку

Резюме

Рафаэль Шамелашвили был известным ученым. Он затронул множество интересных вопросов в области языкознания и внес весомый вклад в отечественную науку. Он отличался доброжелательностью в отношении студентов. Вспоминаю, как при общении с нами он старался как можно глубже ознакомить меня с нужной научной литературой в связи с моей будущей докторской диссертацией. Написанные им труды являются нашими настольными книгами.

Marina Katsarava, Leila Abzianidze
Scientific work – the most valuable treasure

Abstract

Rapiel Shamelashvili was a well-known scientist. He discussed various interesting issues and expressed his views on different points. He always regarded students with favour and tried to help them. He provided me with all the necessary books to write the doctoral dissertation. His works are of great value.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ნუნუ ჩარქვიანი, სოფიო ყიფიანი, ნათია ჯიქია

ქუთაისი, საქართველო

საგაზეთო-ინფორმაციული ტექსტის თარგმანთან
დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

თარგმნის თეორიის მეცნიერულ საფუძველზე მუშაობა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როდესაც მთარგმნელობითმა პრობლემამ ენათმეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ამ დრომდე ითვლებოდა, რომ თარგმანი არანაირად არ განეკუთვნებოდა იმ საკითხთა ნუსხას, რომელსაც ლინგვისტური მეცნიერება სწავლობდა (კომისაროვი 1990, 16). თარგმანის პირველი თეორეტიკოსები სწორედ მთარგმნელები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ მოეხდინათ საკუთარი და კოლეგების გამოცდილების განზოგადება.

თარგმანი კულტურათა შეხვედრის, ენათა ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია „თარგმანში ენები ერთმანეთს უკავშირდება, თარგმნის დროს ორი ენა ერთმანეთს ეხება, მთარგმნელი კი გამტარია, რომელიც არაბუნებრივად დიდ ძაბვას უძლებს“ [ტაველიძე 2010:17].

გლობალიზაციამ თარგმანი სამეცნიერო, ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გახადა. ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორებში, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, თარგმნის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. დოკუმენტები და საინფორმაციო ტექსტები სხვადასხვა ენებზე უფრო ჩქარა ითარგმნება. მთარგმნელს ევალება, გამოხატოს აზრი ყოველგვარი ფორმის მიმსგავსების გარეშე. მან უნდა მოძებნოს ისეთი ეკვივალენტი, რომელიც გასაგებს გახდის სათარგმნი ტექსტის არსს მათთვის, ვისაც მხოლოდ თარგმანის იმედი აქვთ.

ორი ტიპის თარგმანის სახეობა არსებობს, რაც განპირობებულია გადასათარგმნი ტექსტის თვისებებითა და თარგმნის პროცესში მთარგმნელის სამეტყველო აქტივობის ხასიათით. პირველი კლასიფიკაცია უკავშირდება ორიგინალის ჟანრობრივ-სტილისტურ თავისებურებებს, მეორე – სამეტყველო მოქმედების ფსიქოლინგვისტური თვისებებს ზეპირი და წერილი ფორმით.

ორიგინალის ჟანრობრივ-სტილისტური თვისებების გათვალისწინებით გამოიყოფა თარგმნის 2 ფუნქციური სახეობა: მხატვრული და ინფორმაციული. მხატვრულ თარგმანს ვუწოდებთ მხატვრული ლიტერატურის თარგმანს. მხატვრულ ტექსტში სიტყვა პოლისემანტიკური, ანუ მრავალმნიშვნელოვანია და შესაბამისად, საქმე გვაქვს მხატვრულ სახეობთან; არამხატვრულ ტექსტში კი სიტყვა მონოსემანტიკურია, ერთმნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ საქმე გვაქვს ცნებებთან, ტერმინებთან. სწორედ ეს ასპექტი განასხვავებს ამ სახის თარგმანს მხატვრული ხასიათის ტექსტის თარგმანისგან, რადგან არამხატვრული ტექსტი სინონიმისა და გამორიცხავს [კოტეტიშვილი 2004: 9].

ინფორმაციული თარგმანი ისეთი ტექსტის თარგმანია, რომლის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს მკითხველისათვის მონაცემების შეტყობინებაში და არა მისი ესთეტიკური ზეგავლენის მოხდენაში. ასეთი ტექსტების რიცხვს მიეკუთვნება მეცნიერული, საქმიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ყოფითი და ა.შ. არ გამოერიცხავთ მხატვრულ თარგმანში გარკვეული ინფორმაციული ხასიათის ნაწარმოებს ან პირიქით არამხატვრულ ტერმინებში მხატვრული თარგმანის ელემენტების არსებობას [კომისაროვი 1990, 95].

გამოიყოფა სამეცნიერო-ტექნიკური და საგაზეთო-ინფორმაციული სტილი. სამეცნიერო-ტექნიკური სტილისთვის აუცილებელია განისაზღვროს სამეცნიერო-ტექნიკური მასალისათვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები. წამყვან როლს აქ ტერმინოლოგია და სპეციალური ლექსიკა ასრულებს. საგაზეთო-ინფორმაციული სტილისათვის მთავარია პოლიტიკური ტერმინოლოგია, სახელები და სახელწოდებები, დასათაურების თარგმნის წესები, საგაზეთო კლიშეს ფართო გამოყენება, სასაუბრო სტილის ელემენტებისა და ჟარგონების არსებობა. თითოეული ენა თავისებური მახასიათებლებით გამოირჩევა დასახელებული ხასიათის ტექსტის თარგმნისას.

საგაზეთო-ინფორმაციული სტილი ტერმინების გამოყენების ძირითადი მახასიათებლებით წააგავს სამეცნიერო-ტექნიკურ სტილს, თუმცა პოლიტიკური ტერმინოლოგიის გამოყენება საგაზეთო-ინფორმაციული სტილის ტექსტებში ნაკლებ სიმკაცრეს მოითხოვს. ამ სფეროში ვხვდებით მრავალმნიშვნელოვან ტერმინებს, ტერმინ-სინონიმებს, შემოკლებულ ტერმინებს და სახელწოდებებს.

აღნიშნული სტატის მიზანია დაასახელოს ინგლისურენოვანი საგაზეთო-ინფორმაციული ტექსტის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები და განიხილოს მათი გადმოცემის გზები და საშუალებები ქართულ ენაში. ამ სტილის ტექსტის თარგმნის ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის ის საერთაშორისო ლექსიკა და ტერმინთა სისტემა, რაც საგონებელში აგდებს ზოგჯერ გამოცდილ მთარგმნელსაც კი, რომელიც საფუძვლიანად არ იცნობს ინგლისური ენის თანამედროვე ტერმინთა, სიტყვათშეთანხმებათა და შემოკლებათა არსს.

საზოგადოდ, არ არსებობს ენა, რომელშიც არ იყოს ნასესხები სიტყვები. ეს ფაქტია და არა ღირსება. ენა თვითონ აწესებს ნორმებს, იქმნის ე.წ. იმუნიტეტს, რომლითაც იგი ფილტრავს სხვა ენის ერთეულს. ენა თვითონ შეიმუშავებს კვლევის იმ ხერხებს, რომელთა საშუალებით, იგი არა ყოველ და არა ნებისმიერი ფორმით იღებს სიტყვას, თუმცა საგაზეთო-ინფორმაციული ტექსტის თარგმნისას მთარგმნელს უჭირს სიტყვის ან გამოთქმის ზუსტი შესატყვისის პოვნა და ცდილობს "თავისი" სიტყვით ახსნას ის. ეს კი პირდაპირ უპირისპირდება ჩვენ მიერ აღნიშნული სტილის ფუნქციას, ლაკონურად გამოხატოს ის აზრი, რომელიც ავტორმა გადმოსცა. ინგლისური ენიდან თარგმნა მოითხოვს იმ მრავალმნიშვნელოვანი ტერმინების, ტერმინ-სინონიმების, შემოკლებული ტერმინებისა და სახელწოდებების ცოდნას, რომელმაც უკვე მთელი მსოფლიო მოიცვა.

ტერმინი "state" – აშშ-ს პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში შეიძლება აღნიშნავდეს "სახელმწიფოსაც" და "შტატსაც". Both the state (შტატი) and federal authorities are bent on establishing a police state (სახელმწიფო).

ერთსა და იმავე დროს ტერმინმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა იმისდა მიხედვით რა იდეური მიმართება აქვს იმ ტექსტს, სადაც იგია გამოყენებული. ტერმინი "idealism" ორი მნიშვნელობით იხმარება, ერთი – ფილოსოფიური ცნებაა მატერიალიზმის ოპოზიტი, ხოლო მეორეს დადებითი შეფასების კრიტერიუმის გაგება აქვს. სიტყვა "იდეალური", ორივე ენაში "მაღალი იდეალების ან პრინციპების მსახურებას" ნიშნავს.

საგაზეთო-საინფორმაციო სტილში სახელები და სახელწოდებები გამოიყენება ამ

სტილისთვის დამახასიათებელი ენის ეკონომიურობის სანიმუშოდ. მაგ: Piccadilly Circus – ნიშნავს მოედანს, a Columbia Pictures – კინოკომპანიას. ასეთებია პარტიების, პროფკავშირების და სხვადასხვა ორგანიზაციების სახელწოდებები. "Congressman" – შეიძლება ჰქონდეს უფრო ფართო მნიშვნელობა "ამერიკის კონგრესის წევრი" ან უფრო ვიწრო მნიშვნელობა – "წარმომადგენელთა პალატის წევრი".

მაგ: Last year a number of American Senators and congressman visited Mexico (იგულისხმება მისი ვიწრო გაგება - representatives)

ქართული სიტყვა "წესდება", რაც სხვადასხვა ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამაა, ინგლისურად გვხვდება შემდეგი სიტყვებით "Regulations, Constitution, Statutes, Charter". ფართოდ გავრცელებული ტერმინები ტექსტში ხშირად შემოკლებული ფორმით გვხვდება.

Youth is also virtually excluded from Congress the average age of members of the Senate being 56 years and of the House 51 years.

ამ წინადადებაში სიტყვა House – მოცემულია სრული ტერმინის the House of Representatives – ნაცვლად.

ინგლისურში სიტყვა auditorium – აუდიტორია, არ იხმარება ლექსების ჩასატარებელი ადგილის მნიშვნელობით. ამის სანაცვლოდ გვხვდება classroom, audience - ქართულად გულისხმობს მაყურებელს, მსმენელს, მაყურებლის აუდიტორიას.

განვიხილოთ შემდგომი მაგალითები:

1. როცა ასეთი საპატიო სტუმრების წინაშე გიწევს დგომა სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

I really did not expect to feel so nervous when you are making a speech in front of such an honorable audience there is no other alternative.

პირველი წინადადება მთლიანად გამოტოვებულია, სიტყვა "სტუმრები" ინგლისურში გადმოვიდა "audience", ხოლო სიტყვა "ალტერნატივა" დარჩა იგივე, როცა შეიძლებოდა გექონოდა "არჩევანი".

2. მკაცრ მაყურებელსაც კი არ რჩებოდა კრიტიკული აზრის დაბადებისათვის დრო.

Demanding audience had no time to have critical opinions.

აქ "audience" ითარგმნა როგორც "მაყურებელი".

საინტერესო ფაქტია ის, რომ საგაზეთო-ინფორმაციული სტილისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი წიგნიერი ლექსიკის გვერდით ფართოდ გამოიყენება სასაუბრო და პოეტური სიტყვა და სიტყვათშეთანხმება. ფრაზეოლოგიის მაგალითს ვხვდებით ინგლისური გაზეთის "The Guardian Weekly"-ის ფურცლებზე.

We will bring them to their knees and give them all the necessary response. (1. დავანოქებთ, 2. გავცემთ საჭირო პასუხს)

ინგლისურენოვან საგაზეთო-ინფორმაციული სტილის მასალებში აღინიშნება ტექსტის სინტაქსური ორგანიზაციის ზოგიერთი თავისებურება.

1. რამდენიმე მოკლე შეტყობინების გაერთიანება რთული სტრუქტურის წინადადებაში;

2. ტექსტის მაქსიმალური დაყოფა აბზაცებად, სადაც ყველა წინადადება იწყება ახალი სტრიქონით;

3. ტექსტის კორპუსში ქვესათაურების სიმრავლე მკითხველს ინტერესის ასამაღლებლად;

4. მრავალრიცხოვანი ატრიბუტიანი (განსაზღვრებიანი) ჯგუფის ხშირი გამოყენება;

5. საგაზეთო სათაურების ლექსიკურ-გრამატიკული სპეციფიკა.

საგაზეთო სათაურებში ვხვდებით ცალკეულ სიტყვებს, რომლებიც ითვლება "სათაურთა ჟარგონებად" ban, bid, claim, crack და სხვა. ამ სიტყვათა თავისებურება მხოლოდ მათ ხშირ გამოყენებაში კი არ მდგომარეობს, არამედ გასათვალისწინებელია მათი სემანტიკის უნივერსალური თვისება. სიტყვა "pact" არა მხოლოდ "პაქტია", არამედ "მოლაპარაკება, შეთანხმება" და ა.შ. ზმნა "hit" შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი კრიტიკული გამოსვლის აღსანიშნავად. სიტყვა "bid" გულისხმობს "მოწოდებასაც" და "მოწვევასაც" და ასევე "ცდას მიადწიო განსაზღვრულ მიზანს". მაგ: South Pacific islands ban junk food.

ინგლისური საგაზეთო სათაურები ხასიათდებიან რიგი გრამატიკული თავისებურებებით, რაც ქართულად თარგმნისას საჭიროებს ყურადღების მობილიზებას მთარგმნელის მხრიდან. სათაურებში შეიმჩნევა ზმნის სისშირე. მაგ: Floods Hit Scotland (წყალდიდობა მოტლანდიაში), თუმცა Exports to Russia are rising (რუსეთის ექსპორტი იზრდება), გვხვდება წინადადება უქვემდებაროდ. მაგ: Hires teenagers as scabs (მოზარდთა გამოყენება შტრაიკბრესტებად). საყურადღებოა ასევე ზმნის გრამატიკული დროის გამოყენების თავისებურება, ძირითადად არაპერფექტული დროებია გამოყენებული სათაურებში. ჭარსული დრო აწმყოთი გადმოდის, რაც ტექსტს აახლოებს მკითხველთან, თითქოს ხდის მას ამ მოვლენის მონაწილედ. Past Indefinite-ს დაფიქსირებულ დროსთან ვხმარობთ, მაგრამ ინგლისურენოვან სათაურში შეიძლება იგი გადმოცეს არსებითმა სახელმა:

დიდი ბრიტანეთიდან ქუთაისს საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ.

Return visits from Great Britain to Kutaisi.

მომავალი დროის გამოსახატავად ინგლისურ სათაურში მხოლოდ ინფინიტივს ხმარობენ. ვნებითი გვარის შემთხვევაში კი მხოლოდ წარსული დროის მიმღეობა რჩება დამხმარე ზმნის გარეშე. Ambassador killed in Brazil. რაც შეეხება ქართულ ვარიანტს ხშირად ვნებითის ნაცვლად მოქმედებითი გვარი გამოიყენება:

პარიზში მსოფლიოს დამეგობრებულ ქალაქთა ასამბლეამ ქუთაისსა და ნიუპორტს შორის ურთიერთობა დამეგობრებულ ქალაქთა შორის მეგობრობის საერთაშორისო მოდელად აღიარა. (მოქმედებითი გვარი).

In Paris the friendship between Kutaisi and Newport was recognized as an international model of twinning by the Assembly of World Sister Cities. (ვნებითი გვარი)

ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო სტილის ტექსტისათვის დამახასიათებელია ნომინალური კონსტრუქციის არსებობა, რაც უცხო სიტყვათა წყობაა სხვა სფეროს ტექსტისაგან, გარდა სამეცნიერო-ტექნიკურისა. არსებითი სახელის წინ მდგომი განსაზღვრებები და მიმღეობები გამოდინან, როგორც არსებით სახელთან არსებული წინდებულები, ისინი თითქოს ბირთვის დაშლის შედეგად მიღებულ ნაწილაკებს წარმოადგენენ. ეს კი ენის ეკონომიურობის მაჩვენებელია. მაგ:

The Trump – Putin call. (ტრამპისა და პუტინის სატელეფო საუბარი)

Mattis's bridge-building mission gets help from Washington. (შემაკავშირებელი)

ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას თარგმანის სპეციალური თეორია, სადაც დიდი ყურადღება ექცევა ამა თუ იმ ენის სპეციფიკას იმ მიზნით, რომ მივიღოთ ექვივალენტური თარგმანი. თუკი რაიმე სპეციფიკური დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ენისათვის და მეორე ენაში არ გვაქვს, მათი თარგმნისას ხდება ერთგვარი სტილისტური ადაპტაცია. ორიგინალში გადმოსცემული სპეციფიკური საშუალებები იცვლება იმ ენობრივი საშუალებებით, რომელიც საჭიროა მეორე ენის მოცემული სტილის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ინგლისურენოვანი მოკლე წინადადებები ხშირად ქართულში გვაძლევენ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს.

ინგლისურ საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტებში ხშირია ემოციურ-სტილისტური ელემენტების გამოყენება, თუმცა ქართულში ხდება მათი გამოტოვება (dramatic, successful, excellent).

მაგ: They can dramatically lower production costs and help make better products. (მათ შეუძლიათ დასწიონ პროდუქციის ღირებულება)

საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტები ორივე ენაში იყენებენ მრავალფეროვან ფრაზებს, რომლებიც ინფორმაციის წყაროს აფიქსირებენ. ინგლისურ ტექსტში გვაქვს: It is reported, it is claimed, our correspondent reports from, according to well-informed sources და სხვა. ქართულში გვხვდება: თანახმად, აზრით, გადმოცემით, თქმით. მაგ:

Since 2009 per capital spending on public health has been cut by nearly a third.... according to the organization for Economic Cooperation and Development.

In state demonstration has created a divide between the rich and poor – he says.

დამსაქმებლის აზრით, ცოდნის გარდა მნიშვნელოვანია

კვლევების თანახმად, მცენარე დადებით გავლენას ახდენს

საგაზეთო-საინფორმაციო სტილის შედარებამ ინგლისურსა და ქართულ ენებში მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. ორენოვანი ბუკლეტების შედარებისას ქართული ენა იყენებს თარგმანის თეორიისათვის დამახასიათებელ ყველა წესს;

2. ორივე შესადარებელ ენაში გვხვდება ამ სტილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ელემენტები, რაც გამოხატულებას პოულობს: ტექსტის ლექსიკასა და გრამატიკაში, ტერმინოლოგიასა და ფრაზებში;

3. ინგლისურენოვანი გაზეთის, საინფორმაციო ბუკლეტისა და ჟურნალების ტექსტები თუ რეკლამები დიდად განსხვავდება ქართულ ენაზე გადმოცემული შესაბამისი მასალისაგან, როგორც ფორმით ასევე შინაარსით;

4. ინგლისურენოვანი ტექსტების სათაურს თან ახლავს ქვესათაური, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს აღძრავს მკითხველში;

5. ინგლისური ენის ანალიტიკური ბუნება ჩანს მრავალატრიბუტიანი არსებითი სახელების ხმარებისას, ზმნის უპირო ფორმების გამოყენებისას, როდესაც ქართულში დამოკიდებული წინადადებები გვხვდება;

6. საგაზეთო-ინფორმაციული სტილისთვის დამახასიათებელი ზმნის ვნებითი გვარი უფრო მკვეთრად ჩანს ინგლისურ ენაში;

7. სათაურში შეინიშნება დიდი მრავალფეროვნება ორივე ენაში, განსაკუთრებით გრამატიკული დროის გამოყენებით;

8. მთარგმნელისაგან დიდ ძალისხმევასა და ცოდნას მოითხოვს ტერმინოლოგიის საკითხი, რაც ჯერ კიდევ პრობლემურია;

9. სასაუბრო ელემენტები და ემოციური შესატყვისები გვხვდება ორივე ენაში;

10. ინფორმაციის წყაროს დაფიქსირებისას ორივე ენა თითქმის ერთნაირ ფრაზებს იყენებს, თუმცა ინგლისური ენისათვის დამახასიათებელია მისი გამოყენება გამონათქვამის ბოლოში.

ლიტერატურა:

1. კილანავა მ., უახლესი (2010-2013) პერიოდის ქართული მასმედიის ენობრივი სურათი და მასთან დაკავშირებული თარგმნის პრობლემები, საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (დისერტაცია), თბილისი, 2014
2. კოტეტიშვილი ვ., აღმოსავლურ-დასავლური დივანი, 2004
3. ტაველიძე თ., ქართული მწერლობა, დეკემბერი, #12, თბილისი, 2012
4. Комисаров В. Н., Теория перевода (Лингвистические Аспекты) М., Высшая Школа, 1990

გამოყენებული ჟურნალ-გაზეთები:

1. ქუთაისი და ნიუპორტი – მეგობრობის ფესტივალი;
2. კვირის პალიტრა;
3. The Guardian Weekly;
4. The world of constant connection (მუდმივი კავშირის სამყარო), 2006, 2010, 2013, 2014, 2015.

Нуну Чарквиани, Софио Кипиани, Натиа Джикиа

**Некоторые проблемы в переводе газетно-содержательных текстов
(по материалам на английском и грузинском языках)**

Резюме

В статье рассматриваются существенные вопросы перевода газетно-содержательных текстов на языках разных систем. Анализируя двуязычные буклеты, английские и грузинские газеты помогли нам изложить различия и сходство в переводе с грузинского на английский, а также на то, чтобы быть экономическим языком. Английский язык позволяет кратко излагать информацию, в то время как грузинский язык использует соответствующие языковые средства для адекватного перевода.

Оба исходных языка следуют необходимым правилам перевода, чтобы получить хорошие результаты в этой области.

Nunu Charkviani, Sopio Kipiani, Natia Jikia

**Some problematic issues in translation of newspaper-informative texts
(According to the English and Georgian materials)**

Abstract

The article deals with substantial questions in translation of newspaper-informative texts in the languages of different systems. Analyzing bilingual booklets, English and Georgian newspapers helped us to state differences and similarities in translation from Georgian into English and vs. Being an economic language English manages to deliver information in brief while Georgian uses its appropriate language means to do adequate translation.

Both source languages follow necessary translation rules to get good results in this field.

რეცენზენტი: პროფესორი ი. გომხეთელიანი

ორხელმძღვანელიანი კაუზატივები ქართულში

კაუზაცია განიხილება, როგორც ზმნის ვალენტობის მატების ოპერაცია, რომელსაც საბაზისო კონსტრუქციაში შემოჰყავს ახალი აქტანტი – სუბიექტი, რომელიც ფუნქციურად კაუზატორია (მოქმედების ხელმძღვანელი), რის საფუძველზეც საბაზისო კონსტრუქციის სუბიექტი გარდაიქმნება ობიექტად. ქართულში ზმნის გაკაუზატივება, ანუ აღნიშნული სინტაქსური ოპერაციის ჩატარება, შესაძლებელია ერთხელ ან ორჯერ.

საზოგადოდ, ზმნის გაკაუზატივებისას, ანუ კონსტრუქციაში კაუზატორი სუბიექტის შემოყვანისას, აქტანტები ინარჩუნებენ თავიანთ ფუნქციას. შესაბამისად, თუ ამოსავალი პირველადი კაუზატივი იწყობს კაუზატორ სუბიექტსა და აგენს პირდაპირ ობიექტს, კონსტრუქციაში ახალი კაუზატორი სუბიექტის შემოყვანისას ვიღებთ კაუზატიურ კონსტრუქციას ორი კაუზატორით, ანუ ორი ხელმძღვანელი აქტანტით: **მოდღვარმა** (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) კაცი (O^d – აგენსი) ქრისტიანობაზე მოაქცია > **ეპისკოპოსმა** (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) **მოდღვარს** (O^{ind} – კაუზირებული//ხელმძღვანელი //კაუზატორი) კაცი (O^d – აგენსი) ქრისტიანობაზე მოაქცევინა.

კაუზატივი (causa) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მიზეზს“. კაუზატივი ქართულად ითარგმნება, როგორც „მიზეზობით“. ტერმინიდან გამომდინარე, კაუზატივი გვიჩვენებს გრამატიკული სუბიექტის მიზეზით (იძულებით, ბრძანებით, დავალებით, თხოვნით...) განპირობებულ ობიექტის (პირდაპირის ან ირიბის) მოქმედებას (მაგ.: კაცი **მუშას** ამუშავებს, მასწავლებელი **მოსწავლეს** დავალებას აწერინებს) ან სუბიექტისა და ობიექტის ერთობლივ მოქმედებას (მაგ.: **ვაჟი ქალს** აცეკვებს).

კაუზატიური ფუნქცია სემანტიკური უნივერსალია, რომელიც ყოველ კონკრეტულ ენაში სხვადასხვა საშუალებით გამოიხატება. კაუზატივი მთელ რიგ ინდოევროპულ თუ სხვა ტიპის ენებში არ წარმოადგენს მორფოლოგიურ კატეგორიას და გამოიხატება ლექსიკურად ან პერიფრასტული მოდვლებით. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, ინგლისურში, გერმანულში, რუსულში, ძველ ბერძნულში, ლათინურში... ქართული ენა საშუალებას იძლევა კაუზატიური ფუნქცია გამოიხატოს როგორც მორფოლოგიურად (მაგ.: აწერ-ინ-ებს, აკვლ-ევინ-ებს...), ისე პერიფრასტულად (მაგ.: დამარხვად სცა (ძვ. ქართ.), უბრძანა დაწერა, სთხოვა მოყვანა...) ან ლექსიკურად (//სემანტიკურად, მაგ.: გაგზავნა, ამუშავებს...).

დამკვიდრებული თვალსაზრისით, ქართულში გამოიყოფა კაუზაციის პირველი და მეორე საფეხურები, ანუ პირველადი და მეორეული კაუზატივები. პირველადი კაუზატივები იწარმოება გარდაუვალ ზმნათაგან (კერძოდ, მედიალურ ზმნათაგან და უნიშნო ვნებითათაგან) და სახელურ ფუძეთაგან (წუხს > აწუხებს, ხმება > ახმობს, თეთრი > ათეთრებს...) ხოლო მათი ხელახალი გაკაუზატივებით კაუზაციის მეორე საფეხურზე ვიღებთ მეორეულ კაუზატივებს (აწუხებს > აწუხებ-ინ-ებს, ახმობს > ახმობ-ინ-ებს, ათეთრებს > ათეთრებ-ინ-ებს...) [მაჭავარიანი, 1988:62; თაყაიშვილი 1974:5; გივინეიშვილი 1981:66; დამენია, 1982:110 და სხვ.]. მეორეულ კაუზატივებში ერთიანდება აგრეთვე, ზოგადად, გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოები კაუზატივებიც (წერს > აწერ-ინ-ებს, კლავს > აკვლ-ევინ-ებს...)¹ მართალია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კაუზაციის პირველ საფეხურთან, მაგრამ, ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით, „აწუხებ-ინ-ებს“ და „აწერ-ინ-ებს“ ტიპის ზმნები ერთ ჯგუფში ერთიანდება.

მეორეულ კაუზატივებში გამოყოფილი სუფიქსები მასალობრივ, ფორმობრივ, იგივეა, რაც პირველადი კაუზატივების მაწარმოებელი სუფიქსები. ფაქტობრივ, ზმნის გაკაუზატივებაში მონაწილეობს ორი სუფიქსი: **-ენ** და **-ევ**. რომლებიც აბლაუტის სხვადასხვა სახეობით შეიძლება იქნენ წარმოდგენილი: სრული: **-ენ**, **-ევ** (წარავლ-ენ-ს, მოაქც-ევ-ს, ათქუმ-ევ-ს (ძვ. ქართ.)), ან რედუქციის: **-ინ**, **-ივ** (წარავლ-ინ-ა, მოაქც-ი(ვ)-ა, აწერ-ინ-ებს, ათქუმ-ი(ვ)-ა (ძვ. ქართ.)).

ჩვენი აზრით, ქართულში ფუნქციითაც და მორფოლოგიური გაფორმებითაც კაუზატიური ფორმებია მხოლოდ მეორეული კაუზატივები, ანუ შუალაობითი კონტაქტის ფორმები [შანიძე, 1980:358; იმნაიშვილი 1970:111; გეურქოვი, 1969:241; ჯორბენაძე, 1975:97; ჯორბენაძე, 1983:131; ქირია, 1989:12; იმნაიშვილი, 1996:461; ონიანი, 1998:250; ციხელაშვილი, 1999:20...]. ამ ტიპის ზმნებში, რომლებიც ყოველთვის სამავალენტიანია, მოქმედების ფაქტობრივ შემსრულებელს, ანუ აგენსს (ა. შანიძის მიხედვით, ეგ ზეკუტორს [შანიძე, 1980:358]), წარმოადგენს ირიბი ობიექტი, რომელიც პირდაპირ ობიექტზე მოქმედებს სუბიექტის ინიციატივით (აწერ-ინ-ებს მასწავლებელი (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) მისწავლეს (O^{ind} – ეგ ზეკუტორი//აგენსი) დავალებას (O^d – პაციენსი)).

როგორც პირველადს, ისე მეორეულ კაუზატივებში წარმოდგენილია ა-პრეფიქსი, რომელიც ლინგვისტთა ნაწილის მიერ კაუზატივის მორფოლოგიურ მარკერადაა მიჩნეული [ანტონ I, 1885:38; გეწაძე, 1969:134; იმნაიშვილი, 1970:121; გეურქოვა, 1971:103; თაყაიშვილი, 1974:30; მაჭავარიანი, 1988:94; უთურგაძე, 1995:126; იმნაიშვილი, 1996:461; სარჯველაძე, 1997:93...]. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მას მიიჩნევენ აგრეთვე მოქმედებითი გვარის [ჩიქობავა, 1970:18], სახელაო სიტუაციის [შანიძე, 1980:374], საარვისო ქცევის მაწარმოებლად [შანიძე, 1980:325] თუ სამიმართებო ელემენტად [დეეტერსი, 1930:74]. ჩვენი აზრით, გაჭირდება აღნიშნული პრეფიქსის კაუზატივის მორფოლოგიურ მარკერად მიჩნევა (იხ. აგრეთვე: შანიძე, 1980:371; ჯორბენაძე, 1975:55; ონიანი, 1998:251...). **ა-პრეფიქსის ინვარიანტულ მნიშვნელობას უნდა წარმოადგენდეს ობიექტზე (პირდაპირსა თუ ირიბზე) მინიშნება** [ჯორბენაძე, 1975:111; მაჭავარიანი, 1980:42; ციხელაშვილი, 1997:85; 1999:43...], სხვა დანარჩენი მნიშვნელობები ვარიანტული ანუ კონკრეტულ-კონტექსტური მახასიათებლებია. **ა-პრეფიქსის აღნიშნული მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი აუცილებელი ელემენტია კაუზატიური ზმნებისა. კაუზატიური ფუნქციის გრამატიზაცია ნიშნავს ზმნაში არა ობიექტის სასიგნალო ნიშნის არსებობას, არამედ მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელი აქტანტის (ირიბი ობიექტის) მიერ საკუთარი მარკერის გაჩენას, რაც სინქრონიულ დონეზე -ინ-, -ევინ სუფიქსებს უკავშირდება** (აკეთებ-ინ-ებს, ათქმ-ევინ-ებს...) [ციხელაშვილი, 1997:85].

¹ გარკვეული თვალსაზრისით, გარდაუვალ ზმნათაგან გარდამავალ ზმნათა წარმოება კვალიფიცირდება, როგორც კაუზატივი, ხოლო გარდამავალთაგან გაშუალებული მოქმედების გამომხატველ ფორმათა წარმოება, როგორც კონტაქტი [ასათიანი 1989:119-120; სარჯველაძე, 1997:92-93].

მეორეული ანუ მორფოლოგიური კაუზატივებისგან განსხვავებით, პირველადი კაუზატივები ყოველთვის არ აკმაყოფილებენ კაუზაციის პირობას, რადგან ამ ტიპის ზმნების სუბიექტი ყოველთვის არ გვევლინება ხელმძღვანელის, ანუ კაუზატორის, ხოლო პირდაპირი ობიექტი – მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელი კაუზირებული აქტანტის, ეგზეკუტორის, ანუ აგენსის, როლში. ქართულში ზმნები „მო-ა-ქც-ი-ა“ (მოძღვარმა კაცი ქრისტიანობაზე **მოაქცია**) და „და-ა-ქც-ი-ა“ (ქალმა წყალი **დააქცია**), ფორმის თვალსაზრისით, ორივე პირველადს კაუზატივად განიხილება, ფუნქციის თვალსაზრისით კი მათ შორის სხვაობაა: პირველი აკმაყოფილებს კაუზაციის პირობას, რადგან იწყობს კაუზატორ სუბიექტსა (მოძღვარმა) და აგენს პირდაპირ ობიექტს (კაცი), სხვაგვარად, ამ შემთხვევაში სუბიექტი და აგენსი სხვადასხვა აქტანტია. მეორე შემთხვევაში სუბიექტი იმავდროულად აგენსია (ქალმა), ხოლო პირდაპირი ობიექტი (წყალი) – პაციენსი. ჩვენი აზრით, აქტანტთა ასეთი სემანტიკა თავისთავად გამორიცხავს კაუზატიური მნიშვნელობის არსებობას. ამ ზმნების ანალიზი ცხადყოფს, რომ კაუზატიური შინაარსის არსებობა დამოკიდებულია არა ზმნის ფორმაზე, ყალიბზე, არამედ მნიშვნელობაზე, კონტექსტზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, პირველადი კაუზატივების მაწარმოებლებს (-ენ/-ინ, -ევ/-ი(ვ) სუფიქსებს:² გამო-ა-ჩ-ენ-ს/გამო-ა-ჩ-ინ-ა, ა-რბ-ევ-ს/ა-რბ-ი(ვ)-ა...) არ შეიძლება ვუწოდოთ კაუზატივის მორფოლოგიური მარკერები. **თუ ფორმით ე.წ. პირველადი კაუზატივი კაუზატიური მნიშვნელობის გამომხატველია, იგი შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც სემანტიკური ანუ ოდენ ფუნქციური კაუზატივი** [ციხელაშვილი, 1999:24-25]. გარდა პირველადი კაუზატივებისა, აქვე შემოვა ის სამვალენტიანი გარდამავალი ზმნებიც, რომლებშიც ირიბი ობიექტი (იშვიათად – პირდაპირი) გვევლინება აგენსის როლში (მოაგონა, გაასინჯა, ათაყვანა...). სინქრონიულ დონეზე შეინიშნება ამგვარ სემანტიკურ კაუზატივთა გრამატიზაციის ტენდენცია (მოაგონებ-ინ-ა, გაასინჯ-ინ-ა...). აქვე უნდა განვიხილოთ ა- პრეფიქსით არამარკირებული ზმნებიც, რომლებიც კაუზატიურ სემანტიკას გამოხატავენ: გაგზავნა, გასარჯა, შეყარა, მომრია...

არსებითად, იმ მედიალურ ზმნათაგან ნაწარმოები გარდამავალი ზმნები გამოხატავენ კაუზატიურ ფუნქციას, რომლებიც, კაუზატივის უნივერსალური თეორიით, აღნიშნავენ თავისთავადს მოქმედებას, ასეთია, მაგალითად, მსახურობს, ყვირის, ცეკვავს, საუბრობს, ფუსფუსებს და სხვ. [გეწაძე, 1969:149-150]. შესაბამისად, სემანტიკურ ანუ ოდენ ფუნქციურ კაუზატივებად უნდა კვალიფიცირდეს მათგან ნაწარმოები აქტივები: ამსახურებს, აყვირებს, აცეკვებს, ასაუბრებს, აფუსფუსებს და სხვ. ჩვენთვის საეჭვოთ გასაზიარებელია ი. ვეშაპიძის მოსაზრება, რომლის თანახმად, კაუზატივად ჩაითვლება არა ყველა პირველადი კაუზატივი, არამედ, „თუ გარდაუვალი ზმნისაგან კონვერსიის გზით მიღებული გარდამავალი ზმნა უბრალოდ იმას კი არ გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, არამედ იმას, რომ სუბიექტის მოქმედებით ობიექტი თვითონ მოქმედებს, მაშინ ეს გარდამავალი ზმნა კაუზატივია“ [ვეშაპიძე 1986:95]. გრამატიკული სუბიექტის ანუ კაუზატორის მიზეზით მხოლოდ იმგვარ ობიექტს ძალუძს რეალური მოქმედების შესრულება, რომელსაც შეუძლია იგივე მოქმედება იძულების გარეშე, საკუთარი ნებითაც განახორციელოს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ის პირი, რომელსაც ზმნის ფორმის მიხედვით „აიძულებენ“ (რეალური მოქმედი), სულიერი უნდა იყოს; ამ პირობის არარსებობისას კაუზაციაზე ლაპარაკი ზედმეტი“ [ქირია, 1989:9].

ამგვარად, კაუზაციის პირობას აკმაყოფილებენ მეორეული კაუზატივები (შუალობითი კონტაქტის ფორმები) და ის პირველადი კაუზატივები, რომელთა ობიექტს ძალუძს თავისთავადი მოქმედების შესრულება და ამ შემთხვევაში სუბიექტი და აგენსი სხვადასხვა აქტანტია.

² პირველადი კაუზატივების ფორმათა შენებაში ასევე მონაწილეობს ა- პრეფიქსი, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაუზატიური ფუნქცია გრამატიზებულია მხოლოდ მეორეულ კაუზატივებში **-ინ, -ეგინ** სუფიქსებით.³

ა. შანიძის აზრით, კაუზატიურ სიტუაციაში მონაწილეობს სამი პირი: ხელმძღვანელი (ორგანიზატორი (S)), შემსრულებელი (ეგზეკუტორი (O^{ind.})) და სამიზნო (O^{d.}): პეტრემ (ორგანიზატორი) პავლეს (ეგზეკუტორი) ქურდი (სამიზნო) დააჭერინა [შანიძე, 1980:358]. ამ შემთხვევაში ირიბი ობიექტის ქმედება გრამატიკული სუბიექტის იძულებითაა განპირობებული. ამ ტიპის კაუზაციას ეწოდება **ფაქტიტიური**. მაგრამ მორფოლოგიურ კაუზატივებში შესაძლოა სხვა ტიპის კაუზაციასთანაც გვექონდეს საქმე და, შესაბამისად, განსხვავებული იყოს აქტანტთა ფუნქციები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ასევე **პერმისიულ** კაუზატივებსაც. მაგ., წინადადება „მასწავლებელმა მოსწავლეს დავალება დააწერინა“ ასეთი გააზრების საშუალებასაც იძლევა: დავალების დაწერის ინიციატივა მოდიოდა მოსწავლისგან (O^{ind.}), ხოლო მასწავლებლის (S) როლი შემოიფარგლა მხოლოდ ირიბი ობიექტისთვის ნების დართვა-დაურთველობით, ხელშეწყობით ან წინააღმდეგობის გაწევით. გრამატიკული სუბიექტის აღნიშნული ფუნქცია უფრო გამოკვეთილად ჩანს უარყოფით კონსტრუქციაში: „მასწავლებელმა მოსწავლეს დავალება არ დააწერინა“. აღნიშნული წინადადება შეიძლება ასეც გავიაზროთ: დავალების დაწერის ინიციატორი მოსწავლეა (O^{ind.}), ხოლო მასწავლებელი მას დაეხმარა და ერთად დაწერეს დავალება. ამ შემთხვევაში გამოხატულია სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ერთობლივი მოქმედება, თანამოქმედება, რაც კვალიფიცირდება, როგორც **ასისტიური** კაუზატივი.

როგორც ვხედავთ, ქართულში შესაძლებელია ერთი და იგივე ზმნა კონტექსტის მიხედვით იყოს ფაქტიტიური, პერმისიული ან ასისტიური. ეს ნიშნავს, რომ კაუზატივის აღნიშნული მნიშვნელობები დამოკიდებულია არა კაუზატივის ფორმალურ მაწარმოებლებზე, არამედ კონტექსტზე. სხვაგვარად, ქართულში კაუზატიური ზმნა პოლისემიურია. **-ინ, -ეგინ** სუფიქსები თანაბრად ძალმოსილია, გამოხატოს სამივე მნიშვნელობა, მაგრამ ქართულის ვითარებას ვერ განვაზოგადებთ სხვა ენებზეც. მაგ., სომხურში კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსები მხოლოდ ფაქტიტიურობას გამოხატავენ, აფხაზურში – ფაქტიტიურობასა და პერმისიულობას, იაპონურში ქართულის მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე [ნედიალკოვი, 1969:32]. ფრანგულში, სადაც კაუზატივის პერიფრასტული წარმოება გვაქვს, ფაქტიტივს “faire” ზმნა გამოხატავს, პერმისივს – “laisser”. მაგ., “faire venir” ნიშნავს „აიძულებს მოვიდეს“, ხოლო “laisser venir” – „ნებას რთავს მოვიდეს“. გერმანულში ერთსა და იმავე ზმნას აქვს შეთავსებული ორივე ფუნქცია: “kommen lassen” ნიშნავს როგორც „აიძულებს მოვიდეს“, ისე – „ნებას აძლევს მოვიდეს“. ინგლისურშიც ფრანგულის მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე: “I let him go” ნიშნავს „ნებას ვრთავ ვავიდეს“, “I make him go” – „ვიაიძულებ ვავიდეს“.

კაუზატიურ ზმნას (ძირითადად, პირველადს კაუზატივს) შესაძლოა ჰქონდეს **კომიტატიური** მნიშვნელობაც, მაგ., წინადადებაში „ბიჭი გოგონას აცეკვებს“ ბიჭი (S) შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო ხელმძღვანელს, კაუზატორს, არამედ – აგენსსაც და პირდაპირ ობიექტთან ერთად ასრულებდეს მოქმედებას, ანუ საქმე გვექონდეს თანამოქმედებასთან.

თითოეული ამ მნიშვნელობის დროს ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა ფუნქციები ცხრილის სახით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

³ სამიოდე შემთხვევაში მეორეულ კაუზატივებში კაუზატივის მარკერს წარმოადგენს **-ინ** სუფიქსით გაურთულებელი **-ეგ** სუფიქსი: აჭმ-ეგ-ს, ასმ-ეგ-ს, აცმ-ეგ-ს. ამ შემთხვევაში **-ინ** სუფიქსის დართვა იწვევს ზმნის ვალენტობის მატებას, შესაბამისად, „აჭმევიანებს“ ტიპის ზმნები ოთხვალენტია.

| | S | O ^{ind.} | O ^{d.} |
|-------------|-----------------------------|--------------------------|------------------------|
| ფაქტიური | ხელმძღვანელი / კაუზატორი | ეგზეკუტორი / აგენსი | სამიზნო / პაციენსი |
| პერმისიული | | ხელმძღვანელი + აგენსი | სამიზნო / პაციენსი |
| ასისტორი | ეგზეკუტორი / აგენსი | ხელმძღვანელი + აგენსი | სამიზნო / პაციენსი |
| კომიტატიური | ხელმძღვანელი + აგენსი | აგენსი | ეგზეკუტორი / აგენსი |

სინტაქსური თვალსაზრისით კაუზაცია განიხილება, როგორც **ზმნის ვალენტობის მატების ოპერაცია, რომელსაც საბაზისო კონსტრუქციაში შემოჰყავს ახალი აქტანტი – სუბიექტი,⁴ რომელიც ფუნქციურად კაუზატორია** (მოქმედების ხელმძღვანელი), რის საფუძველზეც საბაზისო კონსტრუქციის სუბიექტი გარდაიქმნება ობიექტად [კომრი, 1976; ჰარისი, 1981; ბურგესი, 1995 და სხვ.]. მაგ.: ბავშვი (S – აგენსი) ცეკვავს > **დედა** (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) ბავშვს (O^{d.} კაუზირებული//აგენსი) აცეკვებს; ბავშვი (S – აგენსი) დავალებას (O^{d.} – პაციენსი) წერს > **დედა** (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) ბავშვს (O^{ind.} – კაუზირებული//აგენსი) დავალებას (O^{d.} – პაციენსი) აწერინებს. **კაუზირებული კონსტრუქციის აგენსი წარმოადგენს აქტანტს, რომელიც წარმოადგენილია როგორც საბაზისო, ისე წარმოქმნილ ანუ კაუზატიურ კონსტრუქციებში** (ამ შემთხვევაში – „ბავშვი“), მაგრამ, თუ პირველ შემთხვევაში იგი თავისი ნებით მოქმედებს და სუბიექტი და აგენსი ერთმანეთს ემთხვევა, მეორე შემთხვევაში ობიექტად ქცეული აგენსი კაუზატორი სუბიექტის იძულებით (დავალებით, თხოვნით...) მოქმედებს და ამ შემთხვევაში სუბიექტი და აგენსი სხვადასხვა აქტანტია.

ქართულში ზმნის გაკაუზატივება, ანუ კონსტრუქციაში კაუზატორი სუბიექტის შემოყვანა, შესაძლებელია ერთხელ ან ორჯერ. თუ ამოსავალი ფორმა ორვალენტიანი გარდამავალი ზმნაა (ან პირველადი კაუზატივი), კონსტრუქციაში კაუზატორი სუბიექტის შემოყვანა შესაძლებელია ერთხელ: ბავშვი (S) დავალებას (O^{d.}) წერს > **დედა** (S) ბავშვს (O^{ind.}) დავალებას (O^{d.}) აწერინებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ფორმისა და ფუნქციის გათვალისწინებით, პირველადი კაუზატივებისა და ორვალენტიან არაკაუზატიურ გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოები კაუზატივები (აწუხებს > აწუხებ-ინებს, წერს > აწერ-ინებს...), ორივე, განიხილება, როგორც მეორეული კაუზატივი, თუმცა რეალურად გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოები „აწერინებს“ ტიპის ფორმები კაუზაციის პირველ საფეხურს განეკუთვნება [კომრი, 1976:282]. ქართულს, ზოგიერთი ენისგან განსხვავებით (მაგ., თურქული, იაპონური), როგორც წესი, არ ძალუძს გარდამავალი ზმნის ორგზის გაკაუზატივება [ბურგესი, 1995:59]. „დააწერინებინა“ ტიპის ორმაგი კაუზაციის ფორმები ქართულისთვის ამჟამად ხელგაუწვია [ჰარისი, 1981:285;⁵ კომრი, 1976:270].

⁴ ა. შანიძეს ზმნის გაკაუზატივების სინტაქსური მექანიზმი, ანუ გარდამავალი ზმნისგან გაშუალებული მოქმედების გამომხატველი ფორმის წარმოება, განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. ავტორის აზრით, „ზმნის გადაყვანა შუალაბითში – ეს ნიშნავს სუბიექტური პირის ნიუანსის გამოცვლას და ფორმაში შეყვანას უშუალოდ მოქმედი პირისას“ [შანიძე 1980:360]. ე.ი., ავტორის აზრით, კონსტრუქციაში შემოდის არა კაუზატორი სუბიექტი, არამედ მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელი ირიბი ობიექტი: მონადირემ (S) მგელი (O^{d.}) მოკლა > მონადირემ (S) კაცს (O^{ind.}) მგელი (O^{d.}) მოაკვლევინა.

⁵ ავტორს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „უფროსმა ვანოს დააწერინებინა წერილი მდივნის მიერ/თვის“.

თუ ამოსავალი ფორმა გარდაუვალი ზმნაა (მედიალური ან ე.წ. უნიშნო ვნებით), იმავე ოპერაციის ჩატარება შესაძლებელია ორჯერ: ბავშვი (S) ცეკვავს > **I. დედა (S)** ბავშვს (O^d) აცეკვებს > **II. მამა (S)** დედას (O^{ind.}) ბავშვს (O^d) აცეკვებინებს. ა. ჰარისის გარდაუვალი ზმნის ორგზის გაკაუზატივების ნიმუშად მოჰყავს ასეთი მაგალითი: გელა წევს ტახტზე > მამა გელას აწვენს ტახტზე > ბებია მამას აწვენინებს გელას ტახტზე [ჰარისი, 1981:71,284]. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინები რომ გამოვიყენოთ, კაუზაციის პირველ საფეხურზე ვიღებთ პირველადს კაუზატივებს, ხოლო მეორე საფეხურზე – მეორეულ კაუზატივებს, რომლებსაც შესაძლოა **ორმაგი კაუზატივებიც**⁶ ვუწოდოთ [ბურგესი, 1995 და სხვ.].

ზმნის გაკაუზატივებისას საბაზისო კონსტრუქციის აქტანტები ინარჩუნებენ თავიანთ ფუნქციურ-სემანტიკურ მახასიათებლებს, სხვაგვარად, საბაზისო კონსტრუქციის აგენსი კაუზატიურ კონსტრუქციაშიც ამ სემანტიკური ნიშნის მატარებელია (უბრალოდ, იგი აღარ წარმოადგენს გრამატიკულ სუბიექტს), პაციენსიც ორივე შემთხვევაში იდენტურია.⁷ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ საბაზისო კონსტრუქცია (პირველადი კაუზატივი) შეიცავს კაუზატორ სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს, რომელიც იმავედროულად მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელია, აგენსია, კონსტრუქციაში ახალი კაუზატორი სუბიექტის შემოყვანისას როგორ ნაწილდება აქტანტთა ფუნქციები? განვიხილოთ ისევ ზემოთ მოყვანილი წინადადება: **I. დედა (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) ბავშვს (O^d – კაუზირებულნი//აგენსი) აცეკვებს > II. მამა (S – ხელმძღვანელი//კაუზატორი) დედას (O^{ind.} კაუზირებულნი//ხელმძღვანელი//კაუზატორი) ბავშვს (O^d – კაუზირებულნი//აგენსი) აცეკვებინებს.** როგორც ვხედავთ, თუ ამოსავალი პირველადი კაუზატივი კაუზატიური ფუნქციის გამომხატველია და იწყობს კაუზატორ სუბიექტსა და აგენს პირდაპირ ობიექტს, კონსტრუქციაში ახალი კაუზატორი სუბიექტის შემოყვანისას არსებული აქტანტები ინარჩუნებენ თავიანთ ფუნქციას, შედეგად კი ვიღებთ **კაუზატიურ კონსტრუქციას ორი კაუზატორით, ანუ ორი ხელმძღვანელი აქტანტით.** ოღონდ ამ შემთხვევაში ირიბი ობიექტი წარმოადგენს როგორც სუბიექტის მხრიდან კაუზირებულ, ისე – მაკაუზატივებელ აქტანტს. ამ ტიპის კაუზატივებია: **ბატონი** ყმას ამუშავებს > **მეფე ბატონს** ყმას ამუშავებინებს; **ბიჭი** მეგობარს ატირებს > **მეზობელი ბიჭს** მეგობარს ატირებინებს, **შვილი** დედას აცინებს > **მამა შვილს** დედას აცინებინებს, **მოძღვარმა** კაცი ქრისტიანობაზე მოაქცია > **ეპისკოპოსმა მოძღვარს** კაცი ქრისტიანობაზე მოაქცევინა... ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ფორმებს შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. თ. უთურგაიძე ამ ტიპის კაუზატივებს **ორორგანიზატორიან** ფორმებს უწოდებს [უთურგაიძე, 1995:114-115].

„აცინებინებს“ ტიპის ორინიციატორიან სამვალენტიან კაუზატივთა გვერდით უიშვიათესად შესაძლოა დასტურდებოდეს „აკეთებინებინებს“ ტიპის ოთხვალენტიანი, ორინიციატორიანი ფორმებიც, რომლებიც ჯერ კიდევ წინა საუკუნეების ქართველმა გრამატიკოსებმა შენიშნეს და უწოდეს: „მრჩობლ-სხმით-გარდასლვითი“ [ანტონ I, 1885:38; გაიოზ რექტორი, 1970:69], „ორსხმითგადასვლითი“ [კვიციანიძე, 1888:111], „კვლავსხმითგადასვლითი“ [ხუნდაძე, 1921:49; კარიჭაშვილი, 1929:53], „სამმაგად გარდამავალი“ [რუდენკო, 1940:204]. ა. შანიძის აზრით, ამგვარი ფორმები „ბუნებრივად არ არსებობს ქართულში, ესენი ხელოვნური ფორმებია“ [შანიძე, 1980:369]. მართალია, ოთხვალენტიანმა კაუზატივებმა ლიტერატურული ნორმის უფლება ვერ მოიპოვა, მაგრამ დიალექტებში მაინც დასტურდება. მაგ., ქვემოთმეორულში ვ. კახაძეს გამოვლენილი აქვს „ვაკეთებინებ“ (< ვაკეთებინებინებ) ფორმა, რომლის შინაარსსაც ასე განმარტავს: „საათს

⁶ შდრ.: ინგლისური “double causatives” [ბურგესი, 1995:III და შემდგ.]

⁷ ა. შანიძეც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „პირდაპირი ობიექტი (სამიზნო) ყველა ტიპის ზმნაში ორივე კონტაქტის ფორმით ერთნაირად არის წარმოდგენილი: შუალობითი კონტაქტის ფორმა მის მიმართ ნეიტრალურია“ [შანიძე, 1980:360].

კოლია კი არ მიკეთებს, მას ვატან, რომ მან სხვას (მაგალითად, მესაათეს) გააკეთებინოს" [კახაძე, 1971:58]. როგორც ვხედავთ, თუ სამვალენტიან ორხელმძღვანელიან კაუზატივებში აგენსს არ მოეპოვება თავისი სამოქმედო საგანი, ოთხვალენტიან კაუზატივებში უკვე პირდაპირი ობიექტით გამოხატული პაციენსიცაა წარმოდგენილი (ამ შემთხვევაში – „საათი“), ხოლო მოქმედების ფაქტობრივ შემსრულებლად უბრალო ობიექტი გვევლინება. მსგავსი ოთხვალენტიანი კაუზატივებია: ვალევენებიეფ, ვაჭრევენებიეფ, ვათეთრებნიეფ... [კახაძე, 1971:58]. ამგვარი ფორმები თ. უთურგაიძემაც დაადასტურა ქართულურსა და თუშურში (შეაყვარებინა, აკეთებინებინებს) [უთურგაიძე, 1995:114-115].

ლიტერატურა:

- ანტონ I, 1885** - ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885.
- ასათიანი 1989** – რ. ასათიანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1989.
- ბურგესი 1995** - C. S. Burgess, Mapping Multiple Causatives, Simon Fraser University, 1995, http://www.sfu.ca/~gerdts/teaching/MA_Thesis_Cliff.pdf
- გაიოზ რექტორი, 1970** - გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბილისი, 1970.
- გეურქოვი, 1969** – ე. გეურქოვი, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (კაუზატივის მაწარმოებლები ძველ ქართულში), მოამბე, 56, №1, 1969.
- გეურქოვა, 1971** - ე. გეურქოვა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, მაცნე, №2, 1971.
- გეწაძე, 1969** – И. О. Гецадзе, В. П. Недялков, А. А. Холодович, Морфологический каузатив в грузинском языке. Типология каузативных конструкций. Морфологический каузатив, Л., 1969.
- გიგინეიშვილი, 1981** – ბ. გიგინეიშვილი, კაუზატივის ფუნქციონირება ქართულში, მრავალთავი, IX, 1981.
- დამენია, 1982** – მ. დამენია, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბილისი, 1982.
- დეეტერსი, 1930** – G. Deeters, Das Khartwelische Verbum, Leipzig, 1930.
- ვეშაპიძე 1986** - კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, სიტყვა და შესიტყვება როგორც ლექსიკოლოგიისა და გრამატიკის ობიექტები, საქ. სსრ პედინსტიტუტების მეცნიერულ შრომათა კრებული, თბილისი, 1986.
- თაყაიშვილი, 1974** – ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.
- იმნაიშვილი, 1970** – ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, X, 1970.
- იმნაიშვილი, 1996** - ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი II, მაინის ფრანკფურტი, 1996.
- კარიჭაშვილი 1929** – დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1929.
- კახაძე 1971** – ვ. კახაძე, შუალაობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, თბილისი, 1971.
- კვიციანიძე 1888** – პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1888.
- კომრი, 1976** – Comrie, Bernard, The Syntax of Causative Constructions: Cross-Language Similarities and Divergences. In The Grammar of Causative Constructions [Syntax and Semantics 6], ed. by Masayoshi Shibatani, 261-312. New York, Academic Press, 1976.

- მაჭავარიანი, 1980** – მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XXII, თბილისი, 1980.
- მაჭავარიანი 1988** - გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, თბილისი, 1988.
- ნელიალოვი, 1969** – В. П. Недялков, Г. Г. Сильницкий, Типология морфологического и лексического каузативов. Типология каузативных конструкций. Л., 1969.
- ონიანი, 1998** – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.
- რუდენკო 1940** – Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, М. Л., 1940.
- სარჯველაძე, 1997** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997.
- უთურგაიძე 1995** – თ. უთურგაიძე, კაუზაციის კატეგორია ქართულ ენაში, იკე, XXXIII, თბილისი, 1995.
- ქირია 1989** – ჭ. ქირია, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1989.
- შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.
- ჩიქობავა, 1970** – არნ. ჩიქობავა, გარდამავალ ზმნათა წარმოების ორი ტიპი და მათი ისტორიული ურთიერთობა ძველ ქართულში, თსუ ფილ. ფაკ. XIII სესია, თეზისები, 1970.
- ციხელაშვილი, 1997** – ლ. ციხელაშვილი, პრეფიქსის რაობისათვის კაუზატიურ ზმნებში, საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბილისი, 1997.
- ციხელაშვილი, 1999** – ლ. ციხელაშვილი, კაუზატივის წარმოება საშუალო ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1999.
- ხუნდაძე 1921** – ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927.
- ჯორბენაძე, 1975** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.
- ჯორბენაძე, 1983** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983.
- ჰარისი, 1981** – Harris, Alice C., Georgian Syntax: A Study in Relational Grammar. Cambridge, Cambridge University Press, 1981.

ლელა Цихелашვილი

Каузативы с двумя руководителями в грузинском языке

Резюме

Каузация рассматривается как операция увеличения валентности глагола, который вводит в базисную конструкцию новую актанту – субъект, являющийся в функциональном отношении каузативом (руководителем действия), на основе чего субъект базисной конструкции преобразовывается в объект. В грузинском языке каузативизация глагола, т. е. проведение указанной синтаксической операции, возможна один или два раза. Если исходная форма является двухвалентным переходным глаголом (или первичным каузативом), то ввод в конструкцию каузатора-субъекта возможен один раз: Ребенок (S – агенс) пишет задание (O^d – пациенс) > Мать (S – руководитель // каузатор) заставляет ребенка (O^{ind} – агенс) писать. Правда, «заставляет писать» является первой ступенькой каузации, поскольку «пишет» – некаузативный

двухвалентный глагол, однако с точки зрения формы и функции он идентичен вторичным каузативам (формам опосредованного контакта). Если исходная форма – непереходный глагол (медиальный, или т.н. глагол страдательного залога без указания на признаки), то каузативизация глагола возможна два раза: Ребенок (S – агенс) танцует > Мать (S – руководитель // каузатор) заставляет танцевать ребенка (O^d – агенс) > Отец (S – руководитель // каузатор) вынуждает мать (O^{ind} – каузированный // руководитель // каузатор) заставить танцевать ребенка (O^d – агенс). На первой ступеньке каузации получаем первичные каузативы, а после повторной каузативизации – вторичные каузативы.

Вообще, при каузативизации глагола, т.е. при вводе в конструкцию каузатора-субъекта, актанты сохраняют свою функцию. Соответственно, во время ввода в конструкцию нового каузатора-субъекта получаем каузативную конструкцию с двумя каузаторами, т.е. с двумя руководителями-актантами: Духовник (S – руководитель // каузатор) обратил в христианство человека (O^d – агенс) > Епископ (S – руководитель // каузатор) заставил духовника (O^{ind} – каузированный // руководитель // каузатор) обратить человека (O^d – агенс) в христианство.

Lela Tsikhelashvili

Double Causatives with Two Causers in Georgian

Abstract

A causative is a valency-increasing operation, which brings in a new argument (S), the causer, into a transitive clause, with the original S becoming the O. In Georgian, causation of the verb, i.e. performing of the above-mentioned syntactic operation, is possible once or twice. If the basic form is a bipersonal transitive verb or a single causative, it is possible to bring in the causer subject into the construction once: ბავშვი დავალებას წერს “The child (S - agent) does a homework (O^d- patient)” > დედა ბავშვს დავალებას აწერინებს “**Mother** (S - causer) makes her child (O^{ind} - cause//agent) do (write) a homework (O^d - patient)”. The verb *awerinebs* “makes do (write)” represents the first stage of causation, as *wers* “writes” is not a causative verb, but, from the viewpoint of form and semantics, it is identical to double causative (indirect contact). If the basic form is an intransitive verb (unmarked passive or a medial verb), causation is possible twice: ბავშვი ცეკვავს “The child (S - agent) dances” > დედა ბავშვს აცეკვებს “**Mother** (S - causer) makes her child (O^d - cause//agent) dance” > მამა დედას ბავშვს აცეკვებინებს “**Father** (S – causer) makes mother (O^{ind} – cause / causer) make their child (O^d- agent) dance”. On the first stage of causation we get single causatives, whereas on the second stage of causation double causatives are formed.

In general, when performing the causation of the verb, i.e. bringing in the causer subject into the construction, the arguments retain their function. Hence, if the basic single causative takes the causer subject and the agent direct object, when bringing in a new causer subject into the construction we get **double causatives with two causers**: მამ ვარმა კაცი ქრისტიანობაზე მოაქცია “**The priest** (S - causer) made the man (O^d - agent) adopt Christianity” > ეპისკოპოსმა მამ ვარს კაცი ქრისტიანობაზე მოაქცევინა “**The bishop** (S – causer) made **the priest** (O^{ind} – cause / causer) make the man (O^d - agent) adopt Christianity”.

რეცენზენტი: პროფესორი თ. ლომთაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ნინო ძამუჯაშვილი

თელავი, საქართველო

ანტონიმია პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამოსახატავად

(ქართული და ინგლისური რიტმული პროზის ნიმუშების მიხედვით)

ლექსიკურ საშუალებებს შორის ანტონიმებს გამორჩეულად დიდი პოტენციული გააჩნიათ პროზაში რიტმულობის ექსპრესიის გამოსახატავად, ვინაიდან წინადადების ემოციური ბირთვი უმეტესად სწორედ ანტონიმითაა გამოხატული. ანტითეზა კი, როგორც აზრობრივად, ასევე ინტონაციურადაც რიტმის მატარებელია. როგორც გამოვლინდა, ანტონიმის მხრივ ორივე საკვლეფ ენაში თითქმის სრული დამთხვევაა ამ საშუალების როგორც მნიშვნელობის, ისე ფუნქციის თვალსაზრისით.

სტატია განკუთვნილია ენათმეცნიერთა წრისათვის და ასევე იმ სპეციალსტათის, ვინც რიტმულ პროზას იკვლევენ.

პროზაში რიტმის წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საშუალება ლექსიკურ დონეზე **ანტონიმური წყვილები** გამოყენებაა, ვინაიდან ერთგვარ ერთეულთა გამეორება რიტმულობის მთავარი საფუძველია. ანტონიმების, ისევე როგორც სინონიმების უპირველესი ფუნქცია ის არის, რომ „ისინი მეტ გამომსახველობას, ექსპრესიულობას ანიჭებენ ენას“ [დლონტი, 1988:59].

ვინაიდან როგორც სინონიმთა, ისე ანტონიმთა თვალსაზრისით ქართულ და ინგლისურ ენებშიც სემანტიკურად და ფუნქციურად მსგავსი მდგომარეობაა, გადავწყვიტეთ ორივე ენაზე მოძიებული ნიმუშები პარალელურად წარმოვადგინოთ. „ანტონიმები ყველა ენაში გვხვდება და ერთნაირი ფუნქციით გამოიყენება...საპირისპირო სიტყვათა დაწყვილება საყოველთაოდ გავრცელებული ზოგადენობრივი პროცესია. მასში თვალნათლივ გამოსჩევივის სიტყვის განმაზოგადებელი ბუნება. მეტყველებაში ანტონიმი ანტითეზაა, უმდიდრესი საშუალება მხატვრული გამომსახველობისა“ [დლონტი, 1988:64].

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის თვალსაზრისით, **ანტონიმები** სინონიმებზე კიდევ უფრო მეტად საინტერესოა. მათ კიდევ უფრო მეტი გამომსახველობა ახასიათებთ. „ანტონიმების არჩევა რიტმის შესაქმნელად დაფუძნებულია თავად ამ საშუალების ბუნებაზე, რომელიც გამოსატავს ანტითეზას, როგორც სტრუქტურის, ისე აზრის მხრივ. ტექსტის რიტმულობის ხარისხი, რომელიც ანტონიმების გამოყენებით არის შექმნილი, დამოკიდებულია ანტონიმური

წყვილების რაოდენობაზე და მათი ეს დამოკიდებულება ურთიერთპროპორციულია. ამას გარდა, ანტონიმების გამოჩენას ტექსტში თან ახლავს ფონეტიკური რიტმის შემქმნელი საშუალებები, კერძოდ კი, ის განსაკუთრებული მელოდიკა, რომლის პერიოდული გამეორებაც სრულყოფილ რიტმულ სურათს ქმნის [ინტ. წყარო №1 <http://www.dslib.net/roman-jazyki/foneticheskij-leksiko-grammaticheskij-i-strukturno-kompozicionnyj-aspekty-analiza.html>]. ანტონიმური წყვილების უმეტესობა ზედსართავებზე მოდის, შემდეგ მოდიან ზმნები, არსებითი სახელები და ზმნიხედები [ინტ. წყარო №2 eprints.iliauni.edu.ge/.../English%20Lexicology%20].

საანალიზო მასალად შერჩეული გვაქვს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული და ინგლისურენოვანი რიტმული პროზის ნიმუშები (ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. კოტეტიშვილი, გრ. რობაქიძე, ფ. ს. ფიცჯერალდი, ჯ. ჯოსი).

ა) ანტონიმური წყვილების განხილვა დავიწყოთ მეტად ექსპრესიული და დინამიკური მაგალითით, რომელშიც შესანიშნავად ჩანს ანტონიმის ანტითეზური ბუნება:

„**ახალი** ტფილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, **ახალი** ხალხით; **ერთის მხრივ ახალი** ცხოვრება, ახალგაზრდა ხალხით, **ახალი** ხერხებით, შრომით, ინდუსტრიით, ძალიან ბევრი ინდუსტრიით. **მეორეს მხრივ** კი **ძველი** ტფილისი, **ძველი** ხალხით, **ძველი** ხერხებით, ლოცვით, ბევრი ლოცვით და სინანულით“ (კოტეტიშვილი.2012:12); ნაწყვეტის ექსპრესიულობას ამყარებს არა მარტო მრავალჯერ განმეორებადი ანტონიმური წყვილი: „**ახალი/ძველი**“, არამედ ანტითეზისთვის ტიპური, დაპირისპირების, კონტრასტის გამომხატველი ფრაზები: „**ერთის მხრივ / მეორეს მხრივ**“. **ანგრევდა ძველს** და **აშენებდა ახალ** სახლებს (კოტეტიშვილი. 2012:14), ორმაგი ანტონიმური წყვილი ორმაგად ზრდის რიტმულობის ექსპრესიას. **ახალი** და **ძველი** თბილისი ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ, როგორც **ბუზი** და **ლომი** (კოტეტიშვილი. 2012:12); ინგლისურენოვანი ნიმუშები:

Even when the East excited me most, even when I was most keenly aware of its superiority to the bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only the children and the very old—even then it had always for me a quality of distortion (Fitzgerald,1984:126); I was within and without, simultaneously enchanted and repelled by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1984:36).

ბ) განსხვავებით ინგლისური ენისგან, ქართულში უფრო იშვიათად გვხვდება აბსოლუტური ანტონიმური წყვილები: ძველებურად **შედიოდა** და **გადიოდა** მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტაძარში (კოტეტიშვილი.2012:15); ჩვენს **დიდ** სიხარულსა და **პატარა** ბედნიერებას;... ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები...(გამსახურდია,1959:7);

მირიანის **მარჯვნივ** იჯდა თურანელი, **მარცხნივ** ხატაველი ოქროთი და სპეკალით აღაპლაპებულ ტანისამოსში (ბარნოვი,1943:331); „აი, შენც, გლახაკი ხარ, **სულითაც** და **ხორციითაც**“ (კოტეტიშვილი.2012:11); წელში **წვრილი**, ბეჭებში **სქელი**; (ლორთქიფანიძე,1992:123); ანალოგიური მაგალითები ინგლისურ ენაზე:

His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219);

I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going up and down his drive (Fitzgerald,1984:126); When he and I were one person, when the fulfilled future and the wistful past were mingled in a single gorgeous moment—when life was literally a dream (Fitzgerald,1965:62); Only wind in the street, which blew the wires and made the lights go off and on again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald,1984:64).

გ) ანტონიმები წყვილებად გვხვდება, განსხვავებით სინონიმებისგან, რომლებიც შეიძლება სამიც და მეტიც შეგვხვდეს ერთად. „ანტონიმები ქმნიან ჩაკეტილ მიკროსისტემებს, რომლებსაც ანტონიმური წყვილების სახე აქვთ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008:369]:

საშინელი **სისასტიკე** და უმძაფრესი **სიტკობ** (რობაქიძე,1989:16); ტფილისი გოგირდის აბანოთი **იწყება** და გოგირდის აბანოთი **თავდება** (რობაქიძე,1989:208); თვალებით თითქოს გეუბნება: **მე ვიცი** და **შენ არ იცი**-საიდუმლო (რობაქიძე, 1989:11);

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

I was within and without, simultaneously enchanted and repelled by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1984:36); ანტონიმების ორ-ორი წყვილი: within /without, enchanted /repelled;

In his blue gardens men and girls came and went like moths among the whisperings and the champagne and the stars (Fitzgerald,1984:38); კვლავ ორ-ორი წყვილი: men /girls , came /went.

დ) საერთო სიტყვით გაერთიანებული ანტონიმები უფრო მეტ ექსპრესიას გამოხატავენ და ამგვარად, კონტრასტიც უფრო მკვეთრია: **ჩვენს დიმილსა** და **ჩვენს ცრემლებს**; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები (გამსახურდია,1959:7); რას ეტყვიან ეს **შეხვედრანი** და ეს **გაცილებანი** პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული ჩიტივით ფართქალბს ქალის აზიდულ მკერდში?! (რობაქიძე, 1989:48); **მაგრამ შხამი** კი, **მაგრამ მალამო** კი უცვლელად, შეუსუტებლად დარჩება (ლორთქიფანიძე,1992:110).

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219); The bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only the children and the very old (Fitzgerald, 1984:126).

ე) რიტმულობის ექსპრესიას ზრდის მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული ანტონიმური წყვილები. ამას გარდა, „ანტონიმურ ... კონსტრუქციებს ხშირად ახლავს სინტაქსური პარალელიზმი...ისინი ერთ გრამატიკულ ფუნქციასაც ასრულებენ, რადგან წინადადების ერთგვარი წევრები არიან" [ინტ. წყარო №16<http://www.dslib.net/roman-jazyki/foneticheskij-leksiko-grammaticheskij-i-strukturno-kompozicionnyj-aspekty-analiza.html>].

ან რაღას ეტყვის ამიერ პატარა გულს მზის **ამოსვლა** ან მისი **ჩასვლა**?! (რობაქიძე, 1989:48);

რას ეტყვიან ეს **შეხვედრანი** და ეს **გაცილებანი** პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული ჩიტივით ფართქალბს ქალის აზიდულ მკერდში?! (რობაქიძე, 1989:48); ფარულათ გედევანი ცთილობდა აღედგინა სამეფო, გაედევნა მტერი, ტახტზე აეყვანა მის **გრძნობათა** და **აზრთა** დედოფალი (ლორთქიფანიძე,1958:96); ფერად-ფერადი ბუმბები **უნდებოდა** და **ჟქრებოდა** თვალეში (კოტეტიშვილი. 2012:11); ჯერ ისიც **შენელებული**. შემდეგ **გაქანებული**. შემდეგ **ქედ-გა-ზნეკილი**. ბოლოს **ქედ-ა-მართული** (რობაქიძე, 1989:37).

ამგვარი ინგლისური ნიმუშები მცირეა: I was within and without, simultaneously enchanted and repelled by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1984:36); Like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219).

ვ) ანტონიმური წყვილი რაც უფრო სხვადასხვა შეფერილობისაა სტილისტურად, ემოციური მუხტიც და ექსპრესიაც უფრო მეტია. განსაკუთრებით თუ ანტონიმური წყვილები ფრაზებით არის გადმოცემული. ჩვენ მიერ მოძიებულ ქართულენოვან მაგალითებში ასე მხატვრულად გაფორმებული ანტონიმური წყვილი არ შეგვხვდა, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ არ არსებობს. აღსანიშნავია შემდეგი ინგლისურენოვანი მაგალითი, რომელიც მთლიანად ანტითეზას წარმოადგენს:

Better pass **boldly** into that other world, **in the full glory of some passion**, than **fade and wither** dismally with age (Joyce,1982:219). უმჯობესია, **ვაჟაკურად** დასტოვო საწუთრო და **ვნებით გულაგზნებული** წახვიდე იმ ქვეყნად, ვიდრე **წლიდან წლამდე დაჭკნე**, საწყალობლად **დაჩაჩანაკდე** (ჯოისი, 1984: 205). ამ წინადადებაში ორი-ორი სინონიმური წყვილია, მაგრამ ერთმანეთთან

მიმართებაში ანტონიმებს ანუ მთლიანობაში ანტითეზას წარმოადგენენ: **ვაჟაკურად = ვნებით გულაგზნებული / დაჭკნე=დაჩაჩანაკდე.**

ანტონიმების შემთხვევაში გვხვდება ე.წ. კონტექსტუალური ანტონიმები:

საშინელი **სისასტიკე** და უმძაფრესი **სიტკბო** (რობაქიძე, 1989:16); **სიამაყე** და **დარცხვენა**-ერთად (რობაქიძე, 1989:214); დუდუკებმა ამ დროს **ბრაზიანი** და **გამამხნეველებელი** საჭიდაო დაპკრეს (კოტეტიშვილი, 2012:16);

მაგალითები ინგლისურენოვანი წყაროებიდან:

I see it as a night scene by El Greco: a hundred houses, at once conventional and grotesque, crouching under a sullen, overhanging sky and a lustreless moon (Fitzgerald, 1984:126); The bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only the children and the very old (Fitzgerald, 1984:126).

ზ) ანტონიმურ წყვილში, კონტრასტიდან გამომდინარე, ინტონაციის ხაზი უფრო მკვეთრია, მელოდიურია, ვიდრე სინონიმებთან, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ერთ სემანტიკურ სიბრტყეზე მიდის თხრობა, „ანტონიმური კონსტრუქციებისთვის დამახასიათებელია გარკვეული მელოდიკა, რომლის გამეორებაც ფონეტიკურ დონეზე ტექსტის რიტმის აღქმას აძლიერებს“ [ინტ. წყარო №16 <http://www.dslib.net/roman-jazyki/foneticheskij-leksiko-grammaticheskij-i-strukturno-kompozicionnyj-aspekty-analiza.html>]]. მაგ.: აწრიალებული თვალები ხან **ემღვრეოდნენ**, ხან **უბრწყინავდნენ** (კოტეტიშვილი, 2012:8); მეტად საყურადღებო მაგალითია. რიტმულობის განცდას ხელს უწყობს სემანტიკა (თვალები ემღვრეოდა, მერე უბრწყინდებოდა, მერე ისევ ემღვრეოდა და ა. შ.) და ფორმითაც (მაცალკეებელი კავშირები „ხან-ხან“); ფერად-ფერადი ბუშტები **უნდებოდა** და **უქრებოდა** თვალებში (კოტეტიშვილი, 2012:11); ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ **ტანჯვასა** ვგრძნობ და **უტკბეს** ნეტარებას (ლორთქიფანიძე, 1992:109);

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going up and down his drive (Fitzgerald, 1984:129); Only wind in the street, which blew the wires and made the lights go off and on again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald, 1984:64).

თ) ქართულენოვან მაგალითებში, ანტონიმების შემთხვევაში გვხვდება კომპოზიტები:

დღესასწაული თან **აღებ-მიცემის** ადგილი იყო (ბარნოვი, 1943:344); გედევანმა დაიხოქა, აიღო **ცოცხალ-მკედრათ** მუხლებზე დაყრილი ხელი დედოფლისა (ლორთქიფანიძე, 1958:98); **მიყრილ-მოყრილი** პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე, 1992:118); მაშ რისთვის არის **მოწყენილ-გაჩუმებული** ყოფილი ენა-ტკბილ მოუბარი (ლორთქიფანიძე, 1958:95).

ჩვენი აზრით, ამგვარ ქართულ მაგალითებს შეიძლება შევუფარდოთ შემდეგი:

I was within and without, simultaneously enchanted and repelled by the inexhaustible variety of life (Fitzgerald, 1984:36); In his blue gardens men and girls came and went like moths among the whisperings and the champagne and the stars (Fitzgerald, 1984:36); Only wind in the street, which blew the wires and made the lights go off and on again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald, 1984:64); I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going up and down his drive (Fitzgerald, 1984:129).

ამდენად, ანტონიმური წყვილები ორივე საკვლევ ენაში მეტად ხელსაყრელი ლექსიკო-სემანტიკური საშუალებაა რიტმულობის ექსპრესიის გამოსახატავად. მათ შორის თითქმის სრული დამთხვევაა ამ საშუალებათა როგორც მნიშვნელობის, ისე ფუნქციის მხრივ. ერთგვარი წვერების საშუალებით ექსპრესიის გამოსახატვის შესახებ საუბრისას, ჩვენი აზრით, ანტონიმურ წყვილში, კიდევ უფრო მეტად ვიდრე სინონიმის შემთხვევაში, კონცენტრირებულია წინადადების ემოციური მუხტის უდიდესი ნაწილი.

ლიტერატურა:

1. ბარნოვი, ვ. (1943). არმაზის მსხვერვა. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
2. გამსახურდია, კ. (1959). რჩეული თხზულებანი, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
3. კოტეტიშვილი, ლ. (2012): გონივანი. ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, თბილისი: გამომც. გაზეთ „კვირის პალიტრის“ ლიტერატურული დამატება, № 12. 7-16.
4. ლორთქიფანიძე, ნ. (1958). მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები. თბილისი: საბლიტგამი.
5. ლორთქიფანიძე, ნ. (1992). ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“.
6. რობაქიძე, გ. (1989). გველის პერანგი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
7. Fitzgerald F.S. (1) (1984). The Great Gatsby. Moscow „VYSAJA \KOLA“.
8. Fitzgerald F.S. (2) (1965). The Crack-up. Penguin Books.
9. Joyce J. (1982). Dubliners. Moscow Progress Publishers.

ინტერნეტ წყაროები:

1. <http://www.dslib.net/roman-jazyki/foneticheskij-leksiko-grammaticeskij-i-strukturno-kompozicionnyj-aspekty-analiza.html>. მოპოვებულია 26.10.2015.

Nino Tevdoradze, English Lexicology, eprints.iliauni.edu.ge/.../English%20Lexicology%20. მოპოვებულია 22.09. 2015.

Нино Дзамукашвили

**Антонимия для передачи экспрессивности ритмики прозы
(на примере грузинской и английской ритмической прозы)**

Для отображения в прозе ритмичности, среди лексических средств, антонимы выделяются большим потенциалом, так как, именно антонимами передаётся эмоциональное ядро предложения. А антитеза, стилистическая фигура, носившая ритм как в смысловом так и интонационном виде. Изыскания показали, что в обоих исследуемых языках, антонимия полностью изоморфизмна/идентична, как функционально, так и с семантической точки зрения.

Статья предназначена для лингвистов и исследователей ритмической прозы.

Nino Dzamukashvili

**Of Conveying Expressiveness of Prose Rhythm by Antonyms
(Based on Georgian and English Rhythmic Prose Material)**

Abstract

Among lexical means, antonyms possess distinctly big potential for conveying expressiveness of prose rhythm since the emotional nucleus of the sentence is often located within the antonymous pair. And as for the antithesis, it conveys rhythmicality both in terms of semantics and intonation. It has been confirmed that antonyms as device coincide in meaning and function in both Georgian and English languages.

The article will be interesting for linguists and researchers of rhythmic prose.

რეცენზენტი: პროფესორი ნ. ზვიადაძე

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

სოსო გიქომვილი

ახალციხე, საქართველო

გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზის“ პრობლემატიკა

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმ მოთხრობებს, რომლებიც ზოგადად ადამიანურ პრობლემებს ასახავენ და ფილოსოფიურ სიბრტყეზე აშუქებენ ადამიანის სულიერ სამყაროს. მწერალი ამ პრობლემას არ წარმოადგენს რაიმე დოქტრინული თვალსაზრისით. იგი ყველა მოთხრობაში რჩება ჭეშმარიტ მხატვრად, ადამიანის მესაიდუმლედ, სიტყვის ოსტატად. ერთი ნაწილი ამ თემაზე შექმნილი მოთხრობებისა ეხება სიკვდილ-სიცოცხლის დაპირისპირებების მარადიულ პრობლემას, რომელიც თავისთავად ყველა ერისა და ეპოქის მწერლობას აწუხებდა. სხვანაირად ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან მწერლობა ვალდებულია ეპასუხა იმ კითხვებისათვის, რომელიც ხალხის ინტერესების სფეროში შედიოდა.

გ. შატბერაშვილის შემოქმედებაში ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფილოსოფიური ხასიათის მოთხრობა „მკვდრის მზე“ (დაიწერა 1959 წ.). ირკვევა, რომ თხზულებას თავის დროზე სათანადოდ ვერ გამოეხმაურა ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ვერ შეაფასა მისი მხატვრული ღირებულება, ვერც იდეური არსი. აღნიშნულის თაობაზე პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე წერს: „ქართულ კრიტიკას უმნიშვნელო როლი ეკუთვნის ამ შესანიშნავი მოთხრობის პოპულარიზაციის საქმეში. მან უფრო ადრე მოიპოვა სიყვარული და აღიარება, ვიდრე კრიტიკა მიუჩენდა ღირსეულ ადგილს. უფრო მეტიც, თავდაპირველად კრიტიკა ამ მოთხრობას საკმაოდ სუსხიანად შეხვდა“ [ჭუმბურიძე, 1975 : 26].

„მკვდრის მზე“ მრავალწახნაგოვანი თხზულებაა, მისი გააზრება რამდენიმე კუთხით შეიძლება. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მოთხრობის შესახებ მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოითქვა რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება. მაგალითად, მწერალი გიორგი ხუხაშვილი შენიშნავს: „ახალს, ორიგინალურს, ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებს ლიტერატურულ ცხოვრებაში თავისებური მღელვარება, გაცოცხლება შეაქვს. იგი ახალ, მძლავრ ფაქტორად იქცევა არამარტო გამარჯვებული ავტორის შემოქმედებითი განწყობილებისათვის, არამედ სხვებისთვისაც, ვინც ეძებს ახალ სიღრმეებს სიტყვიერი ხელოვნების სფეროში. ბოლო ხანებში ერთ-ერთ ნაწარმოებად გამოჩნდა ჩვენში გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ [ხუხაშვილი, 1962 : 105]. თხზულების შესახებ გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ მხოლოდ მწერლის გარდაცვალების დღეებში (1965 წ. აპრილი) გამოთქვა თავისი მოსაზრება „მკვდრის მზე“ მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ამ ვრცელმა მოთხრობამ ლიტერატურული

საზოგადოებისა და მკითხველის დიდი გამოსხმურება და ინტერესი გამოიწვია. ამ მოთხრობაში უკვე ცნობილი პროზაიკოსი ახალი და თავისებური სახით მოგვევლინა, მოგვჩვენა თხრობის ძალდაუტანებელი ბუნებრივი მდინარებით, ენის სიღალით და სიმდიდრით, დიდი იდეური შთაგონებით" [„ლიტერატურული საქართველო“, 1965].

„მკვდრის მზისთვის“ უცხოა სიუჟეტის სწორხაზოვანი განვითარება, იგი არათანაბრად მიმდინარეობს და ახალი ამბებით პარალელური ნაკადებით მდიდრდება. გ. შატბერაშვილი არ მისდევს ფაბულის გადაბმულად თხრობის გავრცელებულ ხერხს. მოთხრობის თითოეული ნაწილი „დილა“, „შუადღე“ და „სადამო“ დასრულებული სახისაა, თუმცა მათ შორის გაბმულია მოქმედების ერთიანი და მთავარი ხაზი.

მწერალს განსაკუთრებით უყვარს თავისი გმირები, ქვის მთლელი ოსტატი - ხიზამბარელი, რომლის სახელი თხზულებაში არ ჩანს და ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ცხოვრებისაგან უკვე დაბრძენებული - თენგო კობაიძე. იგი მოხიბლულია მათი გმირული სულისკვეთებით, სულიერი სიმტკიცით. მიუხედავად იმისა, რომ „მკვდრის მზის“ გმირები (ხიზამბარელი და თენგო) უჩვეულო ძალ-ღონეს ფლობენ, სხვებისაგან მაინც თავმდაბლობით, უბრალოებით გამოირჩევიან, რაც მათ მთავარ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ. მათ ყოველ ქცევაში სიტყვა-პასუხში ნათლად ჩანს ალალი, მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანების ფილოსოფია. ამ ორი გმირის გარდა, თხზულებაში გ. შატბერაშვილი შთამბეჭდავად ხატავს დანარჩენ მხატვრულ პერსონაჟთა სახეებს (გიორგი კობაიძე, ხახატო, შავდათუა და ა.შ.), მათ თავგადასავალსა და შინაგან დამოკიდებულებას სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემასთან, რომელიც მწერლის აზრით, ასეთია: „წუთისოფელი სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილია... სადაც სიკვდილი არ შეაბრტებს, იქ ხომ არც სიცოცხლეა... სიკვდილი მხოლოდ ამოწვევით ოჯახში არ შედის, ამოწვევითი ოჯახი სიცოცხლესაც მოსძულდება და სიკვდილსაც“ [შატბერაშვილი 1972 : 30]. „მკვდრის მზის“ ძირითადი პრობლემატიკა სიკვდილ-სიცოცხლის დაპირისპირებაა, მწერლის სიტყვებით, რომ ვთქვათ, გასაველელი გზაა აკენიდან სასაფლაომდე. საგულისხმოაა რომ ამ გზას მოთხრობის გმირები, ხიზამბარელი და თენგო კობაიძე დაუმარცხებლად მიუყვებიან, მიუყვებიან რათა ღირსეულად შეხვდნენ თავიანთი სიცოცხლის ავბედით დასასრულს. ისინი შეუპოვრად ერკინებოდნენ იმ საჯილდაო ქვას, რომელიც მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. „მკვდრის მზეში“ ფსიქოლოგიური სიზუსტით არის აღწერილი გიორგი კობაიძის (თენგოს მამის), შავდათუას, ხახატოს ხასიათები. ასევე დეტალურადაა წარმოსახული გიორგის ჩხუბი დედასთან, დამეგობრება შავდათუასთან და დედის ჯიბრით შეუხედავი, ყრუ ხახატოს ცოლად შერთვა. ამ შემთხვევაში მოთხრობა გადატვირთულია სხვა მოვლენებით, რის გამო მთავარი თემა დიდი ინტერვალით წყდება მომდევნო ამბებს. მიუხედავად ამისა გ. შატბერაშვილმა „მკვდრის მზეში“ სიუჟეტის ოსტატურად განვითარების გზით გვიჩვენა წუთისოფელთან ჭიდილის არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი სულიერი წინააღმდეგობანი, რომლებიც თავმოყრილი იყო ერთ ადამიანში – გიორგი კობაიძის ფსიქიკაში. მხატვრული სახის შექმნით მწერალმა მიგვანიშნა ადამიანებში მიმდინარე რთულ, სულიერ ბრძოლაზე, კეთილისა და ბოროტი საწყისების დაპირისპირებაზე. გ. შატბერაშვილის აზრით, სულიერი კრიზისის გადატანა ისევე ახასიათებს წუთისოფლის გზას და ისევე აუცილებელია იგი ადამიანების ცხოვრებაში, როგორც სიძნელეებთან ფიზიკური კეთილი.

საინტერესოა, ნაწარმოების კომპოზიციური მთლიანობა. იგი სამი მთავარი ნაწილისგან შედგება: „დილა“, „შუადღე“, „სადამო“. თხზულების შემადგენელ ნაწილებს ჩვენი აზრით, სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. კერძოდ, მათში ადამიანის მთელი სიცოცხლეა ჩატეული: „დილა“ - დაბადებაა, „შუადღე“ – ცხოვრება, ხოლო „სადამო“ – სიკვდილი. როგორც აღვნიშნეთ, გ. შატბერაშვილი „მკვდრის მზეში“ არ მისდევს ამბის გადაბმულად თხრობის გავრცელებულ ტრადიციას და ფრაგმენტულად ალაგებს თხზულების პერსონაჟთა ცხოვრების დრამატულ ეპიზოდებს. სიკვდილ-სიცოცხლის წარმოჩინების მიზნით გ. შატბერაშვილმა დახატა იმ ადამიანთა ცხოვრება, რომელთაც წილად ერგოთ უსიხარულო სიცოცხლე და რომლებმაც საკუთარი ხასიათის წყალობით სიკვდილამდე როგორღაც მიიტანეს ტკივილიანი

სულები. გიორგი კობაიძემ მარტოსულად ქცეულმა კაცმა გაორებული გულითა და ჯიუტი შეუპოვრობით განვლო სიცოცხლე, ხიზამბარელმა გამარჯვების სიხარულთან ერთად სიკვდილის მსახვრალი ხელიც შეიგრძნო, ჯერ უიღბლო ქალიშვილობა ხვდა წილად ხახატოს და შემდეგ უბედური დედობა, საფალავნო ლოდმა გათელა მოთხრობის მთავარი გმირი – თენგო კობაიძე. ასეთი დრამატული ბედის მქონე ადამიანების ცხოვრება უდევს საფუძვლად „მკვდრის მზის“ ძირითად შინაარსს, რომელსაც უფრო სვედიანი ფერები ასაზრდოებს, ვიდრე ნათელი სურათები. ვფიქრობთ, ნაწარმოების ასეთ დრამატიზმს განაპირობებს მისი სიუჟეტური აღნაგობა, კერძოდ, მომხდარი, დამთავრებული ამბიდან უკან დაბრუნება და სასაფლაოდან წუთისოფლის დანახვა. დრამატიზმი ასევე განპირობებული უნდა იყოს ცალკერძ შინაარსით და ცალკერძ, გ. შატბერაშვილის დამოკიდებულებით ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთობის გააზრებასთან. საგულისხმოა, რომ ნაწარმოებში სიცოცხლე სიკვდილიდანაა დანახული და არა პირიქით. ამ მოტივს კიდევ უფრო აძლიერებს საჯილდაო ლოდზე ამოკვეთილი სიტყვები „სიკვდილითა სიკვდილისა...“, რომელიც საინტერესო ფილოსოფიაა სიკვდილის ძლევაზე, სიცოცხლის საფასურად მოპოვებულ სახელსა და დიდებაზე. გ. შატბერაშვილმა „მკვდრის მზეში“ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის გვერდით წინა პლანზე წამოსწია ადამიანად ყოფიერების არსი, რომელიც ქართული ლიტერატურითვის ყოველთვის აქტუალური იყო. მწერალმა თხზულებაში შესანიშნავად გადაჭრა ადამიანისა და ადამიანურობის არსი. მისი აზრით, ადამიანები უნდა იღწვოდნენ არა ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, არამედ მარადიული სიცოცხლის დამკვიდრებისთვის. „მკვდრის მზის“ პერსონაჟები პირად ინტერესებს ივიწყებენ და საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურებიან, ცდილობენ დარჩნენ სახელოვან წინამორბედებად მომავალი თაობებისთვის.

საინტერესოა ნაწარმოების სათაურის გააზრება. თვითონ სახელწოდება „მკვდრის მზე“ უნდა მომდინარეობდეს ქართული მითოსული წარმოდგენებიდან, კერძოდ სვანური და ფშავ-ხევსურული თქმულებებიდან, რომელთა თანახმად, მკვდრის მზემ უნდა გაანადგუროს ქვესკნელი ანუ მკვდართა ქვეყანა. მაგრამ მკვდართა მზე არაა განკუთვნილი ყველასთვის, იგი მხოლოდ სახელოვნად დაღუპულებს ანუ „მართალ სულებს“ უნათებს. კვდრის მზის სახელწოდების შესახებ კრიტიკოსი თეოდორე შავიშვილი წერს: „ჩამავალ მზეზე იტყვიან, ძალაგამოღებული სხივებით რომ აშუქებს მთებს და მიდამოს“ [შავიშვილი 1975 : 64]. ქართულ მწერლობაში ტერმინი – მკვდრის მზე ვიდრე მას გიორგი შატბერაშვილი გამოიყენებდა, რამდენჯერმე გვხვდება მაგალითად, ალექსანდრე ქუთათელის რომანში „პირისპირ“ ერთ-ერთ თავს მკვდრის მზე ეწოდება. „მკვდრის მზე“ აქვს ასევე ახსნილი ჭკულა ლომთათიძეს მოთხრობაში, „თეთრი ღამე“, სადაც ვკითხულობთ: „მკვდრის მზე მკვდრის მზეა. იცით თქვენ რას ჰქვია მკვდრის მზე? როცა მზე დინჯად და ღაღად ჩაეშვება ხოლმე შავ ზღვაში...“ [ლომთათიძე 1956 : 375]. თუ გავითვალისწინებთ მითოლოგიურ წარმოდგენებს მის საპირისპიროდ გ. შატბერაშვილმა მკვდრის მზეს არა „სულების ქვეყანაში“, არამედ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში გამოანათებინა თავისი მხატვრული პერსონაჟის, მომაკვდავი გიორგი კობაიძისთვის. მწერლის აზრით მკვდრის მზემ არა მარტო იმ ქვეყნად, არამედ ამ ქვეყნადაც უნდა გამოანათოს, ოღონდ არა ყველასთვის. მართალია, გ. შატბერაშვილმა ამ შემთხვევაში ქართულ მითოსულ წარმოდგენებს გვერდი აუარა, მაგრამ იგი ხალხური სიბრძნის ჩინებული მცოდნეა და დამფასებელი. მან ხალხური მოტივები მშვენივრად გამოყენა როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში, ამის დასტურია მრავალი ლექსი და თვით „მკვდრის მზე“. შემთხვევითი როდია, რომ თხზულების ძირითადი ამბავი მწერალს სოფ. შუბათელმა (კასპის მუნიციპალიტეტი) ერთმა ბერიკაცმა უამბო და იქვე განუმარტა მკვდრის მზის სემანტიკური მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. ღომთათიძე, 1956 : ღომთათიძე ჭ. , მოთხრობები, თბ; 1956;
2. „ლიტერატურული საქართველო“, 1965 : გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი 1965 №17;
3. შავიშვილი, 1975 : შავიშვილი თ. , ფიგურალური სიტყვათქმების კრებული; თბ; 1975;
4. შატბერაშვილი, 1972 : შატბერაშვილი გ. , თხზულებანი; ტ.I ; თბ; 1972;
5. ჭუმბურიძე, 1975 : ჭუმბურიძე ზ. , ლიტერატურული წერილები; თბ; 1975;
6. ხუხაშვილი, 1962 : ხუხაშვილი გ. , მწერალი და დრო; თბ; 1962;

Сосо Гикошвили**„Солнце покойника“ Георгия Шатберашвили**

Резюме

В Труде Георгия Шатберашвили „ „Солнце покойника“ рассматривается обиа из длинных повестей философического характера. Г лавная идея повестиб вечная проълема сопоставления жизни и смерти, основная мысль быть человеком. В труде найдены и использованы те литературне источники, которые как!то заполняют непола „Солнце покойника“, потому что ето произведение в свое время осталось без внимания критики. Тут же объясняется содержание самого названия „Солнце покойника“, которое происходит из мифических представлений.

Soso Gikoshvili**“The sun of a Dead Man” by George Shatberashvili**

Abstract

A twentieth century Georgian writer George Shatberashvili distinguishes his creation with a very interesting, spacios philosophical type of a story „The sun of a dead man”. The denouement in the writing doesn't develop in one direction; it goes on rather incidentally being enriched by the new streams of news. G.Shatberashvili doesn't follow the standard way of developing narration in the plot. Each part of the story „Morning”, „Afternoon” and „Evening” is completely integrated by one continues chain of activities. The author is enormously in love with his heroes Khizamzareli and Tengo Kobaidze. Notwithstanding possessing extraordinary power they deeply differentiate from other characters by being modest which is their main dignity. The psychology of a avery patient and reserved man is observed in their behavior. Besides mentioned heroes G.Shatberashvili creates rather aimpresively the images of other characters (George Kobaidze, Khakhato, Shavdatua and others), their adventures and inner attitude towards the problem of life and death which is at the same time the motto (the main idea) of a story. To expose the attitude between life and death the author described the life of those people who destined to have dramatic lives. This dramatizing in the story is caused by its contents and the authors relations to the reality of life and to the philosophical realization of the controversial issues of life and death. Aside this problem G.Shatberashvili pushes forward the problem of an existence of a human being characteristic and rather active for Georgian prose. In this opinion people should not fight for their longevity but for making their names eternal. The title of the story „The sun of a dead man” takes its roots from mythology according to which the sun which belongs only to „genuine souls” should lighten „the country of dead people”, G.Shatberashvili deviated from mythology by letting the sun lighten the souls of simple mortals. It is rather interesting and remarkable that the plot was retold and defined to G.Shatberashvili by the oldest citizen of the village Shuamta.

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნანული ჯაჯაურიძე

ქუთაისი, საქართველო

ფრანც შუბერტის „ცაცხვის“ ფუნქციისათვის თომას მანის
„ჯადოსნური მთაში“

„ჯადოსნური მთის“ ძირითადი თემა არის პრობლემა სიცოცხლისა და სიკვდილის, ავადმყოფობისა და სიჯანსაღის, ადამიანის დანიშნულებისა საერთოდ. სწორედ ამ რთული პრობლემის გადაჭრაში, რომელიც პანს კასტორპის წინაშე დგას, მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება თომას მანის გმირის მიერ მუსიკის, კონკრეტულად კი ფრანც შუბერტის ცაცხვის აღქმას, რომლის ზეგავლენით იგი იწყებს აზროვნებასა და ანალიზს. ნიცშეს ფილოსოფიის მეხეებით თომას მანი თავის გმირთან ერთად ძღვეს შოპენჰაუერულ-პესიმისტურ „იკვდილის სიმპათიას“ და გერმანული რომანტიზმის „სიკვდილის მისტიკას“.

თომას მანის „ჯადოსნური მთა“ 1912-1924 წლებში იწერებოდა. ამ რომანის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია რომანზე რომანტიკული მუსიკის, შოპენჰაუერისა და ნიცშეს ფილოსოფიის ზეგავლენის შესახებ (Lorenz, 1988:53, Kurzke, 1985:17, Mayer, 1992:57, Fähnrich, 1986:9, Gregor-Dellin, 1984-38).

„ჯადოსნურ მთაში“ ავტორი მუსიკას იყენებს როგორც სიმბოლური აზრით, ასევე სრულიად კონკრეტული ფორმით. კომენტარებში თავისი რომანის შესახებ თომას მანი მიუთითებდა, რომ იგი აგებული იყო სიმფონიზმის პრინციპზე, რადგან აქ იდეები მუსიკალური მოტივების როლს ასრულებდნენ. ცხადია, სიმფონიზმის პრინციპების გამოყენება ბევრად რთული ამოცანაა რომანის აგების თვალსაზრისით, ვიდრე კონკრეტული მუსიკის გამოყენება მხატვრული მიზნებისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანია, მხოლოდ კონკრეტული მუსიკის ფუნქციის გაანალიზება რომანში, რომელიც სანატორიუმ „ბერგჰოფში“ ჩნდება გრამოფონთან ერთად დამსვენებლებისათვის კლასიკური მუსიკის მოსასმენად. სწორედ გრამოფონის მეშვეობით ისმენს პანს კასტორპი ფრანც შუბერტის „ცაცხვს“, რომელიც, როგორც ცნობილია, თ. მანის საყვარელი ნაწარმოები იყო (Sauerbrei, 1993:19).

„ცაცხვი“ ფრანც შუბერტის სიმღერების ციკლის („ზამთრის გზა“) ერთ-ერთი სიმღერაა, რომელიც დაიწერა ვილჰელმ მიულერის ლექსებზე. მიულერის ტექსტები კომპოზიტორმა 1823 წელს აღმოაჩინა ლაიფციგის აღმანახ „ურანიში“. ამ ციკლში ცენტრალური ფიგურაა

მოგზაურის სახე, რომელიც დაეხეტება დაუსახლებელ სივრცეში, ეცემა ძირს, თოვლში, მას კი წინ უძევს გზა, საიდანაც უკან არავინ არ დაბრუნებულა.

„ჯადოსნური მთის“ ძირითადი თემა არის პრობლემა სიცოცხლისა და სიკვდილის, ავადმყოფობისა და სიჯანსაღის, ადამიანის დანიშნულებისა საერთოდ. სწორედ ამ რთული პრობლემის გადაჭრაში, რომელიც ჰანს კასტორპის წინაშე დგას, მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება თომას მანის გმირის მიერ მუსიკის აღქმას, რომლის ზეგავლენით იგი იწყებს აზროვნებასა და ანალიზს.

შუბერტის „ცაცხვი“ რომანის პროტაგონისტისათვის მოელს სამყაროს გამოხატავს და მას არ შეუძლია არ უყვარდეს ეს სამყარო! მაგრამ ამ სამყაროს შოპენჰაუერული სახე აქვს. თომას მანი ტექსტში ზუსტად ავლენს კასტორპის მიერ სამყაროს შოპენჰაუერისებრ აღქმას, როდესაც აღნიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში მას ასე უგონოდ არ შეუყვარდებოდა ის ხატი, რომელიც მისი (სამყაროს) მსგავსი იყო. თ. მანისათვის შუბერტის „ცაცხვი“ საუკეთესო საშუალებაა ჰანს კასტორპის თვითანალიზისათვის. ამ სიმღერის გრძობათა სფეროს მომხიბვლელობა განაპირობებს თომას მანის გმირის სულიერ ზრდას, თვითშემეცნებას.

სწორედ შუბერტის „ცაცხვის“ მოსმენის შემდეგ განსაკუთრებით უღრმავდება ჰანს კასტორპი იმ პრობლემას, რომელსაც „სიკვდილის სიმპათია“ ჰქვია და რომელიც შოპენჰაუერის ფილოსოფიის პესიმიზტური განწყობილების ანარეკლია. „სიკვდილის სიმპათიაში“ ყველაფერი ერთად იყრის თავს: სუბიექტივიზმი, ეგოცენტრიზმი, ჰერმეტიულ, რეალურ ცხოვრებისაგან იზოლირებულ სამყაროში ესთეტიზებული არსებობა, სიკვდილისა და ავადმყოფობის კულტი.

თომას მანი ცდილობს ახსნას ჰანს კასტორპის განსაკუთრებული დამოკიდებულება შუბერტის მუსიკალური ქმნილებისადმი. მწერლის აზრით, ამის საფუძველია სულიერება. „სულიერი, ანუ მნიშვნელოვანი“, – ამბობს თ. მანი. „სულიერი“ შორდება თავის საზღვრებს და სიმბოლურად გამოხატავს რაღაც ფართოსა და ზოგადს, გრძობებისა და აზრების მოელს სამყაროს.

თომას მანისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი აჩვენოს ჰანს კასტორპის ცნობიერების მეშვეობით, რომ შემდეგ „სიკვდილის სიმპათიის“ დაძლევით კვლავ რეალურ ცხოვრებას დაუბრუნოს იგი და ათქმევინოს, რომ ადამიანმა სიკეთისა და სიყვარულისათვის თავის აზრებზე არ უნდა გააბატონოს სიკვდილი. სწორედ ესაა „სიკვდილის სიმპათიის“ საწინააღმდეგოდ გამოტანილი დასკვნა, ანუ ანტიშოპენჰაუერული მოთხოვნა, სადამდეც თ. მანმა თავისი გმირი მიიყვანა სიკვდილის, სნეულების, პესიმიზმის, სკეპსისის გრძობათა გამოვლისა და მათი დაძლევის შედეგად.

მაგრამ დაძლევა, ან საკუთარი თავის დაძლევა არ არის არც შოპენჰაუერის ფილოსოფიისა და არც გერმანული რომანტიზმის ესთეტიკის მახასიათებელი ნიშანი. აქ უკვე თომას მანისათვის მნიშვნელოვანი ხდება ფრიდრიჰ ნიცშეს პოზიცია შოპენჰაუერის სისტემის დაძლევისა. ნიცშეს დიდი გერმანელი მწერალი „Selbstüberwinder“-ს (საკუთარი თავის დაძლევეს) უწოდებდა.

ნაწარმოების ფინალში თომას მანი თავის გმირთან ერთად ძლევს შოპენჰაუერულ-პესიმიზტურ „სიკვდილის სიმპათიას“, რასაც იგი მუსიკის მეშვეობით აღწევს ნაწარმოებში: ანალიზის შედეგად კასტორპი მიიჩნევს, რომ საჭიროა „საკუთარი თავის დაძლევა“. ეს ყველაზე არსებითია თომას მანის გმირის სულიერი ევოლუციისათვის, რადგან საკუთარი თავის დაძლევა პროტაგონისტისა და ნაწარმოების ავტორისათვის ნიშნავს სიკვდილის სიყვარულის დაძლევას.

სწორედ ესაა ის პოზიტიური შემობრუნება ჰანს კასტორპის აზროვნებაში, რაც თ. მანის რომანის პრობლემის გადაჭრის აუცილებელი პირობაა: ჰანს კასტორპი (და ე.ი. ყველა ადამიანი) ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს. თ. მანი ზურგს აქცევს შოპენჰაუერისა და გერმანული რომანტიზმის „სიკვდილის მისტიკას“ ესთეტიკას. „ჯადოსნურ მთაში“ აღარ უღერს ვაგნერის

მუსიკა, რადგან იგი თ. მანისათვის დეკადენტური ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, რომელიც უნდა დაიძლიოს.

ნაწარმოების ფინალში ჰერმეტიული გარემოდან გამოქცეული და ბრძოლის ველზე მყოფი ჰანს კასტორპი ხან ძირს გართხმული და ტალახში დაგდებული, ხოლო შემდეგ კოჭლობით მიმავალი კვლავ იმეორებს შუბერტის სიმღერის ფრაზებს: „ტოტები ახმაურდნენ, მიხმობენ შრიალით...“ („...Und seine Zweige rauschten, als riefen sie mir zu“).

ჰანს კასტორპის მომავალ ბედზე დაფიქრებული მწერალი პირველი მსოფლიო ომის, ანუ „სიკვდილის მსოფლიო ღხინის“ ჯოჯოხეთურ ფონზე ეჭვით აღსავსე კითხვას სვამს: „დაიბადება თუ არა ომის საშინელი ხანძრიდან სიყვარული?“

ლიტერატურა:

- Fähnrich, H. Thomas Manns episches Musizieren im Sinne Richard Wagners. Frankfurt a. Main: Verlag A. Herchen 1986.
- Gregor-Dellin, M. Wagner und kein Ende. Bayereuth: Edition Musika 1984.
- Hamburger, K. Thomas Mann und die deutsche Romantik. Berlin: Junker und Dünhaupt 1932.
- Heftrich, E. Zauberbergmusik. Über Thomas Mann. Bd. 1. Frankfurt a. M.: Verlag Klostermann 1975.
- Jung, U. Die Musikphilosophie Thomas Manns. Regensburg 1969.
- Kohlschmidt, W. Musikalität, Reformation und Deutschtum. In: Zeitwende. Jg. 21. 1950.
- Kurzke, H. Thomas Mann. Epoche-Werk-Wirkung. München: Verlag Beck 1985.
- Lorenz, N. Die Musik Thomas Manns. Berlin: Selbstverlag 1988.
- Mayer, H. Abermals: Deutschland and Deutshen. In: Thomas Mann: Deutschland und die Deutschen. 1945. Reihe: EVA-Reden I. Hamburg: Europäische Verlagsanstalt 1992.
- Mathias, K. Die Musik bei Thomas Mann und Herman Hesse. Kiel: Verlag Suhrkamp 1956.
- Nündel, E. Die Musiktheorie Thomas Manns. Bonn: Bouvie Verlag 1972.
- Schlee, A. Wandlungen musikalischer Strukturen im Werke Thomas Manns. Frankfurt a. M. – Bern: Peter Lang Verlag 1981.
- Žmegač, V. Die Musik im Schaffen Thomas Manns. Zagreb: Verlag Vjesnik Pogan 1959.
- Wagner-Neitzsche-Thomas Mann. Hszg. von Heinz Goekel. Frankfurt a. M.: Verlag Klostermann 1993.

ნანული კაკაურიძე

К функции «Липы» Франца Шуберта в «Волшебной горе» Томаса Манна

Резюме

Главная тема в романе Томаса Манна «Волшебная гора» – проблема жизни и смерти, здоровья и болезни, предназначения человека вообще. В решении этого сложного вопроса, стоящего перед Гансом Касторпом, особая роль принадлежит восприятию героем Томаса Манна музыки, а именно произведения Франца Шуберта «Липа», под воздействием которого он начинает думать и анализировать. Посредством философии Ницше писатель вместе со своим героем преодолевает пессимистическую философию Шопенгауера и «мистику смерти» немецкого романтизма.

Nanuli Kakauridze**To the function of "Lime" by Franz Schubert in "The Magic Mountain" by Thomas Mann**

Abstract

The main theme in Thomas Mann's novel "The Magic Mountain" is the problem of life and death, health and disease, the destiny of man in general. In solving this complex issue facing Hans Kastorp, a special role belongs to the perception of music by Thomas Mann's music, namely the work of Franz Schubert "Lipa", under the influence of which he begins to think and analyze. Through Nietzsche's philosophy, the writer, together with his hero, overcomes Schopenhauer's pessimistic philosophy and the "mysticism of death" of German Romanticism.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მუჯირი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნანა შავთვალიძე

თბილისი, საქართველო

„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...“ თუ თავშეკავება

ჩვენი ინტერესია, როგორია ქართველთა რეაქცია და ქმედებები უარყოფითი სიახლის გაგებისას, შენიშვნისა თუ საყვედურის მიღების დროს.

კულტურული რუკის შეფასებისას გასათვალისწინებელი და განმაპირობებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტექსტი, რაც გულისხმობს, რომ სხვადასვა ერისა თუ კულტურის ამ მიდგომების მიხედვით გადანაწილებას. ამჯერად ჩვენი ინტერესი და მთავარი მიზანი გარკვევაა, თუ სად არის შესაძლებელი საქართველოს განთავსება ამ რუკაზე, თუნდაც პირველ დონეზე.

კვლევიდან დადასტურდა, რომ გამოკითხულ ახალგაზრდათა 80% ქართველს მაღალი კონტექსტის გამომხატველად მიიჩნევს, რადგან გახსნილია ადამიანებთან, ღიმილიანი და მუდამ მზადაა ახალი ურთიერთობებისთვის. ურჩევნია თავშეკავება, როდესაც რაიმე არ მოსწონს.

თავაზიანობის მრავალი ფორმა არსებობს. თითოეულ კულტურას შესაბამისი გამოსატვის განსაკუთრებული საშუალება აქვს. ეთიკის ნორმების დაცვა 21-ე საუკუნის ყველა კულტურისთვის აუცილებელი ნორმაა. ჩვენი ინტერესია, როგორია ადამიანთა, ქართველთა, რეაქცია და ქმედებები უარყოფითი სიახლის გაგებისას, შენიშვნისა თუ საყვედურის მიღების დროს. რას ამჯობინებენ, გაჩუმებას თუ თავის დაცვას?! ფაქტობრივად, თითოეული ინდივიდი დამოუკიდებლად მოქმედებს ხასიათიდან გამომდინარე, თუმცა ერის კულტურული მენტალობა ამ ყველაფრის განმაპირობებელია.

ყველა ადამიანი საკითხთან დაკავშირებით აზრს სხვადასხვანაირად გამოხატავს. კულტურათა სახეები განსაზღვრავს რამდენიმე ქმედებას, როდესაც ისინი: 1. თავს იკავებენ აზრის გამოთქმისგან; 2. დაუფარავად ამბობენ სათქმელს; 3. გადაკვრით მიანიშნებენ, ანუ „მულო გითხარი, რძალო გაიგონე“; 4. კონსტრუქციულ კრიტიკას მიმართავენ; 5. ემოციას მიენდობიან და ფიზიკურ ქმედებებზე გადადიან.

ეს სხვადასხვა ტიპის ადამიანური ქმედებაა, რომელიც გამოხატვის ამ საშუალებებით წარმოიხდება, ანუ ან მეტყველებით, ან ქმედებით. ეს ერის ცნობიერებითაა განპირობებული. ერის ცნობიერებას გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორია, რელიგია განსაზღვრავს. ერის ცნობიერება ერის კულტურით გამოიხატება. ქმედების გამოხატვის საშუალება ემოციაა და მეტყველებისა კი ენა. ძირითადად, ეს ენის ექსპრესიული თვისების აღმნიშვნელია, თითოეული კულტურა არსებული ეროვნული ცნობიერების მიხედვით მოქმედებს. ის რაც ზოგისთვის ნორმაა, სხვისთვის მიუღებელია. თანამედროვე ყოფა და თვით გლობალიზაცია ერთა თანაცხოვრებისკენაა მიმართული. თანაცხოვრება თუ არა, თანამშრომლობა უკვე მსოფლიო

მოსახლეობის ბევრი ადამიანისთვის ცხოვრების წესია. სწორედ ამიტომაც გახდა საჭირო კულტურული რუკის შექმნა. რუკის მიზანი ქვეყნის ცნობიერებაზე დაყრდნობით თითოეული ერის მენტალობის კულტურული ფორმების აღწერა და მისი განმსახლველი ქმედებების სააშკარაოზე გამოტანაა. ასე თუ ისე, ყველა ინდივიდს ისედაც აქვს თავისი დამოკიდებულება ყველა ქვეყანასთან.

საინტერესოა, როგორია უკუგება შენიშვნისა თუ საყვედურის მიღებისას? ძირითადად, ადამიანები: 1. ზოგნი გულწრფელად მადლიერნი არიან შენიშვნებისა და კრიტიკისა. 2. ღიზიანდებიან შენიშვნაზე, მაგრამ იღებენ მას; 3. ღიზიანდებიან შენიშვნაზე და არ იღებენ მას, მაგრამ არაფერს ამბობენ; 4. უკუაგდებენ შენიშვნას და სიტყვიერად ავლენენ გაღიზიანებას. 5. უკარყოფენ შენიშვნას და არათუ სიტყვით, არამედ ქმედებითაც ავლენენ.

მაგალითად, დანიელი ღიად და პირდაპირ იღებს კიდევ კრიტიკას და გულწრფელად ბედნიერია თვალის ახელის გამო. თანაც ამის გამო იმდენად მადლიერია, რომ უახლოეს ადამიანად მიიჩნევს კრიტიკოსს. ამერიკელები შეურაცხოფილნი გრძნობენ თავს, როცა შენიშვნას სხვისი თანდასწრებით ეუბნებიან. პრინციპში, შენიშვნის ან არასასიამოვნო მინიშნების განცხადების ორი ფორმა არსებობს: ფაქტობრივად, ორი ვარიანტია: პირველი, შენიშვნის პირდაპირ თქმა, დაუფარავად და, მეორე, შენიშვნის შეფუთული, მინიშნებით მიწოდება. აქაც განსხვავებული მიდგომა გვაქვს და განმსხვავებელი კვლავ ერის მენტალობა, კულტურული ხედვაა.

ამერიკელი სათქმელს ამბობს, მაგრამ არა პირდაპირ, შეფარვით, შეფუთულად. იწყებს ყოველთვის დადებითი კონტექსტით, აღნიშნავს და ხაზს უსვამს წარმატებას და შემდეგ ფრთხილად გადადის უარყოფით ინფორმაციაზე, რომელსაც შესანიშნავად ფუთავს. ამის გამგონე სხვა ერის წარმომადგენელი კი არც უსმენს ბოლომდე და ტკობას თავიდანვე განიცდის დაწყებული ფრაზების მოსმენისას. ამას ტოტალურად ეწინააღმდეგება აღმოსავლეთი, კერძოდ, ჩინეთი. ჩინელი არასდროს აკრიტიკებს ღიად, პირდაპირ. ფაქტობრივად, ის არ ამბობს სათქმელს.

გერმანელები პირდაპირი ხალხია და კრიტიკაც ასეთივე აქვთ. ისინი ბავშვობიდან მიხვეულები არიან პირდაპირ და მკაცრ შენიშვნებს. ისინი მკვახე ტერმინოლოგიასაც იყენებენ კრიტიკისას, რომ იდეა, სათქმელი ზუსტად და ობიექტურად მივიდეს ობიექტამდე. მიხვეულები არიან, რომ მოსმენისთანავე უკუაგდონ სასიამოვნოდ მოსასმენი ფრაზები და ყური უგდონ მწარე შენიშვნებს. ბრიტანელი უფრო თავშეკავებული და რაციონალურია. საყვედურს ნაზად, შეფარვით, რბილად ეუბნება. შესაძლოა, ეს საყვედურად არც აღიქვამს იმ კულტურის წარმომადგენელმა, რომლისთვისაც ასეთი მიდგომა უცხოა.

საინტერესოა ბრიტანულ-ჰოლანდიური თარგმანის გზამკვლევის სქემა (ერინ მეიერი, გვ.: 67), სადაც ბრიტანელის საუბრის შემოვლითი გზა და ჰოლანდიელის მიამიტური აღქმა ვლინდება. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს [მეიერი, 2015:67]:

1.1.

| № | ბრიტანელი ამბობს | ბრიტანელი გულისხმობს | ჰოლანდიელი ასე იგებს/ფიქრობს |
|----|---|--------------------------------|---|
| 1. | ძალიან | არ მომწონს... | შთაბეჭდილება მოახდინა მასზე... |
| 2. | საინტერესოა... დარწმუნებული ვარ, ჩემი ბრალია. | ჩემი ბრალი არ არის. | მისი ბრალია. |
| 3. | ორიგინალური ხედვაა. | იდიოტური ხედვაა. | მოსწონს ჩემი იდეა. |
| 4. | თუ შეიძლება მეტი იფიქრეთ ამ საკითხზე. | ცუდი იდეაა, აქ გააკეთოთ ეს. | კარგი იდეაა, იზრუნე მის განვითარებაზე. |

ეს რამდენიმე მაგალითი ნათლად ავლენს, თუ რაოდენ დიდ შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს ბრიტანელმა სხვა კულტურის წარმომადგენელი მისი მიდგომის გამო, თუნდაც პოლანდიელი.

კულტურული რუკის შეფასებისას გასათვალისწინებელი და განმაპირობებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტექსტი, რაც გულისხმობს, რომ სხვადასხვა ერისა თუ კულტურის ამ მიდგომების მიხედვით გადანაწილებას.

სათქმელის პირში მიხლა, ანუ პირდაპირი უარყოფითი უკუგება - უარყოფითი შეფასება მიწოდებულია გულწრფელად, პატიოსნად, მაგრამ უხეშად. უარყოფითი საკითხი დგას განყენებულად და ხაზგასმულია, არაა შერბილებული. შეფასებითი ლექსიკა მკვახეა და მოურიდებელი. იხმარება შესიტყვებები: „აბსოლუტურად შეუსაბამო“, „სრულიად არაპროფესიონალური“ და ა.შ. არ ერიდებიან შენიშვნის ჯგუფის წინაშე მიცემას.

მინიშნებითა და გადაკვრით თქმა, ანუ არაპირდაპირი უარყოფითი უკუგება - უარყოფითი შეფასება მიწოდებულია დიპლომატიურად, რბილად, დახვეწილად. დადებითი ფორმა გამოიყენება უარყოფითის შესაფუთად. გულწრფელად, პატიოსნად, მაგრამ უხეშად. უარყოფითი შესიტყვებებისას შემოიფარგლებიან შემდეგი საშუალებებით: „თითქოს შეუსაბამო“, „ოდნავ არაპროფესიონალური“ და ა.შ. შენიშვნა რჩევის სახით მხოლოდ ინდივიდს ეუბნებიან მოწმეების გარეშე.

რუსი, ესპანელი, ფრანგი და ა.შ. მიჩნეულია პირდაპირ უკუგებლად, ამერიკული კულტურა ზღვარზეა, შემდეგ მოდის დანარჩენი ქვეყნები, მაგალითად, ბრიტანეთი, რომელიც ნაკლებად პირდაპირია ამერიკელთან შედარებით და ასე მიჰყვება დალაგებული ქვეყნები ერთერთს. მსოფლიოში ყველაზე უარყოფითი შენიშვნისა და მონაცემის პირდაპირ მოქმელი ერია - ისრაელი. საინტერესოა ერთი ფაქტი - სინგაპურელი ექიმი ესრაელში იმყოფებოდა ერთკვირიან ტრენინგზე, ებრაელი ხალხის მასპინძლობა და კეთილგანწყობა შესაშური იყო. ამიტომაც სინგაპურელმა ექიმმა ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი უნდა ასახულიყო საქმიანად, ანუ დადებითად, და თავშეკავებულად მაინც უნდა ეთქვათ სათქმელი და არა უარყოფითი უკუგება გამოეხატათ. ასევე განცვიფრებულები დარჩნენ თავად ებრაელი ექიმები, ისინი ვერ მიხვდნენ, თუ რა შუაში იყო საქმე მასპინძლობასთან. სინგაპურელმა ექიმმა თავისი კულტურული კონტექსტით აღიქვა ყოველივე, ებრაელმა - თავისით. ე.ი. გაუგებრობაც. იხილეთ სხვადასხვა ერის შეფასების სქემა. რიგის მიხედვითაა განაწილებული ქვეყნები, ყოველი წინმდგომი ქვეყანა მეტად გამოხატავს აღნიშნულ ფუნქციას [მეიერი, 2015:69]:


შეფასება 12.

| სათქმელის პირში მიხლა/პირდაპირი | გადაკვრით თქმა/არაპირდაპირი |
|-------------------------------------|--------------------------------------|
| რუსეთი საფრანგეთი იტალია | აშშ ბრიტანეთი ბრაზილია ინდოეთი |
| ისრაელი გერმანია ნორვეგია ავსტრალია | საუდიის არაბეთი იაპონია |
| ნიდერლანდები დანია ესპანეთი | კანადა მექსიკა ჩინეთი კორეა ტაილანდი |
| | არგენტინა კენია განა, ინდონეზია |

მაღალი და დაბალი კონტექსტის მიხედვით არ ნაწილდება შეფასება. შესაძლებელი მაღალი კონტექსტის კულტურის სხვადასხვა ერი ან პირდაპირი, ან არაპირდაპირი კონტექსტის გამომხატველი იყოს. ერები ნაწილდება ოთხ კვადრატად: A; B; C და D კვადრატებად, რომლებშიც გადანაწილებულია ქვეყნები. ეს შემდეგი კვლევის საკითხია. ამჯერად ჩვენი ინტერესი სხვაა. მთავარი მიზანი კი გარკვევაა, თუ სად არის შესაძლებელი საქართველოს განთავსება, თუნდაც პირველ დონეზე. ამისათვის კი კვლევა უპირველესია. გამოკითხული იქნა მხოლოდ ას ათი 18-21 წლის ახალგაზრდა. საბოლოო დასკვნის გაკეთება რთულია, მაგრამ მიდგომისა თუ ხედვის ორიენტირის მომცემი კი ნამდვილად არის. C დახურული კითხვის საშუალებით წარდგენილი იყო რვა შეკითხვა:

1. ურთიერთობისას საკუთარ თავს მაღალი კონტექსტის (აქტიურ) გამომხატველად მიიჩნევთ? 73 – დიახ; 37– არა.
2. უცხო საზოგადოებაში როცა რაიმე არ მოგწონთ, დაუფარავად გამოთქვამთ უარყოფით დამოკიდებულებას? 43 – დიახ; 67– არა.
3. თვლით თუ არა, რომ შენიშვნის მიცემა სხვისი თანდასწრებით შეურაცხმყოფელია? 84 – დიახ; 26– არა.
4. უარყოფით აზრს, სათქმელს ირიბად ან გადატანითი მნიშვნელობით გამოთქვამთ? 51 – დიახ; 59– არა.
5. საქმისას ურთიერთდაძაბულობა ახდენს გავლენას ადამიანების პირად ურთიერთობაზე? 98 – დიახ; 12– არა.
6. თუ ახლობლის, მეგობრის, ოჯახის წევრის რაიმე არ მოგწონთ, პირდაპირ ეტყვით სათქმელს? 97 – დიახ; 13 – არა.
7. თუ ხვდები, რომ უკუგება არ ექნება შენს სათქმელს, მაინც იტყვი? 75 დიახ; 35 – არა.
8. თავშეკავება, ანუ პრობლემაზე თავის არიდება, საქმისათვის დამღუპველია? 93 – დიახ; 17– არა.

1 და 2



3/4

Дело в том, что молодые грузины являются громкими представителями, но в косвенной форме. Они остаются мужественными гражданами, и они уверены, что сказать, что их собственное мнение или выражение было бы неловким выражением.

Nana Shavtvaladze

“Sometimes is better to say, then not to say...” or be restrained – The Culture Map

Abstract

There are many forms of courtesy. Each culture has a special way of expression the feelings. The ethical norms are the norm for all cultures of the 21st century. Our interest is the reaction of Georgians and the actions of the negative novelty when it comes to comment or reprimand.

In the assessment of the Cultural Map, direct or indirect context is considered and imposed, which implies that distribution of different nationalities and cultures according to these approaches. This time our interest and main goal is to find out where it is possible to place Georgia as a country on this map, even at the first level.

In our survey we found that 80% of respondents consider Georgians to be a high-profile context because they are open to people, smily and always ready for new good relationships. The young generation pefers to restraint when they do not like something.

The fact is that young Georgians are high-profile representatives, but in indirect form. They remain courageous citizens and they are sure that to say their own opinions or expression would be as an awkward expression.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ქაცარავა

სწავლების მეთოდოლოგია Методика Methodic of teaching

Maya Abdelani

თელავი, საქართველო

Using Rubrics while Teaching/ learning Foreign Languages

The paper deals with the usage of self-assessment and peer-assessments. Creating rubrics and displaying them in classroom settings makes foreign language learning not only active but effective as well. That's why designing language skills rubrics and introducing them to students maintains active learning as they (students) become mutual independent assessors of their knowledge and their mates' abilities. As well rubrics give opportunities to parents to control and actively be involved in their children's learning process.

Introduction

Students' assessment has always been problem at any institution, as parents are mostly interested in their children's final grades rather than their children's basic knowledge and they see the grades as the main indicator of their children's knowledge. They would rather focus on their desirable grades than deserved ones. If they see their children at work, their demand on high grades seems natural. However, they do not consider whether those grades are appropriate to their children's knowledge. We do not argue with them on this idea. The only challenge is the way how we manage to introduce fair assessment to our learners. That's way creating the rubrics according to each skill and posting them in classroom is essential at any level. As every student, as well as the parents, would know how they would be graded after each activity.

English is a compulsory language at public schools in Georgia. Students start English from the first grade. Students' readiness to cope with the challenge of adopting the foreign language at this age depends on teachers' proficiency. That's why teachers' professional development became essential at public schools in our country. Teachers, both novice and experienced, come across various practical problems dealing with the quality of teaching and learning. Lots of researches have been carried out to find out effective ways in foreign language teaching, but are all of them successful for learners? We all know very well, how difficult it is to involve students in activities, if they are not enjoyable, even if they are useful.

The effectiveness of teaching at public schools and university relies on teachers or professors ability to manage the learning process. Sharing the information and the experiences among the teachers, not only in one institution, but also in the whole sector is essential. If one institutional staff faces the problem, that problem may be characteristic of others as well. Experimenting and searching for different ways to improve teaching and raising students' motivation has been crucial for every educator. Different learning strategies are being introduced in contemporary education and it is teachers' and /or professors' job to cope with them and use

them in their lessons. School departments (chairs) are working in every school and their aim is to have frequent presentations and discussions among the staff on new methods and techniques of teaching. When other teachers of the same subject are attending different teachers' presentations, they might get some new interesting ideas for their lesson planning.

Setting of research

The purpose of our action research was to find out if the rubrics, created by the Foreign Language Department at school, would be effective in teaching / learning.

At the beginning of the 2016-17 school years we, the teachers of the department of foreign Languages and other cathedras of Telavi Public School N3, had a meeting. The aim of the meeting was to discuss the problems in assessing the students, discuss the types of assessment and work out a set of assessment rubrics.

First, we discussed the problems that teachers had while assessing their students. It turned out that one of the problems was how to assess our students' classroom involvement and assignment, since we use continuous assessment in order to assess our students' performance regularly throughout the course in two main categories: classroom work and homework. Another problem was the objectiveness of the assessment. The teachers had the feeling that their assessment was not completely objective (clear for students and parents) as if they lacked something to make it more objective and valid.

We discussed different types of assessment (formal and informal); more experienced teachers shared their practical experience with the other members of the department. We agreed that one of the ways of making our assessment more objective was to create the rubrics for assessment of different skills and other performances.

We took the National Curriculum and the standard of teaching foreign languages (Teachers of English Language-Standard of teaching English and correspondingly teachers of Russian Language –Russian Standard) as a basis of our rubrics. We looked through the objectives and the indicators and created the criterion for our rubrics. We designed the rubrics for all four skills, classroom involvement, group work, oral presentation, and etc. We designed the rubrics for four stages, for primary level, very young learners, grades 1-4, than for the learners of grades 5-6 separately because the teaching objectives are a little different at this level, basic level grades 7-9 and lastly the high level 10-12. What is more, we have introduced those rubrics to our students and before the lesson they know what they are expected to do and according to what they are assessed at the lesson.

We agreed that these rubrics were not unique and indispensable, that they were flexible and we would be able to change them according to the aim of the lesson. Also, we would be able to modify and change them and use them for formative (developmental) assessment as well as for pair and self assessment. However, we should point out that creating the rubrics facilitated our work and made the assessment more objective.

Method of research

The method used was action research, as it does not require a professional level of research skills and can be done (due to its informality) by any teacher. Action research may simply involve trying out practically the efficiency of this or that method and approximately assessing it according to students' involvement and comments. According to Ballard (2015, p 45), action research is liked by teachers, as it is

- Problem-focused;
- A solution-oriented investigation;
- Context-specific insider research;
- Future-oriented to some action or cycle of actions;
- A systematic, intentional inquiry that investigates professional practice to understand and improve work and;
- A tool for evidence-based practice

Why do we assess our students?

The main reasons for trying to assess our students are:

- Evaluating student' progress: for example, we may need to give them a grade showing how much they have improved since the last assessment
- Evaluating how well students have learned specific material during a course: for example, to assess how well they know a set of vocabulary items, a text or a grammatical feature.
- Evaluating students' strength and weaknesses ('diagnostic' assessment): so that the students themselves can be aware of what they need to learn, and so we can plan our teaching appropriately. There are some other benefits from assessment, such as learning some useful information about our successes or failures in our teaching and they may help us to predict how students will progress in the future ('prognostic' assessment).

Research procedure

An assessment chart for grade IV:

At elementary level, in this case 4th grade, according to our National Curriculum, we use formative assessment, which usually includes giving oral evaluating comments during the period of learning and giving written feedback at the end of the year. However, our experience has shown that students' performance needs to be assessed regularly and students want and need to see their progress. Evaluative comments, such as 'Well done!' or 'Good job!' without actual grading, are easier but students and their parents want to see a grade as well. Therefore, at the beginning of the second term the teacher announced to her students that their performance would be assessed and explained on what basis the grades would be given and introduced an evaluation chart which she (teacher) posted on the wall.

To assess our students we used 'Criterion-referenced assessment' which means that the teacher judges the students according to some fixed criterion. This can be based on opinion of what it is reasonable or desirable to demand from students according to their age, level, needs or interests. (Ur. P 2012)

Thus, we created a table for assessment which includes ongoing work: whether a student has made an effort and progress, whether he/she has consistently completed homework assignments. Besides, as our students are the younger ones, we also included behavior as a component: whether or not the student has been punctual, attentive and cooperative.

How the grade can be expressed was the following question. Having considered our students' age, we have decided to use symbols such as smile faces, stars etc. They are of course less definitive than grades but the students, parents and others often consider them as definitive number-type grades.

As a result, not only student motivation and performance have increased, but also, their behavior has improved. Even the students who previously did not seem interested in completing tasks in class or doing homework have progressed. Of course, there is a reason and it is a fact of life: when we know that something is going to affect how we are assessed, then we are more likely to make an effort than if we know it is not. For example, if students know that completing homework affects their grade, they are more likely to do it.

Another way to assess students' performance is using projects. They develop students' creative and social skills; provide invaluable opportunities for correlating the subject matter and for transferring learning. They can be used at school at any level: primary, basic or higher. Furthermore, all above mentioned rubrics are really effective at any kind of institutions where learning /teaching takes place.

To assess a project, we have developed rubrics which include several features such as communication skills, contribution to discussion, group skills, attendance, etc. Besides, we use self-assessment and peer-assessment rubrics so that the students are able to evaluate both their own or peers' performance, using clear criteria and

grading systems. Combined with teacher's assessment, it can be very helpful, as it encourages students to reflect on their own learning.

Conclusions

- Collaborative action research done by teachers of foreign languages is more effective than action research done by one teacher, as teachers can compare and share their experiences
- Rubrics can't be unique and they could be modified according to the necessity based on the objectives of the lesson and students' level
- Rubrics created for one subject board can be used in any other subject especially if they are displayed on the classroom walls, as everyone could see how they are assessed.

References:

1. Ballard, S.D. (2015). Action research: A personal epiphany and journey with evidence-based practice. *Knowledge Quest*, 43, 3, p 44-48
2. Ur. P (2012) A course in English Language Teaching. Cambridge University Press.

მაია აბდელანი

რუბრიკების გამოყენება უცხოური ენების სწავლების დროს

რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოყენების ხერხებზე. უცხოური ენების სწავლების დროს შეფასების რუბრიკების შექმნა და დემონსტრირება სასწავლო გარემოს უფრო აქტიურსა და ეფექტურს ხდის. ენობრივი უნარჩვევების შეფასების რუბრიკების შექმნა და მოსწავლეებისთვის გაცნობა, მოსწავლეებში ანვითარებს აქტიური სწავლების სურვილს, მოსწავლე დამოუკიდებელი შემფასებელი როგორც საკუთარი ცოდნის ასევე სხვისი (ჩვენ შემთხვევაში კლასელის ან ჯგუფის) შესაძლებლობების. ამავე დროს რუბრიკები საშუალებას აძლევს მშობელს აკონტროლოს და აქტიურად იყოს ჩართული საკუთარი შვილის სწავლის პროცესში.

Майя Абделани

Использование рубрик во время обучения иностранным языкам

Резюме

В настоящей статье внимание заостряется на способах самооценки и взаимооценки. Создание рубрик оценки и их демонстрирование при обучении иностранным языкам делает учебную среду более активной и эффективной. Составление рубрик оценки языковых умений и навыков и ознакомление с ними учащихся развивает в учащихся желание активного обучения. Учащийся самостоятельно оценивает как свои знания, так и чужие возможности (в нашем случае одноклассника или одноклассника). В то же время рубрики помогают родителям контролировать учебный процесс своих детей, тем самым активно включаясь в него.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

სწავლების მეთოდოლოგია Методика Methodic of teaching

Eka Gotiashvili, Tamar Tvaladze

ქუთაისი, საქართველო

CREATING POSITIVE PEER RELATIONSHIPS IN THE ENGLISH LANGUAGE CLASSROOM

Peers play an important role in determining the quality of the learning environment. With today`s increased emphasis on students achievement, teachers are often hesitant to allocate time for creating positive peer relationships in the classroom.

Peer relationships influence students` achievement in several ways. First, peer attitudes toward achievement affect students` academic aspirations and school behavior. Second, the quality of peer relationships and personal support in classrooms affects the degree to which students` personal needs are met and, subsequently, their ability to be productively involved in the learning process. Third, peer relationships can directly affect achievement through cooperative learning activities. It is likely that the quality of peer relationships students experience in the classroom and throughout the school day dramatically influence the extent to which students become involved in school.

Positive peer relationships not only enhance students` school experiences, they provide a framework for the development of lifelong social skills and positive self-esteem. “At schools high in community – measured by the degree of students` agreement with statements

such as “my school is like a family” and “students really care about each other” – students show a host of positive outcomes. These include higher educational expectations and academic performance, stronger motivation to learn, greater social competence, fewer conduct problems, reduced delinquency and greater commitment to democratic values” (Jones F. V., Jones S. L. 2000:122).

Anyone who has worked with groups of students has witnessed the role peers play in influencing students` behavior. When discussing the differences between confronting an adolescent in front of the group and having private talk with the student, teachers frequently remark that it seems as if they are dealing with two completely different students. We should not be surprised that students` feelings and behaviors are significantly influenced by their classmates.

The classroom by nature elicits many interactions and feelings. Peer interaction is a natural and desirable aspect of almost all learning environments. Group instruction is used both because it is frequently more expedient and because a good education involves learning how to function as a group member. The group`s influence is intensified by the competition found in most classrooms. Students compete for the highest test

scores and strive to earn high grades. Even when we use instructional methods, students have numerous opportunities to compare their work to that of their classmates. It is understandable and perhaps unavoidable that classrooms are characterized by a fairly high level of interaction and the accompanying spontaneous interchange of feelings.

Although teachers often express concern and frustration over the negative aspects of peer pressure, the peer group can be a positive and supportive factor. Students and teacher need to develop positive and trusting relationships in an effective classroom as well as students need to develop trusting and enriching relationships with each other. When students feel liked by their peers and when interactions are characterized by helpfulness, students experience a sense of safety and security, belongingness and affection, respect of others and power. Students are then able to concentrate more fully on learning and are willing to take greater risks attempting to master new skills. Consequently, it is extremely important that we implement strategies that encourage the development of positive, supportive peer interactions in the classroom.

The relationship among positive group norms, diverse liking patterns and productive student behavior and achievement is a major incentive for teachers to develop skills in creating positive peer relationships in the classroom, but we have a second important reason for acquiring these skills. Today's students live in a world that is increasingly urban and in which people are more and more interdependent. Individuals depend on others for needed goods and services as well as for meeting emotional needs. Likewise, individuals are rediscovering the importance of coming together in order to combat social problems. If schools are to prepare students for a society characterized by interdependence and cooperative effort, they must provide students with frequent and meaningful experiences in functioning cooperatively in groups. Rather than continually stressing competition and individual learning, teachers must use cooperative group work in the classroom.

We suggest several activities we have found successful and which could easily be adapted for use with different levels of students in English language classrooms. While this is certainly not an exhaustive list, these activities work well to introduce students to each other and to the teacher and can be used again at later points in the year as students' interests change and they gain new life experiences:

1. Interviews: Interviews are an excellent means for students to become better acquainted with each other. This activity will often foster new friendships and feeling of self-importance. Lack of information about others is often a major barrier to establishing new friendships. As students interview each other, they learn new and exciting information about their peers.

2. "I am" project: There are many variations of the "I Am" activity. Students can create a poster, a poem, a slideshow to describe themselves. It can be helpful to give students sentence starter. There are endless possibilities.

3. "I can" project - This activity provides students with a visible means of becoming aware of their successes and achievements. Each time students master a new skill, they write the mastered skill on a piece of paper. Periodically the students should take their cans home and share their successes with their parents.

4. Sharing Weekly Reflections: Each week, we have students write about two positive events that occurred in their lives and one not-so-positive event. Students then share and discuss it in small groups.

5. Someone in this class who: This activity enables students to get out of their seats, talking and interacting within minutes. The teacher can easily create a sheet listing several categories with a line next to each one. Then students circulate and must find someone who has experienced each category.

6. Two truths and a lie: This activity is commonly used and works great with students who don't know a lot about each other. The teacher models the activity by writing down three statements and explaining that two of them are true. Students can talk in pairs and guess which one is a "lie". Then students do the

same about themselves. The teacher can facilitate a follow-up discussion by asking students to share more about their “truths” either by speaking or writing.

7. Four Squares: The teacher models how to fold a piece of paper into four boxes and numbers them. Students then write a different category next to the number at the top of each box. The categories could include: family, what I like about school, what I don't like about school, places I have lived, my favorite movie, etc. Students are given time to write about each category and then asked to stand up. The teacher then instructs students to share their “box ones” with a partner, then “box twos” with a different partner and so on.

Since the fundamental purpose of the language is communication, the most important step in teaching grammar is to integrate grammar principles into a communicative framework.

Bibliography:

Teaching English as a Second or Foreign Language. (Marianne Celce- Murcia, the editor). - Boston: Heinle & Heinle Publishers, 1991.

Методика навчання іноземних мов у середніх навчальних закладах: Підручник / Кол. авторів під керівн. С.Ю.Ніколасвої. - К.: Ленвіт, 1999

Мзия Поцхишვილი**კ ბუბუენუი მეთოდამ გრამმეტიკი****რეზიუმე**

При обучении грамматике следует выделить несколько факторов, учитывать которые необходимо:

- Насколько полезен изучаемый язык и насколько он соответствует?
- С какими проблемами сталкиваются учащиеся при обучении новому иностранному языку?
- Как я могу сделать урок важным, запоминающимся и эмоциональным?
- Поскольку в качестве фундаментальной цели языка выступает коммуникация, важнейшим шагом при обучении грамматике является интеграция грамматических принципов в коммуникационную рамку.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

პედაგოგია Педагогика Pedagogic

მაია ახვლედიანი, ტალი (ბარბარე) აბლაძე

ქუთაისი, საქართველო

დეკანოზ მელიტონ ელენჯერიძის სახელმძღვანელოს
„ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“
საგანმანათლებლო და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ
(ნაწილი I)

დეკანოზი, პედაგოგი, მწერლისა და მკვლევარის მელიტონ ელენჯერიძის დამოკიდებულება მოზარდი და ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლებისადმი მრავალმხრივია და სიღრმისეული. მისი სახელმძღვანელო, რომელიც ქართული საკათალიკოსო ეკლესიის ისტორიას ეძღვნება, გაუღენთილია სურვილით, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს მკითხველმა ქართული ეკლესია-მონასტრების მაღალნაყოფიერი მოღვაწეობისა და სასულიერო პირთა საგანმანათლებლო შრომითი დამსახურების შესახებ. ნაშრომში კონკრეტულადაა ნათელყოფილი იმ დიდი ღვაწლის შესახებ, რომელიც წმინდა მამებმა დადეს ერის სულიერი, მორალური, ინტელექტუალური განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე ქართული მწერლობის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, სამართლის, ისტორიოგრაფიის, ფილოსოფიის, მჭერმეტყველების განვითარებისათვის.

მელიტონ ელენჯერიძე დაუღალავი, ბეჯითი შრომით, სახელმძღვანელო წიგნებით ქმნის პირობებს ეკლესიის დამსახურების აღსაქმელად და ყოველდღიურ ცხოვრებაში გასათვალისწინებლად ამიტომაც დიდმნიშვნელოვანი მისი დამსახურება, რომ მან არდავიწყების სამოსით უზრუნველყო ჩვენი განათლების, კულტურის და ყველა სიკეთის დედაბოძი - ქართული საკათალიკოსო ეკლესია.

პედაგოგი, მწერალი, ქართული ენის, ზეპირსიტყვიერების, ლიტერატურის, ისტორიის მკვლევარი, ჟურნალისტი, სასულიერო პირი და სათნოების მოძღვარი - მელიტონ ელენჯერიძე მისი მრავალმხრივი შემოქმედებითა და პედაგოგიური მოღვაწეობით მე-19 საუკუნის ბოლოს მოვევლინა ქვეყანას.

მელიტონ ელენჯერიძის ღვაწლი მძიმე ეპოქალური ძვრების გამო სათანადოდ ვერ იქნა

დაფასებული. იგი მეორე მსოფლიო ომის მძინვარებისას მძიმე ეკონომიური სივიწროვისა და სულიერი დაძაბულობის პირობებში გარდაიცვალა.

დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის ბიოგრაფია მკითხველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი. დაიბადა 1864 წლის 5 თებერვალს ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინში. ტაბაკინელმა კელენჯერიძემ ქვეყანას ექვსი სასულიერო პირი მისცა. მათ შორის ყველაზე სახელოვანი დეკანოზი მელიტონ სპირიდონის ძე კელენჯერიძე (1896-1903 წ.წ) ქუთაისის საკათედრო ტაძარში მღვდლად მსახურობდა.

დეკანოზმა მელიტონ კელენჯერიძემ პირველდაწყებითი განათლება ქ. ქუთაისში ვ. პეტრიაშვილის სკოლაში მიიღო. მისი მოსწავლეობის პერიოდში ეს სკოლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს შეუერთეს. რომელიც წარჩინებით დაასრულა და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1890 წელს ასევე წარჩინებით დაასრულა. უმაღლესი განათლების მისაღებად კიევში გაემგზავრა და სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. აქტიურად ჩაება ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს საქმიანობაში და მისი ლიდერი გახდა [ჯაგოდნიშვილი, 2014: 12-13], განსაკუთრებული შინაარსი და მასშტაბურობა შესძინა კიევში ქართველთა სათვისტომოს საგანმანათლებლო საქმიანობით. მან ქართველ სტუდენტთა შორის დაიწყო ლექციების კითხვა საქართველოს ისტორიასა და ქართულ სიტყვიერებაში.

1897 წელს უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნებული მელიტონ კელენჯერიძე მოღვაწეობს ქუთაისში, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ძალისხმევით გახსნილ სასულიერო სემინარიაში საბჭოს მდივნად, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საღვთო სჯულის მასწავლებლად. აქტიურად იღწვის ქართული ენის უფლებების, ეროვნული კულტურის დაცვისა და აყვავებისათვის, თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

1903 წელს დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე აირჩიეს იმერეთის ეპარქიის სასწავლო საბჭოს წევრად და დანიშნეს საღვთო სჯულის მასწავლებლად ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში.

დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის „ცხოვრების გზას, მისი მოღვაწეობის შინაარსის გაცნობიერებას და დვაწლის დაფასებას დაღი მისმა ოფიციალურმა თანამდებობებმა დაასვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმ დროის თითქმის ყველა დიდი მოღვაწე - პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი დაუფარავად სულის შემხუთველობის ბრალდებას უყენებს ამ საგნის სწავლებას და ერთგვარი თავმოწონებითაც კი გახაზავს საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას და უგულისყურობას. ეს ტენდენცია იმდენად იყო გავრცელებული და ცნობილი, რომ კონკრეტული ფაქტების მოტანასაც კი არ საჭიროებს [ჯაგოდნიშვილი, 2014: 23].

მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „მ. კელენჯერიძე, პედაგოგიურ სარბიელზე, ყველა სასწავლებელში - ქუთაისშიც და ფოთშიც - ოფიციალურად „საღვთო სჯულის“ მასწავლებელი იყო და სწორედ ამის გამო ხარაღდებოდა მისი პოპულარობა. [კელენჯერიძე, 2012: 24-25] იმას, რასაც თანამდებობრივად ვერ აკეთებდა - კვლევებით, წიგნებით, სახელმძღვანელოებით აღბეჭდავდა. გიმნაზიის პედაგოგებს შორის გამოირჩეოდა გავლენითა და ავტორიტეტით. ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. იბეჭდებოდა „ტონკმელის“ ფსევდონიმით, აქტიური მონაწილე იყო ყველა წამოწყებისა, რომელიც ლიტერატურას და ხელოვნებას შეეხებოდა“ [ჯაგოდნიშვილი, 2014: 25-27]

ფოთში მასწავლებლობის პერიოდში დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე ინტენსიურად მუშაობდა ქართული ეკლესიის ისტორიის კორპუსის შესაქმნელად.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, 1918 წელს დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე აღტაცებით შეეგება და სიხარული საზოგადოებრივი საქმიანობის გააქტიურებით

გამოხატა. ამ პერიოდში სხვა ნაშრომებთან ერთად გამოაქვეყნა „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ (1918 წ.)

აღსანიშნავია, რომ სასწავლო-სახელმძღვანელო წიგნის გამოცემის წელს ამიერკავკასიის სასკოლო ოლქის სამოსწავლო კომისარიატმა სეიმში შეიტანა კანონ-პროექტი: „სამღვთო სჯულის სკოლებში სწავლების შესახებ“. რაზედაც მიიღეს დადგენილება. კანონის გამოცემის დღიდანვე საღვთო სჯულის სწავლება გაუქმდა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო სასწავლებლებში. მასწავლებლებს, რომლებიც საღვთო სჯულს ასწავლიდნენ შეუწყდათ ხაზინიდან სათანადო კრედიტი, ხოლო მშობლებს, თუ მოისურვებდნენ შვილებისათვის საღვთო სჯულის სწავლებას, ეძლეოდათ სასწავლებელთა შენობებით სარგებლობის უფლება თავისუფალ საათებში, თუ დაწესებულება თანახმა იქნებოდა [გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 N 102; 9. გაზ. „ერთობა“ 1918 N 172].

ამჯერად გვინდა წარმოვადგინოთ გასული საუკუნის სასკოლო სახელმძღვანელო „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“. იგი ავტორმა პირველად 1918 წელს გამოსცა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეორედ გამოვიდა 2012 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ღოცვა-კურთხევით. (სადაც პირველი გამოცემის თარიღად არასწორადაა მითითებული 1913 წელი), მეორე გამოცემა ეძღვნება დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის გარდაცვალებიდან 70 წლისთავს. დაიბეჭდა მანგლისისა და წაღკის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეფუე ანანიას (ჯაფარიძე) ღოცვა-კურთხევით. კელენჯერიძეთა საგვარეულო კავშირის და ავტორის შვილიშვილის ირაკლი თოიძის ფინანსური თანადგომით.

სახელმძღვანელოს მეორე საიუბილეო გამოცემას თავში დართული აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის 2001 წელს გამოქვეყნებული სიტყვა: „საქართველოს ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე ეკლესია იყო მასაზრდოებელი ჩვენი მწერლობისა, სიმღერა-გალობისა, მხატვრობისა, არქიტექტურისა და საერთოდ ყველა იმ მიღწევისა, რითაც გამოირჩევა ჩვენი ეროვნული კულტურა. ეკლესია ამავე დროს იყო მთავარი დამცველი, მთავარი შემნახველი და მზრუნველი ამ საგანძურისა: ეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა XIX საუკუნეში, როდესაც ჩვენმა სამღვდლოებამ წმიდა ილია მართალთან და სხვა დიდ მამულიშვილებთან ერთად უდიდესი ღვაწლი გასწია ქართული ენის, ქართული კულტურის პრაქტიკულად ყველა დარგის გადასარჩენად. ამ პირთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს. რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, სიცოცხლე შესწირა ქართველი ერის სულიერებისათვის ზრუნვას და თაობებისათვის დარჩა ვითარცა მაგალითი მწყემსი კეთილისა და სოფლის მნათობისა.

მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს ეკლესიის ისტორიას და მომავალი თაობის აღზრდას.

ბედნიერია ის, ვისი სიცოცხლეც ღვთის, სამშობლოს, და მოყვასის მსახურებას ეძღვნება. ასეთი შვილები მრავლად ჰყავდა ჩვენს ქვეყანას. დაე, მომავალში კიდევ უფრო იმრავლოს მათმა რიცხვმა, რათა უფალმან გააძლიეროს და განაბრწყინოს სრულიად საქართველო“ [ჯავახიანი, 2014; 4].

წიგნს დასაწყისში დართული აქვს ენათმეცნიერის, ფილოლოგიის დოქტორის გურამ ბედოშვილის წინასიტყვაობის მაგიერ - „ჭეშმარიტი ერისკაცი“, სადაც წერს: ამბობენ, წიგნი ავტორს ჰგავსო. ჩვენ შემთხვევაშიც ასეა - ის, ვინც ახლო გაეცნობა დიდი საერო და სასულიერო მოღვაწის, მელიტონ სპირიდონის ძე კელენჯერიძის ცხოვრებასა და მრავალმხრივ შრომა-რუდუნებას, უსათუოდ დარწმუნდება, რომ მისი ბრწყინვალე წიგნი „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ მართლაც ბევრი რამით გვაგონებს მისი

შემადგენლის ბობოქარ, სოციალურ-საზოგადოებრივი კატაკლიზმებით აღსავსე ცხოვრებისეულ გზას“ [ჯაგოდნიშვილი, 2014:5]. ენათმეცნიერი გ. ბედოშვილი იქვე დასძენს: „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ჩვენი სულიერი და მატერიალური სიმდიდრის განუყოფელი ნაწილია... ავტორის თხრობის მანერა, სტილი, უჩვეულოდ სადაა და გამჭვირვალე; იძლევა მიზეზ-შედეგობრიობის ზუსტ და შთამბეჭდავ ანალიზს“ [კელენჯერიძე, 2012: 7].

წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ამიტომ საშური საქმე იყო მისი მეორედ გამოცემა, რომელიც კეთილად წაადგება ჩვენს ახალგაზრდობას, მართლმადიდებელ მრევლს.

მეორე გამოცემა პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ რედაქციამ სცადა გამოეყენებინა 1990 წელს გამოცემულ „სადეთო სჯულში“ არსებული მცირედ გამარტივებული და შემოკლებული ტექსტი. ასევე, წიგნის მეორე გამოცემა ილუსტრირებულია, რაც მკითხველს უთუოდ დაეხმარება ტექსტის სათანადო აღქმაში.

დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ წინასიტყვაობის, სამი თავისა და ბოლოსიტყვაობისაგან შედგება. პირველი გამოცემისგან განსხვავებით წიგნს დართული აქვს შემდგენელის ფოტო და მოკლე ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მონაცემების ანოტაცია.

აღნიშნული სახელმძღვანელო მოგვითხრობს ქართველთა სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ დასაბამიდან. მკითხველს შთააგონებს იმ დიდ საგანმანათლებლო დამსახურებაზე, რომელიც გასწია საქართველოს ეკლესია-მონასტრებმა.

სახელმძღვანელოს შემდგენელი გვიამბობს, რომ ქართველთა რელიგიური რწმენა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ევლუციას განიცდიდა. პირველად სწამდათ „ღმერთი დამბადებელი“, შემდეგ იწამეს მზე, მოვარე და ვარსკვლავები და წინაპრის – ქართლოსის საფლავი. მონოთეიზმი ნატურალიზმით (ბუნების თაყვანისცემით) შეიცვალა. შემდეგ იგი ფეტიშიზმმა – კერპთაყვანისმცემლობამ ჩაანაცვლა. ქართველების უძველესი კერპი ბოჩი იყო შვიდხელიანი და მრისხანე. ქრისტესშობამდე III საუკუნეში ქართველთა მთავარმა აზონმა ბოჩ-კერპს ორი კერპი – გაც და გაიმი დაუმატა. აზონის შემდეგ ფარნავაზი (იბერიის მეფე [ივ. წ. 329 - ივ. წ. 264](#)) გამეფდა, რომელმაც კერპი არმაზი აღმართა და აკურთხა (ფარნავაზს [სპარსულად](#) არმაზ ერქვა). არმაზი საერთო ქართული უზენაესი ღვთაება გახდა, იგი კეთილი ღმერთი იყო, მასზე დილით ლოცულობდნენ. 6 აგვისტოს იყო დაწესებული მისი სახელობის დღესასწაული, რომელიც სამი დღე გრძელდებოდა – მონაწილეობდა თვით მეფე და მისი ოჯახი. დიდი ზეიმი ეწყობოდა კერპშეწირვით. შემდგომმა მეფემ ფარნაჯომმა მალე დათმო კერპთაყვანისცემა და ცეცხლთაყვანისმცემლობა (მაზდეანობა) აღიარა, შექმნა სამსხვერპლო, მოიწვია ცეცხლის მსახურნი და მოგვნი კერპთა საგმობად, ჯარმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

წიგნი მოგვითხრობს, რომ ქრისტეს კვალი საქართველოში ჩნდება მაცხოვრის კვართის ისტორიით.

საქართველოში ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. იერუსალიმში ყოველწლიურად აგზავნიდნენ დელეგაციებს სინედრიონში დასასწრებლად. ქრისტეს საქმის გასარჩევად იერუსალიმში მიწვეულ იქნა მღვდელმთავარი ელიოზი და მხედარი ლონგინოზი. ქრისტეს კვართი წილად ელიოზს ხვდა. მემატინანე მოგვითხრობს რომ მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს მისი და სიღონია შეეგება, ქრისტეს კვართი ჩაიხუტა და იქვე გარდაიცვალა. კვართი მიცვალებულს ხელიდან ვერ აართვეს და ასე დაასაფლავეს. სიღონიას საფლავზე მალე **კვიპაროსის** ხე ამოვიდა, რომელიც სურნელს აფრქვევდა და **მირონი** სდიოდა.

საქართველოში ქრისტეს სჯულის პირველი მქადაგებლები იყვნენ ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. სახელმძღვანელოს ავტორი უტყუარად ასაბუთებს ანდრიას მოსვლას სამეგრელოს, აჭარის, ქართლის მიდამოებში. წმიდა სამების სახელით მოაქცია მან

მოსახლეობა, გადაიარა ფერსათის მთა, სადაც აღმართა რკინის ჯვარი, შემდეგ ბორჯომის ხეობას გაუყვა. მის ქადაგებას წინააღმდეგობა გაუწია მეფე ადერკმა, მაგრამ ანდრია მეორედ დაბრუნდა მოციქულების სვიმონ კანანელისა და მატათას თანხლებით ქართლში. მათ იქადაგეს ქრისტიანობის გასამტკიცებლად და აქედან ჭორომის ხეობის გავლით შევიდნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთს გაემგზავრნენ (სვიმონი იქ გარდაიცვალა, დასაფლავებულია ახალ ათონში). წმ. ანდრია საბერძნეთში წავიდა, სადაც აწამეს და ჯვარს აცვეს აქაიაში.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სახელმძღვანელოს ავტორი ჭეშმარიტებად მიიჩნევს კოლხეთში ბერძენთა ახალშენების მოსახლეობისა და ქართველთა მჭიდრო კავშირს, აღებ-მიცემობაში საქმიან ურთიერთობას.

ქრისტიანობა კოლხეთში, ლაზიკაში, აფხაზეთში ფეხს იკიდებს I-IX საუკუნეებში. VIII საუკუნეში ქრისტიანობის დამკვიდრების ფაქტს ნათელყოფს მწერალი იოანე საბანიძის „აბოს წამება“. არაბებისაგან დევნილმა აბომ თავი აფხაზეთს შეაფარა და გაიხარა, როცა იხილა ქრისტიანული სარწმუნოებით მოცული ქვეყანა, მას აქ შეექმნა ქრისტეს სჯულზე მოქცევის შესაძლებლობა.

ქართლს მე-4 საუკუნეში წმინდა ნინო მოეწვინა. იგი კაბადოკიიდან იყო, მშობლებმა აღსაზრდელად იერუსალიმს გაგზავნეს. აღმზრდელთა მეშვეობით კარგად შეისწავლა ქრისტეს სჯული და ეკლესიის ისტორია. აღმზრდელმა ქალმა სარა ნიაფორმა მას უამბო ქართველთა წარმართობის შესახებ და მცხეთაში ქრისტეს კვართის არსებობის ისტორია. წმინდა ნინომ აღმზრდელებს თხოვა გაეშვათ იგი საქადაგებლად საქართველოში. მანამ საბერძნეთი მოიარა. იქ გაეცნო ქალწულთა მონასტერში მოღვაწე 50 ქალწულს. როცა სასტიკმა დიოკლეტიანემ ნინოს ახალშექმნილი მეგობრები აწამა, გამოიპარა მონასტრიდან და გეზი საქართველოსაკენ აიღო. ქართულ მიწაზე პირველად ჯავახეთს დაადგა ფეხი. დაღლილს ჩაეძინა და მძინარემ იხილა ღვთისმშობელი, ჯვარი მიიღო მისგან, ამ ჯვრით ხელში შევიდა ქართლში. ერთი თვე ურბნისში დაჰყო. მცხეთის დღესასწაულის დღეები ახლოვდებოდა. იგი კერპთაყვანისმცემელთა ნაკადს გამოსჰყვა და მოგვთა ხიდთან, მაყვლებში გაუჩინარდა. 6 აგვისტოს გათენდა თუ არა, ხალხი, მათ შორის მეფე და დედოფალი ნანა გამოეშურნენ კერპის თაყვანსაცემად. კერპები იდგა მტკვრის მარცხენა მხარეს. არმაზის კერპი სპილენძის იყო, გარს ოქროს ჯაჭვი ემოსა და ოქროს ჩაფხუტი ეხურა, მარჯვნივ ედგა კერპი გაცი ოქროს სამოსელით, მარცხნივ – ვერცხლის კერპი გაიმი.

წმინდა ნინომ მხურვალე ლოცვა დაიწყო. ამოვარდა ქარი და კერპები დაამსხვრია. ხალხი შეშინდა და დაიფანტა. წმინდა ნინო მეფის მებადის ოჯახში ფარულად დაბინავდა. (მეზადემ ადრე მიიღო ქრისტიანობა) 9 თვის შემდეგ ნინომ მებადის ოჯახი დატოვა და მაყვლიანს მოიმზადა მცირე ბინა. ლოცულობდა თან მაცხოვრის კვართის ამბავს იკვლევდა. იქ გაიცნო მღვდელი აბიათარი და ასული სიდონია. მოაქცია ისინი ქრისტეს სჯულზე (ნათლისღება ვერ შედგა მღვდლის არ არსებობის გამო). წმინდა ნინო მკურნალობასაც ეწეოდა, მან განკურნა დედოფალი ნანა, მეფემ ნინოს ღმერთი მას შემდეგ იწამა რაც მზის დაბნელებას ნინოს ლოცვით გადაურჩა. ნათელი დაუყენა და გზა აპოვნინა ტყეში.

მირიან მეფემ მოციქულები გაგზავნა საბერძნეთში კონსტანტინე მეფესთან, თხოვა მღვდლების გამოგზავნა ნათლისღებისთვის. იმპერატორმა კონსტანტინემ თხოვნა შეასრულა, მეფეს გამოუგზავნა ეპისკოპოსი იოანე, სამი მღვდელი და სამი დიაკონი. მირიან მეფემ ბრძანება გასცა ხალხი შეეკრიბათ მდინარე მტკვარზე ხიდთან მოსანათლად. ჯერ მეფე მოინათლა, შემდეგ – დედოფალი და წარჩინებულნი (იმ ადგილს ამიერიდან ეწოდა მთავართა სანათლავე) შემდეგ მოინათლა ხალხის დაბალი ფენა.

წიგნის ავტორი ქართლში ქრისტიანობის გავრცელების თარიღად სხვადასხვა მოსაზრებათა შეჯერების შემდეგ აღგენს, რომ მეფე მირიანის ნათლისღება უნდა მომხდარიყო 323 – 324 წლებში.

ქრისტიანული სარწმუნოება რომ სახელმწიფო რელიგიად აღიარებულიყო და განმტკიცებულიყო, მირიან მეფემაც დაიწყო ეკლესიების მშენებლობა. საბერძნეთიდან სამღვდლოების მოსვლამდე ააგო მცირე მოცულობის ხის ტაძარი, და მეორე ეკლესიის მშენებლობა დაიწყო მცხეთის გარეუბანში, მაცყლოვანში, სადაც ახლა სამთავარპისკოპოსო ეკლესია დგას. ეკლესიის ასაგებად 7 დიდი ნაძვი მოჭრეს და სვეტები გააკეთეს ერთ-ერთი შუათანა ყველაზე დიდი სვეტი ვერ აღმართეს, გვიან ღამით ცეცხლის ზეწარში გახვეულმა ჭაბუკმა აღმართა იგი. სვეტი ჰაერში გაჩერდა ორი კაცის სიმაღლეზე, შემდეგ ნელ-ნელა დაეშვა და იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც ქრისტეს კვართი იყო დამარხული.

მირიან მეფემ წინას ბრძანებით ჯვრები გააკეთებინა და მაღალ ადგილებზე აღმართვინა, შემდეგ გაგზავნა დელეგაცია კონსტანტინე დიდთან, თხოვნით გამოეგზავნა მრავალი მღვდელი ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად და კირითხურონი ეკლესიების ასაშენებლად. წარგზავნილებმა საქართველოში თან წამოიღეს ფიცარი, რომელზეც ჯვარცმულ ქრისტეს ედგა ფეხები და ის ღურსმნები, რომლითაც იგი ძელზე იყო გაკრული. კონსტანტინემ მომავალთ დაავალა გზადაგზა აეგოთ ეკლესიები. მართლაც, მაშინ აიგო მანგლისისა და ურუმეთის ეკლესიები. ურუმეთში დელეგაციამ დატოვა უფლისეული სამხჭვალნი ღურსმნები, მანგლისში კი უფლისეული ფიცრები.

ლიტერატურა:

1. ბუბულაშვილი ე., საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები., (2007) მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია., გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბილისი.
2. გეგეჭკორი ლ.,- მოგონებები., (1991): თბილისი.
3. კელენჯერიძე მ., თეორია სიტყვიერებისა, შესავალი, (1907): ქუთაისი.
4. კვაჭაძე ლ., სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები., კრებული III, (1986) : თბილისი.
5. ფანასკერტელ-ციციშვილი ო. (2001): ქართული ფოლკლორის მოამაგენი, მელიტონ კელენჯერიძე, // მელიტონ კელენჯერიძე, თბილისი.
6. ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია. (2012). შედგენილი დეკანოზ მელიტონ კელენჯერის მიერ., გამომცემლობა „ცის ნამი“, თბილისი.
7. ჯაგოდნიშვილი x., (2014): თბილისი, სოფლისა მნათი და მწეგმსი კეთილი., გამომცემლობა „უნივერსალი“.
8. გაზეთი „ხალხის მეგობარი“; 4 მაისი, 1918 წ., № 172.
9. გაზეთი „ერთობა“; 22 მაისი, 1918 წ., № 10.

Maia Akhvlediani, Lali (Barbare) Abdaladze
Об образовательном и историческом значении учебника протоиерея
Мелитона Келенджеридзе «Краткая история грузинской патриархальной церкви»
 (часть первая)

Многосторонни и глубоки отношения протоиерея, педагога, писателя и исследователя Мелитона Келенджеридзе к обучению и воспитанию подрастающего поколения. Его учебник, который посвящен истории грузинской патриархальной церкви, проникнут желанием дать читателю как можно больше информации о плодотворной деятельности грузинских церквей и монастырей и просветительской деятельности духовных лиц. В труде конкретно повествуется об огромном вкладе, который вложили святые отцы на многовековом пути духовного, морального, интеллектуального развития народа, в развитие грузинской литературы, зодчества, живописи, права, историографии, философии, красноречия.

Мелитон Келенджеридзе, неустанным трудом, с помощью учебников и пособий, создает условия для восприятия заслуг церкви и их учитывания в повседневной жизни. Его заслуга столь значительна потому, что он покрыл одеянием незабвенности столп нашего образования, культуры и всех наших благ – грузинскую патриархальную церковь.

Maia Akhvlediani, Lali (Barbare) Abdaladze
About educational and historical importance of student's book Archpriest
M. Kelejeridze – “Brief History of Georgian Catholicate Church”
 (Part one)
 Abstract

Attitude of Meliton Kelenjeridze as a pedagogue, writer and researcher, towards education of young generation is many-sided and profound. His guidebook, which is devoted to history of Georgian Catholicate Church is full of desire to provide reader with as much as possible information about fruitful activities of Georgian churches and monasteries, as well as about merits of ecclesiastical persons in educational activities. The paper sheds light on large contribution made by holy fathers to the development of literary activities, architecture, arts, law, historiography, philosophy and eloquence on the long-century way of spiritual, moral and intellectual order.

Due to the tireless and diligent efforts of Meliton Kelenjeridze as a pedagogue, writer and researcher, and with his guidebooks, he creates conditions for perception of Church's merits and for taking account for them in every-day life. His merit is of such a high importance, because he provided the pillar of our education, culture and all moral virtues – Georgian Catholicate Church – with clothes of memory forever.

რეცენზენტი: პროფესორი ვ. იზბულე

პედაგოგია Педагогика Pedagogic

იაგორ ბატანჩივაძე, დალი ფუტყარაძე

საქართველო

სკოლამდელი განათლება, როგორც აღსაზრდელთა სკოლისათვის მომზადების საშუალება

სტატიაში საუბარია საქართველოში სკოლამდელი განათლების ახალი მოდელზე, რომელიც საშუალებას აძლევს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, ხელი შეუწყოს ბავშვების მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას. ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა არის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს განათლების შემდგომი ეტაპი, ის ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა. ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელ შეწყობა, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს.

სკოლამდელი ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის განვითარებაში. ამ დროს ყალიბდება ყველა ძირითადი უნარი, რომელსაც შემდგომ ბავშვი იყენებს სკოლასა თუ, ზოგადად, მთელი ცხოვრების განმავლობაში. საქართველოში სკოლამდელი განათლების ახალი მოდელის ორგანიზება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, ხელი შეუწყონ ბავშვების მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას. ადრეულ ასაკში მიღებული ხარისხიანი განათლება აღსაზრდელს დაეხმარება, განათლების შემდეგ ეტაპებზე (იქნება ეს სკოლა, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებელი თუ სხვა) იყენონ უფრო წარმატებულები. ანუ, ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა არის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს განათლების შემდგომი ეტაპი, ის ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა. კვლევები, რომლებიც დღეს არსებობს, თუნდაც თავის ტვინის განვითარების შესახებ, ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რასაც სკოლამდელ ასაკში აგროვებენ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელ ცხოვრებაზე. ამ სიტყვებს თუ კარგად ჩაუფრთხილებით, უფრო გავიზარებთ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მნიშვნელობას. სწორეს ეს უნდა მივიტანოთ მშობლებამდე, რათა არ შეექმნათ მცდარი წარმოდგენა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ბავშვის განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელზეც მრავალი გენეტიკური და გარემო ფაქტორი ახდენს გავლენას. თეორიების უმრავლესობა განვითარებას განიხილავს ეტაპობრივ პროცესად, რომელიც წინასწარი განსაზღვრული საფეხურების მიხედვით მიმდინარეობს. ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა დამოკიდებულია შესაბამისი უნარების ათვისებაზე მისი წინმსწრები საფეხურისთვის (ჭინჭარაული, 2010:8).

ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ადრეულ ასაკში ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და ემოციური განვითარება მის შემდგომ აკადემიურ წარმატებას, პროფესიულ და ცხოვრებისეულ წინსვლას განაპირობებს.

შესაბამისად, საზოგადოების და ქვეყნის ყურადღება მიმართული უნდა იყოს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაზე, მათთვის ხარისხიანი სასწავლო-სააღმზრდელო მომსახურების უზრუნველყოფაზე (სეიფერი, 2015:8).

სკოლამდელი განათლების მომსახურება საქართველოს გრძელვადიან განვითარებაში უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს. საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ კარგად ორგანიზებული სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვების მოსწრების გრძელვადიან გაუმჯობესებას სკოლებში, მათ შორის, უფრო მაღალი ნიშნების მიღებას, კლასში ჩარჩენილი ბავშვების რაოდენობის კლებას და უკეთეს საგანმანათლებლო მიღწევებს.

სკოლამდელი განათლება ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც შეიძლება ქვეყანამ განახორციელოს. სკოლამდელი განათლება ადამიანის ცხოვრების საგულისხმო ეტაპია, რომელიც დიდად განსაზღვრავს მის სამომავლო განვითარებას და წარმატებას. ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოს და პირობების შექმნა შესაძლებელია ერთობლივად - მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფოს და სრულიად საზოგადოების თანამონაწილეობით. ამიტომ არის აუცილებელი ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვა. ამის მიუხედავად, საქართველოში სკოლამდელ განათლებაში ჩართულია ბავშვების 70%-ზე ნაკლები. განსაკუთრებით ეს ეხებათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს, რომელთათვისაც სკოლამდელი განათლება მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველოს მთავარ პრობლემას წარმოადგენს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა - უღარიბესი ოჯახების შვილებისა და საზოგადოებისაგან იზოლირებული სხვა ბავშვებისათვის, მათ შორის, უმცირესობის წარმომადგენელ და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებისათვის.

სკოლამდელი აღზრდის სისტემაში პრობლემები კვლავაც არის, პედაგოგები მაინც არ არიან მზად, რომ მიიღონ სსსმ აღსაზრდელები და უზრუნველყონ მათი განათლება. არ იციან ის მიდგომები და სტრატეგიები, რომლებითაც შეიძლება ასწავლონ აღსაზრდელს, ასევე ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ, თუ რა დახმარება სჭირდება ბავშვს. საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების 98%-ს არ აქვს შესაბამისი გარემო და არ ჰყავს კვალიფიციური კადრი, რომ ასწავლოს და მიიღოს სსსმ აღსაზრდელები. ეს მდგომარეობა, ძირითადად, რაიონებისა და სოფლების ბაღებში აღინიშნება, თუმცა, არც ქალაქების ბაღებია გამონაკლისი.

საქართველოში დღეისათვის ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის პროგრამა 'თ ა მ ა შ ი', რომელიც თითოეული ბავშვის უნიკალურობის გათვალისწინებით, ხელს უწყობს ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლისა და განვითარების სტანდარტებით განსაზღვრული ხუთივე სფეროში (ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, სწავლისადმი მიდგომა, სოციალურ-ემოციური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სამეტყველო განვითარება) მაღალი შედეგების მიღწევას. სასკოლო მზაობის პროგრამა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, იმოქმედონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, ისწავლონ ხალისით, გაერთონ და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს. პროგრამა ხელს უწყობს აზროვნებისა და თანამშრომლობის უნარის, ურთიერთპატივისცემის გრძნობის განვითარებას, აგრეთვე სხვებისა თუ საკუთარი თავის, კულტურის და გარემოს მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას. პროგრამა თითოეულ ბავშვს ეხმარება, მაქსიმალურად განვიითაროს საკუთარი პოტენციალი. სასკოლო მზაობის პროგრამა

ხორციელდება ჯგუფში, სადაც ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 25-ს შეადგენს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვებიან აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი.

სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია: ბავშვს განუვითარდეს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; საუკეთესო არჩევანის გასაკეთებლად და ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად განუვითარდეს სიღრმისეული, მოქნილი და შემოქმედებითი აზროვნება; ფიზიკური და ემოციური სიჯანსაღის შესანარჩუნებლად საჭირო უნარების განვითარებაში შეუწყოს ხელი; ბავშვი სათანადოდ მოამზადოს პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის; ერთი წლის განმავლობაში ბავშვს აქონდეს ხალისიან გარემოში სწავლის და განვითარების შესაძლებლობა (სკოლამდელი . . . , 2015:3).

ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ირგვლივ არსებული სამყაროს შემეცნების სურვილი ის ძალაა, რომელიც ბავშვებს უბიძგებს იკვლიონ, გამოსცადონ, მოსინჯონ სიახლეები, მიიღონ სხვადასხვა როლი - კატის თუ პოლიციელის. ამ პროცესში ისინი იზრდებიან, სწავლობენ და ვითარდებიან. სწორედ ამიტომ, თამაში, განსაკუთრებით კი როლური თამაში, ადრეული ასაკის ბავშვებისთვის წამყვანი საქმიანობაა (სეიფერი, 2015:11).

თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია **სოციალური და ემოციური განვითარებისთვის**. თამაში იძლევა საშუალებას, ბავშვმა გაიაზროს და უსაფრთხოდ გამოხატოს ძლიერი ემოციები. ერთობლივ წარმოსახვით თამაშს შეუძლია, ბავშვებს შორის განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი. მასში განსაკუთრებით კარგად ერთვებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები.

აღსაზრდელები ხშირად გაითამაშებენ ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შეიძლება იყოს ‘ექიმობანა’ - ექიმთან ვიზიტის შემდეგ. ყველაზე ხშირად ‘სახლობანას’ თამაშობენ, რომლის დროს გადმოსცემენ ახლობლებთან ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდილებას, ამ თამაშის დროს ძალიან კარგად ჩანს, როგორი ოჯახის წევრების სურთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს.

თამაშის დროს ბავშვებს ბუნებრივად უვითარდებათ **მსხვილი და ნატიფი მოტორიკა**. სირბილის, გაძრომის, ხტუნვის დროს მაგრდება მათი მსხვილი კუნთები. ჩაიდნიდან წყლის ჭიქებში ჩამოსხმის, კუბურებით ქალაქის ან ცხოველების სახლების აშენების და, ვითომ-ვითომ, წერის დროს ვითარდება ნატიფი მოტორიკა და კოორდინაცია.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის **კოგნიტურ განვითარებას**. მაგალითად, „მალაზიობანას“ თამაშის დროს წონიან, ზომავენ, ანგარიშობენ, ახარისხებენ სხვადასხვა „საგნებს“ ან „პროდუქტებს“. ამ დროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები სხვებთან ერთად უპრობლემოდ ერთვებიან ინტერაქციაში.

თამაში ავითარებს **მეტყველების და კომუნიკაციის** უნარებს. იმისთვის, რომ როლური თამაში დაიწყო, ბავშვები ერთმანეთს აცნობენ სიუჟეტს და ინაწილებენ როლებს. თამაშის დროს ნელ-ნელა სწავლობენ ყოველდღიური მეტყველებაში ნაკლებად გამოყენებად უფრო დახვეწილ, რთულ სიტყვებს და ფრაზებს. ვითომ-ვითომ ექიმი „სინჯავს“ ავადმყოფს, უკეთებს „ნემსს“, წერს „დანიშნულებას“. ექთანი სინჯავს სიცხეს „თერმომეტრით“. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ამ თამაშებში კარგად ერთვებიან და პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე პროფესიულ კითხვებს სვამენ ან პროფესიონალის მსგავსად პასუხობობენ.

სასკოლო მზაობის ჯგუფში ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების შეგრძნება, რასაც, პირველ რიგში, ახალი ჯგუფისადმი მიკუთვნების გრძობა განსაზღვრავს. ეს ბავშვს უჩენს საკუთარი თავისადმი პატივისცემის შეგრძნებას, რაც მეტად აუცილებელია მისი საკუთარი

შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად და განსავითარებლად. ჯგუფთან მიკუთვნების გრძნობა ბავშვს უჩნდება მაშინ, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი აქტიურად უწყობს ხელს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას და თანამშრომლობის მრავალფეროვან გზებს სთავაზობს.

ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება ქცევითი პრობლემების პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. ბავშვები თავს თუ იზოლირებულად გრძნობენ, ან ჯგუფიდან განცალკევებული არიან, ყურადღების მისაქცევად „არასასურველ” ქცევას მიმართავენ. ამით ყურადღების მიპყრობა უფრო მარტივია, ვიდრე პოზიტიური ქცევით. როდესაც ბავშვები თავს ჯგუფის ნაწილად აღიქვამენ და გრძნობენ, რომ დაფასებული არიან, დაუკმაყოფილებელ ემოციურ საჭიროებებზე ყურადღებას აღარ ამახვილებენ და ჯგუფში მიმდინარე საქმიანობებსა და თანატოლებთან ერთად პროდუქტიულ თამაშებში ადვილად ერთვებიან.

მეტად მნიშვნელოვანია მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია და მათგან ინფორმაციის მიღება. აღმზრდელი რეგულარულად ესაუბრება მშობლებს და სასწავლო-სააღმზრდელი პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს. ხშირად, ოჯახის წევრებს საკუთარი მოლოდინების, ბავშვების ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების, პიროვნული მახასიათებლების და სწავლის უნარების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ (სეიფერი, 2015:34).

განვითარების ყველა სფეროში ბავშვმა სრული პოტენციალი რომ გამოავლინოს, უნდა უზრუნველყვით მისი საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობებისადმი მორგებული გარემო და სასწავლო პრაქტიკა, რაც მის ოჯახურ, კულტურულ და ინდივიდუალურ თავისებურებებსაც ითვალისწინებს. აღმზრდელ-პედაგოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, ეფექტურად შეუწყოს ხელი ბავშვების სწავლა-განვითარებას, მოტივაციას და ჩართულობას, თუ მოერგება მათ ინდივიდუალურ განსხვავებებს. ამისათვის არსებობს ორი ძირითადი სტრატეგია: „უნივერსალური დიზაინის” პრინციპების დანერგვა და ინდივიდუალური მიდგომა, ანუ ინდივიდუალიზაცია.

ლიტერატურა:

1. ვაისი თომას - „ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ. გამომცემლობა ‘აწმყო’, თბილისი 2001წ.
2. საიფერი სტეფენ, იაგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია - „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში” სწავლისა და განვითარებისათვის”, აღმზრდელის სახელმძღვანელო. თბილისი 2015წ.
3. სასკოლო მზაობის პროგრამა - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი 2015წ.
4. სკოლამდელი განათლება საქართველოში - რეალობა და პერსპექტივები. თბილისი 2013 წ.
5. ჭინჭარაული თიათინ, ბაგრატიონო მაია, პაჭკორია თამთა - ინკლუზიური განათლება - სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება. თბილისი 2010წ.

Ягор Баланчивадзе, Дали Путкарадзе

Дошкольное образование как инструмент подготовки детей к школе

Резюме

В статье рассматривается новая модель дошкольных образовательных учреждений в Грузии, направленная на развитие многогранного и полноценного развития ребенка. Качественные дошкольные учреждения являются основой для того, чтобы полагаться на следующий этап обучения, это необходимое условие для развития страны. Качественное дошкольное образование является основой для того, чтобы полагаться на следующий этап обучения, это необходимое условие для развития страны. В раннем возрасте многостороннее развитие ребенка в отношении возрастных особенностей способствует повышению готовности к школе и последующей жизни, является прочной основой для полноценного формирования личности ребенка.

Дошкольное образование является одним из лучших инвестиций, которые страна может реализовать. Дошкольное образование является решающим этапом человеческой жизни, который в значительной степени определяет его будущее развитие и успех.

В статье подробно обсуждается готовящаяся к школе программа «Игра» в Грузии, которая учитывает уникальность каждого ребенка. Она способствует достижению высоких уровней стандартов обучения и развития в раннем возрасте. Цели Программы обеспечения готовности к школе полностью поддерживаются, роль игры для развития ребенка, как почувствовать чувство принадлежности к группе и формирование единства группы.

Iagor Balanchivadze, Dali Putkaradze

Preschool Education as a Tool Preparing Children for School

Abstract

The article deals with a new model of preschool educational establishments in Georgia, to promote child's multi-faceted and full-fledged development. Quality preschools are the basis for relying on the next stage of education, it is a necessary condition for the development of the country. Quality preschools education is the basis for relying on the next stage of education, it is a necessary condition for the development of the country. In the early ages, the child's multilateral development, with regard to age peculiarities, promotes readiness for school and subsequent living, is a solid foundation for the child's full-fledged personality formation.

Preschool education is one of the best investments that the country can implement. Preschool education is a crucial stage of human life that greatly determines its future development and success.

The article in details discusses school readiness applicable program "Play" in Georgia, which taking into account the uniqueness of each child, It promotes high levels of early childhood learning and development standards, The goals of the School Preparedness Program are fully supported, the role of the game for the development of the child, how to feel the sense of belonging to the group and the formation of the group's unity.

რეცენზენტი: პროფესორი ბ. იმნაძე

პედაგოგია Педагогика Pedagogic

ნანა ბენდელიანი

ქუთაისი, საქართველო

სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიები

სწავლა-სწავლების სტრატეგიებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებით მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გაანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გონებაში ჩაიბეჭდავს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენებს სხვადასხვა სიტუაციაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეტაკოგნიტური სტრატეგიები – აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლების მეთოდების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა.

სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგია გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლების დროს. იგი აიოლებს ახალი მიღებული ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას.

სწავლების ეფექტური სტრატეგიაა მოსწავლეებს ვასწავლოთ, რომ სწავლისას მნიშვნელოვანია: ინფორმაციის აღქმა, ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება და დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, სამუშაოს განაწილება-დაგეგმვა. ეს ყოველივე შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს.

სწავლების ეფექტიანობისათვის აუცილებელია:

1. განვსაზღვრავთ და გავაცანობთ მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიზნები და შედეგები. როცა მოსწავლეებისათვის უცნობია „საბოლოო პროდუქტი“, მოსწავლეები ვერ ახერხებენ მთელის შემადგენელი ნაწილების გაერთიანებას და მათ უკან მთლიანი არსის აღქმას.

2. დავანახოთ მოსწავლეებს შესასწავლი საკითხის ღირებულება. რეფექტურია ავუხსნათ შესასწავლი თემის საჭიროება, მიზნობრიობა. დავანახოთ რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ თემის უცოდინარობამ.

3. საგანგებო ყურადღება გავამახვილოთ რთულ, პრობლემურ საკითხებზე, რათა ვუზრუნველყოთ მოსწავლის აკადემიური მოსწრების და ზოგადად სწავლის პროცესის თვისობრივი გაუმჯობესება. ამ პრინციპს საფუძვლად ნაწილებით სწავლების მოდელი უდევს. ნაწილებითი სწავლების მოდელი მეტად ეფექტურია სასწავლო პროცესის შუალედურ

ეტაპზე. მაშინ როდესაც მოსწავლემ იცის, რა არის მისი სწავლის საბოლოო შედეგი და პროდუქტი. საბოლოო პროდუქტის დაშლა შემადგენელ ელემენტებად, მათგან ყველაზე რთული ელემენტების გამოცალკავება და მათი დამოუკიდებლად სწავლება. ეს პრინციპი ეფექტურია მაშინ, როდესაც მასწავლებელი სისტემატიურად ახდენს რთული საკითხების იდენტიფიცირებას და მათზე ყურადღების გამახვილებას.

4. დავეხმაროთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში. საგანგებო დრო და ყურადღება დაუთმეთ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების/ტრანსფერის უნარის გამომუშავებას. მოსწავლე მაშინაა წარმატებული და მოქნილი აზროვნების მქონე, როცა ახერხებს ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის, სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენებას. საჭიროა სწავლების სპეციალურად დაგეგმვა იმისათვის, რომ ტრანსფერი განხორციელდეს. ტრანსფერს ხელს უწყობს შემდეგი პრინციპები:

ა) ცოდნა რომლის ტრანსფერიც ხდება, უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი მიმართების შემცველი .

ბ) სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ შექნილი გამოცდილება შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სიტუაციაში.

გ) სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ამოცანის გადაჭრის ძირითადი პრინციპები.

5) გავაცნოთ მოსწავლეებს თემის მიღმა არსებული ლოგიკა, რაც არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ აადვილებს ამა თუ იმ თემის შესწავლას, საკითხის სრულფასოვან წვდომას. ავუხსნათ, რომ მეცნიერული ცოდნის გამოყენება შესაძლებელია ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის. მოვლენების სიღრმისეული წვდომისათვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მოვლენების უკან მდგარ პრინციპებზე, კანონზომიერებებზე.

6) განვაფიქროთ მოსწავლეებში თანატოლებისაგან სწავლის უნარი. ბავშვებს ბევრი რამის შესწავლა შეუძლიათ ერთმანეთისაგან. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ამ ბუნებრივი პროცესის ეფექტურად განხორციელებას.

7) ვასწავლოთ მოსწავლეებს სწავლა. სწავლის უნარის განვითარება ეფექტური სწავლების მნიშვნელოვანი მიზანია. ვასწავლოთ აღსაზრდელებს როგორ გახადოს სწავლის პროცესი უფრო ეფექტური. როგორ მიადწიოს უფრო მაღალ შედეგს.

8) ეფექტიანი სწავლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწავლის ემოციურ-მოტივაციურ სტრატეგიებზე, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს მნიშვნელოვან მუხტსა და ენერჯიას აძლევს და მოსწავლეს შესასწავლი საკითხისადმი დადებით განწყობას უქმნის.

აღამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. ის გამუდმებით ეძებს ახალ გამოცდილებას, ცდილობს გადაჭრას ახალ-ახალი პრობლემები, რის შედეგადაც მას ისეთი უნარები და კომპენტეციები უვითარდება, რომლებიც უწყობს ხელს გარემოსთან ადაპტაციას და შინაგანი წონასწორობის დამყარებას.

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლის ინტერესისაკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ინტერესი შესასწავლი საკითხის მიმართ და ცნობისმოყვარეობა გადავზარდოთ ცოდნისმოყვარეობაში.

ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და სწორედ ამიტომ ასრულებს მნიშვნელოვან როლს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მართავს პასიურიდან აქტიური მდგომარეობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენის, ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ უბიძგებს.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას ნაცნობი გამოცდილების კონტექსტში, გამოიყენოს ისეთი სტიმული, რომელიც არ იქნება მათთვის

სრულიად უცხო. საჭიროა ბალანსის დაცვა, მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სქემას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლემ დაუძლეველად მიიხნოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს.

შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა. თანამშრომლობითი სწავლების გამოყენებისას მოსწავლე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს ისეთი პასუხისმგებლობის გაზიარებით, როგორცაა: მიზნის მიღწევა, მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენა, საკითხის კრიტიკულად განხილვა, მკაფიო და ღია კომუნიკაცია, სხვისი აზრის მოსმენა, მოსაზრებათა ანალიზი და შერწყმა. თანამშრომლობითი სწავლების დროს ერთი მოსწავლის აზრი ბიძგს აძლევს მეორის იდეებს და ისინი მიდიან საკითხის ახლებურ ხედვამდე, რისი საშუალებითაც ხდება მათი კონცეპტუალური განვითარება.

თანამშრომლობითი სწავლების დროს კონკრეტული თემის ან პრობლემის შესწავლისას აქტიურდება თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის და შემოქმედებითი უნარები. ცდგება იდეათა, შეხედულებათა ინტერპერსონალური კავშირები. ჯგუფის წევრთა მოსაზრებების გაცნობით და კომენტარების დართვით იზრდება თითოეული მოსწავლის ინფორმირებულობა, ვითარდება ინტერპრეტაციის უნარი.

თანამშრომლობითი სწავლების სეგმენტური მეთოდის სასწავლო შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსწავლეთა სუბიექტურ წარმოდგენებზე, დამოკიდებულებებზე, რომლებიც თავდაპირველად ინდივიდუალურად, მერე კი სხვებთან იდეების გაცვლა-გამოცვლის პროცესში სტრუქტურდება.

ჩამოთვლილ სტრატეგიათაგან (კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური, სოციალური) უმეტესწილად კომპლექსურად გამოყენებაა ეფექტური, თუმცა შეიძლება შეინიშნებოდეს სწავლის რომელიმე სტრატეგიის დეფიციტი, მაგრამ მისი კომპენსირება მოხერხდება, თუ სხვა სტრატეგიები მაღალ დონეზე იქნება განვითარებული. არსებობს ისეთი რთული და კომპლექსური დავალებები, რომელთა შესასრულებლად სწავლა-სწავლების ყველა სტრატეგიის ცოდნა და გამოყენებაა აუცილებელი და საკმარისია ერთ-ერთი გამოაკლდეს, რომ მარცხი გარდაუვალია.

სწავლა-სწავლების სტრატეგიებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებით მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გაანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გონებაში ჩაიბეჭდავს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენებს სხვადასხვა სიტუაციაში.

შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლების მეთოდების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა.

ლიტერატურა:

1. „მოტივაციისა და კომუნიკაციის პედაგოგიური სტრატეგიები“ მეთოდური პროსპექტუსი, 2011 წ.
2. R., ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010წ.
3. „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში.” მასწავლებლის წიგნი, 2012წ.
4. „სწავლა-სწავლების ახალი მიდგომები” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005
5. „სწავლა-სწავლების ძირითადი მიდგომები და მეთოდოლოგია.” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2014წ.

ნანა ბენდელიანი**Эффективные стратегии учения и обучения
Резюме**

Среди стратегий учения и обучения центральное место занимают когнитивные стратегии, с помощью которых учащийся получает знания, перерабатывает, анализирует, критически оценивает, закрепляет их в уме и при необходимости эффективно использует в различных ситуациях. Не менее важны метакогнитивные стратегии, мышление о собственном мышлении.

Можно сказать, что методы обучения и стратегии учения являются двумя сторонами одной медали. Предпосылкой эффективного использования методов обучения является овладение эффективными стратегиями учения.

Nana Bendeliani**Effective Learning and Teaching Strategies****Abstract**

Cognitive strategies hold a distinguished place among learning and teaching strategies. Cognitive strategies enable students to collect, process, analyze, critically evaluate and memorize information and effectively apply knowledge in various situations. Metacognitive strategies are none the less important; they can be defined as thinking about thinking. It should be noted that teaching methods and learning strategies are two sides of the same medal. A prerequisite for the effective use of teaching methods is acquiring efficient learning strategies.

რეცენზენტი: პროფესორი ბ. იმნაძე

პედაგოგია Педагогика Pedagogic

ნინო ბენდელიანი

ქუთაისი, საქართველო

აღსაზრდელებისთვის სოციალური უნარ-ჩვევების განმავითარებელი გარემოს შექმნა

ოცდამეერთე საუკუნეში ჰუმანიტარული პედაგოგია მიზნად ისახავს, მოსწავლის მრავალმხრივ ნებელობით, ზნეობრივ, დემოკრატიულ, ეროვნულ, კულტურულ, ეკოლოგიურ, გონებრივ განვითარებას, მოქალაქეობრივი და პიროვნული ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის ამდლებას, ამდენად მნიშვნელოვანია, აღსაზრდელებისთვის შევქმნათ სოციალური უნარ-ჩვევების განმავითარებელი გარემო.

სოციალური კომპეტენცია თანატოლებში და ახალი მეგობრების შექმნის უნარი მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის მიმართ დადებით დამოკიდებულებასთან, გაკვეთილებზე დასწრებასთან და მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან. მოსწავლეთა შორის დადებითი მეგობრული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად დაგვეხმარება სანიმუშო მეგობრის თვისებები, მაგალითად: ა) ერთგული მეგობარი ჭირშიც და ღვინშიც ჩვენ გვერდით არის; ბ) მზრუნველი -ადამიანი, რომელიც იჩენს სხვების მიმართ თავაზიანობას, თანაგრძნობას, გამოხატავს მადლიერებას, ეხმარება და ზრუნავს სხვებზე, დაუზარებლად აკეთებს კეთილ საქმეს, განიხილავს მოვლენებს საკუთარი და სხვისი თვალთახედვით; გ) პატიოსანი- ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ტყუილის გარეშე, გულახდილია, გულწრფელია, პატივს სცემს სხვის შეხედულებებს და, ასევე არ კარგავს საკუთარ ინდივიდუალურობას, არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, ასრულებს დანაპირებს; დ) მიზანსწრაფული ადამიანი, რომელიც წარუმატებლობის დროს არ ნებდება, ისახავს მიზანს და პატიოსნად იღწვის მის მისაღწევად; ე) შრომისმოყვარე- პასუხისმგებლობით ეკიდება დავალებას და ძალისხმევას არ იშურებს მის შესასრულებლად; ვ) დისციპლინირებული პიროვნება, რომელსაც შეუძლია დროის სწორად განაწილება, დღის დაგეგმვა, იცავს ეთიკის ნორმებს; ზ) ცხოვრობს ჯანსაღი ცხოვრების წესით-იცის, რა უარყოფითი ზეგავლენა მოაქვს არაჯანსაღი ცხოვრების წესს-აზარტულ თამაშებს, თამბაქოს და ა.შ თ) ემორჩილება კანონებსა და წესებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის, კლასის საქმიანობაში, პასუხს აგებს თავის მოქმედებებზე, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. ი) აქვს თანამშრომლობის უნარ-ჩვევა, შეუძლია, გუნდში მუშაობა, საერთო საქმის შესრულების

დროს არ იშურებს ძალისხმევას, ეხმარება გუნდის წევრებს, იღებს სხვისგან დახმარებას, აფასებს სხვის შრომას. ჩამონათვალი აღსაზრდელებს დაეხმარება მეგობრის პორტრეტის შექმნაში. ჩამოთვლილი ღირებულებები უმჯობესია განვათავსოთ ნახატზე, რადგან თვალსაჩინოების სახით ისინი უკეთ გაიაზრებენ ადამიანური თვისებებიდან რომელია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. მოზარდებს სჭირდებათ სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევების განვითარება თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობების დასამყარებლად. როდესაც ისინი სწავლობენ საკუთარი ფიქრისა და ემოციების მართვას, შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების დადგენა და პრობლემის გადაჭრა, მათ უადვილდებათ თანატოლებთან ურთიერთობები და მეგობრის შექმნა.

ადრეული სიტუაციის წლებში მეგობრები მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. ამ პერიოდში ერთგვარად მცირდება მშობლის გავლენა და მოზარდები ემოციურად თავიანთ თანატოლებზე დამოკიდებული ხდებიან.

სკოლა-ოჯახთან ერთად, თანატოლთა ჯგუფი – მეგობრებით, თანადგომით და სოციალური უნარ-ჩვევებით განმავითარებელი გარემოს შექმნით – ეხმარება აღსაზრდელს, ჩამოყალიბდეს სრულფასოვან პიროვნებად.

აღსაზრდელებს თანატოლებთან ურთიერთობით ეძლევათ საშუალება ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, უთანაგრძნონ და დაამშვიდონ ერთმანეთი. თანატოლთან ურთიერთობა ძლიერ გავლენას ახდენს მოზარდების ქცევით მოდელზე. ხშირად ურთიერთობები, რომლებიც ადრეული მოზრდილების ხანაში იწყება, შესაძლებელია წლების განმავლობაში გაგრძელდეს.

როცა მოზარდები ბავშვობის ხანიდან ადრეულ სიტუაციებში ინაცვლებენ, მეგობრობის მიმართ მათი მოთხოვნები იცვლება. თავდაპირველად, მეგობარს ირჩევენ მათგან, ვინც ცხოვრობს ახლომახლო, აქვთ მსგავსი ინტერესები ან დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ოჯახებით. აღსაზრდელები კი მეგობრებს ეძებენ პატიოსან და გულწრფელ ადამიანებში, რომელთა ნდობაც შეიძლება. მათ სჭირდებათ მეგობრები, რომლებთანაც თავს კარგად იგრძნობენ, მიუხედავად განსხვავებებისა; აღიარებენ როგორც სისუსტეს, ასევე ძლიერ მხარეებს, შეძლებენ საიდუმლოს გამხელას.

მოზარდობის პერიოდში, აღსაზრდელებს უნდებათ თანატოლთა ჯგუფის მიკუთვნებულობის მიხედვით განსხვავებული დამოკიდებულება ჩაცმულობის, ქცევისა და სოციალური საქმიანობის დადგენილ ნორმებთან.

რა ემართებათ იმ აღსაზრდელებს, რომლებიც ვერ აყალიბებენ ახლო ურთიერთობებს? ბევრისთვის ეს შეიძლება მტკივნეულ მარტოობაში გადაიზარდოს. მარტოსული მოზარდები უფრო ხშირად გამოხატავენ სიბრაზეს, არიან დეპრესიულები, მორცხვები და დაძაბულები საზოგადოებაში. მარტომყოფი მოზარდები სოციალურად უუნარონი ხდებიან და მათი საზოგადოებრივი აქტივობის დონე დაბალია.

აღსაზრდელები მარტოობას აპროტესტებენ თანატოლთა გავლენისა და არსებული ნორმების წინააღმდეგობით. მოზარდების აღნიშნული მდგომარეობიდან გამოყვანაში დაგვეხმარება გაკვეთილები, სადაც განხილული იქნება თემები, როგორ განსაზღვრონ საუკეთესო მეგობრის მახასიათებლები და მოიძიონ მეგობრები, რომლებსაც გაუზიარებენ თავიანთ ღირებულებებს და მათთან ჯანსაღ ურთიერთობებს დაამყარებენ. მეგობრობის აუცილებლობისა და მეგობრის თვისებების უკეთ გაზიარებისთვის აღსაზრდელებს მოვასმენინოთ ლექსი ან სიმღერა მეგობრობაზე, ვაყურებინოთ ფილმი, შემდეგ ვთხოვოთ მათ განსაზღვრონ სანიმუშო მეგობრის თვისებები, განიხილონ კონკრეტულად ის თვისებები, რომლებსაც მეგობრობამდე მივყავართ.

ისინი განიხილავენ როგორ ამდიდრებს მათ მეგობრობა და შეძლებენ კარგად გაიაზრონ რომელი დადებითი თვისებები უნდა შესთავაზონ მეგობარს.

აღსაზრდელებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად კარგ შედეგს მოგვცემს შემდეგი დავალება: მაგალითად, მეწვეილესთან ერთად ცალ-ცალკე ჩამოწერონ ორი სიტყვის მეგობრის და ნაცნობის განმარტება.

მაგალითები: მეგობარი: ძმის ან დის მსგავსი მზრუნველი ადამიანია. იგი ჩვენ გვერდითაა, როცა გვჭირდება, გვისმენს, გვეხმარება.

ნაცნობი: პიროვნება, რომელთანაც გვაკავშირებს შემთხვევითი ურთიერთობები. შესაძლოა, ნაცნობობა არასოდეს გაღრმავდეს.

ბავშვები აყალიბებენ გზებს, ცვლიან ურთიერთობებს. მნიშვნელოვანია, ამ დროს შევკვირვებით მათ, თუ როგორ შეიძლება გადაიზარდოს ნაცნობობა მეგობრობაში?

მაგალითები: როცა თქვენ პიროვნებას უკეთ ეცნობით, იგი გეხმარებათ, ასევე, თქვენც ცდილობთ, მხარში დაუდგეთ საჭირო სიტუაციაში. ამის შემდეგ ვთხოვთ აღსაზრდელებს დაფიქრდნენ რა შემთხვევაში შეიძლება დაკარგონ მეგობარი?

მაგალითები: „მეგობარმა“ შესაძლოა გიღალატოთ, გასცეს თქვენი საიდუმლო, გაგაკრიტიკოთ სხვისი თანდასწრებით. ამ დროს, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მათ თუ რას ნიშნავს სანიმუშო თვისებები. აღსაზრდელები განმარტავენ ყოველ თვისებას, დებულობენ მონაწილეობას „მეგობრების პორტრეტების“ შექმნაში. ამის შემდგომ სახელს არქმევენ „მეგობარს“. ბოლოს კლასში გამოიფინება ყველას ნამუშევარი და ჯგუფები წარმოუდგენენ მთელ კლასს თავიანთ მეგობარს, დაწვრილებით აღნიშნავენ მის დადებით თვისებებს.

მოცემული იდეები და აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს, იფიქრონ თანატოლთა თვისებებზე, რომლებიც ხელს უწყობს მათ შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ისინი შეისწავლიან და პატივისცემით აღსავსე მეგობრული ურთიერთობების გაძლიერებისა და ჩამოყალიბების გზებს.

აღსაზრდელები შეძლებენ, ამოიცნონ და წინ აღუდგნენ თანატოლთა მხრიდან ხეწოლას. ისინი ისწავლიან დაშინებისა და ბულინგის გამკლავების გზებს: მოზარდები შეისწავლიან, თუ როგორ გაართვან თავი თანატოლებთან კონფლიქტს, მათთვის ხეწოლისა და დაძაბულობის ყველა ფორმის შეცნობა და სწორი გადაწყვეტილების მიღება იქნება სწორედ ის სასიცოცხლო მნიშვნელობის უნარი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს მოზარდობის ხანაში.

მნიშვნელოვანია, აღსაზრდელებმა განიხილონ განსხვავება ისეთ მეგობრებს შორის, რომლებიც მათ აძლიერებენ ან იმედს უცრუებენ.

შევახსენოთ მათ, რამდენად მნიშვნელოვანია, მზად იყვნენ ახალი მეგობრის შესაძენად. ამ დავალების შესრულების დროს მოსწავლეები აღმოაჩენენ, როგორ უნდა შეარჩიონ შესაფერისი მეგობარი. მათ შევახსენოთ, დაფაზე ჩამოწერით, მეგობრის შექმნის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. მაგალითად, გამამხნეველები მეგობრობა:

- ა) მიჩნდება სიამაყის გრძნობა საკუთარი თავის მიმართ;
- ბ) პატივს ვცემთ ერთმანეთის ინდივიდუალურობას;
- გ) მოგვწონს ერთად სწავლა;
- დ) ვუზიარებთ ერთმანეთს დადებით ინტერესებს;
- ე) ვამხნევებთ ერთმანეთს, გავაკეთოთ ყველაფერი საუკეთესოდ.

დამთრგუნველი მეგობრობა:

- ა) აქვთ ერთნაირი ნეგატიური ინტერესები;
- ბ) სურთ, სხვებზე ჩააბან ნეგატიურ აქტივობებში;
- გ) არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების;
- დ) სურთ, შეამჩნიონ ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც აქვთ რაღაც სტატუსი და სიმდიდრე?

ბარათების დარიგების წინ შევახსენოთ მოსწავლეებს, თუ როგორ ავარიდოთ თავი ნეგატიურ აქტივობებს. ხომ არ ეწინააღმდეგება შემთავაზებული წინადადება, კანონს, სკოლის

წესებს? რა არის საზრიანი ჩემთვის ან სხვებისთვის? ხომ არ გაუცრუებს ამგვარი ქმედება იმედს ჩემს მშობლებს და ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს? მცდარი იქნება ასე მოქცევა? ვინანებ? მე გაგებრაზდებოდი ან გავლიზიანდებოდი, ვინმე რომ ასე მომქცეოდა?

როცა მოსწავლეები დაასახელებენ აქტივობებს, რომლებიც ახასიათებს ნეგატიურ მეგობრობას, დავესვათ შეკითხვა, რომელი კითხვა დაეხმარებოდა მათ მოცემული ბარათებიდან, რათა თავი აერიდებინათ ამ სიტუაციისთვის. აღსაზრდელებს შევახსენეთ ის მხარდაჭერა, რომელიც გვჭირდება ჯანსაღი, სასიამოვნო ცხოვრებისთვის. ჩვენ ყველას შეგვიძლია ვიპოვოთ ისეთი მეგობრობა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და ისეთ აქტივობებზე, რომლებიც ჩვენს წინსვლას განაპირობებს.

აღნიშნული დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ ჯანსაღი მეგობრობის გაძლიერების გზებზე, როგორ შეეწინააღმდეგონ უარყოფით ზეწოლას. აღსაზრდელები შეძლებენ ხელი შეუწყონ კონკრეტულ და დადებით მეგობრობას, რაც დაეხმარებათ მათ იყვნენ მზად, შეძლონ სანიმუშო მეგობრობა. მოცემული იდეები, აქტივობები დაეხმარებათ მოზარდებს ჩამოყალიბდნენ სრულფასოვან პიროვნებად, რითაც მარტივად შეძლებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას.

მაშასადამე, სოციალური უნარ-ჩვევების განმავითარებელი გარემო მნიშვნელოვანია აღსაზრდელის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

ლიტერატურა:

1. „სოციალური განვითარების მოდელი“ ჯ.დ.ჰოუკინსი და ჯ.უეირსი 1985.
2. სოციო-ემოციური სწავლების განვითარება“ ჯ.დ.ჰოუკინსი, ბ.პ.სმიტი და რ.ფ.კატალანო. 2000წ „
3. „სოციალური და ემოციური განვითარების ოპტიმიზაცია.“მ.ჯ.ელიასი რ.პ.ვეისბერგი-1990წ.
4. „მოზარდების მომზადება 21-ე საუკუნისათვის“ პ.ბენსონი ნიუ-იორკი 1995წ.

Нино Бенделиани

Создание среды, развивающей социальные способности и навыки учащихся

Резюме

В двадцать первом веке гуманистическая педагогика ставит перед собой целью многостороннее – волевое, нравственное, демократическое, национальное, культурное, экологическое, умственное развитие, повышение гражданской и личной ответственности и ценностей. Соответственно, очень важно создать для учащихся среду, развивающую у них социальные способности и навыки

Nino Bendeliani

Creating the developmental environment for social skills for children

Abstract

In XXI century the humanistic pedagogy aims for spiritual, moral, democratic, national, cultural, ecological and cognitive development of students; and enhancement of civic and personal values and sense of responsibility. Consequently, it is important to create a proper environment for developing social skills of students

რეცენზენტი: პროფესორი ო. გუსევა

პედაგოგია Педагогика Pedagogic

ორინე გოგობერიძე, თამარ ღოგრაშვილი

ქუთაისი, საქართველო

პროფესორ გიორგი თავზიშვილის პედაგოგიური შეხედულებები

ნაშრომი ეძღვნება გამომჩენილ ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის პედაგოგიურ შეხედულებებს. განხილულია გამოკვლევები, რომლებიც ეხება საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიას, საქართველოს ძველი და უახლესი პერიოდის განათლების კერებს, მათში მოღვაწე პედაგოგებისა და განმანათლებლების საქმიანობას. მის კვლევებს ქართული, საბავშვო ლიტერატურის და თეატრის საკითხებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კვლევებზე, XIX საუკუნის სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის საკითხების შესახებ საქართველოში. აქცენტი გადატანილია მის შრომებზე, რომლებიც ეხება ი. გოგებაშვილის თხზულებათა ანოტირებულს, ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ იდეებს, მონოგრაფიებს ი. გოგებაშვილზე, ს.მგალობლიშვილზე, ეკ. გაბაშვილზე, ნ. ნაკაშიძეზე და სხვა. საუბარია აგრეთვე მის მონოგრაფიაზე, რომელიც მიუძღვნა საბავშვო ლიტერატურის საკითხებს.

გამომჩენილ ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს გიორგი თავზიშვილს სამართლიანად თვლიან საქართველოში სახალხო განათლების და პედაგოგიკური აზროვნების მემკვიდრედ. მას ფუძემდებლური გამოკვლევები აქვს საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში. იკვლევდა საქართველოს ძველი და უახლესი პერიოდის განათლების კერებსა და მათში მოღვაწე პედაგოგებისა და განმანათლებლების საქმიანობებს. იგი იყო საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი. მის კალამს ეკუთვნის ქართული ლიტერატურისა და თეატრის საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი ნაშრომი. მან განსაკუთრებული, სიღრმისეული მეცნიერული კვლევები მიუძღვნა XIX საუკუნის სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორიას საქართველოში. მისი შრომის შედეგია ი. გოგებაშვილის თხზულებათა ანოტირებული, ილიას რჩეული პედაგოგიური თხზულებები, მონოგრაფიები ი.გოგებაშვილზე, ს. მგალობლიშვილზე, ეკ. გაბაშვილზე, ნ. ნაკაშიძეზე და სხვა.

გიორგი თავზიშვილი ზემო იმერეთის უღამაზეს კუთხეში, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბახალეთში დაიბადა 1902 წელს. მან დაწყებითი განათლება მიიღო დაბა ხარაგაულში, ხოლო

საშუალო პედაგოგიური განათლება გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში. 1922 წელს ის შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის განყოფილებაზე. ერთი წლის შემდეგ გადავიდა მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიურ განყოფილებაზე, რომელიც 1926 წელს წარჩინებით დაამთავრა. მისმა სადიპლომო ნაშრომმა „ემპირიული ფსიქოლოგია და დიალექტური მატერიალიზმი“ მაღალი შეფასება დაიმსახურა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პედაგოგიის თეორიის და ისტორიის განყოფილების ასპირანტად, რომელიც 1929 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს იგი მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიის კათედრის ასისტენტი, ხოლო ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობს პედაგოგიის სემინარს ამავე უნივერსიტეტში. მალე მას კათედრის დოცენტად ირჩევენ. ამავე ხანებში იგი თანამშრომლობს „ლიტერატურულ ენციკლოპედიაში“, სადაც იბეჭდება მისი ნარკვევები ქართული ლიტერატურის განვითარების ცალკეულ პერიოდებსა და ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებაზე.

1930 წელს იგი ბრუნდება საქართველოში და ინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად სასწავლო ნაწილში, ამასთანავე განაგებდა უნივერსიტეტის პედაგოგიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს პედაგოგიკასა და პედაგოგიის ისტორიაში. 1933–1938 წლებში სათავეში უდგა პედაგოგიის კვლევით ინსტიტუტს, ხოლო 1938–1958 წლებში თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიის კათედრის გამგეა. პარალელურად წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქუთაისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიის კათედრასაც. საკვალიფიკაციო კომისიამ გიორგი თავიშვილს პროფესორის წოდება მიანიჭა. მან გამოსცა ნაშრომი „სასკოლო მშენებლობის ახალი ამოცანები“, და ეხებოდა სკოლის მუშაობაში დაშვებულ შეცდომებს და სწორად აშუქებდა სკოლისა და პედაგოგიის თეორიის ახალ ამოცანებს.

1948 წელს გიორგი თავიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ‘სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარსა და 60-იან წლებში’. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პედაგოგიის განვითარებაში.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იწყებს მუშაობას ქართული ლიტერატურისა და თეატრის ისტორიის საკითხებზე. 1938 წელს გამოიცა მისი ნაშრომი: უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში”, ადამიანის დანიშნულებისა და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში”. წიგნში „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში” ასახულია საქართველოს საზღვრებს გარეთ და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი განათლების პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის შინაარსი. შრომაში ნაჩვენებია ქართული აკადემიების ხელმძღვანელებისა და პედაგოგების მუშაობის საკითხები, ლაპარაკია უმაღლესი სკოლის მსმენელთა ასაკზე, აკადემიის სასწავლო გეგმებზე და სხვ. მის შრომაში „ადამიანის დანიშნულებისა და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში”, გაშუქებულია პოემის აღმზრდელითი მნიშვნელობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საკითხები.

გ.თავიშვილს დიდი როლი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ შეხედულებათა კვლევაში. მისი ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა”, გამოიცა 1959 წელს, რომელშიც ავტორი ღრმად აშუქებს საკითხს თუ როგორ ესმოდა ს.ს.ორბელიანს მემკვიდრეობისა და აღზრდის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

გ.თავიშვილმა ღრმად შეისწავლა ი.ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებები. მან ასევე საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა აკაკი წერეთლის პედაგოგიურ შეხედულებებს განათლების საკითხებზე. გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებულში წერილი

„აკაკი წერეთელი სახალხო განათლების საკითხებზე“, აგრეთვე აღსანიშნავია მისი შრომა „ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიური იდეები“.

განსაკუთრებული როლი შეიძლება მივანიჭოთ გიორგი თავზიშვილის ღვაწლს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური იდეების კვლევაში. 1940 წელს მან გამოსცა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ და მხატვრულ თხზულებათა ერთტომეული. მის კალამს ეკუთვნის 1949 წელს გამოცემული „იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“, „ი.გოგებაშვილის ცხოვრება, მოღვაწეობა და მოძღვრება“. გ.თავზიშვილი ღრმად განიხილავს ი.გოგებაშვილის როლს აღზრდა-განათლების საკითხებზე, სწავლების შინაარსზე, აღზრდის მიზნებზე და ამოცანებზე, დიდაქტიკურ პრინციპებზე, სკოლის როლზე, ხალხურობის პრინციპებზე, საბავშვო ლიტერატურის ამოცანებზე, მასწავლებლის როლზე აღზრდის სრულყოფაში.

გ.თავზიშვილის მეცნიერულ ნაშრომთა შორის მნიშვნელოვანია ფუნდამენტური გამოკვლევა „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია“.

გ.თავზიშვილი ძირითადად ქართული პედაგოგიკის ისტორიის მეკვლევარი იყო, მაგრამ მას მნიშვნელოვანი შრომები აქვს გამოქვეყნებული პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებსა და აღზრდის ისტორიაში. ამ მიზნით მან ძალიან ბევრი იშრომა და 1933 წელს ვრცელი თეზისების სახით გამოვიდა მისი შრომა „პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები“, მასში განხილულია: პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დანიშნულება, მიზნები და ამოცანები, პედაგოგიკის სოციალური კანონზომიერება და ბიოლოგიური ასპექტები. პედაგოგიკას გ.თავზიშვილი განმარტავდა, როგორც „სოციალურ მეცნიერებას ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისა და სწავლა-განათლების შესახებ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით“.

გ.თავზიშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ადამიანი მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს. ჰარმონიულად, ბავშვი მხოლოდ საზოგადოებაში იქცევა მოქალაქედ, იგი აღზრდას ორგანიზებულ, შეგნებულ პროცესს უწოდებს, რომელიც გარკვეული მიზნის მიღწევისათვის წარმოებს, მიზანი კი ადამიანების მოქმედების წესს და ხასიათს განსაზღვრავს.

თავზიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლას, სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებლის დანიშნულებასა და მოღვაწეობას.

1961 წელს გამოდის მისი ნაშრომი შრომათა აღზრდის საკითხებზე, სადაც გაშუქებულია შრომის მრავალმხრივი მნიშვნელობა, შრომას განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას. იგი მიუთითებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომას ადამიანის აქტივობის, ზნეობისა და გონებრივი განვითარებისათვის. ადამიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთადერთი წყარო, საზოგადოების განვითარებისა და ბედნიერების მთავარი წყარო და საფუძველი. იგი ეხება ფიზიკური და გონებრივი შრომის საკითხებს. ამ მხრივ წინა პლანზე აქვს წამოწეული ფიზიკური შრომა, რომელიც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, სისხლის მიმოქცევას, ამაგრებს კუნთებს, ნერვულ სისტემას, ფილტვებს. მისი აზრით, რაც უფრო მეტია შრომაზე გაწეული ენერჯია, მით მეტია სიამოვნება. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომის დისციპლინას, რომელიც სკოლაში უნდა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს.

ის ასევე ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის დარგში. ამას მიუძღვნა წიგნი „საბავშვო ლიტერატურის საკითხები“, მან საფუძვლიანად შეისწავლა ი.გოგებაშვილის, შიო მღვიმელის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა საბავშვო თხზულებები.

იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართულ პედაგოგიურ პრესაში, ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“, რომელშიც სარედაქციო კომისიის წევრიც იყო.

მისი ინიციატივით შემოიღო საქართველოს რადიომ გადაცემა „ძილისპირული“.

გიორგი თავზიშვილი იყო საქართველოს მწვერალთა კავშირის წევრი.

მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული. მას 1961 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ორდენებით. მისი უმთავრესი ნაშრომების ბიბლიოგრაფია ასე გამოიყურება:

- რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი : 3 ტომად (ავტორი) // ტ. 1. - თბილისი, განათლება, 1974. - 496 გვ.
- პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები (ავტორი). - თბილისი, განათლება, 1968. – 66 გვ.
- იაკობ გოგებაშვილი : მონოგრაფია (ავტორი). - თბილისი, საბლიტგამი, 1952. – 250 გვ.
- ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“ (ავტორი). - თბილისი, პედ.-სამეცნ. ინ-ტის გა-მა, 1937. – 48 გვ.

ლიტერატურა:

1. ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე—მამულიშვილთა სავანე, თბილისი, 1994 წელი;
2. გიორგი თავიშვილი—რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი 3 ტომად. ტომი I-თბილისი, განათლება, 1974. – 496 გვ.
3. გიორგი თავიშვილი-პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები—თბილისი, განათლება, 1968.-66 გვ.
4. გიორგი თავიშვილი-იაკობ გოგებაშვილი. მონოგრაფია. თბილისი, საბლიტგამი, 1952. 250 გვ.
5. გიორგი თავიშვილი-ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“-თბილისი, პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტის გამომცემლობა, 1937. 48გვ.
6. ინტერნეტში მოძიებული მასალა—www.giorgitavzishvili.ge

Ирине Гогберидзе, Тамар Дограшвили
Педагогические взгляды профессора Георгия Тавишвили
Резюме

Работа посвящена педагогическим взглядам выдающегося грузинского ученого, общественного деятеля, профессора Георгия Тавишвили. Рассмотрены исследования, которые касаются истории народного образования и педагогического мышления Грузии, очагов образования с древнейших времен до новейшего периода, педагогов и просветителей, которые осуществляли там свою деятельность. Его исследования о вопросах грузинской детской литературы и театре. Особое внимание уделено его исследованиям, касающимся истории народного образования и педагогического мышления в девятнадцатом веке в Грузии. Основное внимание уделяется его работам, связанным с десятилетием сочинений Я.Гогебашвили, педагогическими идеями Ильи Чавчавадзе, монографиями об Я.Гогебашвили, С.Мгалоблишвили, Э. Габашвили, Н. Накашидзе и др. Речь идет также об его монографии, посвященной вопросам детской литературы.

Irine Gogiberidze, Tamar Dograshvili

Professor Giorgi Tavzishvili's pedagogic Views
Abstract

The work is devoted to the pedagogical views of Professor Giorgi Tavzishvili, the famous Georgian scholar and public figure. The researches are considered which concerns to the history of Georgian public education and pedagogical thinking, the old and the most recent period's education centers and also the teachers and educators activities who worked in them also his research into Georgian, children's literature and theater issues. Special attention is paid to his studies concerning the history of public education and pedagogical thinking in the nineteenth century in Georgia. The focus is on his works related to the ten books of I.Gogebashvili's works, Ilia Chavchavadze's pedagogical ideas, and monographs on I.Gogebashvili, S. Mgaloblishvili, Ek. Gabashvili, N. Nakashidze and others. It is also about his monograph dedicated to children's literature issues.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

სწავლებისა და სწავლის მიდგომა ტრადიციულ გაკვეთილზე

სტატიაში განხილულია საბჭოთა განათლების სისტემა, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, სწავლების პრინციპები, მეთოდები და მიზნები. ჩვენი მიზანია არა მხოლოდ დახასიათება საბჭოთა სწავლებისა, არამედ განვსაზღვროთ მისი გავლენა თანამედროვე განათლებაზე და სწავლებაზე.

საკითხი საკმაოდ აქტუალურია, ვინაიდან ქართული განათლების სისტემა ჯერ კიდევ ტრადიციული სწავლებითა და სწავლების მეთოდებით მიმდინარეობს.

ჩვენი ქვეყნის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა არც თუ ისე შორეული წარსულია. მისი გავლენა მეცნიერების სხვადასხვა დარგს ინერციით მოყვება, მათ შორის განათლების სისტემას.

საბჭოთა მეცნიერება გაჯერებული იყო იდეოლოგიური, მარქსისტულ-ლენინური დოგმებით. თუმცა საბჭოთა მეცნიერების ბევრმა მიმართულებამ მიაღწია წარმატებას.

1921 წელს გასაბჭოების შემდეგ განათლების სისტემა საქართველოში გახდა საბჭოთა კავშირის განათლების სისტემის ნაწილი, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

საბჭოთა რეჟიმისათვის განათლება და კომუნისტური პარტიის სიძლიერე გაიგივებული იყო ერთმანეთთან. განათლების სისტემა დამყარებული იყო მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე. მთავრობა სკოლას იყენებდა ახალი თაობის პოლიტიკური და სოციალური ღირებულებებით აღზრდისათვის.

საბჭოთა კავშირის პრეტენზია მზარდი ინდუსტრიალიზმისადმი და ტექნიკური პროგრესი მთითხოვდა მოსახლეობის მასობრივ განათლებას. კომუნისტური პარტიის სიძლიერედ და დასაყრდენად მიჩნეული იყო განათლებული საზოგადოება.

1921-1930-იანი წლების საბჭოთა განათლების სისტემა გამოირჩევა პროგრესული განათლების ხაზით. გაკვეთილი-სწავლების ორგანიზების ფორმა უარყოფილი იქნა, იმ მიზეზით, რომ გაკვეთილი თრგუნავს ბავშვის აქტივობას, ინიციატივასა და ზეპირობას აჩვევს მოსწავლეს. განათლების კომისარიატის მიერ დაისვა საკითხი, ტრადიციული გაკვეთილის ჩანაცვლება მომხდარიყო სწავლების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმით. სწავლების გადახადისების მიზნით ინერგებოდა კვლევითი ექსკურსიები.

შემდეგი ეტაპი გაკვეთილის ჩანაცვლების მცდელობისა იყო დალტონ გეგმის დანერგვა. დაიწყო დალტონ გეგმის საცდელი ვარიანტებით სწავლება, მისი მეშვეობით ცდილობდნენ ტრადიციული განათლების გადახალისებას. განათლების რეფორმატორების ჩანაფიქრით დალტონ გეგმა უნდა შეეხამებინათ საბჭოთა ინტერესებისათვის: პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა და მისი შესრულება ლაბორატორიულ-კვლევითი მეთოდების გამოყენებით. სწავლებაში უნდა შენარჩუნებულიყო კოლექტიურობა. 1926-1928 წლებში ზოგიერთ სკოლაში მიმდინარეობდა დალტონ გეგმით სწავლება, რომელიც ლაბორატორიული გეგმის სახელწოდებით დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში (შ.ობოლაძე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, II, 2962წ. გვ.228). ამ პერიოდის სკოლა იწოდებოდა „შრომის სკოლად“.

1928-1929 წლებში ინერგება ახალი სწავლების ფორმა „პროექტთა მეთოდი“. სწავლების მეთოდებად იყენებდნენ აქტიურ მეთოდებს, რომელიც მოსწავლეს აქტიურს ხდიდა, უღვივებდა ინტერესსა და ინიციატივას. სასწავლო მეთოდი შრომითი ხასიათის უნდა ყოფილიყო და შრომითი საქმიანობით გამოხატული, ხელი შეეწყო მოსწავლის თვითმოქმედებისათვის და დამოუკიდებლობისათვის.

შ.ობოლაძე შემდეგ სასწავლო მეთოდებს გამოყოფს: თვითმოქმედების მეთოდი; ექსკურსიულ-კვლევითი მეთოდი; ლაბორატორიულ-კვლევითი მეთოდი. შრომის მეთოდი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოსწავლის ასაკთან და მის ფიზიკურ შესაძლებლობებთან.

1931-1932 წლები გამოირჩევა უკუპროცესებით, “შრომის სკოლის” ჩანაცვლება ხდება “სწავლის სკოლით”(WWW best-pedagog.ru педагогика советского периода). განათლების სისტემაში ბრუნდება ტრადიციული გაკვეთილი, ტრადიციული სწავლების მეთოდებით.

განათლებისა და სწავლების ყველა საკითხს დიდაქტიკა სწავლობდა, რომელიც საფუძველს იდებს მე-17 საუკუნიდან. დიდაქტიკა, როგორც სწავლებისა და განათლების თეორია, მოიცავდა განათლების შინაარსის განსაზღვრას, განათლების არსის, პრინციპების, სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და გააქტიურების გზებს, სწავლების მეთოდებსა და მათ გამოყენებას.

დიდაქტიკის ძირითადი საკითხები იყო: სწავლება, განათლება, ცოდნა, უნარი, მიზანი, შინაარსი, ორგანიზაცია, ტიპები, ფორმები, მეთოდები, ინსტრუმენტები, სწავლების შედეგები.

მარქსისტულ-ლენინური განმარტება სწავლების არსის შესახებ ეყრდნობა მატერიალისტურ დიალექტიკას, რომლის მიხედვით შემეცნების პროცესი ადამიანის ცნობიერებაში ობიექტური რეალობის, მატერიის, ბუნების, ყოფიერების ასახვაა, რომელიც შეგრძნებების საშუალებით ხორციელდება (დ. ლორთქიფანიძე სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები გვ.15).

სწავლების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს დიდაქტიკური პრინციპები ეწოდებოდა. ი. ხარლამოვი გამოყოფდა შემდეგ პრინციპებს: 1. განათლებისა და მეცნიერების იდეოლოგიურ ხასიათი, 2. აქტიურობისა და შეგნებულობის პრინციპი; 3. პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლება; 3. ცოდნის სისტემატურობისა და თანამიმდევრობის პრინციპი; 4. თვალსაჩინოების პრინციპი; 5. ცოდნა-ჩვევათა შეთვისების პრინციპი; 6. სწავლების ხელმისაწვდომობა;

დ. ლორთქიფანიძე გამოყოფს მეთოდებს, რომელიც ტრადიციულ გაკვეთილზე სწავლების მიზნების მისაღწევად გამოიყენებოდა: 1. თხრობის მეთოდი; 2. სასკოლო ლექციური მეთოდი; 3. საუბრის მეთოდი; 4. ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვითი მეთოდი; 5. ლაბორატორიული მეთოდი; 6. დემონსტრირების მეთოდი; 7. პრაქტიკული-სავარჯიშო მეთოდი; 8. მიმდინარე და საკონტროლო წერები;

მეთოდის შერჩევა ხდებოდა გაკვეთილის სპეციფიკიდან გამომდინარე და ასახსნელი მასალის თავისებურების გათვალისწინებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მეთოდების ეფექტურობა გამოიხატებოდა ინფორმაციის მოსწავლეთათვის სწრაფად მიწოდების თვალსაზრისით, კარგად გამოიყენებოდა ფაქტობრივი ცოდნის გადაცემისას. მასწავლებელი მოსწავლეებს გადასცემდა ახალ მასალას, აკეთებდა

ახსნა-განმარტებას, ალაგებდა ფაქტებსა და მოვლენებს, საკონტროლო კითხვებით ამოწმებდა გაიგეს თუ არა საკითხი მოსწავლეებმა, გაკვეთილის ბოლოს ახდენდა მასალის შეჯამებას. აზროვნების განვითარების მხრივ გამოიყენებოდა დედუქციური და ინდუქციური სწავლების მეთოდები. ინდუქციური მეთოდით მასწავლებელი ახდენდა კონკრეტულ მაგალითზე ზოგადი დებულების მიღებას, ხოლო დედუქციური სწავლების მეთოდით ზოგადი დებულებიდან ხდებოდა კონკრეტული დასკვნის გაკეთება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დღეს პირდაპირი სწავლების დროს აქტიურად გამოიყენება სწავლების ტრადიციული მეთოდები, განსაკუთრებით კი თხრობის, სასკოლო ლექციური, საუბრისა და ახსნითი მეთოდი.

სწავლების ძირითადი ეტაპები შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

- ახალი საჭიროებების გაცნობიერება, ეს ეტაპი მოიცავდა ისეთ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, როგორცაა განწყობა, ინტერესი, ყურადღება და მოტივაცია;

- მოსწავლეთა გამოცდილების რეალიზაცია;
- წინა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის გახსენება;
- ახალი მასალის წარდგენა და მოსწავლის დაინტერესება
- ახალი ცოდნის გადაცემა და ახალი უნარების ჩამოყალიბება
- ახალი მასალისა და საჭირო უნარების განმტკიცება;
- საშინაო დავალება (Подласи И. П. Педагогика Начальной Школы ст.119)

საბჭოთა პედაგოგია სწავლების ორგანიზაციის ძირითად ფორმად გაკვეთილს აღიარებდა. გაკვეთილის კლასიფიკაცია ძირითადად კ. უშინსკის მიხედვით იყო წარმოდგენილი:

1. შერეული ან კომბინირებული გაკვეთილი
2. შესწავლილი მასალის განმტკიცების გაკვეთილი
3. ნასწავლი მასალის განმეორების, სისტემატიზაციისა და განზოგადების გაკვეთილი
4. ცოდნის, უნარების შემოწმების, შეფასების გაკვეთილი

დიდაქტიკური გაკვეთილი ხასიათდებოდა სტრუქტურული კომპონენტებით, რაც დამახასიათებელი იყო სასწავლო პროცესისათვის; სამიზნე, მოთხოვნილება, შინაარსი, ემოციურ-ნებელობითი, ოპერატიული მოქმედება, კონტროლი, კორექტირება, შედეგების კონტროლი, შედეგების შეფასება (Харламов И.Фю Педагогика, 1999 ст 135-136)

განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა კომბინირებული გაკვეთილი. განვიხილოთ კომბინირებული გაკვეთილის მახასიათებლები, ეტაპები და სტრუქტურა. გაკვეთილი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: გაკვეთილის შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილები.

მისი პირველი ნაწილი იწყებოდა სწავლებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით და მთავრდებოდა ახალ მასალაზე გადასვლის ყველა პირობის შექმნით: ა. სწავლებისათვის საჭირო ორგანიზაციული მხარეების მოგვარება და ყურადღების პირველადი მობილიზება სასწავლო მუშაობისათვის. ბ. თითოეული მოსწავლის მიერ საშინაო დავალების შემოწმება. გ. გავლილი მასალის გამოკითხვა, შეთვისების ხარისხის შემოწმება და რამდენიმე მოსწავლის შეფასება. დ. დასკვნითი საუბარი. გაკვეთილის მეორე ნაწილი, რომელიც იწყებოდა ახალ მასალაზე გადასვლის ამოცანისა და გაკვეთილის თემის მოსწავლეთათვის გაცნობით და მთავრდებოდა გაკვეთილის თემის უკანასკნელი საკითხის ახსნა-გადაცემით, მოიცავდა ისეთ ელემენტებს, როგორცაა: ა. გაკვეთილის თემისა და მისი ამოცანის გაცნობა; ბ. გაკვეთილის გეგმის ძირითადი საკითხების გაცნობა და ამ გეგმის შესრულებისათვის საჭირო სასწავლო მუშაობის სახეებზე მითითება; გ. ახალი მასალის თანმიმდევრულად ახსნა-გადაცემა და დასკვნა. გაკვეთილის მესამე ნაწილი, რომელიც იწყებოდა გადაცემულის გარშემო ძირითადი საკონტროლო საკითხების დასმით და მთავრდებოდა საშინაო დავალების მიცემით, მოიცავდა შემდეგ ელემენტებს; ა.

მოსწავლეების გაგებისა და შეთვისების ხარისხის საკლასო შემოწმება და ვარჯიში; საბოლოო დასკვნითი საუბარი და ცოდნის სისტემაში მოყვანა; საშინაო დავალების მიცემა.

შედარების თვალსაზრისით მოვიყვანო თანამედროვე გაკვეთილის მოდელს. თანამედროვე გაკვეთილი სამი ნაწილისაგან შედგება:

1. გამოწვევა (შესავალი) -ეს ეტაპი ემსახურება ასახსნელი მასალის გაცნობას მოსწავლეეთათვის, განწყობის შექმნას, ინტერესის გაღვივებას, ყურადღების მობილიზებას, წინარე ცოდნის გააქტიურებას.

2. სიღმისეული წვდომა (მასალის მიწოდება) - ეს ეტაპი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და წვდომას უწყობს ხელს. გაკვეთილის ეს ნაწილი მოიცავს მასწავლებლის მიერ შერჩეულ მეთოდებსა და აქტივობებს..

3. გააზრება, რეფლექსია (დასრულება) - გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი ახდენს ახალი მასალის განმტკიცებას შესაბამისი სტრატეგიებით, წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, შეჯამებას, დასკვნას, შეფასებას.

როგორც ვხედავთ გაკვეთილის მახასიათებლები, ეტაპები და სტრუქტურა გარკვეულ თანხვედრაში მოდის ერთმანეთთან.

საბჭოთა განათლების სისტემა სწავლებას აკისრებდა იდეურ-პოლიტიკურ და მორალურ აღმზრდელობით ფუნქციას. აღზრდის მიზნები და ამოცანები გამოდიოდა იდეოლოგიურ-პოლიტიკური საფუძველებიდან. აღმზრდელობითი პრინციპები გულისხმობდა სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას კომუნისტური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური მორალის გათვალისწინებით, რომელიც კომუნიზმის მშენებლობაში საკუთარ წვლილს შეიტანდა.

აღმზრდელობითი სწავლება ხორციელდებოდა გაკვეთილზე მასწავლებლის ხელმძღვანელობით, აღზრდის, განათლებისა და სწავლების შინაარსის, მეთოდებისა და ფორმების ერთიანობით.

საბჭოთა კავშირის მზარდი ტენდენციები ინდუსტრიასა და ტექნოლოგიაში მოითხოვდა სწრაფ მოქმედებას პროფესიონალი მუშებისა და სპეციალისტების მისაღებად. რის გამოც განათლების სისტემა სკოლებში ახორციელებდა პოლიტექნიკურ სწავლებას. პოლიტექნიკური სწავლება მოსწავლეებს აძლევდა საჭირო ცოდნა-ჩვევებს, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ მისცემდა საშუალებას ჩართულიყო კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობაში.

დღეს ქართული განათლების სისტემა გარდამავალ ეტაპზეა სწავლების ტრადიციულ და კონსტრუქტივისტულ მიმართულებებს შორის. მიზეზი იგეგვა, რაც 1920-1930 - იან წლებში, მოსწავლის გააქტიურება, საკუთარი გამოცდილებით ცოდნის აგება, მისი პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადაყვანა. თანამედროვე განათლების სისტემაში, შეიძლება ითქვას ლიდერობს ტრადიციული სწავლება. ჯერ ვერ მოხერხდა, სწავლებისა და სწავლის გადასვლა ახალ საფეხურზე. მიუხედავად რეფორმისა, მასწავლებელთა გადამზადებისა, სერტიფიცირებებისა და მთელი რიგი ღონისძიებებისა მასწავლებელთა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, სკოლა და განათლება ამ მიმართულებით წინ ვერ მიიწევეს.

ლიტერატურა:

1. „ეფექტიანი სწავლება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010
2. „კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება“ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
3. „ეფექტური სწავლება სკოლაში“ რ.ჯ. მარზანო. დ.ჯ. ფიქერინგი,ჯ.ი. ფოლოქსი
4. დავით ლორთქიფანიძე, სწავლების პრინციპები,ორგანიზაცია და მეთოდები 1961

5. შამონაშვილი, შვეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი სწავლებაში 1960
6. შ. ობოლაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში II, 1962
7. შ.კიკნაძე, ნარკვევები სკოლის ისტორიიდან საბჭოთა საქართველოში (1921-1928) 1959
8. <http://www.w.revolutionarydemocracy.org> ‘ Education in The U.S.S.R’
9. <https://www.britannica.com/> Education In The 20th Century”
10. Харламов И. Ф. ‘ Педагогика” 1999
11. https://ru.wikipedia.org/wiki/Ратке,_Вольфганг
12. Подласи И. П. ‘Педагогика Начальной Школы”
13. Подласи И. П. ‘ Педагогика”

Екатерина Лосаберидзе

Учёба и учение на традиционном уроке

Резюме

Статья о системе Советского образования о формах организации учёбы, о её принципах, методах и целях. Мы должны не только характеризовать Советское образование, а должны говорить о состоянии современного просвещения.

Вопрос актуален, потому что грузинское образование пока ещё под влиянием старых методов обучения.

Ekaterine Losaberidze

Learning and Teaching approaches to the traditional lesson

Abstract

The article discusses educational system of the USSR, its organizational aspects, teaching approaches, methods and goals. We aim not only at describing the teaching process of the USSR, but also at defining its effect on the modern educational and academic system.

The issue is urgent as the Georgian educational system is still greatly affected by the traditional learning and teaching methods.

რეცენზენტი: პროფესორი ო. გუსევა

პედაგოგია Педагогика Pedagogic

ქეთევან ხურცილავა, თამარ დოგრაშვილი

ქუთაისი, საქართველო

სახალხო განათლების დანყებითი ელასების მასწავლებელთა მომზადება, უზრუნველყოფა და ინსპექტირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოში

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში არსებული დაწყებითი სასწავლო დაწესებულებები განიცდიდნენ კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობას. ბევრი მასწავლებელი ელემენტარული საზოგადოებრივი სკოლისათვისაც კი შეუფერებელი იყო. მასწავლებელთა მომზადების საკითხებზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს და პედაგოგებს. განხილულია მოწინავე ქართველი საზოგადოების მოსაზრებები ანიშნულ საკითხებზე. მასწავლებელთა მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები და საუბარია მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე, რომლებიც მათი გამოსწორების გზებს ეხება. განხილულია დაწყებითი სკოლების დაქვემდებარების და ინსპექტირების საკითხები და მასთან დაკავშირებით გაკეთებული სათანადო დასკვნები.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში არსებული დაწყებითი სასწავლო დაწესებულებები განიცდიდნენ კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობას. ბევრი მასწავლებელი ელემენტარული საზოგადოებრივი სკოლისათვისაც კი შეუფერებელი იყო. ვახტანგ თულაშვილი წერდა: „ვინ ასწავლის სასწავლებლებში? ან მღვდელი, ან პრინცი, ან არა და კურსდამთავრებული სემინარიელი“ [13].

ქართველი ინტელიგენცია სწავლა-განათლების წინსვლაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელს, ამ საკითხს ისინი დეტალურად განიხილავდნენ და აშუქებდნენ პრესაში. მასწავლებელთა მომზადების საკითხებზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქართველ პედაგოგებს, განსაკუთრებული სიმწვავეთ ამ საკითხს შეეხო რაჟდენ ჯაჯანაშვილი [3]. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება მასწავლებლებს, სახალხო სკოლას, სასწავლო გეგმებს და სწავლებისათვის სხვა მრავალ საჭირობორტო საკითხის გადაწყვეტას, საჭიროდ ჩავთვალეთ განვიხილოთ რ.ჯაჯანაშვილის მოსაზრებები, რომელსაც იზიარებდა მაშინდელი ქართველი საზოგადოება.

“მასწავლებელი, ამბობს პედაგოგია, არის სული სკოლისა; მე დაეუმატებ: სკოლა არის სული ხალხისა. აქედან ჩანს რა უნდა იყოს მასწავლებელი ხალხისთვის. მასწავლებელი არის ის დედა-ბოძი, რომელზედაც დამყარებულია ხალხის გონებითი და ზნეობითი კეთილ დღეობა; მასწავლებელი არის ის ქვა-კუთხე, რომელზედაც აშენებულია ხალხის წინმსვლელობა” [3]. ამ სიტყვებიდან ჩანს დამოკიდებულება მასწავლებლისადმი, როგორც ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნებისადმი, რომელსაც ხშირად მსხვერპლის გაღებაც უწევს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე ასწავლონ.

მოქმედებდა საკმაოდ კარგად შედგენილი ე.წ. მასწავლებელთა კოდექსი, რომელიც 1802 წელს მთავარმართებელ ენორინგის მიერ იქნა დამტკიცებული თბილისში დაარსებულ „პირველ დაწესებულ სასწავლებელში“. პედაგოგთა „წესებში“, იგივე ეთიკის ნორმებში განსაზღვრულია პედაგოგთა მოვალეობანი: „წოდება მასწავლებლისა არის თანამდებობა ჩინებული და საყურადღებო, ვინაიდან იგი ამზადებს საზოგადოების სასარგებლო წევრებს... მასწავლებლებს მოეთხოვება აგრეთვე, რომ ისინი საკუთარი ყოფაქცევით და მოქმედებით მაგალითს აძლევდნენ თავის მოწაფეებს კეთილსინდისიერებაში, აღერსიანობაში, ზრდილობაში, კაცთმოყვარეობაში და მუყაითობაში. უნდა მოარიდონ მათ სიტყვით და საქმით ყოველგვარი მაცდუნებელი, უკადრისი და უმართებულო” [1, გვ. 181-182].

საჭირო იყო სკოლების გახსნა, მაგრამ ამდენი მასწავლებელი მაშინ ქვეყანაში არ იყო. ხალხი სკოლებს მღვდლებს და გადამდგარ საღვთობებს აბარებდნენ, რომელთა მასწავლებლობასაც რა ხეირი ჰქონდა საზოგადოებამ კარგად იცოდა. მთავრობა მიხვდა, რომ განათლების დაბალი დონის მთავარი მიზეზი მოუმზადებული მასწავლებლები იყო, რასაც მოყვა შესაბამისი დონისძიებები. საქართველოში გაიხსნა სამასწავლებლო ინსტიტუტი და საოსტატო სემინარიები, რომლის კურსდამთავრებულებმა შემდგომში დიდი როლი შეასრულეს საქართველოში სწავლა-განათლების საკითხების გადაწყვეტაში. ეს მართლაც პროგრესული ნაბიჯი იყო სწავლა-აღზრდის წინსვლის საქმეში:

„იწყება საოსტატო სემინარიების და ინსტიტუტების დაარსება, და იმ დროსვე, ე.ი. 1865 წ. ჩვენშიაც დაარსდა საოსტატო სემინარია, რომელიც გადაკეთებული იყო ინსტიტუტად 1872 წ. შემდეგ გაიხსნა ყუბანის და გორის საოსტატო სემინარიები და ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, არსდება საოსტატო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში, დ.ხონში. ამ სასწავლებლების დაარსებიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი სკოლებისა” [3].

მაგრამ მარტო ასეთი სასწავლებლების გახსნა საკმარისი არ იყო ღირსეული სახალხო მასწავლებლების მოსამზადებლად. საჭირო იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლებლებისათვის, საჭირო სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები და სხვ. გარდა ამისა გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებდა სამასწავლებლო ინსტიტუტების და სემინარიების სასწავლო გეგმებს. სწავლების პროცესში არ გამოიყენებოდა საჭირო პედაგოგიური მიდგომები, პედაგოგიურ სასწავლებლებში ბევრი დრო იხარჯებოდა ისეთი საგნების შესწავლაზე, რომლებიც აუცილებელი არ იყო მასწავლებლებისათვის. საკმარისი არ იყო სწავლების ვადა პედაგოგიურ სასწავლებლებსა და ინსტიტუტში, საჭირო იყო გაცილებით მეტი დრო დათმობოდა სპეციალური საგნების შესწავლას, კერძოდ პედაგოგიკის თეორიას და პრაქტიკას, აღზრდის თეორიას. მომავალმა მასწავლებლებმა უნდა წაიკითხონ და გაარჩიონ პედაგოგიური თხზულებანი, შეისწავლონ ისტორია, გეოგრაფია და სხვ. საჭიროა პედაგოგები სისტემატურად გაეცნონ მსოფლიო მეცნიერების და კულტურის ახალ მიღწევებს, არ ჩამორჩენ ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებენ ახალი თაობის საფუძვლიან მომზადებას. იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეასრულოს თავისი მოვალეობა, საჭიროა იგი იყოს ყოველმხრივ განათლებული და კარგად მომზადებული, დაუფლებული მეცნიერულ ცოდნას. ასე ფიქრობდნენ ეროვნულად

მოაზროვნე მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები, ისინი ყურადღებას აქცევდნენ მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს, აღნიშნავდნენ, რომ არსებული პედაგოგიური სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდნენ პედაგოგების მომზადების საქმეს.

რუსეთში კანონმდებლობის მიხედვით მასწავლებლის წოდებას ანიჭებდნენ საშუალო სასწავლებლები. საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ გიმნაზიების, სამასწავლებლო და სასულიერო სემინარიების, სამასწავლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, აგრეთვე სასულიერო აკადემიების და უნივერსიტეტების სხვადასხვა კურსიდან გამოსული პირები, ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები იყვნენ საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, აგრეთვე დაწყებითი განათლების მქონე პირები, რომლებსაც მასწავლებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდათ სპეციალური გამოცდების ჩაბარების საფუძველზე.

1890 წლის სტატისტიკური მონაცემებით დაწყებითი საერო სკოლების მასწავლებელთა რაოდენობის და ცენზის მხრივ ასეთი მონაცემებია: ქუთაისის გუბერნიაში 176 მასწავლებლიდან საშუალო განათლება აქვს 120 მასწავლებელს, მხოლოდ 56-ს აქვს არასრული საშუალო განათლება. უფრო ცუდი მდგომარეობაა თბილისის გუბერნიაში. თბილისის გუბერნიაში 250 მასწავლებლიდან 111 აქვს საშუალო განათლება, 139-ს კი არასრული საშუალო განათლება. 1900 წელს კი თბილისის გუბერნიის 366 მასწავლებლიდან საშუალო განათლება აქვს 159 მასწავლებელს, არასრული საშუალო განათლება-207-ს, ქუთაისის გუბერნიაში 282 მასწავლებლიდან მხოლოდ 27 მასწავლებელია არასრული საშუალო განათლებით, ყველა დანარჩენ მასწავლებელს საშუალო განათლება ჰქონდა.

ძალზე მცირე იყო ქალ-მასწავლებელთა რაოდენობა. 1890 წელს ქუთაისის გუბერნიაში დაწყებითი საერო სკოლების 176 მასწავლებლიდან მხოლოდ 25 მასწავლებელია ქალი (14,2%). იმავე წლის თბილისის გუბერნიის დაწყებითი საერო სკოლებში 250 მასწავლებლიდან ქალი იყო მხოლოდ 27 (10,8%). როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქუთაისის გუბერნიაში საერო დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა შორის ქალ მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი ჭარბობს თბილისის გუბერნიის დაწყებითი საერო სკოლების ქალ მასწავლებელთა მაჩვენებელს. 1900 წელს ორივე გუბერნიაში ქალ მასწავლებელთა რაოდენობი მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში მნიშვნელოვნად უკეთესი მდგომარეობა იყო, თბილისის გუბერნიაში კი სურათი თითქმის არ შეცვლილა.

სამრევლო სასწავლებლების დაკომპლექტება კვალიფიციური მასწავლებლებით ვერ ხერხდებოდა კადრების სიმცირის და დაბალი ანაზღაურების გამო, რადგან ბევრი მღვდელი არ მუშაობდა მცირე ხელფასზე და არჩევდა დარჩენილიყო მღვდლად, სადაც მეტი შემოსავალი ჰქონდა.

თედო სახოკია ასე აღწერს აფხაზეთის სამრევლო სკოლებში შექმნილ მდგომარეობას: „აქაურს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა შორის ორს კაცსა აქვს სასულიერო სემინარია დამთავრებული, ერთი იმავე სემინარიის მეექვსე კლასიდან არის, ორიც—მესამე კლასიდან; ორი კაცი საოსტატო სემინარიის მეორე კლასიდან არიან გამოსულნი, ორი ქალია, ერთს გიმნაზია აქვს დამთავრებული, მეორეს სოხუმის პროგიმნაზია, 13 კაცს მხოლოდ სენაკის სასულიერო სასწავლებელში უსწავლიათ და მასწავლებლობის მოწმობა აქვსთ აღებული...“ [2, გვ. 116].

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა რეგიონებშიც. დ. ჩხაიძე 1897 წელს წერდა: „გურიაში სამრევლო სკოლების მასწავლებლებად დაბალი სასწავლებლიდან— ორკლასიანი სასულიერო და სამოქალაქო ნორმალური სასწავლებლიდან გამოსულნი არიან, სადაც არამცთუ სწავლება, არამედ ხსენება არ არის პედაგოგიკის და დიდაქტიკის“ [11, გვ. 6].

დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრებშიც. მეტად ყურადსაღებია ერთი ფაქტი: საქართველოში XIX საუკუნეში დაწყებითი საერო სკოლებში მომუშავე მასწავლებლებიდან არცერთს არ ჰქონდა უმაღლესი განათლება. ამ პერიოდში დასავლეთ

საქართველოში მხოლოდ ერთი სამასწავლებლო სემინარია არსებობდა ხონში, რომლის კადრებზეც დიდი მოთხოვნილება იყო. ხონის სამასწავლებლო სემინარიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახალხო სკოლებისათვის კვალიფიციური მასწავლებლების მომზადებაში. ხონის სამასწავლებლო სემინარია 1900 წლისათვის დამთავრებული ჰქონდა 176 მასწავლებელს.

მასწავლებლის წოდების მინიჭება ხდებოდა გიმნაზიებში ჩატარებული სპეციალური გამოცდებითაც. გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც სასწავლო ოლქი იმყოფებოდა. გამოცდას იბარებდა სასწავლო ოლქთან არსებული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო საოლქო ინსპექტორი, კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ გიმნაზიის მასწავლებლები.

საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად კი - სოფლის საერო ან სამრევლო სკოლებში. გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, თუ უმაღლესი სასწავლებლის რომელი კურსიდან გამოვიდა მასწავლებლის წოდების მიღების მსურველი. საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად დაწესებული იყო სრული და ნაწილობრივი გამოცდები. სრული გამოცდები უტარდებოდათ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და უნივერსიტეტის რამდენიმე კურსი, აგრეთვე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდათ უნივერსიტეტი, მაგრამ არა ის ფაკულტეტი, რომელიც დაკავშირებულია მასწავლებლობის მსურველის მომავალ სასწავლო საგანთან; ნაწილობრივ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის სრული კურსი ჰქონდათ დამთავრებული. სპეციალური გამოცდებისაგან თავისუფლდებოდნენ ისტორია-ფილოლოგიის საიმპერატორო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტთან არსებული სამასწავლებლო სემინარიების კურსდამთავრებულები.

სპეციალური და ნაწილობრივი გამოცდები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად ტარდებოდა უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით. დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად კი იმ ქალაქებში, სადაც იმყოფებოდა სასწავლო ოლქი. საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი განცხადებით მიმართავდნენ უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი-სასწავლო ოლქის მზრუნველს. გამოცდები ტარდებოდა წერაში და ზეპირში. მსურველს უნდა მიეცა ორი საცდელი გაკვეთილი. თუ გამოსაცდელი პირი წერით სამუშაოში მიიღებდა დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მაშინ დაუშვებდნენ ზეპირ გამოცდაზე, ხოლო შემდეგ ატარებდა საცდელ გაკვეთილებს. წერითი და ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მსურველს ნება ეძლეოდა 10-15 დღის განმავლობაში დასწრებოდა სკოლაში იმ საგნის მეცადინეობას, რომელშიც თვითონ უნდა ჩაეტარებინა ორი საცდელი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი ტარდებოდა დაბალ კლასებში, მეორე-მაღალ კლასებში. მასწავლებლის წოდების მისაღებად მსურველს მთავარ საგნებში უნდა მიეღო ნიშანი 4" მაინც, ხოლო დამხმარე საგნებში 3" მაინც. გამოცდები ტარდებოდა მსურველის განცხადების საფუძველზე პირველი სექტემბრიდან პირველ მაისამდე. თითოეული მსურველის განცხადება ექვს კვირაზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. გამნაზიის მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად გამოცდები ტარდებოდა მათემატიკაში, ფიზიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიას და ასტრონომიაში. იმ პირებს, რომლებიც ჩაიჭრებოდნენ ანარ ეყოფოდან ქულები, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ეძლეოდათ განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება [6, გვ. 1-19].

სამაზრო, საქალაქო, სამრევლო საშინაო და კერძო სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად გამოცდები ტარდებოდა იმ ქალაქებში, სადაც სასწავლო ოლქი, გიმნაზია და სამაზრო სასწავლებლები იმყოფებოდა. დაწესებული იყო გამოცდაზე დასაშვებად ასაკი-ქალებისათვის არანაკლებ თექვსმეტი წელი, ვაუებისათვის-არანაკლებ ჩვიდმეტი წელი. გამოცდები ბარდებოდა

ყველა იმ საგანში, რომელიც ამ სასწავლებლებში ისწავლებოდა. წერითი გამოცდები მარტო რუსულ ენაში ტარდებოდა. გამოსაცდელს უნდა დაეწერა მიცემული თემა და ეპასუხა კითხვებზე გრამატიკაში. როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდები ტარდებოდა გიმნაზიის პროგრამით. არითმეტიკის პროგრამა ითვალისწინებდა, რომ წოდების მაძიებელი გაცნობილია არითმეტიკის მთელ კურსს ერთ-ერთი სახელმძღვანელოს მიხედვით. მათ უნდა შეძლებოდათ ამოცანების სწორი და ლამაზი ამოხსნა. გეომეტრიაში უნდა ცოდნოდით ელემენტარული კურსი. ამავე დროს ქალაქის და მაზრის სასწავლებლის კურსის მოცულობით არითმეტიკის მასალასთან ერთად გამოსაცდელს უნდა სცოდნოდა სწავლების ხერხები, რაც გათვალისწინებული იყო მეთოდის ერთ-ერთ არსებულ სახელმძღვანელოში. საცდელი გაკვეთილის თემა ეძლეოდათ ერთი დღით ადრე. წოდების მაძიებელი გამოცდას აბარებდა გეომეტრიაში, თუ მას სურდა მასწავლებლობა სამინისტროს სკოლის ორკლასიან სასწავლებელში.

მასწავლებელთა გადამზადების მიზნით პერიოდულად ეწყობოდა მოკლევადიანი კურსები საზაფხულო არდადეგების პერიოდში. კურსები ეწყობოდა როგორც თბილისსა და ქუთაისში, ისე პროვინციებში, როგორც სასწავლო ოლქის, ისე ეგზარხატის ხაზით. 1898 წლის ზაფხულში ასეთი კურსები მოწყობილა მარტვილში, რომელშიც 100 მასწავლებელი ყოფილა გაერთიანებული. ლექციები პედაგოგიკასა და მეთოდის სახეობებში წაუკითხავს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლების ზედამხედველს თედო ჟორდანიას, სანიმუშო გაკვეთილები გადაუცია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს სტეფანე ძიმისტარაშვილს, ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა ფილიმონ ქორიძე და სხვ. გარდა ლექციებისა და სანიმუშო გაკვეთილებისა, მასწავლებლებს უტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობები მეაბრეშუმეობაში, მეფუტკრეობაში, მებოსტნეობაში [12, გვ. 12]. კურსებზე თეორიულ მომზადებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა სანიმუშო გაკვეთილების მიცემას. გაკვეთილებს ატარებდნენ როგორც სპეციალურად მოწვეული გამოცდილი მასწავლებლები, ისე კურსების მსმენელნი. გაკვეთილის გარჩევასა და შეფასებას დიდი დრო ჰქონდა დათმობილი.

1900 წლის 31 მარტს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა წესდება „დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების შესახებ“, რომლის მიხედვით დაწყებითი განათლების მქონე პირებს შეეძლოთ ამ კურსებზე შესვლა და მასწავლებლის წოდების მიღება. კურსები ეწყობოდა საქალაქო სასწავლებლებთან, სადაც იყო კვალიფიციური მასწავლებლები (სასწავლო ოლქის შეხედულებისამებრ). საერთო მეთვალყურეობა ამ კურსების მუშაობაზე ევალებოდა საქალაქო სკოლების ზედამხედველებს და გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორებს.

კურსზე უგამოცდოდ ღებულობდნენ დაწყებითი განათლების მქონე პირებს, რომელთაც შესრულებული ჰქონდათ 16 წელი. კურსები ერთწლიანი იყო, მაგრამ ვინც პროგრამას ვერ დაძლედა, რჩებოდა მეორე წელსაც. სწავლა კურსებზე იწყებოდა 20 აგვისტოს და მთავრდებოდა 1 ივნისს. მაისის თვეში ტარდებოდა გამოცდები მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად.

კურსების პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: თეორიული და პრაქტიკული. თეორიული კურსის ამოცანა იყო ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის გამეორება და შევსება, დიდაქტიკის და დაწყებითი განათლების მეთოდის შესწავლა, დაწყებითი სკოლების სახელმძღვანელოების გაცნობა. პრაქტიკული მეცადინეობა წარმოებდა პირველ და მეორე კლასებში გამოცდილ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებით, შთაბეჭდილებათა მოკლე ანალიზის გაკეთებით და კურსანტების მიერ საცდელი გაკვეთილების ჩატარებით. თეორიული კურსის გავლისათვის კვირაში 14 საათი იყო გამოყოფილი, რომელთაგან 10 საათი ეთმობოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გამეორება-შევსებას და 4 საათი დიდაქტიკის და მეთოდის შესწავლას. პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოყოფილი იყო 8 საათი. კურსებზე სწავლა უფასო იყო. კურსების დაფინანსებას ახდენდა განათლების სამინისტრო. [10, გვ. 352].

მოკლედ შევეხეთ სკოლების დაქვემდებარებას და ინსპექტირებას, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. დაწყებით, საქალაქო, საკვირაო და კერძო სკოლებს ხელმძღვანელობდნენ სახალხო სკოლების დირექციები და კავკასიის სასწავლო ოლქი. კავკასიის სასწავლო ოლქს ორი—სამი ინსპექტორი ჰყავდათ და პერიოდულად ამოწმებდნენ სკოლებს და ვრცელ მოხსენებით ბარათებს ადგენდნენ, სადაც შეჰქონდათ დადებით და ნაკლოვანი მხარეები. სკოლების ინსპექცია და კონტროლი კარგად იყო დაყენებული, რაზეც მეტყველებს არქივებში დაცული სკოლების შემოწმების მასალები.

1880 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციას შეუმოწმებია სენაკის მაზრის 14 სკოლიდან 12, ზუგდიდის მაზრის 15 სკოლიდან ყველა 15. [17, ფურც. 24], შორაპნის მაზრის 15 სკოლიდან—11, ქუთაისის მაზრის 24 სკოლიდან—1, რაჭის მაზრის 18 სკოლიდან—16, ლენხუმის მაზრის 9 სკოლიდან—1. [17, ფურც. 27]. სკოლების ესოდენ ხშირი შემოწმებები ხელს უწყობდა სწავლა-აღზრდის საქმის წინსვლას.

1888—1889 წლებში ქუთაისის გუბერნიაში არსებული 136 სკოლა შემოწმდა 184—ჯერ. [7, გვ. 340—341]. 1889—1890 წლებში ქუთაისის გუბერნიაში არსებული სკოლები შემოწმდა 187—ჯერ. [8, გვ. 720—721].

სასწავლო ოლქის და გუბერნიების სახალხო სკოლათა დირექციების მიერ კონტროლი ეწეოდა ტერიტორიულად დაქვემდებარებულ ყველა სკოლას მიუხედავად მათი ხასიათისა და კუთვნილებისა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი სკოლებს ამ საზოგადოებრთა მიერ გამოყოფილი პირებიც ამოწმებდნენ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებს პერიოდულად ამოწმებდნენ გამგეობის მიერ გამოყოფილი პირები, რომლებიც შემოწმების შედეგებს ასახავდნენ გამგეობის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათებში. სკოლებს ხშირად სტუმრობდნენ დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ. 1880 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა დაუთვალაიერებია დ. ყიფიანს [14, ფურც. 25]. 1889 წელს ბათუმის სკოლა შეუმოწმებია გრ. ვოლსკის [15, ფურც. 16]. 1891 წელს გ. იოსელიანს შეუმოწმებია ძველი სენაკის სკოლა და დასწრებია გამოცდებს. [16, ფურც. 2]. შემოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ხდებოდა სკოლის მუშაკთა დასჯა-წახალისება. გ. იოსელიანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მაღლობა გამოუცხადებიათ ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელ მ. ბურჯანაძისთვის, ხოლო ი. გოგოლაშვილი და ს. მჭედლიძე გაუფრთხილებიათ [16, ფურც. 5]. სკოლებს ინსპექტირებას უწევდნენ არა მარტო განათლების მოხელეები, არამედ სამხედრო და სასულიერო პირებიც. 1880 წლის 3 ნოემბერს სოხუმის მთიელთა სკოლა დაუთვალაიერებია კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტ მელიქოვს, კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ კომაროვს, მათ ხლებიათ გენერალ-მაიორი გიორგი შერვაშიძე და სოხუმის განყოფილების ადმინისტრაციის მოხელეები. მათ ჯერ შენობა დაუთვალაიერებიათ, შემდეგ კი მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები არითმეტიკაშიც გამოუცდიათ. იმავე დღეს მელიქოვს უნახავს სოხუმის ქალთა სკოლაც. [16, ფურც. 15]. სოხუმის მთიელთა სკოლა იმავე წლის 10 დეკემბერს შეუმოწმებია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ სტაროსელსკის და გამოუცდია მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები რუსულ ენასა და არითმეტიკაში და პასუხებით კმაყოფილი დარჩენილა [4, გვ. 44]. 1882 წელს ახალი ათონის სასულიერო სკოლა შეუმოწმებია გენერალ-მაიორ აბაშიძეს. 1893 წელს სენაკის მაზრის სკოლები დაათვალაიერა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა შალიკოვმა, ის ეწვია ახალი სენაკის, ძველი სენაკის, კვათანას და მარტვილის სკოლებს, შემდეგ კი ზუგდიდის მაზრის სკოლებს — ხეთის, ცაიშის და ქვალონის სკოლებს [9, გვ. 302—303].

1882 წლის 10 მაისს ახალი ათონის სასულიერო სკოლა შეუმოწმებია საქართველოს ეგზარხოს იონიკს, რომელსაც გამოუცდია მოწაფეები და მადლობა გადაუხდია მონასტრის წინამძღვარისათვის სკოლაში კარგად დაყენებული სწავლისათვის [5, გვ. 318]. და სხვ. სასულიერო და სამხედრო პირთა სკოლებში სტუმრობა ემსახურებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობაში დეთისა და ტახტისადმი ერთგულების დანერგვას.

ლიტერატურა:

1. თავიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის პირველ ნახევარსა და 60-იან წლებში. თბილისი, 1948 წელი.
2. თ. სახოკია, აფხაზეთი, სწავლა-განათლების საქმე. ჟურნალი „მოამბე“, 1896 წელი, №4, განყ. II.
3. ჯაჯანაშვილი რ. ცოტა რამ პედაგოგიიდან. გაზეთი „დროება“, 1881 წელი, №79.
4. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1881 წელი, №1.
5. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1882 წელი, №7.
6. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1884 წელი, დამატება, №13.
7. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1889 წელი, №10.
8. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1890 წელი, №12.
9. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1893 წელი, №6.
10. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1900 წელი, №5.
11. ჟურნალი „მწყემსი“, 1897 წელი, №21.
12. ჟურნალი „მწყემსი“, 1898 წელი, №15-16.
13. გაზეთი „დროება“, 1868 წელი, №8.
14. სსცა, ფ.481, საქმე №12.
15. სსცა, ფ.481, საქმე №208.
16. სსცა, ფ.481, საქმე №277.
17. სსცა, ფ.416, საქმე 543.

Кетеван Хурцилава, Тамар Дограшвили

Подготовка учителей начальных классов, обеспечение кадрами и инспектирование в Западной Грузии во второй половине XIX века Резюме

В начале второй половины девятнадцатого века начальные учебные заведения в Западной Грузии испытывали недостаток квалифицированных учителей. Многие учителя были несовместимы даже для элементарной общественной школы. О подготовке учителей есть множество интересных мнений представителей грузинской интеллигенции и педагогов. Обсуждены взгляды передового грузинского общества по данным вопросам, недостатки в подготовке учителей обсуждаются на материалах, опубликованных в прессе, и которые касаются способов их исправления. Обсуждаются вопросы субординации и инспектирования начальных школ и сделаны соответствующие выводы.

Ketevan Khurcilava, Tamar Dograshvili

Training the teachers of public education primary classes, staff provision and inspection in western Georgia in the second half of the XIX century

Abstract

At the beginning of the second half of the nineteenth century, primary education institutes in western Georgia suffered the lack of qualified teachers. Many of them were even inaccurate for elementary public schools. There are interesting opinions about the training of teachers between Georgian intelligence and teachers. The views of the advanced Georgian society are discussed on these issues. The shortcomings in the preparation of the teacher are discussed and also it is about the materials published in the press that relate to the ways to correct them. Issues of subordination and inspection of primary schools are discussed and relevant conclusions are made.

რეცენზენტი: პროფესორი რ. გაბეჩავა

ცივილიზაცია როგორც სამოქალაქო საზოგადოებრიობის გენეტიკური შიფრი კულტურული ერთეულები

საბჭოთა ტოტალიტარიზმის კრახის შედეგად, მსოფლიო პოლიტიკა, სამუელ ჰანტინგტონის სტატიის "ცივილიზაციებს შორის შეჯახება?" თანახმად, გადავიდა ცივილიზაციებს შორის შეჯახების ახალ სტადიაში. ჰანტინგტონს მიაჩნდა, რომ "კონფლიქტების ძირითადი საბაზი იქნება არა ეკონომიკური ხასიათის", არამედ, მსოფლიო ახალი წესრიგის ფარგლებში "კონფლიქტები განპირობებული იქნებიან ცივილიზაციებს შორის შეჯახებებით".

ჰანტინგტონის თანახმად, "მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებთან მიმართებაში ეროვნულ სახელმწიფოებს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებათ და საერთაშორისო გლობალური პოლიტიკის არენაზე, ძირითად დაძაბულობებს ადგილი ექნებათ ერებისა და განსხვავებული ცივილიზაციების დაჯგუფებებს შორის" (ჰანტინგტონი: 1993).

კულტურული დაქსაქსულობის მნიშვნელობა, ჰანტინგტონის მიხედვით, მომავალში გაცილებით მზარდი მცდელობის იქნება, რაც, მისივე თქმით, მსოფლიო მასშტაბით, განზოგადოებულია შვიდი თუ, რვა ძირითადი ცივილიზაციის ურთიერთდამოკიდებულებაში, როგორებიცაა: დასავლური, იაპონური, ისლამური, ჰინდუისტური, სლავურ-ორტოდოქსული, ლათინო-ამერიკული და შესაძლოა, აფრიკულ ცივილიზაციებს შორის (იხ. იქვე).

ჰანტინგტონის თანახმად, ცივილიზაციები ერთმანეთისაგან მათთვის დამახასიათებელი ისტორიით, ენით, კულტურით, ტრადიციებით, და უწინარესად ყოვლისა, მათი რელიგიური მრწამსით განმსხვავდებიან. მსგავსი დიფერენციაცია, როგორც ჰანტინგტონისეული ზოგადი კონცეპტი "კულტურული ერთეულისა" გამოხატულებას პოულობს სიტყვა "ცივილიზაციის" გლობალურ განმარტებაში, როგორც ქვაკუთხედი ნებისმიერი საზოგადოების კულტურული თვითშემეცნებისა, რაც შედეგს განაპირობებს "მოვლი კაცობრიობის ისტორიული მონაპოვარისას".

ავტორი კატეგორიულად უარყოფს ჰანტინგტონის მიერ ცივილიზაციების "კულტურულ ერთეულებად" დაყვანის კონცეპტუალურ გაგებას, რის ნიადაგზეც, ცივილიზაციის მნიშვნელობა ჰანტინგტონს დაყვანილი აქვს ისტორიულად და რეგიონალურად დასაზღვრულ ფენომენად. მისგან განსხვავებით, ავტორი შეეცდება ჩამოაყალიბოს და დაიცვას ცივილიზაციებს შორის ბრძოლისა და შეჯახების ახალი თეორია, რომლის მიხედვითაც, კაცობრიობის არსებობის ისტორიაში, არც ძირითადი ცივილიზაცია განსაზღვრავდა ადამიანისა და საზოგადოების

ისტორიულ შემეცნებას, როგორც სამოქალაქო საზოგადოებრიობის კულტურული ღირებულება: არქაიკული ფუნდამენტალისტური რელიგიური და ათენეონური სექულარული ცივილიზაციები.

არქაიკული ფუნდამენტალისტური რელიგიური და ათენეონური სექულარული ცივილიზაციები.

სამოქალაქო საზოგადოებრიობის ისტორიაში, საზოგადოებრივ პოლიტიკური გარდატეხების პროცესი ნაკარნახები იყო ევოლუციური განვითარების გზით, რომელსაც ადგილი ჰქონდა კულტურული შეჯახებისას ორ ძირითად ცივილიზაციას შორის. ერთის მხრივ, საუბარია, ძველი სამყაროს არქაიკული ფუნდამენტალისტური რელიგიური კულტურის ღირებულებებსა და, მეორეს მხრივ მის დიამეტრალურად საწინააღმდეგო, ათენეონური სექულარული კოსმოპოლიტიკური ცივილიზაციის ღირებულებებზე, რომლებიც განათლების, ჰუმანიზმისა და საერო კანონის უზენაესობის საწყისს განაპირობებს.

ჰანტინგტონის ჰიპოთეზისაგან განმსხვავებით, მოელი სამოქალაქო საზოგადოებრიობის ისტორიაში, ზემოაღნიშნული, ორი ძირითადი ცივილიზაცია, არასოდეს არ ყოფილა დასახდვრული რეგიონალური განმსხვავებებით, არც, კლასებს შორის არსებული ბრძოლებით, როგორც ამას მარქსი ქადაგებდა, და არც ეკონომიკური, თუ იდეოლოგიური ზღუდვებით ყოფილა იგი შემოფარგლული საზოგადოების ისტორიულ შემეცნებაში, არამედ, ეს ორი ძირითადი ცივილიზაცია ჰკვეთს ყოველ ეთნიკურ, იდეოლოგიურ, გეოგრაფიულ, ნაციონალურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ სხვაობათა ზღუდვს.

ჰანტინგტონის ვარაუდით, "განსახდვრული კატეგორიები საზოგადოებრივი თავისებურებებისა, რომლებიც, როგორც "კულტურული ერთეულები" მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ცივილიზაციების განზოგადოებაზე, ისევე როგორც მათ შორის დაპირისპირებებსა და შეჯახებებზე, სამოქალაქო საზოგადოებრიობის ისტორიაში დასახავენ ეპოქალური ცვლილებების ფაქტორებს, მაშინ, როდესაც, ჰანტინგტონის ჰიპოთეზისაგან განსხვავებით, ავტორი მიიჩნევს, რომ მსგავსი კატეგორიები დასახავენ, არა სამოქალაქო საზოგადოებრიობის ევოლუციური პროცესის საწყისსა და მიზეზს, არამედ, თეზის მოდერირებულ დაკავშირებაში, ისინი განაპირობებენ დამატებით ინსტრუმენტს, რის საფუძველზეც, სამოქალაქო საზოგადოებრიობის ფარგლებში ევოლუციური დინებით ჩქარდება ორ ძირითად, ათენეონურ და არქაიკულ ცივილიზაციებს შორის მიმდინარე ბრძოლაში კულტურული შეჯახება. მაშასადამე, განურჩევლად სამოქალაქო საზოგადოებრიობის ინსტიტუციონალური სხვაობებისა, ისეთი კულტურული ერთეულების კატეგორიებს შორის ბრძოლა, როგორცაც გეთავაზობს ჰანტინგტონი, დასახავენ არა კულტურული შეჯახების მიზეზს, არამედ, ამ ორი ძირითადი, ათენეონური და არქაიკული ცივილიზაციებს შორის შეჯახების მოდერირებულ შედეგს.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ, ამ ორი ძირითადი, ათენეონური და არქაიკული ცივილიზაციის შორის არსებული სხვაობის საწყისი, თვითონ ადამიანის გენეტიკურ შიფრში ძვეს და იგი დეტრმინირებულია მოყოლებული კაცობრიობის მოდგმიდან მისი ისტორიული არსებობის ყოველ ეტაპში ევოლუციური დინების მიმართულებით, რამაც, გარემოებრივი პირობების, რეგენერირებისა და სტიმულის საშუალებით, საძირკველი ჩაუყარა ბიოლოგიურ მუტაციებს მისივე გენეტიკური შიფრის პროგრამირებისა და ინტელექტუალური აზროვნების განვითარების, ისევე, როგორც ადამიანის ლოგიკური მსჯელობისა და მეტყველების ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესთან მიმართებაში.

სამოქალაქო საზოგადოებრიობის თანამედროვე ისტორიაში, ამ ორ ძირითად, ათენეონურ და არქაიკულ ცივილიზაციებს შორის შეჯახების პრეცედენტად შეიძლება აღიარებული იქნეს, ფეოდალიზმის მარწუხებისა და განათლების მოძრაობას შორის წარმოქმნილი დაპირისპირების ხანა, შუა საუკუნეების მიწურულს, რენესანსის ეპოქაში, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია საერო ღირებულებების ფართო მასებში გავრცელებისა და საერო და რელიგიურ დინებებს შორის

დაპირისპირების აქსელერაციაში, რის შედეგადაც გარდაუვალი შეიქმნა, ერთ მხრივ, ამ ორ ძირითად ცივილიზაციას შორის კულტურული შეჯახების აუცილებლობა, ხოლო მეორეს მხრივ, საფუძველი ჩაეყარა, ახალ, მესამე ფსევდოცივილიზაციის, ანუ დასავლური ლიბერალიზმის ჩამოყალიბებას, რომელსაც ისტორიული კომპრომისის მოთხოვნის სინკრეტული ასპექტი უძღვრდა წინ.

ცაო დუანვა (1995) დარწმუნებულია, რომ "განათლების ერა გონებრივი განვითარების რევოლუცია იყო, რამაც საფუძველი ჩაუყარა სხვა საზოგადოებრივ რევოლუციებს". იგი აღნიშნავს, რომ "განათლების მოძრაობის საწყისებზე დაიწყო სექულარიზაციის პროცესიც საზოგადოებაში".

ანტიკურ საბერძნეთსა და ადრინდელ თანამედროვე სტილის მქონე ჩინეთში მასების პოლიტიკური და იდეოლოგიური აზროვნება, ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად მომწიფებული, იმისათვის, რათა შეგნებულად აღექვა სექულარული ღირებულებების მნიშვნელობა, რაც ესოდენ მკვეთრად იქნა მოწოდებული იმდროინდელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მიერ საზოგადოების მიმართ, რის გამოც, ამ ქვეყნებში სექულარულმა იდეებმა ვერ შესძლეს კონკურენციის გაწევა ბნელ, არქაიკულ იდეებთან მიმართებაში და რის საფუძველზეც ამ საზოგადოებებს საუკუნეების მანძილზე არ განუვითარებიათ საზოგადოებრივი გარდაქმნის არანაირი ფორმა, მაგრამ ეს ორთავე საზოგადოება კაცობრიობის ისტორიულ მეხსიერებაში დარჩება, როგორც პირველი, რომლებმაც პრეცედენტი შექმნეს სამოქალაქო საზოგადოებრიობის დაარსებისა.

თუ დავვერდნობით ვეუარდ ვილსონის (1975) სოციოპოლიოურ თეორიას, რომლის მიხედვითაც, კულტურული თვისებები გენეტიკური მემკვიდრეობის პრინციპებს არიან დაქვემდებარებულნი, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ ორი ძირითადი ცივილიზაციის საწყისებიც, კაცობრიობის მოდგმის იტორიაში ჩადებული, დეტერმინირებული და გადაცემულია გენეტიკური შიფრის საშუალებით და მისი გამოვლინება ადამიანის კულტურული მიდრეკილების არჩევანში ხდება ფარული, განსაკუთრებული სტიმულის, ან შესაფერისი გარემოებრივი პირობების არსებობისას.

ათენეონური ცივილიზაციის ღირებულებათა გავრცელებამ სამოქალაქო საზოგადოების ფართო მასებში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ხალხის პოლიტიკური თვითშემეცნების ჩამოალიბებაში, როგორც ერის და მისი იდეოლოგიური მისწრაფების განზოგადოების მოთხოვნებში, საჯარო განხილვის საგანად, მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, სახალხო სუვერენიტეტის აღიარების საკითხი დაისახა, რის გამოც, მეფეთა ომები წარსულს ჩაბარდა და დაიწყო ხალხებს შორის ომების ეპოქა, ყოველივე ეს კი, არა ეროვნული სახელმწიფოების შექმნის გამო. და არც ფრანგული რევოლუციის შედეგად გამომდინარე, როგორც ჰანტიგტონს მიაჩნდა, არამედ, ეს მოხდა ცივილიზაციათა შორის კულტურული შეჯახების გამო.

ანტონი გიდენსის მიხედვით, ყოველ საზოგადოებრივ დაჯგუფებაში, ძირითადად ორი კატეგორია არსებობს ადამიანებისა; ერთი კატეგორიის არიან ფუნდამენტალისტები, რომლებიც აუცილებელი არაა იყონ რომელიმე რელიგიური კონფეზიის წარმომადგენლები, არამედ, ამ კატეგორიის ხალხი თანამედროვე ეპოქის პროდუქტს დასახავენ, რომლებიც უარყოფენ ყველას ვინც მათ აზრს ეწინააღმდეგება. ამ კატეგორიის ხალხის საწინააღმდეგო მხარეს, გიდენსი კოსმოპოლიტებს მოიხსენიებს, რომლებიც მზად არიან, მიიღონ ყოველი შემდგომის ხედვა და აღიარონ ისინი, როგორც თანასწორუფლებიანი ინდივიდები (გიდენსი: 1990). პროფესორ გიდენსისგან განსხვავებით, ავტორი გამოთქვამს აზრს, რომლის მიხედვითაც, ფუნდამენტალისტების კატეგორიაში შედის ყოველი რელიგიური კონფეზიის წარმომადგენელი, რომელსაც, ან მიზნადა აქვს დასახული, რელიგიური ანაღო წესებით შეცვალოს სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო სისტემა, ან მხარს უჭერს მსგავს მისწრაფებას. ავტორი ამ ორ ძირითად ცივილიზაციას შორის არსებულ კონცეპტუალურ დაპირისპირებას არ უკავშირებს, რომელიმე სპეციფიკური ეპოქის, ან საზოგადოებრივი დაჯგუფების მახასიათებელ მოვლენას ან, თვისებას, არამედ, ავტორის მიხედვით, ამ ორ ძირითად

ცივილიზაციას შორის არსებული მსგავსი განმსხვავებანი, სავარაუდოდ, კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში მისივე მოდემის არსებობის დასაბამიდან არის ჩადებული და ადამიანის აზრობრივი გადახვრაც, რომელიმე ცივილიზაციის მიმართულებით, პრედესტინირებულია მისივე გენეტიკური შიფრის დიფერენციალური სხვაობის მიხედვით, რაც, სავარაუდოდ, შესაძლებელია განხილული და დანახული იქნეს კულტურული ღირებულებების იმ კონცეპტუალური კონტრასტის საშუალებით, რომლის მიღმადაც ძველი არქაიკული ღირებულებებისა და სექსუალური ჰუმანიზმის ბიოლოგიური საწყისებია ამოფარებული ადამიანის გენომურ შიფრში.

ამ ორ ძირითად, არქაიკულსა და ათენეონურ ცივილიზაციას შორის მიმდინარე კულტურულ ბრძოლაში იხვეწება კაცობრიობის ეპოქალური ევოლუცია, რომელსაც:

1. თან ერთვის "საერთო სურვილის" მცნების აღიარება ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისას და ყოველ იმ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, სადაც კულტურული შეჯახების შედეგად საზოგადოების შემადგენლობის უმრავლესი ნაწილი მოითხოვს ამ ორი ძირითადი ცივილიზაციის წარმომადგენელთა შორის ურთიერთ თანაცხოვრების პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნას, წარმოიშვება სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, ის ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ დაპირისპირებული პოლიტიკური ფორმა, რომელიც აისახება დემოკრატიული, ან, ოხლოკრატიული წყობილების სახით და საზოგადოებასთან მიმართებაში წარსდგება დასავლური ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა იმ კულტურული ღირებულებებით, რომელთა ნიადაგზეც შესაძლებელი შეიქმნა არქაიკული და ათენეონური კულტურების იმავე სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში ერთად მოქცევა.

2. კულტურული ბრძოლების ყველა ფორმა, რომლის ბოლოც ისეთი იძულებითი შეჯახებით მთავრდება, როგორცაა: რევოლუცია, სამხედრო გადატრიალება (პუჩი), ან უზურპაცია, აუცილებლად დეტერმინირებული იქნება თავისი გამოსახულება ჰპოვოს პოლიტიკური ტოტალიტარიზმის სახეში.

მსგავსი შედეგის მიზეზი კი, ჩადებულია ისტორიული ლოგიკის საფუძველში, რომლის მიხედვითაც: ამ ორი ძირითადი ცივილიზაციის ერთსადაიმავე სამოქალაქო საზოგადოებაში, საზოგადოების მიერ ნებაყოფნობითი ტოლერირება, მხოლოდ და მხოლოდ "ისტორიული კომპრომისის" საშუალებითაა წარმოსადგენი იყოს განხორციელებული; ხოლო, ერთადერთი სახელმწიფო საზოგადოებრივ - პოლიტიკური წყობილება, რომელსაც სძალეს შემოგვთავაზოს მსგავსი კომპრომისის სამოქალაქო საზოგადოებრიობის ისტორიულ სინამდვილეში, ეს, დასავლური ლიბერალიზმის სოციო-პოლიტიკური სტრუქტურაა მისი ყველა მახასიათებელი თვისებებით.

3. წინამდებარე პი პოთეზების მიჯნებზე დაყრდნობით, საზოგადოებაში, ორ ძირითად, ათენეონურ და არქაიკულ ცივილიზაციებს შორის კულტურული შეჯახების შედეგად გამოწვეული, სამოქალაქო საზოგადოებრივ- პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესის ევოლუციური განვითარების გზას, მივყავართ იმ შესაძლებლობების განაწილების გაწონასწორებისკენ, რომლის ფარგლებშიც, ორთავე ძირითადი ცივილიზაციის მიმდევართა ინტერესებია გათვალისწინებული და დასავლური ლიბერალიზმის საწყისებზე დაყრდნობილი დემოკრატიული, ან ოხლოკრატიული სისტემის დამყარების შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პოლიტიკური შედეგი, შემდეგი შესაძლო ოფციით მოისახლება: თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა არსებობის, ისევე როგორც, მსოფლიო მასშტაბით მეცნიერული და ტექნოლოგიური განვითარების უსაზღვრო ტენდენციის გამო, და არა მიუხედავად მისი არსებობისა, დასავლური ლიბერალიზმის პოლიტიკური ინვალიდობა, გარდაუვალს გახდის საზოგადოების ისეთ ფორმაში გადაყვანას, სადაც ადგილი არ ექნება ათენეონური ცივილიზაციის ტოლერანტობას, ვინაიდან, კაპიტალისტური ეკონომიკის განმტკიცებისათვის დასავლური ლიბერალიზმი მოვალეა ანგარიში გაუწიოს და

დააწინაუროს არქაიკული ფუნდამენტალიზმის ღირებულებანი საზოგადოების ფართო მასების შემეცნებაში ყველა მის ხელთ არსებული საშუალების მეშვეობით და პარალელურად ჩქმალავს ათენეონური სეკულარული ღირებულებების გავრცელებას.

დამურას კულტურა

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პროფესორებმა, ფრიდრიხმა და ბუეჟინსკიმ (1965) კორექტულად განმარტეს, ის ექვსი ძირითადი თვისება (ერთპარტიულ მმართველობაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი სისტემა, ჯაშუშების საიდუმლო პოლიცია, სახელმწიფო დიქტატის ქვეშ მიმართული მასობრივი მედია, პიროვნების კულტი, კრიტიკისა და თავისუფალი აზრის გამოთქმის შეზღუდვა და მასების ნდობის ბოროტად გამოყენება), რომლებიც ახასიათებს ტოტალიტარიზმსა და დიქტატურას, როგორც სახელმწიფოებრივი წყობილების "უნივერსალური სინდრომი", მათ ყოველად გაურკვეველი დატოვეს ამ ორ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ წყობილებას შორის განმასხვავებელი თვისების აღნიშვნა, რომელსაც ავტორი, ტოტალიტარული რეჟიმის დიქტატორულსაგან განსასხვავებლად, მის მიერ შემოთავაზებულ, მეშვიდე და გადამწვევტი მნიშვნელობის მქონე, ცივილიზაციათა შორის, ერთერთი მათგანის მეორე ცივილიზაციის დაჩაგვრით გვთავაზობს. მაშასადამე, მაშინ როდესაც, დიქტატორულ სახელმწიფო გაერთიანებაში, ექვსთავე ბუეჟინსკისეული თვისება მეფობს და საზოგადოება უფლებამოსილია იხელმძღვანელოს ორთავე ძირითადი ცივილიზაციის ღირებულებებით, ტოტალიტარული რეჟიმის სინამდვილეში, სახელმწიფოს მიერ, არსებული ორი ძირითადი ცივილიზაციიდან, ერთი აუცილებლად ჩაგრავეს მეორეს! მაგალითად, როგორც შეგვიძლია ვიხილოთ ირანის, ან ყოფილ საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური მოძღვრების პრაქტიკულ ასახვაში. ხემაღნიშნულ ქვეყნებში, სახელმწიფო წარმართება, ხელისუფლების ერთერთ ძირითად ცივილიზაციის ღირებულებათა დაყრდნობის საშუალებით, რომელიც აუცილებლად ჩაგრავეს მეორე ცივილიზაციის ღირებულებებს, როგორც ეს განხორციელებული იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს, სადაც, ათენეონური ცივილიზაცია ჩაგრავედა არქაიკულს და მის საპირისპიროდ შეგვიძლია დავასახელოთ ირანი, სადაც, არქაიკული ცივილიზაცია ჩაგრავეს ათენეონურს, მაშინ როდესაც, ისეთ დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებშიც ორთავე ძირითადი ცივილიზაციის პრაქტიცირება იყო, ან არის ნებადართული საზოგადოებრივ სინამდვილეში, მაგრამ, ამავედროულად ტოტალიტარული დიქტატურისათვის დამახასიათებელი ექვსთავე თვისებით არის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება შეზღუდული, მიეკუთვნებიან, მაგალითად, ომის დროინდელი ფაშისტური იტალია, ნაცისტური გერმანია და თანამედროვე არაბული და ლათინური ამერიკის განსახდვრული ქვეყნები, სადაც "დამურას კულტურა" ქვეყნის საზოგადოებრივ – პოლიტიკური და კულტურული შემადგენლობისა და აზროვნების დომინანტური ღირებულებაა.

"დამურას კულტურა" მისთვის დამახასიათებელი თვისებების გამოხატულებას პოულობს, ორთავე ძირითადი ცივილიზაციის კულტურული ღირებულებების შერევით, სადაც, "თავი" (მენტალიტეტი) არქაიკული კულტურიდანაა ათვისებული, "ტანი" (ტექნოლოგია და მოდერნიზაცია) ათენეონური ღირებულების შემადგენელი ნაწილია, რომელიც "დამურას კულტურასა" აქვს მითვისებული, ხოლო "ფრთები" (კაპიტალისტური დეკადენტებისა და მჩატე ყოფაქცევის კონსუმი) დასავლური ლიბერალიზმისაგანა აქვს მიკერძოებული.

ნაციონალიზმი, მაგალითად, იდეოლოგიური თვალსაზრისით, პოლიტიკური გამოხატულების იმ ფორმას დასახავს საზოგადოებაში, რომელიც "დამურას კულტურის" პოლიტიკური იდეოლოგიისა და საზოგადოებრივი შემეცნების აუცილებლობიდან გამომდინარეობს; ხოლო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, "დამურას კულტურა" იდეოლოგიური მოსაზრების იმ ახალ ფორმას განაპირობებს, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში, მხოლოდ დასავლური ლიბერალიზმის საწყისების პარალელურად მოველინა მსოფლიოს. აქედან გამომდინარე,

“დამურას კულტურა”, და მაშასადამე, ნაციონალიზმის იდეაც, დანახული და გაიგივებული უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური დიქტატურის თეორიული და პრაქტიკული განსახიერება, სადაც, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საზოგადოებას გააჩნია უფლებამოსილება ორთავე ძირითადი ცივილიზაციის ღირებულებებით სარგებლობისა, ტოტალიტარული დიქტატურისათვის დამახასიათებელი, ექვსივე ბუქინსკისეული სინდრომი ძალაში რჩება, მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი ტოტალიტარიზმის ფარგლებში, საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ, იმ ექვსი ბუქინსკისეული უნივერსალური სინდრომის გარდა, საზოგადოებას იძულებითა აქვს თავს მოხვეული მხოლოდ და მხოლოდ ერთი ძირითადი ცივილიზაციის მიერ მეორე ცივილიზაციის დაჩაგვრის ვალდებულება, რაც საფუძვლიანად განსაზღვრავს ტოტალიტარიზმისა და დიქტატურას შორის სხვაობას.

ახლო აღმოსავლეთი და ისტორიული წრედის ევოლუციური მაგისტრალი

მთელი არქაიკული ფუნდამენტალისტური რელიგიური ცივილიზაციის სახელით, რადიკალური ისლამის კულტურული ბრძოლა მიმართულია, არა მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების, ან დასავლური ღირებულებების საწინააღმდეგოდ, არამედ, ისლამური ფუნდამენტალიზმის მსგავსი პოლიტიკური გალაშქვრა განაპირობებს ომის გამოცხადებას მთელი ცივილიზებული საზოგადოების მიმართ, ისლამური ფუნდამენტალიზმი, მთელი ფუნდამენტალისტური მოძრაობების მხარდაჭერით, “ჯიჰადს” უცხადებს ყველას, ვინც განსხვავებულად აზროვნებს და ვინც სცნობს ათენეონურ სექულარულ ღირებულებებს.

“ცივილიზებურმა” სამყარომ უნდა შეიგნოს, რომ ახლო აღმოსავლეთში ფუნდამენტალისტური იდეების გაბატონება, “არისტოკრატიული” ევროპისა და “თანამედროვე” ამერიკის საზოგადოებაში ფუნდამენტალიზმის გავრცელების წინა ეტაპია და ფუნდამენტალისტური მოძრაობის მიზანიც დასავლეთის ტოტალური დაპყრობაა კულტურული ბრძოლის მეშვეობით, რაც ისტორიული წრედის ევოლუციური განვითარების მაგისტრალის მიმდინარეობითაა განპირობებული და ვინაიდან, რელიგიური ფუნდამენტალიზმი ვერ შეპყრება იმ აზრს, რომ, მსოფლიო, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე ჰქონდა დაპყრობილი, ხელიდან გაუსხლტდა და მას დასავლური ღირებულებისა, თუ ათენეონური სექულარიზმის სახით კონკურენტი გაუჩნდა სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებაში, იგი ყოველ მის წინაშე არსებულ ღონესა ხმარობს, რათა მსოფლიო პეგემონია დაიბრუნოს უკან.

დემოკრატიული სექულარული სუვერენული პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, უნდა წარმოადგენდეს ისრაელისა და მთელი დემოკრატიული სამყაროს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მიზანს, ვინაიდან ახლად შექმნილი დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოში, “ისტორიული კომპრომისის” მიღწევის საშუალებით, შესაძლებელი იქნება შემუშავდეს, დანარჩენ არაბულ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესის დაწყების პროექტი, რაც სახალხო აჯანყებებისა და ამბოხებით იქნება განპირობებული, რის ნიადაგზეც შესაძლებლობა შეიქმნება ევოლიციური გზით ისტორიულ მაგისტრალზე ფუნდამენტალიზმის განვითარების ნახევარსაუკუნეოვანი შეყოვნებისა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კულტურული შეჯახების პროცესი უფრო ადრე დაიწყო ვიდრე “კომეკონ“-ის ქვეყნებში, მაგრამ, კომეკონის ქვეყნებიდან განმსხვავებით, ჩინეთის სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები, რათა, არქაიკული ღირებულებებისა და კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ადოპტირების მეშვეობით შეეჩერებინა ორ ძირითად ცივილიზაციას შორის შეჯახება, რამაც, ჩინეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების წინასწარი განზრახვის გარეშე, მართალია, ცივილიზაციებს შორის შეჯახების საშიშროებას გვერდი აუარა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ღონისძიების შედეგად ჩინეთმა შეწყვიტა სახელმწიფოებრივი არსებობა როგორც ტოტალიტარულმა რეჟიმმა და, დამურას კულტურის პრინციპების საფუძველზე,

გადაიქცა დიქტატორულ სახელმწიფო რეჟიმის წოდების მატარებლად. მიუხედავად მსგავსი ზომების გატარებისა, ჩინეთში, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენ დიქტატორულ ქვეყნებში ორ ძირითად ცივილიზაციათა შორის შეჯახება, მაინც იქნება შესაძლებელი, თუ არსებული დემოკრატიული ქვეყნების ხელმძღვანელობა შეეცდება ორ ძირითად ცივილიზაციათა შორის კულტურული ბრძოლა გააჩალოს ამ ქვეყნებში, რაც ძირითადად ორი განმსხვავებული მიდგომით იქნება შესაძლებელი იქნეს განხორციელებული:

1. ევოლუციური გზის საშუალებით, რომლის მიხედვითაც: აუცილებელი იქნება, ჯერ ორ ძირითად ცივილიზაციას შორის ერთერთი სახელმწიფო ძალისხმევის ნიადაგზე იქნეს ადაპტირებული რელიგიანტურ სახელმწიფო საზოგადოებრივ სტრუქტურებში და შემდეგ იქნეს იქ კულტურული შეჯახების პროცესი აქსელერებული. მსგავსი კულტურული შეჯახების ვარიანტი დასახავს პოლიტიკური მანევრირების იმ ფორმას, რომლის ნიადაგზეც, გარკვეულ პირობებში, საზოგადოების აბუნტებით შესაძლებელია მომზადდეს და განხორციელდეს სახალხო ამბოხი და აჯანყება, დემოკრატიული წყობილების დამყარების აუცილებლობა (ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, კოლონიალური მონობიდან დაღწეული ინდოეთის, ვარდების რევოლუციის (ჯანყის) დროინდელ, პოსტსაბჭოურ საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკებში, ან ესტონეთისა და სხვა ბალტიისპირეთის ქვეყნებში).

2. ევოლუციის ხელოწვევით განვითარების გზით: რომლის ფარგლებშიც, ისტორიული კომპრომისი იმპროვიზირებული იქნება სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელობის მიერ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ინსტიტუტებში (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ლათინური ამერიკისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში, ან იაპონიასა და მაღალიზიაში, ან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ავსტრიაში მეორე მსოფლო ომის შემდეგ და ესპანეთში ფრანკოს სიკვდილის შემდეგ).

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ, საქართველოს მომავალი, მისი გეოპოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზოგადსაკაცობრიობო მასშტაბებს მოიცავს და უთუოდ, წინასწარ გააზრებულ და მკვეთრად ჩამოყალიბებულ, სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების მარგანიზებული ძალების მობილიზირებით, რის ნიადაგზეც, საქართველოს, მისი საუკუნეობრივი ისტორიული მისიის განხორციელების ქმედითი უნარი განუვითარდება მსოფლიო ახალი წესრიგის დაარსების ფარგლებში, მაშინ, როდესაც ევროაზიატიური კავშირის ჩამოყალიბება ჰპოვებს დასაბამისს და ევროპის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სტრატეგიული მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნები დესეთეს ქვეყნებთან ერთობლივად დაუპირისპირდება დანარჩენ ნატოს ქვეყნებს, სადაც არაბული სახელმწიფოები ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორებად იქნებიან მოაზრებულნი; საქართველო, ისრაელის გვერდით კი, მისი ღირსეული ადგილის, საუკუნეების მანძილზე ნაცნებარ, მისი ისტორიული მისიის ახდენას და ამ მისიის დაიმკვიდრების პოტენციალს განავითარებს, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკურად სუვერენული, ნეიტრალიტეტის ხელშეუხებლობის სტატუსით აღჭურვილი სახელმწიფო გაერთიანება; ამისათვის კი, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიზანდასახული პოლიტიკური აზროვნების სპექტრი, ყველა მის გარშემო მოღვაწე ქვეყნების ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ექსპლუატირების მცდელობით უნდა მოისაზრებოდეს, რაც აუცილებლად უნდა მოიცავდეს რუსეთის ფედერაციისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მისი დანარჩენი ყველა სტრატეგიული პარტნიორების ქმედითუნიან ექსპლუატირებას, ვინაიდან, საქართველოს ადგილი იქ არის, სადაც ევროპა იქნება!

დასკვნები

სავარაუდოდ, კოსმოპოლიტიკური სექულარიზმი და რელიგიური ფუნდამენტალიზმი ყოველთვის არსებობდა და არსებობს ადამიანის გენეტიკურ შემადგენლობაში, მაგრამ მისი მიმართულების გამომჟღავნება დამოკიდებულია გარემოებრივი პირობების მიერ გამოწვეულ

სტიმულზე, რაც ადამიანის სუბიექტიური აღქმის განვითარებით განისაზღვრება არსებულ საზოგადოებაში. მსგავსი კონვერზია, მენტალური, გონებრივი აღქმის საგანს დასახავს და არა ბიოლოგიურ, ან ოპტიკურ პროცესს, და მსგავსი "არჩევანი" ინდივიდუალური, ისევე როგორც მასიური ხასიათისაა. განსაზღვრულ პირობებში, გარემოებრივი სტიმულის ზემოქმედება შესაძლებელია იყოს საზოგადოებრივი, ისევე როგორც კულტურული ხასიათის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებული სტიმულის საწყისს მხოლოდ სოციალიზაციისა, ან რესოციალიზაციის პროცესის შედეგი განაპირობებს, რომელსაც ადგილი აქვს ინდივიდუალურ, ან საზოგადოებრივ გარემოცვაში.

ლუკა კავალი-სფოხას შემაჯამებელ ნაშრომში, "ადამიანის გენების ისტორია და გეოგრაფია" (1994), რომელიც მან განავითარა მისი და მარკუს ფელდმანის მიერ ჩატარებული გამოკვლევების ნიადაგზე და რომელთა შედეგებიც "კულტურული გადაცემისა და ევოლუციის" სახელწოდებით იქნა გამოცემული 1981 წელს, შეისწავლა მიგრაციისა და ბიოლოგიური მუტაციების მახასიათებელი თავისებურებანი, რის ნიადაგზეც საფუძველი ჩაეყარა კულტურული ანტროპოლოგიის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც, კულტურული ღირებულებანი გენეტიკურად გადაიცემა ყოველი ადამიანის არსებაში. აქედან გამომდინარე, თუკი, კულტურული ღირებულებანი, მართლაც გენეტიკურად გადაიცემა ადამიანის არსებაში, ავტორი მოუწოდებს მეცნიერებას გადასინჯოს, თუ, ადამიანის ის გენომი, რომელიც პასუხისმგებელია რაციონალური და ლოგიკური აზროვნებისათვის, მართლაც განსხვავდება ორ ძირითად ცივილიზაციის მიმდევრებს შორის, ვინაიდან, ის ერთი და იგივე გენომი, რომელიც პასუხისმგებელია რაციონალური და ლოგიკური აზროვნებისათვის ორთავე ცივილიზაციის მიმდევართა გენეტიკურ პროგრამაში, ფუნდამენტალურად უნდა განსხვავდებოდეს ოპტიკურადაც და სუბსტანციურადაც(!), ვინაიდან, ეჭვსგარეშეა, რომ ამ ორი ძირითადი ცივილიზაციის მიმდევართა შორის ფაქტობრივად არსებობს ლოგიკური და რაციონალური აზროვნების ფუნდამენტალური დიქტომია.

ასევე, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღწეული აღმოჩენების მიხედვით, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ აფრიკის კონტინენტზე, ორთავე ჩონჩხი ნიანდარტალებისა, რომლებიც დაახლოებით 120,000 წლის წინად ბინადრობდნენ დედამიწაზე, ანატომიურად, საერთოდ განსხვავდებოდნენ თანამედროვე ჰომო საპიენ საპიენებისაგან და ფიზიონომიურად არავითარი მსგავსება არ არის მათსა და თანამედროვე ეპოქაში მობინადრე ადამიანებს შორის (ვონგი: 2003), რაც იმას მიუთითებს, რომ პანტინგტონისეული "კულტურული ერთეულების" ჩამოყალიბება, გარემოებრივი პირობებიდან გამომდინარეობს და რომ, ეროვნული, ისევე როგორც, ეროვნებებთა შორის ფიზიონომიური განსხვავებები მხოლოდ ისტორიული კატაკლიზმებისა და გარემოებრივი პირობების გავლენითაა გამოწვეული და არა მათზე გენეტიკური ან რელიგიური დეტერმინაციის ზეგავლენით.

კულტურული ბრძოლის ფარგლებში, საბოლოოდ მხოლოდ ერთი ძირითადი, არქაიკული, ან, ათენეონური ცივილიზაცია დაიპყრობს მსოფლიოს, დემოკრატიული წყობილების პერიოდული ინსტალაცია თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრული რეგიონების ისეთ "დამურას კულტურის" ქვეყნებში, როგორებიცაა, ავღანეთი, სირია ან ერაყი და სხვა, ავტორის მიერ მოწოდებულია განხორციელებული იქნეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სტრუქტურების ათენეონური ცივილიზაციის მიერ დომინირების საშუალებით, ვინაიდან, საზოგადოების კულტურული ბრძოლისათვის მომზადების ინკუპაციის პერიოდი გაცილებით მოკლე იქნება, ვიდრე იქ უკვე ფუნქციონირებულ არქაიკულ ღირებულებებში ათენეონურის არევა, რაც აუცილებელი პირობაა ამ ქვეყნებში მცხოვრები საზოგადოების კულტურული დონის ასამაღლებლად და რის გარეშეც შეუძლებელია კულტურული ბრძოლის გაჩაღება და შედეგად კულტურული შეჯახების დაჩქარება, იქმცხოვრებ ორ ძირითად ცივილიზაციის მიმდევართა შორის სახალხო აჯანყებებისა და ამბოხის მანოვრირებისათვის, მაშინ როდესაც, დასავლეთის ბრძოლა ისეთი ტოტალიტარული

ლიტერატურის წინააღმდეგ, როგორებიცაა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ან ვენეცუელა, წარმართული უნდა იქნეს, არა სამხედრო შეიარაღებული ძალების მათთან კონფრონტირების საშუალებით, არამედ, უწინარესად ყოვლისა, დასავლეთი უნდა დაეყრდნოს მის პროპაგანდისტულ და აგიტაციურ პოტენციალს გააერცვლოს შესაბამისი კულტურული ღირებულებები აღნიშნულ სახელმწიფოებში, იმის მიხედვით, თუ რომელი ცივილიზაციის ღირებულებების ნაკლოვანებას განიცდის თვითოეული ამ ქვეყნების საზოგადოება, იმისათვის, რათა აქსელირებული იქნეს კულტურული ბრძოლისა და შეჯახების პროცესი; მაგალითად, ათენონური ღირებულებების ირანში გაერცვლებითა და არქაიკული ღირებულებების ჩრდილოეთ კორეასა და ვენესუელას, ან კუბას საზოგადოებაში ჩანერგვით. მსგავსი ზომების მიღება უსათუოდ დაახქარებს სახალხო აჯანყებებისა და ამბოხის მოთხოვნების გამოქვეყნების ტენდენციებს ზემოხსენებული საზოგადოებრიობების ისტორიულ და საზოგადოებრივ შემეცნებაში, რის საფუძველზეც, შესაძლებლობა შეიქმნება იმპულსი მიეცეს დემოკრატიული წყობილების ჩამოყალიბებას მთელს მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოებრიობის მასშტაბით, რაც მიმდინარე საუკუნის უპრეცედენტო მახასიათებელი იქნება მსოფლიო სახელმწიფოებრივი სამოქალაქო საზოგადოებრიობისა და ზოგადსაკაცობრიობო მასშტაბით, დემოკრატიული სახელმწიფო პოლიტიკური წყობილების ფორმირებისა, წინამდებარე მილენიუმის ისტორიულ მაგისტრალზე.

ლიტერატურა:

Brodeur, Patrice, "From the Margins to the Centers of Power: The Increasing Importance of the Global Interfaith Movement", *Cross Currents*, Vol. 55, No 1, Spring 2005.

Brzezinsky, K., Zbigniew, "The crisis of communism: the paradox of political participation", *Washington Quarterly*, vol. 10, no 5-11, winter 1987.

Cavalli-Sforza, L., Luca, Menozzi, Paolo, Alberto, Piazza, *The History and Geography of Human Genes*, Princeton University Press, Princeton, NJ, 1994.

Cavalli-Sforza, L., Luca, Markus, W., Feldman, *Cultural transmission and Evolution: A quantitative approach*, Princeton University Press, 1981.

Duanhwa, Zhao, "Divine Culture vs. Secular Culture", *Overseas Campus Magazine*, Vol. 13, October 1995.

Eckstein, Harry, "A theory of stable democracy", in H., Eckstein, *Devision and cohesion in democracy*, Princeton Center of International Studies, Princeton University, 1961.

Friedrich, J., Carl, Zbigniew, K., Brzezinsky, "The general characteristics of totalitarian dictatorship", *Totalitarian Dictatorship and Autocracy*, Edited by Carl, J., Friedrich and Zbigniew, K., Brzezinsky, 3-13, New York: Praeger, 1956.

Fukuyama, Francis, "The end of history?", *The national interest*, No: 16, Summer 1989.

Giddens, Anthony, *The consequences of modernity*, Stanford University Press, Stanford, California, 1990.

Giddens, Anthony, *Modernity and self - identity: self and society in late modern age*, Stanford University Press, Stanford, California, 1991.

Giddens, Anthony, "Dare to care, conserve and repair", *New statmen and society*, Cambridge, October 29, 1994, p. 18.

Huntington, P., Samuel, "The clash of civilizations?", *Foreign Affairs*, Vol. 72(3-4), 1993.

Starcenkov, Gennadij, Ivanovic, "Turcija: Islamskij factor v svetskom gosudarstve" (Turkey: the Islamic factor in a secular state), *narody azii i afriki*, 1998(2): 25-34.

Wilson, Edward, Osborne, *Sociobiology: The New Syntheses*, Cambridge, MA: Belknap Press, 1975.

Wong, Kate, "Who were the Neanderthals? - New look at human evolution", *Scientific American*, Vol. 288 (5), May 2003 (Special Edition).

დავით ბოტერა – ბოტერაშვილი

Цивилизация как генетический шифр гражданской общественности

Резюме

Следует отметить, что оригинальная версия настоящей работы написана автором на иврите в начале 1999 года во время защиты им своей докторской диссертации. Английский перевод работы опубликован в 2004 году в журнале Alternatives и в 2006 году на International Affairs Forum-е.

Выражаем пожелание выразить благодарность в отношении следующих профессоров: это Анита Виннер, Абрам Вольфенсон, Илан Папси, Вано Джanelidze, Джерри Левит, Шломо Бен Ами и моя преданная супруга Майя Ботера.

David Botera – Boterashvili

Civilization as a genetic code of the civil society

Abstract

The original copy of the work, written in Hebrew, was published in the beginning of 1999 while working on PhD dissertation. The English translations of the work were published in ‘Alternatives’ in 2004 and in ‘International Affairs Forum’ in 2006.

The author expresses his deep gratitude to all those who encouraged and supported him in his scientific work. Among them were: Doctor Anita Viner, Professor Abraham Wolfenson, Doctor Ilan Pappé, Doctor Vano Janelidze, Mr. Jerry Levitt, Professor Shlomo Ben-Ami and his wife Doctor Maia Botera.

რეცენზენტი: პროფესორი გ. სანიკიძე

ჟურნალისტიკა Журналистика Journalistic

მანია ალავეძე, ზინაიდა ჩაჩანიძე, ნანა გორგოძე

ქუთაისი, საქართველო

ინტერვიუსა და საინფორმაციო ცნობის ჟანრობრივი თავისებურებანი

ჟურნალისტიკის თეორიას გააჩნია თავისი კანონები და კლასიფიკაცია. ჟურნალისტიკის თეორია შეისწავლის საგაზეთო მასალას და ახდენს მის დაჯგუფებას სხვადასხვა ჟანრებში. ჟურნალისტიკაში საგაზეთო ჟანრები იყოფა სამ დიდ ჯგუფად: საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური. საინფორმაციო მასალის ძირითადი მიზანია, გვაუწყოს ამა თუ იმ მომხდარ ფაქტზე. ამიტომ სწორედ ფაქტი უნდა ჩაითვალოს თვით ინფორმაციის არსისა და ფუნქციონირების სიღრმისეულ საფუძვლად. ჟურნალისტიკის სხვადასხვა ჟანრი ფაქტს სხვადასხვაგვარად აღიქვამს და სხვადასხვაგვარ დატვირთვას აძლევს. მოცემული სტატიის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესოა, როგორ განიხილავს მას ინტერვიუ და საინფორმაციო ცნობა.

ჟურნალისტიკის თეორიას, ისე, როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, გააჩნია თავისი კანონები და შესასწავლ საგანთა კლასიფიკაცია. ჟურნალისტიკის თეორია შეისწავლის საგაზეთო მასალას და ახდენს მის დაჯგუფებას. გადავშალოთ ნებისმიერი გაზეთი და იქ ვნახავთ ქრონიკას, პოლიტიკურ რეპორტაჟს, ინტერვიუს, საინფორმაციო ცნობას, სტატიას, მიმოხილვას და ა.შ. მკითხველისათვის, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ჟურნალისტიკასთან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრი – სტატიაა, მაგრამ პროფესიონალს არა აქვს უფლება არ განასხვავოს ეს ჟანრები ერთმანეთისაგან. ამიტომ, პროფესიონალები გვირჩევენ, როცა დარწმუნებული არა ვართ რომელ ჟანრს განეკუთვნება ესა თუ ის პუბლიკაცია, ვუწოდოთ მას ნეიტრალური სახელი – „მასალა“.

ჟურნალისტიკაში საგაზეთო ჟანრები იყოფა სამ დიდ ჯგუფად: საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური.

მ. გვენცაძე გვთავაზობს მოცემულ ჟანრთა შემდეგ კლასიფიკაციას:

1. **საინფორმაციო:** ცნობა, ქრონიკა, ინტერვიუ (მონოლოგი, დიალოგი, ანკეტა), ანგარიში, რეპორტაჟი (მოვლენის შესახებ, თემატური);

2. **ანალიტიკური:** კორესპონდენცია, სტატია (პროპაგანდისტური, პრობლემური), მიმოხილვა, რეცენზია, წერილი;

3. მხატვრულ-პუბლიცისტური: ნარკვევი, ფელეტონი, პამფლეტი, ეპიგრამა (Гвенцадзе 1986:107).

საინფორმაციო მასალის (იქნება ეს საგაზეთო, რადიო, თუ სატელევიზიო) ძირითადი მიზანია – გვაუწყოს ამა თუ იმ მომხდარი ფაქტის შესახებ. ისმის კითხვა: რომელია ის ფენომენი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თვით ინფორმაციის არსისა და ფუნქციონირების სიღრმისეულ საფუძველად, ანუ მის გენეტიკურ ფაქტორად? ასეთ ფენომენად უნდა მივიჩნიოთ **ფაქტის** ფენომენი და კონცეპტი. როგორც ჟურნალისტიკურ ჟანრთა თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელდობრ, ი. კადიკოვა აღნიშნავს, “ნებისმიერი ინფორმაციული მასალის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ მან უნდა გვაუწყოს **ფაქტის** შესახებ... ფაქტი უნდა ჩაითვალოს ჟურნალისტიკის საფუძველთა საფუძველად და, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტების გარეშე ჟურნალისტიკა წარმოუდგენელია” (И. Кадькова, 2001).

ინტერვიუს როგორც W-ჟანრის დახასიათებისას გამოიყოფა სამი ნიშანი, რომელთა საშუალებითაც ხდება მათი დიფერენციაცია, კერძოდ:

ა) ინტერვიუს პირველი ნიშანი არის მისი დიალოგურობა, როგორც სამეტყველო ფორმა. ინტერვიუ როგორც განსაკუთრებული სამეტყველო ჟანრი აგებულია ჟურნალისტსა და იმ პირს ან პირთა შორის დიალოგის ფორმით, რომლისგანაც ჟურნალისტი იღებს ინტერვიუს. მათი რეპლიკები, როგორც წესი, საგაზეთო ტექსტში აღნიშნულია განსხვავებული შრიფტით. ჟურნალისტის ყოველი რეპლიკა მიმართულია ინფორმაციის მიღებისკენ. რესპონდენტის რეპლიკები კი გადასცემენ კორესპონდენტს ამ ინფორმაციას.

ბ) დიფერენციალურ ნიშანთა მეორე კატეგორიის ფარგლებში განხილული უნდა იქნეს კორესპონდენტის გამონათქვამთა კლასიფიკაცია. ჟურნალისტის ყოველი რეპლიკა გაგებული უნდა იქნეს როგორც შეკითხვა, თუნდაც მას არ ჰქონდეს კითხვითი წინადადების ფორმა. ჟურნალისტის რეპლიკას შეიძლება ჰქონდეს მიმართვის, შეტყობინების ან პროვოცირების ფორმა, რომელსაც ხშირად ლინგვისტიკაში განიხილავენ, როგორც მიმართვა, როგორც ბიძგი მოქმედებისაკენ.

გ) ინტერვიუს დიფერენციალურობის მესამე ნიშანს წარმოადგენს ურთიერთკავშირი ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის, რომელსაც გადამდები რეაქცია ვუწოდებთ. აქ ლაპარაკია რეპლიკებზე ინტერვიუერის მხრიდან, რომელიც დადებითად ან უარყოფითად განაწყობს რესპონდენტს და, შესაბამისად, ეხმარება მას შეინარჩუნოს დადებითი იმიჯი აუდიტორიის თვალში ან დადგეს იმიჯის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

როგორც მოცემული დახასიათებიდან აშკარად ჩანს, ინტერვიუს სტრუქტურა აგებულია კითხვა-პასუხზე. ნებისმიერი გადახრა ამ ფორმატიდან იწვევს ტექსტის სახეობის შეცვლას.

როგორაა წარმოდგენილი ფაქტი საინფორმაციო ცნობაში? პირველ რიგში, წარმოვიდგინოთ საინფორმაციო ცნობის ტიპოლოგიას, რომელსაც გვთავაზობს ჟურნალისტიკის თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ა. ტერტიჩნი:

- ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა;
- სავარაუდო საინფორმაციო ცნობა;
- პრევენციული საინფორმაციო ცნობა;
- შეფასებითი საინფორმაციო ცნობა;
- ნორმატიული საინფორმაციო ცნობა;
- პროგრამული საინფორმაციო ცნობა (Тертычный 2003).

დავაკონკრეტოთ ნათქვამი საინფორმაციო ცნობის ზემოთ ხსენებულ ტიპთა მიხედვით:

1) “ფაქტოლოგიური” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს შეგვატყობინოს რომელიმე ერთი (ცალკეული) ფაქტის როგორც რაღაც რეალურად არსებულის შესახებ;

2) “სავარაუდო” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გამოთქვას ვარაუდი რომელიმე ფაქტის შესაძლო არსებობის შესახებ;

3) “პრევენციული” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გააფრთხილოს მკითხველი ამა თუ იმ მოსალოდნელ ფაქტზე;

4) “შეფასებითი” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს შეაფასოს ესა თუ ის მომხდარი ფაქტი;

5) “ნორმატიული” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გამოთქვას მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება მომხდარი ფაქტი არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ მორალურ ნორმებს;

6) “პროგრამული” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გარკვეული პროგრამის სახით ურჩიოს საზოგადოებას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი გარკვეული ფაქტის არსებობის სიტუაციაში და, რაც მთავარია, ამ ფაქტთან მიმართებაში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიღებთ ზოგადი სახით საინფორმაციო ცნობის ამ ტექტიკისეულ ტიპოლოგიას, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია, შევიტანოთ მასში შემდეგი კორექტივი: “ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა” ვერ განიხილება ტიპოლოგიის მხოლოდ ერთ-ერთ (თუნდაც პირველ ნომრად ხსენებულ) წევრად. რაკი ინფორმაცია საერთოდ ატარებს ფაქტოლოგიურ ხასიათს, ხოლო თვით ჟანრის დასახელება (“საინფორმაციო ცნობა”) გულისხმობს ინფორმაციის ობიექტად ქცეული გარკვეული ფაქტის აუცილებელ არსებობას, ეს იმას ნიშნავს, რომ **ფაქტოლოგიურობა** როგორც დომინანტური და აუცილებელი სემანტიკურად მაკონსტიტუირებელი ნიშანი, უნდა გვექონდეს ნებისმიერ საინფორმაციო ცნობაში – როგორც თვით ჟანრის კატეგორიულ ნიშან-თვისება. მაგრამ, ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში საინფორმაციო ცნობის ავტორის დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია გულისხმობდეს არა უბრალოდ და არა მხოლოდ ფაქტოლოგიურობას, ანუ გარკვეული ფაქტის არსებობას, არამედ მისადმი დამოკიდებულების (ავტორისეული მოდალობის) გარკვეული სახის გამოხატვას. მსგავს შემთხვევაში გვექნება საპირისპირო ინტენციათა შერწყმა: ობიექტურად საქმე გვექნება საინფორმაციო ცნობასთან და სწორედ ეს განსაზღვრავს ამ შემთხვევაში ჟანრის იდენტობას, მაგრამ სუბიექტურად საქმე გვექნება ავტორისეული მოდალობის დომინირებასთან.

ამგვარად, შეიძლება ვილაპარაკოთ საინფორმაციო ცნობის **ტიპოლოგიურ ველზე**, რომლის ცენტრში, რა თქმა უნდა, მოექცევა “სუფთა” სახის ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა, ანუ ისეთი ცნობა, რომელიც “თავისუფალია” ავტორისეული მოდალობის ნებისმიერი ფორმისაგან. რაც შეეხება საინფორმაციო ცნობის სხვა ტიპებს, მათი არსებობა ამ ჟანრის კონკრეტულ სიტუაციაში მეტწილად იმაზე, რომ ხდება ჟურნალისტურ ჟანრთა კატეგორიულ ჯგუფების ურთიერთგადაკვეთა: იმის გამო, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი სისტემა ეფუძნება ინფორმაციულობას როგორც ცენტრალურ კატეგორიას, ამგვარ ურთიერთგადაკვეთათა შემთხვევაში “უპირატესობა” რჩება საინფორმაციო ცნობის მხარეზე, რადგან, როგორც თავიდანვე ითქვას, სწორედ იგი განსაზღვრავს ინფორმაციულობას “სუფთა” სახით.

ლიტერატურა:

1. М. А. Гвенцадзе, Коммуникативная лингвистика и типология текста, Издательство “Ганатლება”, Тбилиси, 1986
2. И. Кадыкова, Жанры журналистики, file:\ C:\internet\ Медиаспрут – журналистам, Жанры журналистики
3. А. А. Тертычный, Жанры периодической печати, File: C: internet/ А. А. Тертычный Жанры периодической печати.htm

Maia Alavidze, Zinaida Chachanidze, Nana Gorgodze
Генетические особенности интервью и информации
Резюме

У теории журналистики есть свои собственные законы и классификации. Теория журналистики изучает газетный материал и классифицирует его на различные жанры. В журналистике, газетные жанры делятся на три большие группы: информационную, аналитическую и художественно-публицистическую. Главной целью информационного материала является информирование читателя о том или ином факте. Поэтому именно факт считается основой функционирования информации. Факт по-разному воспринимается различными журналистскими жанрами. В рамках данной статьи, нас интересует как тот или иной факт воспринимается двумя конкретными журналистскими жанрами: интервью и информационной заметкой.

Maia Alavidze, Zinaida Chachanidze, Nana Gorgodze
Genetic Peculiarities of Interview and Information Notice
Abstract

Journalistic theory has its own laws and classifications. Journalistic theory studies newspaper materials and classifies them according to different genres. Newspaper genres are divided into three large groups: informational, analytic and publicistic. The main aim of informational material is to inform the readers about a certain fact. That is why a **fact** must be considered to be the basis of the essence and functioning of information. Different genres of journalism perceive and treat the given fact from different points of view. The main interest within the present article is to see how it is regarded and treated by the interview and the informational note.

რეზუმენტი: პროფესორი პ. ჟოლნეროვიჩი

კრიტიკის საგანი (ილია ჭავჭავაძის მიხედვით)

კრიტიკა უნდა იყოს მიზანმიმართული, სწორად ჩამოყალიბებული და საგნობრივი, ყველაზე უკეთ რომ გამოხატავს ავტორის სულისკვეთებას და ჩანაფიქრს, სწორედ ასეთი კრიტიკა ემსახურება მეცნიერების, კულტურის, რელიგიისა და ხელოვნების სფეროს სხვადასხვა დარგის წინსვლას, განვითარებას, წარმატებას. თუმცადა, უშინაარსო კრიტიკა, რომელიც მხოლოდ განქიქებასა და ლანძღვაზეა დამყარებული და არანაირი სამეცნიერო ან, გნებავთ, პუბლიცისტური ღირებულება არ გააჩნია, ანგრევს კრიტიკის არსს საფუძველშივე და არავისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს ამაზე წერდა ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში და იმასაც დასძენდა, რომ 'განმეორება ცოდნის დედაა'-ო. რელიგიურ თემაზე მომუშავე ზოგიერთმა ავტორმა კი სულმნათი ილიას სიტყვები უკეთ უნდა გაისიგრძეგანოს.

„დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება ამით არის უსიამოვნო, ჩვენის წარმატების დამაბრკოლებელი, და გვიჩვენებს ჩვენის გონების გაუწრთვნელობას, ჩვენს გაუფრთხილებლობას და დაუკვირებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ...“ (1)

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ავტორები თავისი კრიტიკული პათოსითა და დამოკიდებულებით სხვა ავტორებს უმოტივაციოდ უპირისპირდებიან. უფრო მეტიც, ეჭვქვეშ აყენებენ მათი გამოკვლევის (ნაშრომის) ღირებულებას, მის უმთავრეს ასპექტებს. არათუ მსჯელობენ მისი ავ-კარგიანობის შესახებ, არამედ აბსურდულს უწოდებენ მასში წამოჭრილ იდეებსა და პოსტულატებს. ეს, არცთუ ისე, სასიამოვნო პრეცედენტია, უფრო კი მავნე პრაქტიკაა, რომელიც მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებას არა თუ უწყობს ხელს, არამედ აფერხებს კიდევ. ეს კი საზიანოა. ამიტომ ის ავტორები, რომლებმაც მსგავსი მოსაზრებები გააჩინათ, უნდა დაფიქრდნენ და საკუთარი მოსაზრების საპირწონედ ილიასეული ფრაზა გაიხსენონ: „...რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?!“ (2)

ამით იმის თქმა სულაც არ გვსურს, რომ კრიტიკა საფუძვლიანი და მიზანმიმართული მეცნიერული შრომის აუცილებელი კომპონენტი არ იყოს, მაგრამ უმიზნო, უსაგნო და შინაარსმოკლებული

კრიტიკა, რომელიც ლანძღვა, განქიქება და გაკიცხვა უფროა, ნამდვილად არ არის მსგავსი პოზიციის ავტორთა ზნეობრიობის მაჩვენებელი. “კრიტიკა შეიძლება წაიკითხოთ კულტურული სიხლეებისთვის, ის არის ფორუმი დებატებისთვის, ასევე სოციალური ურთიერთობების სარკე. წიგნის მიმოხილვის აუდიტორიამ შეიძლება გააერთიანოს ადამიანები, რომლებმაც შესაძლოა მიმოხილვის წყალობით წაიკითხონ ის, იმათთან ვინც უკვე წაიკითხა აღნიშნული წიგნი, და იმათთანაც კი ვინც არასდროს წაიკითხავს ამ წიგნს. მიმოხილვა უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ ინფორმაციას (მაგალითად, გამოცემის დეტალები და თარიღები ან ადგილები); აღწერილობა; ნაწარმოების ზოგიერთი ციტატა; კონტექსტი; და შეფასება ან დასკვნა”(3)

წარმოდგენილი თეორიის პრაქტიკაში გამოყენება უთუოდ სიძნელეს წარმოადგენს ზოგიერთი ავტორისათვის, რადგან მათთვის რთულია საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად წერა და აზროვნება და უფრო ხელსაყრელი _ საკუთარ ნაჭუჭში ყოფნაა. აღნიშნული სიძნელიდან თავი რომ დავიდეთ, ისევე ილიას მიემართოთ: ჩვენში კი სხვადასხვაობა აზრისა კრიტიკულის აზრის უქონლობის ბრალია და ჩვენის გაუფრთხილებლობისა. ჩვენში ხშირად ერთისა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებელს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთს საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ სწორედ რომ გასაოცარია.”(4)

2011 წლის გაზაფხულზე ბორჯომის ეპარქიაში დაიბეჭდა ტიმოთესუბნის წინამძღვრის არქიმანდრიტ იერომიელ ფილიშვილის ბროშურა ‘ნუუკუე განკრძალულად სდგათ’. აღნიშნული ბროშურა განკუთვნილია ფართო მასებისათვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მას არ გააჩნია კონკრეტული დანიშნულება: სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან შემეცნებითი, იგი შედგება რამდენიმე თავისაგან, რომელთა შორის აზრობრივი კავშირის დამყარება ჭირს და დარღვეულია თანმიმდევრულობა. ბროშურა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული პიროვნების განქიქებას, ხაზს ვუსვამთ – განქიქებას. ბროშურის ავტორის სამიზნეა ორი რამ: ავტორი და თავად წიგნი. ამ შემთხვევაში, არ კონკრეტდება, იერონიმე ფილიშვილის პრეტენზიები მოწამეთაში მოღვაწე მოძღვარის - მამა გიორგი ბასილაძის მოძღვრების თუ მის შესახებ გამოცემული წიგნების სარედაქციო საბჭოს წინააღმდეგ არის მიმართული, საბჭოსი თუ სარედაქციო კოლეგიისადმი, რომელიც გაცილებით უფრო ვრცელია და რამდენიმე ათეული ადამიანისაგან შედგება.

ბროშურა არ შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკად, რადგან პოლემიკის წესები ნაკლებადაა მასში დაცული. იგი უფრო სარკაზმია, დაცინვაა, ვიდრე მხილება. მართალია, გარკვეულ საკითხებში ავტორი ეკამათება თავის ადრესატს, თუმცა არგუმენტირების მყარი სისტემა არ გააჩნია და მკაფიოდ ვერ ადასტურებს თავისი მოსაზრებების ჭეშმარიტებას. ამის ნათელი დადასტურებაა მაგალითად, მისი სიტყვები: „ჩვენ გამოვკვეთეთ ‘ნამდვილის’ ზოგიერთი ნიშან-თვისება: შენიღბულობა, ტყუილი (ცრუსწავლებათა მართლმადიდებლურად გასაღება) უკიდურესი ამპარტავნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხიბლის იმ სტადიაში იმყოფება, რომ მზად არის ღვთის წინაშე ცრუმორწმუნეობისათვისაც კი” (5-15) ნათელია, რომ ცინიზმით გაჯერებული ცოდნის დემონსტრირება ყოველთვის ნამდვილად ვერ დაგვეხმარება ჩვენი მოსაზრების დამაჯერებლობაში დასარწმუნებლად. მითუმეტეს, რომ ამ სიტყვებში ქრისტესმიერი სიყვარულის ნაცვლად ვღებულობთ სიძულვილის მარცვლებს. ამაზე უთქვამთ პირველ საუკუნეში: ‘კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღერიალე, მხოლოდ წკრიალა (6-357).

აღნიშნულ ბროშურაში არგუმენტაცია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, განყენებულად გვეძლევა და არა კონტექსტში, არა საკითხის პირდაპირპროპორციულად და არა _ თემის მიხედვით, თანამიმდევრული ფორმით. ბროშურა სავსეა ცინიზმით და გესლით, მაგალითად, მამა გიორგის ცნობილ ფრაზაზე: „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი”, არქიმანდრიტს ასეთი პასუხი გაუმზადებია, რომელიც ცინიზმის უბადლო ნიმუშია: ‘მამა გიორგი ბასილაძის სწავლებასა და

„ნამდვილობას“ ეკლესიურ საკითხებში ცოტა სომხური ელფერიც კი დაჰკრავს...ქართველობა, როგორც ასეთი, თითქოს უკვე ნახევარი ცხონებაა, ხოლო მეორე ნახევარს კი მამა გიორგის ან მისნაირ ‘ნამდვილთა’ მიმდევრობა შეგივსებთ” (5-43,44) ეს აგდებული დამოკიდებულება ქართველი ხალხის გარკვეული ფენისადმი სრულიად არ ამართლებს აღნიშნულ სასულიერო პირს, რადგან მხილებას, რომელიც უმთავრესი ქრისტიანული ზნეობის პოსტულატია, კონკრეტულ შემთხვევაში ვერ ვხედავთ. ხოლო ქართული სულისკვეთებით გამსჭვალული მამაოს დადანაშაულება სომხობაში ჯერ ერთი ნონსენსია და მეორეც, ეროვნული დისკრედიტაციის ნათელი მაგალითია.

რაც შეეხება, გამოცემის სტილსა და მანერას, ფილიშვილის სტილი დვლარჭნილი და მძიმეა, აშკარად იგრძნობა, ამ შემთხვევაშიც აზრობრივი უპირატესობა მისი ადრესატის მხარეზე რომ იხრება (მამა გიორგი ბასილაძის წიგნები სტილი მარტივია, სადა, უბრალო, წიგნიერი და ადვილად აღსაქმელი, რის გამოც ხალხის მასებმა იგი აიტაცა),

რაც მთავარია, ბროშურა არ შეიძლება ჩაითვალოს არც რელიგიური ტიპის გამოცემად, რადგან მასში არაა მითითებული საპატრიარქოს ემბლემა, გამოცემის თარიღი, ლიცენზირების დრო, ავტორის კოორდინატები, ანუ ყველა ის დეტალები, რომელიც ეპარქიაში გამოშვებული წიგნისთვის არის მნიშვნელოვანი.

გარდა ამისა, ბროშურას თან არ ახლავს ანოტაცია ან მცირე წინასიტყვაობა, რომელიც რეცენზენტის ვინაობას გაგვაცნობდა,

ჩვენ, კიდევ სხვა პრეტენზიებიც გვაქვს ავტორ ფილიშვილის მიმართ, უფრო პრაგმატული ხასიათისა, მაგრამ საყურადღებო. ჩვენი აზრით, არასამეცნიერო, არასაგანმანათლებლო შინაარსის მქონე ნაშრომი, რომელსაც მითითებული არა აქვს გამომცემელი ორგანოს - რელიგიური ორგანიზაციის სახელწოდება, არ უნდა დაექვემდებაროს გასაღებას სამეცნიერო ცენტრებსა და რელიგიურ დაწესებულებებში.

ამ კრიტიკის კონტექსტში, უპირანი იქნება, თუკი ბროშურის ადრესატის - მამა გიორგი ბასილაძის წიგნების შინაარსსაც შევეხებით, რადგან კრიტიკის ფონზე ორივე მხარის დაფიქსირება არის უსათუოდ მნიშვნელოვანი და დიდად წაადგება დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას საკითხში გარკვევაში.

ამ წიგნების გამომცემელი, რეცენზენტი, სულისჩამდგმელი და გამავრცელებელი, მყიდველიც კი, სწორედ რომ ქართველი ხალხია და მისთვის კურთხევის მიმცემი არის მოძღვარი მამა გიორგი ბასილაძე, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან 21-ე საუკუნის 10-იან წლებამდე მოწამეთაში მოღვაწეობდა. მის შესახებ დაიბეჭდა ისეთი წიგნები, როგორცაა: **‘თავნი და ბოლონი იტყვიან გიორგი’**, **‘ფენითმოსიარულე III’**, **‘ფენითმოსიარულე IV’**, **‘ძალა და თავისუფლება’**, რომელიც ნამდვილად რომ სასიამოვნოდ წასაკითხი რელიგიური შინაარსის ლიტერატურაა, რომელშიც ძალიან ბევრ აქტუალურ საერო და სასულიერო საკითხზეა დეტალური პასუხი გაცემული, და ისინი უმეტესწილად სწორედ ამ დიდი მოძღვრის სიტყვებითაა წარმოდგენილი.

წიგნები აგებულია კონკრეტული ადამიანების სტატიებისა და ინტერვიუების თა ვრცელი ამონარიდების საფუძველზე, ამ წიგნების შესავალში ლოცვანი, კალენდარი და ცხრა ნეტარებაა დაბეჭდილი, ერთ-ერთი წიგნი კი ილიას ჭაგჭაგაძის ან ვაჟას-ფშაველას პოეტური სტრიქონებით იწყება. მას ჰყავს გამომცემელთა გარკვეული წრე, ავტორთა ჯგუფი: არიანა ჩაგუნავა, იაკობ ვეკუა და ლუდა ყოლბაია და რედაქციის წევრები (კორექტორი, დიზაინერი, ოპერატორი, დამკაბადონებელი), რომლებმაც შესძლეს ამ ზღვა მასალის შეკრება, მომზადება და გამოცემა. მასში თავმოყრილია სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, მსოფლმხედველობის პიროვნებები, საზოგადოების ფართო სპექტრი (აკადემიკოსები, სასულიერო პირები, მონაზვნები, საერო პირები), რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ დოთივგაბრძნობილი მოძღვრის ძალა და კეთილი ნება. მასშია ასევე ამონარიდები მამა გიორგის ქადაგებებიდან, მისი დარიგებანი, წინასწარმეტყველება,

ბრძნული საუბრები. ხალხის მიერ დაწერილი პირადი, სულიერი ნიშნით აღბეჭდილი წერილები, რომელიც, იმავდროულად, ფართო საზოგადოებისთვისაცაა განკუთვნილი და რომლებიც საოცარი გრძნობითა და სიყვარულითაა დაწერილი.

პროფესიული თვალსაზრისით, გასაოცარია იმ ინტერვიუთა თანმიმდევრულობა და წყობა, რომელთა ავტორები სრულიად არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მაგრამ საოცრად ტაქტიანად, მოქნილად და ალღოთი უსვამენ მას საჭირო, გამართულ და ზოგჯერ საჩოთირო კითხვებსაც, რისთვისაც წინასწარ ბოდიშობენ კიდევ. კითხვა-პასუხი ისე საინტერესოდ იკითხება, რომ დროის შეგრძნებას კარგავ და თვითნებურად კითხულობ, მოცულობის მიუხედავად. მათი კითხვების ადრესატი თავმდაბლობით აღვსილი მოძღვარია და ისიც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად და მშვიდად, ტკბილად საუბრობს ისეთ თემებზე, როგორცაა: სარწმუნოება, სიყვარული, სასოება, იმედი, ქართველობა, წმინდანობა, ცოდვა-მადლი, უკვდავება და ა. შ. იგი სასულიერო კუთხით ეხება და აანალიზებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწარმოებებს, მათ შინაგან სამყაროს და გონების საღაროს. მათში კი იპოვით კლასიკოსებს, რითაც ახლებური კუთხით დაგვანახებს მათი ნაწარმოებების მსოფლმხედველობას, ტენდენციებს, მიმართულებებს, (რაცაც მომენტში, გარდა სასულიერო სწავლებისა, მამა გიორგი ავლენს ფილოლოგიის და ისტორიის დრმა ცოდნას.) მნიშვნელოვანია ის, რომ_ გარდაცვალების შემდგომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ მას არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა.

გთავზობთ ამონარიდებს მისი წიგნებიდან, რათა ზოგადი შთაბედილლება შეგვექმნას მის შინაარსზე: **“ვეფხისტყაოსანი” არის სულიწმინდის შთაგონებით შექმნილი ნაშრომი და შეუძლებელია მის სულიერ სამყაროში შეღწევა ქართულ-ქრისტიანული სულიერი ხედვისა და ცოდნის გარეშე”(7-46)** ეს ერთგვარი მინიშნებაა რუსთველოლოგიაში მოღვაწე სამეცნიერო ინტელიგენციისათვის.

როგორ იბადება ადამიანი წმინდანად, როგორ ხდება მისი მომზადება, რა ნიშნითაა ის აღბეჭდილი, როგორ უნდა შევიცნოთ წმინდანი, ვინ არიან ცოცხალი წმინდანები, რა ეტაპებს გადის ადამიანი თავისი ცხოვრების პერიოდში სარწმუნოების გზაზე და რა და რა წინააღმდეგობებს ეჯახება, ვინ არის ჭეშმარიტი მოძღვარი, როგორ უნდა შევარჩიოთ ის და სად უნდა ვეძებოთ, ვისი ნდობა გვმართებს და ვისი - არა; რა არის ჭეშმარიტი ლოცვა, რა არის ხიბლი, როგორ უნდა ვებრძოლოთ ცოდვებს, რა არის მადლი_, შეუძლებელია ყველა იმ აქტუალური საკითხის ჩამოთვლა, რომელიც მამა გიორგი ბასილაძის წიგნების განხილვის საგნად ქცეულა.

დიდი სიფრთხილითა და სასოებით ეკიდება მამა გიორგი სალოსი ქართველი ბერის - მამა გაბრიელის (ვასილ ურგებაძის) სახელს და ამ სიტყვებით უკვდავყოფს მის ხსოვნას: (შეგახსენებთ, რომ ბერი გაბრიელის კანონიზაცია და წმინდანად შერაცხვა ჯერ კიდევ მაშინ არ იდგა ქართული ეკლესიის დღის წესრიგში)... მითუმეტეს, ასეთ პერიოდში, მსგავსი სითამამე სასულიერო პირისაგან ნამდვილად რომ შესაშური გახლდათ: „წმინდანობა არის მიწიერ ბრძოლებში გამარჯვების ბეჭედი ღმრთისაგან. ასე რომ, ამ მდგომარეობას აღწევს სიცოცხლეში და არა გარდაცვალებიდან საუკუნეების შემდეგ ან კიდევ კანონიზირების_ შერაცხვის მომენტში!”(7-82)

ან კიდევ ” „ქართული ეკლესიის ხილულ მოთავეს, უკვე 30 წელია წარმოადგენს მისი უწმინდესობა- ილია II, ხოლო მეორე, დაფარული მოთავე- მოძღვართ-მოძღვარი, მთელი 40 წლის მანძილზე გახლდათ დიდი გაბრიელ ბერი” (7-41)

დაუნდობელი და უშიშრად მამხილებელია მამა გიორგი უღირსი სასულიერო პირებისა, რომლებზედაც ასე მსჯელობს: „ცხვრის ტყავში გახვეული მგლები” ქადაგებენ საათობით, სჩანან განსწავლულები, სულიერები და დიდებულები, მაგრამ მათ გვერდით ყოფნისას განიცდით სიცივეს, სიშორეს, სევდასა და შფოთს, როცა წმინდანები ჩანან უბრალონი და ღარიბნი, ზოგჯერ

სადგოთ სიტყვის “უცოდინარი”, მაგრამ მათგან იფრქვევა ქრისტეს სიტბო, სიყვარული და ისინი აესებენ თქვენს შნაგან სამყაროს იმედითა და შვეებით” (7-132). ის დასძენდა ამ წიგნებში, რომ ეს აქტუალური საკითხები უფრო მწვავედ დადგებოდა ერის ცხოვრებაში და ერთ დღეს უაღრესად მნიშვნელოვანი გახდებოდა. ამაზე კი ჯერ კიდევ 10 წლის წინ საუბრობდა წინასწარგანჭვრეტის ნიჭით დაჯილდოებული მოძღვარი.

ძნელია ყველა იმ კონკრეტული თემის ჩამოთვლა და გაანალიზება, რასაც ეს ღვთივეკურთხეული წიგნები შეიცავს, ის იქცა სწორედ მთავარ სულიერ საზრდოდ და საკითხავად, საქართველოში მცხოვრები თუ მის ფარგლებს გარეთ მყოფი მყოფი უამრავი ქართველისათვის, ქვეყანაში უმძიმესი და სავალალო ნაცბანდის მმართველობის პერიოდში, როცა ერის სასოწარკვეთილების მდგომარეობა თავის უმაღლეს ნიშნულს უახლოვდებოდა.

ეს წიგნები რწმენისა და სასოების ჩამწერგველი მაღლმოსილი ძალითაა შემკული და ბევრი ქართველისთვის სათაყვანო და მაგიდის წიგნადაც კი იქცა, (მათ შორის, პირადად ჩემთვის). და ბოლოს, მათში ხაზი აქვს გასმული ერთ უმთავრეს ჭეშმარიტებას, რომელიც ისევ მამა გიორგის ეკუთვნის და რომელიც მოსახლეობისაგან დამცრობილ საქართველოს და მის მკვიდრებს ძალას შეჰმატებს თავისი ომახიანი სულისკვეთებით:

„ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი!”(მამა გიორგი ბასილაძე)

„ქართველობა, ჩვენი უწმინდესი ვალია!”(ილია ჭავჭავაძე)

P.S. ეს (პირველი) ეპიტაფია ამშვენებს მამა გიორგის საძვალეს, მისი საფლავის ქვას თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის ეზოში).

ლიტერატურა:

1. WWW. Ai ia. Info;
2. „მგზავრის წერილები”, ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო”, 1987 წ. გვ 199;
3. <https://www.culturepartnership.eu/ge/publishing/cultural-journalism.../lecture-13-2>
4. WWW. Ai ia. Info;
5. იერომიელ ფილიშვილი, ნუუკუე განკრძალულად სდგათ, ბორჯომის ეპარქია, 2011 წელი; გვ. 10-15.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი მეცამეტე, გვ 375.
7. თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი, თბილისი, 2009 წ. გვ. 46.

Натия Джикия

Предмет критики (по Илье Чавчавадзе) Резюме

Критика должна быть целенаправленной, логично сформулированной и предметной, лучше всего выражающей дух и замысел автора. Именно такая критика служит продвижению вперед, развитию и успехам в различных областях религиозной сферы, а также сферы искусства. Однако бессодержательная критика, основанная только лишь на злопыхательстве и ругани и не имеющая никакой научной либо публицистической ценности, разрушает суть критики в самой основе и никому никакой пользы не приносит (тем более для того читающего общества, которое должно

питаться плодами интеллигентного мышления). Это скорее разновидность коммунистического пережитка. Этим, правда, нами не сказано ничего нового, об этом писал Илья Чавчавадзе еще в 19-ом веке, добавляя к тому же, что «повторение – мать учения». Авторы, работающие над религиозной тематикой, должны глубоко осмыслить слова Ильи Чавчавадзе – Святого Ильи.

Natia Jikia

**The subject of criticism
(According to Iliа Chavchavadze)**

Abstract

A well directed, properly established and thematic criticism best of all expresses the author's aspiration and Intention. This kind of criticism results in development of science and sources in different branches of religion and art. Meaningless, unreasonable criticism based on only scolding and judging others has no scientific or publicistic value. It ruins the real significance of criticism from the very beginning and brings benefit to no one (particularly to the readers' audience that is supposed to be nourished (supported) by the fruit of intelligent thinking) Analogous criticism is a vestige from the USSR.

We haven't started a new phenomena in this sphere. A great Georgian poet and state figure Iliа chavchavadze wrote about this subject in the past centuries. He also often reminded Georgians the saying "Revision is mother of knowledge." So duty of many authors working on religion issues is to bear in mind Great Iliа Chavchavadze's words.

რეცენზენტი: პროფესორი რ. გაბეჩავა

შინაარსი

| | |
|---|-----|
| ციური ახელქედიანი, ქეთევან გაბუნია ფონოსტილისტიკის ჩამოყალიბების საწყისები საფრანგეთში..... | 12 |
| რუსუდან გერსამია პრეფიქსული ნაწილაკების მორფოლოგიზებისათვის მეგრულსა და ლაზურში..... | 17 |
| რუსუდან გვილავა ზეპირ დისკურსში თანხმობანთა მოდიფიკაციის ლინგვისტური ანალიზი (ინგლისური ენის მაგალითზე)..... | 24 |
| მაია გუგუნავა. ინტერტექსტუალობის საკითხისათვის ლ. ვისკონტის ფილმში "მიწა ცახცახებს" (1948)..... | 28 |
| ნინო დემეტრაძე ეკატერინე ქურდაძე სწავლების კომუნიკაციური მეთოდი-მიზნები და ამოცანები..... | 40 |
| თამარ მახარობლიძე მათემატიკურ ნიშნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულ ჟესტურ ენაში | 51 |
| ნინო ზაალიშვილი ესპანური, ქართული და რუსული ენების შედარებითი ფრაზეოლოგია: ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ანალიზი ზოონიმური ლექსემებით..... | 49 |
| მანანა მიქაძე კომპოზიტები ოტია იოსელიანის ნოველების ენაში..... | 59 |
| პარანზემ მეითიხანიანი მესროპ მაშტოცის ნაწერების შესახებ..... | 79 |
| ირმა რუსაძე ეროვნულობისა და უნივერსალობის პრობლემა ფრაზეოლოგიაში..... | 80 |
| დავინე სვანიძე ბივერბალური (ორშემასმენლიანი) კონსტრუქციები თანამედროვე პრესის ენაში..... | 84 |
| მარინა ქაცარავა, ლეილა აბზიანიძე ნაშრომი განძად დარჩების | 88 |
| ნუნუ ჩარკვიანი, სოფიო ყიფიანი, ნათია ჯიქია საგაზეთო-ინფორმაციული ტექსტის თარგმანთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები | 92 |
| ლელა ციხელაშვილი ორხელმძღვანელიანი კაუზატივები ქართულში..... | 98 |
| ნინო ძამუკაშვილი ანტონიმია პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამოსახატავად (ქართული და ინგლისური რიტმული პროზის ნიმუშების მიხედვით)..... | 107 |

| | |
|--|-----|
| სოსო გიქოშვილი გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზის“ პრობლემატიკა..... | 112 |
| ნანული კაკაურიძე ფრანც შუბერტის „ცაცხვის“ ფუნქციისათვის თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“..... | 116 |
| ნანა შავთვალაძე „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...“ თუ თავშეკავება..... | 120 |
| მაია აბდელანი რუბრიკების გამოყენება უცხოური ენების სწავლების დროს..... | 129 |
| ეკა გოტიაშვილი თამარ თვალაძე ინგლისური ენის გაკვეთილზე პოზიტიური ინტერპერსონალური ურთიერთობის შესაქმნელად..... | 133 |
| ქეთევან დოღონაძე რატომ არის მნიშვნელოვანი გრამატიკის სწავლება წერის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის..... | 137 |
| ათინა თოიძე 21 საუკუნე ციფრული სამყაროს ეპოქა..... | 142 |
| ათინა თოიძე განათლების მართვის ძირითადი უნარები..... | 146 |
| ლელა ონიანი თვითშესწორების მეთოდის უპირატესობა ინგლისურ ენაში..... | 152 |
| ნანა სააკაძე პირის ნაცვალსახელების ბრუნების სწავლება არაქართულენოვან სკოლაში..... | 153 |
| მადონა სამნიძე „შემოქმედებითი აზროვნების როლი სწავლების პროცესში“..... | 157 |
| მაია ახვლედიანი, ლალი (ბარბარე) აბდალაძე დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის სახელმძღვანელოს „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ საგანმანათლებლო და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ (ნაწილი I)..... | 164 |
| იაგორ ბალანჩივაძე, ლალი ფუტყარაძე სკოლამდელი განათლება, როგორც აღსაზრდელო სკოლისათვის მომზადების საშუალება..... | 171 |
| ნანა ბენდელიანი სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიები..... | 176 |
| ნინო ბენდელიანი აღსაზრდელებისთვის სოციალური უნარ-ჩვევების განმავითარებელი გარემოს შექმნა..... | 180 |
| ირინე გოგიბერიძე, თამარ დოგრაშვილი პროფესორ გიორგი თავაძის შვილის პედაგოგიური შეხედულებები..... | 184 |

| | |
|--|-----|
| ეკატერინე ლოსაბერიძე სწავლებისა და სწავლის მიდგომა ტრადიციულ გაკვეთილზე..... | 189 |
| ქეთევან ხურცილავა, თამარ დოგრაშვილი სახალხო განათლების დაწესებულებების კლასების მასწავლებელთა მომზადება, კადრებით უზრუნველყოფა და ინსპექტირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოში..... | 194 |
| დავით ბოთერა - ბოთერაშვილი ცივილიზაცია როგორც სამოქალაქო საზოგადოებრიობის გენეტიკური შიფრი კულტურული ერთეულები..... | 202 |
| მანია ალავიძე, ზინაიდა ჩაჩანიძე, ნანა გორგოძე ინტერვიუსა და საინფორმაციო ცნობის უანრობრივი თავისებურებანი..... | 212 |
| ნათია ჯიქია კრიტიკის საგანი (ილია ჭავჭავაძის მიხედვით)..... | 216 |

Содержание

| | |
|--|------------|
| Циури Ахвледиани, Кетеван Габуниа Истоки формирования фоностилистики во Франции..... | 16 |
| Русудан Герсамиа Для морфологизации огии частиц в Менгрелском и Лаз..... | 22 |
| Гугунава Маиа Вопрос об интертекстуальности в фильме Л. Висконти «Ла дрожит землю» (1948)..... | 34 |
| Нино Деметрадзе, Екатерине Курдадзе Коммуникативный подход и сель обучения..... | 40 |
| Дареджан Деметрадзе Трудности, возникающие при устной речи, и средства их преодоления в немецком языке..... | 43 |
| ПАРАНДЗЕМ МЕЙТИХАНЫ АРМЯНСКИЙ ПЕРЕВОД СВЯЩЕННОГО ПИСАНИЯ И РОЛЬ МЕСРОПА МАШТОЦА..... | 76 |
| Нино Заалишвили Сравнительная фразеология испанского, грузинского и русского языков: анализ нумеративных фразеологизмов с зоонимами..... | 50 |
| Тамар Махароблидзе Некоторые вопросы в грузинском жестовом языке, связанные с математическими знаками | 57 |
| Манана Микадзе Композиты в языке новелл Отии Иоселиани..... | 74 |
| Ирма Русадзе Проблема национального и универсального во фразеологии..... | 82 |
| Дафине Сванидзе Бивариантные конструкции в современном языке прусы..... | 87 |
| Марина Кацарава, Лейла Абзианидзе Вклад Рафаэля Шамелашвили в грузинскую науку..... | 91 |
| Нуну Чарквиани, Софио Кипиани, Натиа Джикиа Некоторые проблемы в переводе газетно-содержательных текстов (по материалам на английском и грузинском языках)..... | 97 |
| Лела Цхелашвили Каузативы с двумя руководителями в грузинском языке..... | 109 |
| Нино Дзамукашвили Антонимия для передачи экспрессивности ритмики прозы (на примере грузинской и английской ритмической прозы) | 111 |
| Сосо Гикошвили „Солнце покойника" Георгия Шатберашвили..... | 115 |

| | |
|---|-----|
| Нанули Какауридзе К функции «Липы» Франца Шуберта в «Волшебной горе» Томаса Манна..... | 118 |
| Нана Шавтваладзе «Иногда лучше сказать, а затем не говорить ...» или быть сдержанным - Карта культуры..... | 124 |
| Майя Абделани Использование рубрик во время обучения иностранным языкам..... | 129 |
| Эка Готиашвилиб Тамар Тваладзе Создание положительных взаимных отношений в классе английского языка..... | 133 |
| Кетеван Догондзе Почему учение грамматики важно для улучшения письменных навыков..... | 139 |
| Атина Тоидзе XXI век – эпоха цифрового мира..... | 142 |
| Атина Тоидзе Основные навыки управления образованием..... | 146 |
| Лела Ониани Преимущество метода самопроверки в английском языке..... | 152 |
| Нана Саакадзе Изучение склонений местоимений в негрузинских школах..... | 156 |
| Мадона Самнидзе Роль творческого мышления в процессе обучения | 159 |
| Мзия Поцхишвили К обучению методам грамматики..... | 163 |
| Майя Ахвледиани, Лали (Барбаре) Абдаладзе Об образовательном и историческом значении учебника протоиерея Мелитона Келенджеридзе «Краткая история грузинской патриархальной церкви»..... | 170 |
| Ягор Баланчивадзе, Дали Путкарадзе Дошкольное образование как инструмент подготовки детей к школе..... | 175 |
| Нана Бенделиани Эффективные стратегии учения и обучения | 179 |
| Нино Бенделиани Создание среды, развивающей социальные способности и навыки учащихся..... | 183 |
| Ирине Гогиберидзе, Тамар Дограшвили Педагогические взгляды профессора Георгия Тавзишвили..... | 187 |
| Екатерина Лосаберидзе Учёба и учение на традиционном уроке..... | 194 |

| | |
|--|------------|
| Кетеван Хурцилава, Тамар Дограшвили Подготовка учителей начальных классов, обеспечение кадрами и инспектирование в Западной Грузии во второй половине XIX века..... | 200 |
| Давид Ботера – Ботерашвили Цивилизация как генетический шифр гражданской общественности..... | 211 |
| Маиа Алавидзе, Зинаида Чачанидзе, Нана Горгодзе Генетические особенности интервью и информации..... | 215 |
| Натия Джикия Предмет критики (по Илье Чавчавадзе)..... | 220 |

Contents

| | |
|---|-----|
| Tsiuri akhvlediani, Ketevan Gabunia The origin of Phonostylistics in France..... | 16 |
| Rusudan Gersamia Prefixes particle morphology in Megrelian and Laz..... | 23 |
| Gvilava Rusudan Linguistic Analyses of Consonant Modification in Oral Discourse (Based on English examples) | 27 |
| Gugunava Maia The question of intertextuality in the film of L. Visconti "La trembles earth" (1948)..... | 34 |
| Nino Demetradze, Ekaterine Kurdadze Communicative Approach - the Method and the Goal of Teaching..... | 35 |
| Darejan Demetradze Speaking difficulties and the ways to solve them in German language | 43 |
| Nino Zaalishvili Fraseología contrastiva del español, del georgiano y del ruso: análisis de los fraseologismos numerales con los lexemas zónimos | 44 |
| Tamar Makharoblidze Some issues of mathematical signs in GESL..... | 58 |
| Manana Mikadze Composites in Otia Ioseliani's novels..... | 75 |
| Parandzem Meytikhanyan Armenian Translation of Holy Bible and the Role of Mesrop Mashtots..... | 79 |
| Irma Rusadze Problems of National language elements and universals in Phrazeology..... | 82 |
| Daphine Svanidze Biverbal constructions in the language of Georgian press..... | 87 |
| Marina Katsarava, Leila Abzianidze Scientific work – the most valuable treasure..... | 91 |
| Nunu Charkviani, Sopio Kipiani, Natia Jikia Some problematic issues in translation of newspaper-informative texts (According to the English and Georgian materials)..... | 97 |
| Lela Tsikhelashvili Double Causatives with Two Causers in Georgian..... | 106 |
| Nino Dzamukashvili Of Conveying Expressiveness of Prose Rhythm by Antonyms (Based on Georgian and English Rhythmic Prose Material)..... | 111 |

| | |
|--|------------|
| Soso Gikoshvili “The sun of a Dead Man” by George Shatberashvili | 115 |
| Nanuli Kakauridze To the function of "Lime" by Franz Schubert in "The Magic Mountain" by Thomas Mann..... | 119 |
| Nana Shavtvaladze “Sometimes is better to say, then not to say...” or be restrained – The Culture Map..... | 125 |
| Maya Abdelani Using Rubrics while Teaching/ learning Foreign Languages..... | 126 |
| Eka Gotiashvili, Tamar Tvaladze Creating Positive Peer Relationships in the English Language Classroom..... | 130 |
| Ketevan Dogonadze Why Teaching Grammar is Important to Improve Students' Writing..... | 134 |
| Atina Toidze "21st Century Students _ Digital Citizens" | 139 |
| Atina Toidze "Main Aspects of Education Management and Leadership!" | 143 |
| Lela Oniani Some Advantages of Self-correction in ESL class..... | 147 |
| Nana Saakadze The studying of declension of pronouns in non – Georgian schools..... | 156 |
| Madonna Samnidze The role of creative thinking in the teaching process..... | 159 |
| Mzia Potskhishvili “Methods of teaching grammar” | 160 |
| Maia Akhvlediani, Lali (Barbare) Abdaladze About educational and historical importance of student's book Archpriest M. Kelejeridze – “Brief History of Georgian Catholicate Church” | 170 |
| Igor Balanchivadze, Dali Putkaradze Preschool Education as a Tool Preparing Children for School..... | 175 |
| Nana Bendeliani Effective Learning and Teaching Strategies | 179 |
| Nino Bendeliani Creating the developmental environment for social skills for children | 184 |
| Irine Gogiberidze, Tamar Dograshvili Professor Giorgi Tavzishvili’s pedagogic Views..... | 188 |

| | |
|--|------------|
| Ekaterine Losaberidze Learning and Teaching approaches to the traditional lesson..... | 193 |
| Ketevan Khurcilava, Tamar Dograshvili Training the teachers of public education primary classes, staff provision and inspection in western Georgia in the second half of the XIX century..... | 201 |
| David Botera – Boterashvili Civilization as a genetic code of the civil society..... | 211 |
| Maia Alavidze, Zinaida Chachanidze, Nana Gorgodze Genetic Peculiarities of Interview and Information Notice..... | 215 |
| Natia Jikia The subject of criticism (According to Ilia Chavchavadze)..... | 221 |

